

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლალი იარაჯული

სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი  
გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნინო კოჭლოშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თელავი

2017 წ.

## სარჩევი

შესავალი -----	3
გოდერძი ჩოხელის ფსიქოლოგიური და შემოქმედებითი პორტრეტი -----	8
გოდერძი ჩოხელი და ქართული სალიტერატურო კრიტიკა -----	24
ფოლკლორული წყაროები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში -----	34
გოდერძი ჩოხელის შემოქმედების სიმბოლურ-ალეგორიული გააზრება -----	78
დასკვნა -----	151
გამოყენებული ლიტერატურა -----	164

## შესავალი

ნებისმიერი მწერლის მხატვრული საზრისის გარკვევა მისი შემოქმედებითი სიღრმეების წვდომასა და ანალიზს, მისი სათქმელის გააზრებას ნიშნავს. ჭეშმარიტ მწერლად კი ის ითვლება, ვისაც არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია მკითხველზე. ამდენად, ყველა მწერლის შემოქმედების ჯეროვანი შეფასებისთვის სწორედ ამ კუთხით ფიქრი და კვლევაა საჭირო.

გოდერძი ჩოხელი იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის გაგებაც რთულია. სტერეოტიპების ჩარჩოში მოქცეული თვითკმარი გონი ვერასოდეს ჩასწვდება მის საზრისს. ამიტომაც ლიტერატორთა ინტერესი მისი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მიმართ არათუ ნელდება, პირიქით, იზრდება კიდევ, რადგან ჯერ კიდევ გამოუკვლევია და შესასწავლია არაერთი პლასტი მისი გონებრივი და სულიერი საუნჯისა.

დღეს გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები შეტანილია სასკოლო სახელმძღვანელოებში, მისი მხატვრული ფილმები ნომინირებულია არაერთი საერთაშორისო ჯილდოთი, თუმცა ფართო მკითხველისთვის ის მაინც ისეთ მწერლად რჩება, რომლის გაგება - გააზრება მარტივი არაა. გოდერძი ჩოხელის შემოქმედების სპეციფიკა ჯერ კიდევ ითხოვს საფუძვლიან კვლევას, რათა კიდევ უფრო ღრმად შევიგრძნოთ და გავითავისოთ მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. საკვლევი კი მართლაც ბევრია, რადგან ძალიან ღრმაა, თავისთავადი და ბევრის მთქმელი.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების გააზრება ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს, მწერლის სიცოცხლეშივე დაიწყო, თუმცა კრიტიკა მის მიმართ არაერთგვაროვანი და დამაბნეველი გახლდათ. დღეს არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევა არსებობს გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ცალკეული ასპექტისა თუ კონკრეტული ნაწარმოების შესახებ: მწერლის ზოგად შეფასებას იძლევა გურამ ბენაშვილის ნაშრომი „წყურვილი წვდომისა“; მათა წიკლაურის მონოგრაფიაში საფუძვლიანად არის განხილული ზოგიერთი მოთხრობა,

თუმცა, ეს არ არის წმინდა სამეცნიერო მიმართულების მონოგრაფია, იგი უფრო ნაზავია დოკუმენტური, ბიოგრაფიული, მხატვრული და სამეცნიერო ელემენტებისა გოდერძი ჩოხელის პიროვნებისა და შემოქმედების ირგვლივ; ლუარა სორდიამ ვრცელი ნაშრომი უძღვნა გოდერძი ჩოხელის რომანს „მგელი“; 2009 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ნოველის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის“ ნანა კუციას მიერ სხვა მწერლებთან ერთად გოდერძი ჩოხელი განხილულია, როგორც XX საუკუნის 80-იანი წლების ნოველისტი; მისი შემოქმედების ფილოსოფიური ასპექტები შეარჩია მსჯელობის თემად 2011 წელს რევაზ ბალანჩივაძემ თავის კრებულში „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“; გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაზე ოცდაათზე მეტი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო კვლევაა წარმოდგენილი 2012 წელს გამოცემულ სამეცნიერო შრომების კრებულში - „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ გამოსაკვლევა არაერთი პლასტი მისი განუმეორებელი ლიტერატურული მემკვიდრეობისა.

ამდენად, გოდერძი ჩოხელის ჯერ კიდევ დაუმუშავებელ თემათაგან ჩვენ გავბედეთ და შევარჩიეთ ისეთი, რომელიც მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური სათქმელის გააზრების საშუალებას იძლევა, რადგან მივიჩნევთ, რომ ის მდიდარი სულიერი საუნჯე, რომელსაც მწერალი გვთავაზობს, არის სალარო, საიდანაც თავადაც უნდა დაპურდე და სხვაც დააპურო, ნატურისთვალი, საიდანაც არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ სამყაროს შემეცნება უნდა ვისწავლოთ.

ღრმაა გოდერძი ჩოხელის შემოქმედება, „იმდენად ღრმაა, იმდენად თავისთავადია, იმდენად ინდივიდუალური, მხოლოდ თავის თავს ჰგავს. ...ძალიან რთულია წაიკითხო მისი შემოქმედება, თუ ...ჩოხელიდან არ გამოხვედი და ისე არ მიხვედი მის შემოქმედებასთან. ...ძალიან რთულია მასთან მიახლოება. ყველას თავისი ბილიკი, თავისი გზა აქვს გოდერძისთან მისასვლელად“ (ზედელაშვილი, 2017, 7).

გოდერძი ჩოხელის მხატვრულ-ესთეტიკური საზრისის გარკვევას ლიტერატურული ალღოს გარდა, იმ სამყაროს შესწავლა და შეცნობა სჭირდება, საიდანაც მწერალი მოვიდა, სადაც პირველად ეზიარა ხალხური სიტყვიერების

შთამაგონებელ ძალას და ხარბად იღებდა სულიერ საზრდოს, საიდანაც ჩამოჰყვა ულევო ფანტაზია.

გოდერძი ჩოხელი ზედმიწევნით იცნობდა თავისი ხალხის უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებას, რომელზეც დააშენა არაერთი ლექსი, ნოველა, მოთხრობა თუ რომანი და რომელთაც, გამოხატვის მრავალფეროვნებით, იდეური სიღრმე სწორედ ხალხურ სიტყვიერებასთან მისმა შემოქმედებითა მიდგომამ შემატა. ამიტომაცაა მის შემოქმედებაში ნიშნული მწერლის ფილოსოფიური ხედვის სიღრმე, შეუცნობელის შეცნობის, სამყაროს გაგების, გააზრებისა და მოვლენათა არსში წვდომის დიდი სურვილი.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი სამყაროს გასაგებად თანაბრად უნდა იცოდეს ადამიანმა სალიტერატურო ენა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დიალექტები, მთიელთა ყოფა, ტრადიციები, ადათ-წესები, ზეპირსიტყვიერება და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური თეოლოგიური ლიტერატურა - სახარებიდან დაწყებული წმინდა მამათა სწავლებებით დამთავრებული; ქართული და უცხოური მწერლობა; ყოფითი ყოველდღიურობა თუ ცივილიზებული სამყარო - თავისი მისაღებ-მიუღებლით. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია გოდერძი ჩოხელის საზრისში წვდომა.

რატომ არის გოდერძი ჩოხელის აღქმა რთული, რატომ მოინათლა იგი თავის დროზე „ერთი კუთხის“ მწერლად, რატომ ვერ გაუგეს მას, რატომ გახდა გაკვირვის საგანი მისი გუდამაყრელობა, რატომ საყვედურობდნენ პროვინციელობას? ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლად ვერ შევძლებთ ვამტკიცოთ, რამდენად ღრმად გოდერძი ჩოხელის მხატვრული საზრისი და მისი მწერლური მისია.

უდავოდ რთული იყო მისი სათქმელის გააზრება, რადგან მოვიდა უცნაურ ეპოქაში, ცივი საუკუნის მიწურულს, როცა ავისმომასწავებელი სულიერი სტაგნაციის ფონზე, ეროვნული ძარღვი ყველას დაშრეტილი ეგონა, როცა გახედნილი ქართული მწერლობა ხელახლა იწყებდა ფეთქვას. გოდერძი ჩოხელმა თითქოს იმთავითვე იცოდა, რა იყო საჭირო, რა უნდა ეთქვა ჯერ კიდევ პარტოკრატიული სიტყვის ტყვეობაში მყოფი საზოგადოებისათვის, გულწრფელობასა და სინაზეს მოკლებული, გაუცხოებული მკითხველისათვის: „მწერალი იმ მზის სხივს უნდა ჰგავდეს,

გაზაფხულზე ნაადრევად მოსულ ყვავილს მოყინულ ფოთლებს რომ გაუღებო, გაყინულ ფესვებში გამლხვალნი თოვლის თბილ ცრემლებს ჩაუწვეთებს, საიდანღაც წითელ პეპელას რომ შეისვამს და ყვავილს მხრებზე დაასვამს.... ყვავილებმა კი, აუცილებლად უნდა უსმინონ მწერლებს, თორემ ამქვეყნად მწერლებზე ადრე არავინ ჭკნება, თუ არ უსმენენ. მეც მინდა ვიყო ისეთი მწერალი, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჭკნე საქართველოში“ (ჩოხელი, 2008, 311).

დროაჩქარებული ტექნიკის საუკუნეში ძნელია შეინარჩუნო სულის სისათუთე იქ, სადაც მთავარი თავის შენახვის ამქვეყნიური ხელოვნებაა, რომ გქონდეს იმდენი, იარსებო, იაზროვნო, შექმნა, გადარჩე. რა თქმა უნდა, ძნელი იქნებოდა გოდერძი ჩოხელის ესთეტიკის დანახვა ასეთ პირობებში. ის ხომ სამყაროს ბალახზე დაკიდებული მზის სხივის მომლოდინე ნამიდან ხედავდა. სიკვდილსაც და სიცოცხლესაც ერთ ქარგაში აქცევდა და სულ რამდენიმე სიტყვით აფასებდა: „სიცოცხლე სევდაა, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა, სიკვდილიც სევდაა, ადამიანად არყოფნის სევდა“. ამ სევდამ მოატანინა თავისი მწერლური და მოქალაქეობრივი ვალი გუდამაყრის გადაშლილი წიგნივით მკითხველთან.

გოდერძი ჩოხელი ზედმიწევნით იცნობდა ქართველი ხალხის უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებას, რომელზეც დააშენა არაერთი ლექსი, ნოველა, მოთხრობა თუ რომანი და რომელთაც, გამოხატვის მრავალფეროვნებით, იდეური სიღრმე სწორედ ხალხურ სიტყვიერებასთან მისმა შემოქმედებითმა მიდგომამ შემატა. ამიტომაცაა მის შემოქმედებაში ნიშნული მწერლის ფილოსოფიური ხედვის სიღრმე, შეუცნობლის შეცნობის, სამყაროს გაგების, გააზრებისა და მოვლენათა არსში წვდომის დიდი სურვილი.

სწორედ ამიტომ, ჩვენი საკვლევი საკითხის ფარგლებში შევისწავლეთ, რა ადგილი უკავია გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ზეპირსიტყვიერებას, როგორ იყენებს იგი მთაში დაცულ ადათ-წესებსა თუ მითოსურ წარმოდგენებს მხატვრული სათქმელის შესამოსად, როგორია თავად მწერლის დამოკიდებულება ამ ტრადიციებისა და წარმოდგენების მიმართ, რის გასააზრებლად გვთავაზობს მათ, როგორ ეხმარება გოდერძი ჩოხელს ნანახი და განცდილი საკუთარი მწერლური საზრისის გამოხატვაში და რა ელფერს მატებს მის ესთეტიკას ყოველივე ეს.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას ჩვენი კვლევა წარიმართა შემდეგი მიმართულებით:

- როგორია გოდერძი ჩოხელის შემოქმედებით-ფსიქოლოგიური აღქმა მისი ნაწარმოებების ზოგადი განხილვის ფონზე;
- როგორია მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის გზა ჩოხიდან ქართულ კრიტიკამდე;
- როგორ იყენებს იგი ხალხურ სიტყვიერებას და მითოსურ წარმოდგენებს ამა თუ იმ ნაწარმოების სიუჟეტური განვითარების ქარგაში მთავარი სათქმელის გადმოსაცემად;
- რა არის მისი მხატვრული სათქმელის არსებითი საზრისი სხვადასხვა ნაწარმოებების მიხედვით;
- რა ესთეტიკური ღირებულებისაა მისი ალეგორია-სიმბოლოები და რა მნიშვნელობას იძენენ ისინი მხატვრული გააზრების ასპექტით.

ამდენად, წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომი, შესავლისა და დასკვნის გარდა, შედგება ოთხი თავისაგან:

- I. გოდერძი ჩოხელის ფსიქოლოგიური და შემოქმედებითი პორტრეტი;
- II. გოდერძი ჩოხელი და ქართული სალიტერატურო კრიტიკა;
- III. გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ფოლკლორული წყაროები;
- IV. გოდერძი ჩოხელის შემოქმედების სიმბოლურ -ალეგორიული გააზრება.

## გოდერძი ჩოხელის ფსიქოლოგიური და შემოქმედებითი პორტრეტი

ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტი მისივე ნაწარმოების მიხედვით განისაზღვრება, რადგან თხზულების გენეტიკური კოდი სწორედ მწერლის ფსიქოლოგიურ პორტრეტსა და მის მორალურ კრედოშია. ნაწარმოების საფუძვლიანი ანალიზით ნათელი ხდება მწერლის პიროვნება, მისი მსოფლმხედველობა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პერსონაჟების თვალთახედვასთან. ნაწარმოები მტკიცე კავშირშია ავტორის ფსიქოლოგიასთან და მწერლის შინაგანი მდგომარეობის ამოკითხვის, მისი სულიერი იდენტიფიკაციის საუკეთესო საშუალებას.

ბევრად უფრო მრავლისმთქმელია ამა თუ იმ ავტორის შემოქმედება, როცა ზედმიწევნით კარგად ვიცნობთ მის შინაგან სამყაროსა და ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

მიმზიდველობითა და ინდივიდუალურობით თანაბრად საინტერესოა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაც და ბიოგრაფიაც:

„იყო ნება ღვთისა და არარისგან იქმნა რაობა.

იყო ნება ღვთისა და რაობა იქცა არარაობად.

შეეთვისა და განეთვისა:

ცეცხლი ჰაერს, ჰაერი წყალს, წყალი მიწას...

იშვა ყოველი სახიერი ღვთის არსებაში...

დავიბადე!“ (ჩოხელი, 1991, 5).

მცირე ნაწყვეტიდანაც საცნაური ხდება მკითხველისათვის, რომ ჩვეულებრივის ამქვეყნად მოვლინებას არ ეხება საქმე.

არავინ იცის, რა დაებედა დაბადებისას, ან რა ჩაუთქვა „ადგილის დედას“ შვილის სახელზე გოდერძი ჩოხელის დედამ, ან მფარველი ანგელოზი რამ გაააოცა, როცა მარტომშობიარე ქალის ნაწინა ხელთ აიტატა ახალგაჩენილი მტირალი ბაჭი და უხმოდ მიაწვინა ბაგაში უხეშ ბალახზე.

„მე დავიბადე... განთიადისას გაშალა მიწამ ნისლიანი თეთრი მკლავები



და ამით, ალბათ ჩემი მოსვლა ზეცას ახარა“... (ჩოხელი, 2012, 9). ალბათ, იმთავითვე იგრძნო დაბადებიდანვე გონსაზრიანმა, მიწისა რომ იყო და ნისლიანი იქნებოდა მისი ცხოვრება. ამიტომ კითხულობდა მოგვიანებით სულაწეწილი:

„ვინ მოახვია ჩემ ძვლებს ეს ხორცი.

ვის სამსხვერპლოზე ვანთივარ სულით.

რად ახვევია ჩემს არსებას ეს საწუთრო ნისლივით მღვრიე.

ვისი გონით გონივრობს გონი“... (ჩოხელი, 1991, 5).

განგების ნებას ვერსად წაუხვალ, უღმერთოდ არაფერი ხდება ამქვეყნადო, - ასე სჯეროდა როგორც მთის კაცს, როგორც ქართული გენიის გამგრძელებელს, მარტო რომ გამოვიდა ცხოვრების შარა-გზაზე თავისი მიზნისა და ადგილის საპოვნელად.

ტკივილიანი იყო მისი დაბადება. იხსენებდა მოგვიანებით: „ჩვენს სოფელში მშობიარობა აკრძალული იყო, მშობიარე ქალი უწმინდურად ითვლებოდა. ...დედაჩემს თიბვის დროს წამოეპარა მშობიარობის დრო. თურმე, სასწრაფოდ წასულა თავისი დედ-მამის სოფელში, ბურსარჭირში, მაგრამ ვერ მოუსწრია იქამდე მისვლა, მე ძალიან ვიჩქარე, ალბათ, და ამიტომაც დავიბადე ხოსრო კლდის ქვეშ, გამოქვაბულში... (ჩოხელი, 2012, 143).

...სამი წლის შემდეგ, სწორედ ამ კლდესთან, დელგმაში მოყოლილი დედა ღმერთს ევედრებოდა: „ამ კლდის ქვეშ გამახარე, დალოცვილო, ამის დაბადებით და ამ კლდის ქვეშ ნუ გამამწარებ, ნუ გამამტაცებ ხელიდან!

მაშინ მართლა ვირწმუნე, რომ თუ დედაჩემი ასე ილოცებდა, ღმერთიც შეწყვეტდა ჭექა-ქუხილს და სეტყვას. გულში მეც დედის ნათქვამ ლოცვას ვიმეორებდი, რომ უფრო მეტი ძალა ჰქონოდა ღმერთთან მისასვლელად“ (ჩოხელი, 2010, 52).

ღმერთთან მისასვლელად თვითონაც გზებს ეძებდა, ქვეცნობიერში ერთმანეთს აბამდა რეალურ სამყაროს და მთის წარმოდგენებს. ნანახს, განცდილსა და გაგონილს უცნაურად უკავშირებდა საკუთარ სულს და თანდათან ემატებოდა პასუხისმგებლობის, გამორჩეულობის განცდა ადამიანებისა და უფლის წინაშე:

„ ეს ჩემი სულის ლოცვებია.

სიმარტოვეში დავწერე.

მინდოდა რაღაცით გამეთბეთ“ (ჩოხელი, 2011).

სითბოუღევეია ჩოხელის პოეზია თუ პროზა, რადგან „ლექსი გართმული სტრიქონისთვის“ არასოდეს უწერია. „ლექსი ღვთიური რაღაცაა ჩემთვის, რომელიც სულში შემოიჯდება და მაწვალებს. ბევრი რამ უნდა ვთქვა ლექსიდან... ჩემი ხედვა უნდა მივიტანო მკითხველამდე, ჩემი ფილოსოფია.... და თუ ჩემმა ლექსმა თუნდაც სულ მცირედით მაინც გაგიტოვოთ გული, ამით მე მართლა ბედნიერი ვიქნები“ (ჩოხელი, 2011, 9).

დასაბამიდან მოვიდა სიყვარულით პირთამდე ავსილი სულით გოდერძი ჩოხელი ჩვენთან, რომ ეთქვა, მე თქვენ მიყვარხართ, ადამიანებო! „...მიყვარხართ, რადგან მიყვარს ღმერთი და ღმერთმა თქვენთან ერთად მარგუნა სიცოცხლე დედამიწაზე“ (ჩოხელი, 2011, 9). არ შეიძლება, ვინც მას კითხულობს, მას უსმენს, მას უყურებს, სიყვარულით არ იაროს დედამიწაზე.

გოდერძი ჩოხელმა შემლო შეხებოდა მკითხველის სულს დაცლილ სოფელსა თუ გაფაციცებულ ქალაქში, სადაც, მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანი ადამიანად რჩება, ყოველ შემთხვევაში, ასე სურდა მას, ასე სურთ ღვთიური მადლით ცხებულ ადამიანებს.

ამ სურვილმა დააძლევინა ყოფიერების ძნელი დღეები, ამ სურვილმა აქცია საკაცობრიო ტვირთის მზიდველად, რადგან მასაც, ყველა დიდი მწერლის მსგავსად, გულ-ღვიძლის მკორტნელი არწივივით შეუჩნდა სურვილი - პირველხატი ეპოვა ადამიანში და განეწმინდა მისი სული, მაგრამ... „არსებობს ბედისწერა, რომელიც ყველაფერს განაგებს ადამიანის ამქვეყნიურ შარაგზაზე. ზოგისთვის, მართლაც, შარაგზაა, ზოგისთვის კი - მიხვეულ - მოხვეული, ეკლიანი ბილიკი“. ისიც სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ამქვეყნიური ცხოვრების ტკივილი გაუსაძლისი ხდებოდა. მთავარი კი ის იყო, რომ ამ ყველაფერს თავისი მიზეზი ჰქონდა:

„დალეწილი მაქვს ფრთები,

დამსხვრეული მაქვს ხედვა,

ასე ინება ჩემთვის

ღმერთმა და ჩემმა ბედმა“ (ჩოხელი, 2011, 33).

წერა-მწერლისა და ბედის კრულვა „დალეწილი ფრთების“, დამსხვრეული იმედების, წარმოდგენების, მსოფლმხედველობის გამო იმ საბედისწერო ტკივილში გადაიზარდა, მიხვეულ-მოხვეულ ეკლიან ბილიკებზე სიარულს რომ მოჰყვა. სანამ ამ გზებზე გავიდოდა, სხვა მთის კაცივით, სავსე იყო მისი ცხოვრება უფლით და რწმენით: „ჩვენი სახლი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში დგას. ერთხელ ბანიდან გადმოვვარდი და თავი გავიტეხე. ფასანაურამდე ოცი კილომეტრი ცხენით მატარეს და საავადმყოფოში დასისხლიანებული ჩამიყვანეს. ...ჩამეძინა. არ ვიცი, სიზმარი იყო თუ ხილვა, ვხედავ ისევ ჩემი სახლის ბანზე ვდგავარ. ატყდა ზარების რეკვა. მტრედების ფრთხილი და ეკლესიიდან თეთრებში ჩაცმული მოხუცი გამოვიდა ანგელოზებით გარშემორტყმული. ჩემ ირგვლივ ყველა ბავშვი გაიქცა, მე კიდევ ფეხები დამიმძიმდა და ადგილს მივეჯაჭვე. მომიახლოვდა თეთრი მოხუცი, მხარზე ხელი წამომარტყა და მითხრა: მიდი, შვილო, შენც გაიქეციო. და გავიქეცი. დღემდე ამ ხელის წამორტყმას ვგრძნობ. ალბათ ამიტომაც ვცდილობ, ღმერთისთვის შევქმნა, მისთვის დავწერო, გადავიღო, ვეწამო“ (ჩოხელი, 2012, 23).

ალბათ, ძნელია წარმოიდგინო წამება ტკივილის გარეშე, მაგრამ გოდერძი ჩოხელისთვის ეს „წამება“ არა ტკივილი, არამედ სიამის განცდაა, არა მხოლოდ მშობლიური კუთხის სიყვარულის, არამედ ადამიანად ყოფნის გამო. როგორ ხაზგასმით იმეორებს: ღმერთისთვის ვქმნი, მისთვის ვწერ, მისთვის ვეწამებიო.

ექვგარეშეა, ამ სიტყვებში ამაყი მეზრძოლის სული იგრძნობა და არა ცხოვრებით დაღლილი კაცის წუწუნი, ტანჯვით მინიჭებული სიამაყე იგრძნობა, რომ წილად ხვდა ასეთი ბედი სწორედ მას და არა - ვინმე სხვას. ეს ის გრძნობაა, მეფე-პოეტს სიკვდილის გზას ვარდისფრად რომ მოაჩვენებს და ამაყად ათქმევინებს, არა ვნადვლობ, სიმღერით რომ ვკვდებიო.

ყველაფერი მანერვიულებს, ყველაფერი გულს მტკენსო, - წუხდა. თვითონაც იცოდა, ალბათ, წერა-მწერალმა მისი დაბადება რომ ჩაიწერა, ნისლივით მღვრიე ბედი მისცა, სულში პოეტის გამორჩეული ნიშანი ჩაუბეჭდა და იმიტომაც სტკიოდა, იმიტომაც აგროვებდა დარდებს, ეს მიაჩნდა თავის ამქვეყნად მოსვლის მიზეზადაც და მიზნადაც. ღრმად სწამდა:

„ერთი გზა გვიდევს სიცოცხლით,

საიქიოსკენ სავალი,  
ყველა იმ გზაზე მივდივართ  
მათხოვარც და მთავარც,  
სუყველას ზურგზე ჰკიდია  
თავის თავგადასავალი,  
მარადიული ამქვეყნად  
მარტო უფალის გზა არის!“ (ჩოხელი, 2011, 26).

„ადამიანი ტკივილში გრძნობს მეტ სიახლოვეს ღმერთთანაც, ადამიანებთანაც, რაც ბუნებასთან ჰარმონიას გირღვევს, ყველაფერი გტკივა,“ - ამბობს გოდერძი ჩოხელი მაია ბარამიძესთან ინტერვიუში - (ჩოხელი, 2012, 120). მარტო გუდამაყარი რომ ყოფილიყო მისი ტკივილი, ალბათ, საშველს ნახავდა კაცი, მაგრამ არაგველთა მოზარის სატკივარი უფრო დიდი იყო და სათხოვარს ჩასტიროდა კუზიან დედამიწას:

„ოღონდ ნუ იქნება:  
მთიულეთი - ნამთიულარი,  
ხევსურეთი - ნახევსურალი,  
ფხოვი - ნაფხოვარი,  
ხევი - ნახევარი;  
კაცის ნასახლარს ნუ მანახვებ და  
ნუ გახდება საქართველო ნახევრის - ნახევარი“ (ჩოხელი, 2011, 21).

ღვთის რწმენით იყო სავსე გოდერძი ჩოხელი: „ჩემი სხეული შენით აღივსო და მეც ისევე დამემართა, როგორც უცხო ადგილზე მოხვედრილ დამშეულ მგზავრს“....(ჩოხელი, 1991, 6).

„კაცი ღმერთის წინ მადლით იცნობა,  
რაც დათესა და რაც მომკო ქვეყნად“ (ჩოხელი, 2011, 58).

ამ პასუხისმგებლობით იზარდა მისი სული ზეცისკენ სწრაფვით და ამაღლდა ღმერთის სამყოფელი მის არსებაში, რადგან კარგად იცოდა, რომ ამაღლებული სულის გარეშე, ძნელი იყო დედამიწაზე დამკვიდრება.

ამაღლებული სულით დადიოდა წუთისოფელში და გვიყვებოდა, მისი სულის მთაზე „სად რომელი ყვავილი ყვავის, სად რამდენი ია ამოდის, სად რამდენი ბალახი ჭკნება, ანდა რომელი ჩიტი გალობს დილა-საღამოს“ (ჩოხელი, 2011, 115).

მხოლოდ ძლიერი სულისა და პოეტური მაღლით ცხებულებს შეუძლიათ დუხჭირი ყოფის მიღმა ამ ყველაფრის დანახვა.

აღბათ, ამიტომაც დიდხანს ატარებდა ფურცელთან გასამხელ უამრავ დარდსა და ტკივილს - ყველას სამყოფს, რადგან მისი სულის მთა ყველას საკუთარ წილს უწვდიდა:

„ცხვარს საბალახოდ,

ნისლებს სატირლად,

ვარსკვლავებს, მთვარეს, დღესა და ღამეს,

კაცებს ბალახის სათიბნელად, ხან სანადიროდ,

ღამე სიზმრებს, დღისით სახიერს, დროსა და სივრცეს“ (ჩოხელი, 2011, 114).

სუფთა სულით ჩამოვიდა გუდამაყრიდან - „ღვთაებრივი წესრიგიდან“ და ბავშვის სუფთა თვალებში გაოცებად ჩაუდგა სულდაცლილი ქალაქი, მოწყვეტილი ბუნების აღქმას: „...ვარსკვლავიან ცას იშვიათად ახედავენ, არადა ვარსკვლავების ხმაურიც კი ისმის მთაში. გუდამაყარში, მაღალ მთებიდან, უამრავი ვარსკვლავის წვრილ ზარებივით რეკვა მესმის“ (ჩოხელი, 2011, 9). აღბათ, ამიტომ ამსგავსებდა საკუთარ თავს ბარად წყლის დასაღვეად ჩამოსულ ირემს, რომელსაც დაჭრიან და დაჭრილი დაბრუნდება უკან. ამსგავსებდა და ეცოდებოდა ძალიან.

ძნელი იყო ხარისთვის უღლის გაწევა, ლეწვა და „საპირაქეთოდ მოქცეულ მიწაზე“ ხნულის გატანა სულის სიწმინდით. სული კი ბავშვის შემორჩა გოდერძი ჩოხელს და სულში ბავშვობის ნათელ მოგონებად - ბავშვებჭრიაშულით სავსე, ხმაურიანი გუდამაყრის სოფლები თავისი ბაკურხეველი ხევსურით, სამოთხის გვრიტებით, თევზის წერილებით, დარდების და სიხარულის შემგროვებლებით, კადრებად რომ ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, მოსვენებას რომ არ აძლევდნენ, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ხელი არ მოავლო კალამს და ფურცელს და მოგვიანებით სულის ტკივილადაჩენილი ნასოფლარები, ნასახლარები, ნაკვნარები, ნანანავები მოთხრობებად და კინოფილმებად არ გაახმოვანა:

„ ... შენ, უფალო, მითხარი რამე,  
ამ უკაცრიელ სამყოფელზე მითხარი რამე,  
თორემ პაპაის ნასახლარზე ჩამოდვრილ მთვარეს  
ძაღლივით ლოკავს უძილო ღამე.  
ხედავ შამბიან ორლობებს, კედლებს მდუმარეს  
ჭინჭარი როგორ ეკიდება გულზე ჟანგივით,  
... გადატეხილა გულთაბომბზე დიდი თავიხე  
და კარებს  
ქარში მხარმოტეხილს  
შეჰყმუის მგელი”... (ჩოხელი, 1991, 16).

ნასოფლარების ტკივილით ჩამოვიდა ქალაქში, მაგრამ ამ ტკივილს არა სიბრაღული, არამედ ძლიერი, გაუტეხელი სული ჩამოჰყვა ხევგადმა დაწერილი წიგნისა და კიდევ ერთხელ აფიქრებინა ქართულ საზოგადოებას: „იქა სდულს ძარღვებში მოარული სისხლი“, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რა „გვირისტიტით კერავს ბუნება და რა პური ცხვება მის თონეში“.

უბრალოებითა და გულწრფელობით ამოთქვა მთიდან ჩამოტანილი სევდაცა და იქ დამხვდურთა გულისნადებიც: „სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ მახარებს, საუბედუროდ, ძალიან ბევრი რამ მადარდებს, იმდენად ბევრი, რომ ერთი გულა დარდებითა მაქვს სავსე," - ამბობდა და გუდამაყრიდან ჩამოზიდულ დარდებს მთელი საქართველოს ჭირ-ვარამს ამატებდა:

„გული დამიდნო ქართველთა  
ნაღველში გამოხედვამა.  
შემზარა ყოველდღიურმა  
ჩვენზე სატანის ქედნამა“ (ჩოხელი, 2011, 42).

სტკიოდა განახევრებული სამშობლო, ლორთქიფანიძის საქართველო-მრავალჭირნახული და გველისთვალს ნატრობდა- ხვითომარგალიტს, საქართველოს ძველი დიდებით აღდგენის სურვილს ჩაუთქვამდა და ამ სურვილის გაცხადებას: „...რა გადაგვარჩენს? ...სწორი გზის არჩევა და, რაც მთავარია, ღვთის რწმენა და ღვთის შეწევნა“ (ჩოხელი, 2012, 14).

დადიოდა გოდერძი ჩოხელი ამ ცოდვამადლიან წუთისოფელში, აგროვებდა მთელი ქვეყნის დარდებსა და სულში ხარშავდა ერთ დიდ ტკივილიან საკითხავად. დარდი კაცს ალამაზებს, როგორც დილის ნისლი მაღალ მთასო, - ამბობდა. კარგად იცოდა, დარდი კაცის გულში ღვთისმშობლის ხატის წინ დანთებული თაფლის სანთელივით რომ ანთია, მაგრამ მეტისმეტად ბევრი იყო სადარდელი...

ღრმატკივილგანცდიანია ჩოხელის თვალთ დანახული საზოგადოება - უფლისგან შორსმდგომი, უფლის მადლმოკლებული. მარტივია მისი „კაცთა საზომი“ - სული და გული!... „ნამუსიან კაცს, აბა, რა შეედრება. ნამუსი კაცის მარილია. რომელ ნამუსიან კაცებზე ვფიქრობ, იცი? თავისი ნამუსით ერის მარილად რომ იქცნენ. სადღაც, ქართველი ერის ისტორიის კუთხე-კუნჭულში სანთლებად აენტნენ და დღესაც იმათი ნათელი გვინათებს, თორემ ისეთი სიბნელე იქნებოდა, მგლების ხროვასავით დავერეოდით ერთმანეთს და დავჭამდით. ბნელში გამკითხავი ვინ იქნებოდა“ (ჩოხელი, 2008, 311).

გოდერძი ჩოხელს არ უცხოვრია მატერიალური კეთილდღეობისთვის, მან უმწეობის მორევში ჩადირულ მრავალთა სულს სანთლად აუნთო სხვა სამყაროში, სულისა და უფლის სამყაროში მიმავალი გზის ნათელი - თავისი შემოქმედება, ცისარტყელასავით მიწიდან ცისკენ ამავალი მადლი.

ნახეთ, რა უბრალოდ დაგვანახა სამყარო: „ნამში სამყარო ჩანს.... რატომღაც მგონია, მხოლოდ პოეტს შეუძლია ბალახზე დაკიდებული მზის სხივის მომლოდინე ნამში სამყარო დაინახოს... მაგრამ მკითხველმაც ხომ უნდა შეძლოს შენი გულისნადების ამოცნობა. ...მე მგონი, მკითხველი და საერთოდ ჩვენი საზოგადოება, კაცობრიობა მოსწყდა ბუნებას. ქალაქში მით უმეტეს. ისე ჩაივლის გაზაფხული, ერთს ვერ იგრძნობენ, ბალახზე დაკიდულ ნამს ვერ ნახავენ, შიგ ვერ ჩაიხედავენ და ვერ იხილავენ იმ სამყაროს, რომელიც ნამში მართლა ჩანს“ (ჩოხელი, 2011, 9).

ქალაქში ცხოვრება მხოლოდ პირადი ყოფითი პრობლემების გამო არ გასჭირვებია გოდერძი ჩოხელს. გულს სულ სხვა სადარდებელი უმძიმებდა: „გავიზარდე სულ სხვა სამყაროში და სულ სხვა სამყაროში ვცხოვრობ,“ - ამბობდა გულმოკლული და ამღვრეული დროის კანონებს საკუთარ გამოცდილებას

ადარებდა: „კარგი იყო ჩოხი თავისი ფილოსოფიით და განსჯით, პოლიტიკით და სამართალით. პოლიტიკოსების სიყვარული იმათ საერთოდ ვერ წარმოედგინათ“ (ჩოხელი, 2012, 16). ვერც მას წარმოედგინა თვალთმაქცობა და სამშობლოს სახელით სპეკულირება, პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესების, გამორჩენის მიზნით ლექსებისა და მოთხრობების წერა, შეკვეთილი ფილმებით ვინმესთვის თავის მოწონება, ამიტომაც ჯიუტობდა, არ ნებდებოდა, არ იცვლებოდა, თუნდაც გაეკიცხათ, ჩამორჩენილად, დრომოჭმულად, პროვინციელად მოენათლათ, მაინც ნათელმხილველივით ჰყვებოდა ერთხელ გავლილ საკუთარ ცხოვრებას თუ სიზმრად ნანახს ლექსებში, მინიატურებსა თუ მოთხრობა - რომანებში, იმედივით რომ გასდევდა დედისა და მონატრების სითბო:

„.....ჭალა გავცვითეო სიარულით, ჩივის.

დედაჩემო, შენ რომ არ დადიოდე

ამ ჭალებზე ყოველდღე,

მაშინ ყველაფერი იქნებოდა ცივი,

ამ მიწას ველარაფერი ველარ გაათბობდა და

ველარ გაუძლებდა ტკივილს“ (ჩოხელი, 2011, 46).

ველარც თვითონ გაუძლო საწუთროს „ბნელ მღვიმეში“ ყოფნას - კაცში შეფარებული ბალღის გულით მოარულმა... ზენაარს ძლივს შეჰბედა სათხოვარი:

„ჩამომეშველე, ზენაარო,

ეგ თალხი კალთა ჩამომაფარე..

და

წამიყვანე.

ამ სახის მიღმა გამიყვანე,

თორემ დავიღალე“...(ჩოხელი, 2011, 112).

მიუხედავად იმედგაცრუებისა, მიუხედავად სასოწარკვეთისა, არასოდეს უღალატია საკუთარი მისიისთვის, რომელიც ღვთის მადლით ზუსტად ჰქონდა გააზრებული: „სიცოცხლე ადამიანს უფლისგან ეძლევა, სიცოცხლის საზრისს კი-მისი ამქვეყნიური დანიშნულება ქმნის. ბედნიერია ის ადამიანი, ვინც საკუთარ დანიშნულებას იპოვის და მის შეცნობას შეაღწევს ცხოვრებას“ (ჩოხელი, 2008, 311).



ამ საზრისს ბოლომდე უერთგულა უჩუმრად „ნისლივით მღვრიე საწუთრომობხვეულმა“:

„დუმილში იდგა მისი სიმდიდრე.

თანდათან ჩაქრა,

კალთა წააფარა საწუთრომ თალხმა,

ჩუმად წაიღო სამზეოს მიღმა...“ (ჩოხელი, 2011, 48).

ვერავინ იდო თავს მისი „სულის დიდ საუფლოში“ შესვლა, არავინ ინდომა დადლილის შველა. როგორც წესია, როგორც გვჩვევია, როგორც დამკვიდრდა ჩვენში - თითქოს გვეშინია მადლმოსილი ნიჭის, ცოცხალ მწერალს ვერ ვიმეტებთ უზრუნველობისათვის. მერე სინანული უფრო მოგვწონს, მერე დაკრული ტაში...

„უკუნეთ დიდ საუფლოს“ მიაბარა სუფთა, უცოდველი სული, რითაც გახდა „სრულქმნილება სრული“:

„როცა ჩემს თვალებს ცის ნათელი დაეკარგებათ,

როცა ჩამოვლევ ჩემ წილ საწუთროს,

როცა ჩავქრები, სამძღორს იქით რომ გარდავხდები,

გაიხსენი, გაიხსენი ეგ საკინძე და მიმიღე მე“... (ჩოხელი, 1991, 6).

ადვილი არ იქნება, ყოველდღიურობით ტკივილამდე გულდაწყვეტილმა და სულის სიმარტოვით გაბეზრებულმა, ისე ატარო შენი კაცური და ღვთიური ტვირთი, ერთი წუთით არ ინანო, რომ შემოქმედად დაიბადე, სადღაც, არწივის გაფრენის სიმაღლეზე, ცივილიზაციას მოწყვეტილ სოფელში. ადვილი არ იქნება, მკითხველის გულამდე მიიტანო ცოდვატკივილიანი საკითხავი და უზარმაზარ მემკვიდრეობად დატოვო ყველაფერი ის, რაც ნახე და განიცადე! არაერთი ნოველა, მოთხრობა, რომანი, ფილმი, ბრწყინვალე ლექსი - სულის ლოცვები... „ღმერთო შემინდე! ისე ვილოცე, როგორც შევძელი“, - პატიება ითხოვა და წავიდა.

გარდაიცვალა?! ზარების რეკვას გაჰყვა უფალთან სასაუბროდ, სადაც მასზე მდიდარი იშვიათი მიდის. იმ საუფლოს მიაშურა იმედიანმა, საიდანაც ჩვენი მოდგმის გამოსახსნელად მოიტანა ღმერთის ლამაზი სიმღერა, მოიტანა თვითონ ღმერთის იმედი.

ნაწილიანისათვის „სამძღორს იქით გადასვლა“ სიკვდილს კი არა, სულ სხვა სიცოცხლის დასაწყისს ნიშნავს. აკი წერდა:

„მე დავბრუნდები საიქიოდან,

ბალახად მოვალ, ნისლად და წვიმად,

წამალბალახა ყვავილს მოვიტან,

რომ ვუმკურნალო, ვისაც რა სტკივა“ (ჩოხელი, 2011, 68).

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი კრედო სწორედ ესაა, ესაა მისი ადამიანური და მოქალაქეობრივი ვალიცა და ღვთიური ნიჭის დანიშნულებაც. რაც უფრო ღრმად ვიაზრებთ ამას, მით უფრო სრულყოფილი ხდება მწერლის ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელსაც თავად პერსონაჟები ქმნიან. მათში კარგად ჩანს, რა საოცრად იმსგავსებენ თავისსავე შემოქმედს სულთან ახლომყოფი გმირები: „შვილი მეუბნება, როგორ დაემსგავსე შენივე გმირებსო!..“ ისიც უშურველად უნაწილებს თავის პერსონაჟებს ყველაზე პირადულსა და ფასეულს და მათი ცხოვრებით ივსებს ყოველდღიურ ყოფას: „ჩემი ცხოვრება ჩემი აღარ არის. ხანდახან ჩემი საქციელი გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორ განწყობაზე არიან ჩემი მოთხრობის გმირები...

- მე შეიძლება გავგიჟდე.

- რატომ?

- ზოგჯერ ისე ახლოს ვგრძნობ ჩემს მოთხრობებს, მეშინია, მართლა არ გაცოცხლდნენ” (ჩოხელი, 2007, 9).

უფრო მკვეთრად განიცადო ის, რასაც წერ, ალბათ, შეუძლებელია, მისთვის საკუთარი, პირადული ცხოვრება თითქოს არც არსებობს...

ალბათ, მხოლოდ ჭეშმარიტად დიდ შემოქმედს შეუძლია ამგვარად: „როცა ვწერ, სახიერად ვხედავ ყველაფერს. ეს არის კინო, ჯერ სათაურს ვეძებ ხოლმე და ამ დროს ჩემს თავში გმირები ან ერთმანეთს ეჩხუბებიან, ან ესიყვარულებიან. როგორც კი სათაურს მოვძებნი, ზუსტ სათაურს, მერე თითქოს რაღაცა ფარდა გადაიწევა და იქიდან გამოდიან და გამოდიან გმირები. მაშინ მე უბრალოდ ვწერ და რაღაცას ვასრულებ და ვარ აგონიაში. ეს წერის პროცესი ჩემთვის საშინელი ტრამვაა, ერთი

სული მაქვს, რომ დავამთავრო, მაგრამ სანამ თვითონ პერსონაჟები არ დაამთავრებენ თავის ამბებს, მე არაფერს მეკითხებიან“... (ჩოხელი, 2012, 83).

შემოქმედებითი წვის პროცესს აგონიას ადარებს, ეს იგივეა, რაც მედიუმის როლი, საკუთარ ტყავზე სხვისი ტკივილის მორგება, ადამიანის განცდა, საკუთარ თავთან სამყაროს ფენომენალური გაიგივება.

მკაცრები არიან გოდერძი ჩოხელის გმირები... „მართლა მკაცრები არიან... რაზე მოგდებენ შარს, რა ეწყინებათ, არ იცი. ყოველ შემთხვევაში, სტუმრის მიმართ ლმობიერები არიან. მკაცრები ერთმანეთის მიმართ არიან. ბევრ რამეს, ალბათ, მეც ვიგონებ და სად არის ნამდვილად მომხდარი და სად მოგონილი, ეს მე თვითონაც არ ვიცი. მერევა ხოლმე. მაგრამ ბევრი ამბავი სიმართლეა. ასე რომ, მაინცდამაინც არ ვამკაცრებ გმირების ხასიათსა და ბუნებას. მთაში ასეც უნდა იყოს. მთა ძალიან მკაცრია და იქაურებიც მკაცრები არიან“... (ჩოხელი, 2012, 54).

ეს სიმკაცრე პირგამეხებული ჯღუნას სიმკაცრეა, ადამიანის მტერს - სიკვდილს რომ კლავს სიცოცხლის სასიკეთოდ, თუმცა მასში მთავარი მაინც ტკივილიანი სიყვარულია ადამიანისა და ადამიანად ყოფნისა. ზემოთ მოტანილი ნაწყვეტიც ამის დასტურია, მწერალი, როგორც კონკრეტული სოციუმის ნაწილი, მისთვის ნაცნობ და ახლობელ პერსონაჟებს ხატავს და ძერწავს, მაგრამ თითოეული მათგანი ზოგადსაკაცობრიო ტვირთითა და სადარდელით არის დადალული. ყველა მათგანის სევდა თვითონ ავტორის გულშია დაწურული. აკი ამბობს კიდევ: „მე კი არა გკლავთ, თვითონ ვკვდები თქვენში, თვითონ ვიტანჯები სულის გაყრისას“.

თვითონვე უკვირდა, როგორღა იყო ცოცხალი, თითოეულ მოთხრობას იმდენი ენერგია მიჰქონდა ...ყოველი მოკლული გმირი გოდერძი ჩოხელია, მკაცრიც და სათუთიც, ნატიფიც და ბრძენიც, დამნაშავეც და უბრალოც... „იმდენჯერა მაქვს გამოვლილი სიკვდილი და ტკივილი, რამდენჯერაც დამიწერია“...(ჩოხელი, 2012, 56).

საკუთარი თავის გაიგივება პერსონაჟებთან, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე, მიუხედავად ქალაქის ხმაურიანი რიტმისა და ცივი ფერებისა, გონებით, სულით, სიზმრებით, ფიქრებით ისევ იქ იყო, მთაში, სადაც

სამყაროს აღქმა ბალახზე დაკიდებული ნამიდან დაიწყო, სადაც ვარსკვლავების ხმაურიც ესმოდა და იქაურთა ნათქვამი თითოეული სიტყვა.

„რამდენჯერაც ვუყურებ „ცოდვის შვილების“ ფინალს, სულ მეტირება. მეტირება „ლუკას სახარებაზე“. მეც განვიცდი, მეც მიჭირს ხშირად ჩემი მოთხრობების კითხვა. როცა წიგნში შეაქვთ და კორექტირება უნდა გავაკეთო, ვიტანჯები, იმიტომ, რომ ხელახლა უნდა გავიარო ის ტკივილი, უნდა განვიცადო ხელახლა. განა ყველაფერი იოლად მოდის? ჩემს გმირს შევიყვარებ და მერე უნდა მოვკლა. მე თვითონ განვიცდი“ (ჩოხელი, 2012, 56).

ვაჟა-ფშაველა მწერლის შინაგან ღირსებად იმას თვლიდა, თუ რამდენად ღირებული მოვლენები აქცია მან თავისი შემოქმედების საგნად და რამდენად ნათლად და მკაფიოდ დახატა მწერალმა ისინი, რამდენად იმოქმედა ამ მოვლენებმა მკითხველზე, გაიტაცა და დაიმორჩილა ის.

ასეთი შინაგანი ღირსებით სავსე მწერალია გოდერძი ჩოხელი. მარტო ავტორი არ განიცდის თავისი გმირების ტანჯვას, ტკივილს. ასე ემართება მკითხველსაც, რომელიც იოლად ხდება ჩოხელისეული სამყაროს შვილი. შეუძლებელია, მკითხველი მისი გმირების ცხოვრების უშუალო მონაწილე არ გახდეს, მასთან ერთად არ იტანჯოს და არ იტკივილოს და, ამავდროულად, არ იქცეს თვითონ მთხრობელის სევდიანი სულის საგზლის მზიდველად. გოდერძი ჩოხელს უყვარს თავისი მკითხველი, თითქოს ეძებს და ესაუბრება მას, უნდა, მკითხველმაც მასავით გაიგოს და უთანაგრძნოს.

მკითხველისთვის წერს, მკითხველთან მიაქვს ჩოხელების სატკივარი მას, თუმცა არა მხოლოდ ჩოხელებისა, თითოეული მათგანი სამყაროს ნაწილია. სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე ვის არ უფიქრია? სიბრაალული ვის არ უგრძნია, თავის მოკვლა ვის არ გადაუფიქრებია, ადამიანად ყოფნა ვის არ მობეზრებია?

ადამიანებს, სხვადასხვა სახელებით, ის მთავარი აერთიანებთ, რასაც ერთი ტრაგიკული ბედის მქონე მწერლის, გოდერძი ჩოხელის გული იტევდა. ის თავად იყო ადამიანთა ზოგადსაკაცობრიო სევდით შეპყრობილი, რადგან უსაზღვრო სიყვარულით უყვარდა დედამიწაზე ღვთის სასწაულად მოვლენილი, ათასწახნაგოვანი, ამოუხსნელი ფენომენი - ადამიანი.

ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები ცხადად ხატავენ ავტორის სახესა და ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ვახტანგ გურულის შეფასებით, გოდერძი ჩოხელი თავად იყო მისი ყველა მოთხრობის გმირი: ვაჟი გოგიც, ბერიც, მაქსინაიც, გამიხარდაიც, ბაბლაიც, შულლაიც, სტეფანეც, აჩლახუნეც, სებაც, თადეოზიც, ლუკაც... გოდერძი ჩოხელი მაქსინასავით თავადაც დაუფიქრებლად გაჰყვებოდა მიწაზე დაშვებულ არწივს უკან, ზეცაში; თავადაც ბერივით უყოყმანოდ ჩაიმარხებოდა მიწაში, მხარზე ამოსული ნამვი რომ არ გამხმარიყო და გამიხარდასავით ადამიანად ყოფნა რომ მობეზრებოდა, თევზად გადაიქცეოდა.

უჭირდა სულსუფთას, „განთიადივით ალაღს“ საცდურით სავსე სამყაროში ყოფნა. ვერ დააღწია თავი შინაგან ხმასა და არსებულ რეალობას შორის გაჩენილ ბზარს და ხსნასავით ჩაეჭიდა თავის ხეობას, როგორც წმინდათაწმინდა სავანეს, საიდანაც იწყებოდა მისი სამყარო, მისი კაცობა. ბოლოს ერთბაშად, თითქოს უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და შემტევ-ომახიან მეამბოხედ იქცა:

„...განა ეგეთად მზრდიდნენა,  
მონად დავუდგე მაცილებს,  
„შინაურებს და ფლიდებსა“.  
რას ვაქნევ იმათ ქეიფსა,  
იმათ ლხინსა და ყოფასა,  
რჯული არ დამავიწყდება:  
ვფიცავ იესოს შობასა.  
ბნელს ნუ მანახვებთ, ვესწრაფვი,  
საუფლო ნათელყოფასა!  
არ დავემოყვრო ურჯულოს,  
შორს, კუდიანთა არული,  
გულს მისვენია სამშობლოს  
ღრუბელი ფერ-მეწამული.  
ვკოცნი წინაპართ საფლავებს  
ხავსმოდებულებს, ძველებსა,

ჩემს პაპებსა და ბებოებს,  
იმათ ძვლებს ძველთა-ძველებსა.  
სულმუდამ ჩემსა არაგვსა, ჟამით-ჟამ მოსიმღერესა,  
კრწანისის ომში ალაღად  
ჩაჩეხილ არაგველებსა....  
ყველას ერთიან ვფიცავარ,  
ჩემთა სალოცავთ წყებასა;  
აღდგომას, ამადლებასა,  
შობას და ნათლისღებასა...  
მწამდა, ეხლაც მწამს,  
ვიწამებ ქართველთა გამარჯვებასა!“ (ჩოხელი, 2011, 15).

ეს რწმენა ავალებდა დიდ მამულიშვილს მართლმხილებას, ეს რწმენა ავიწყებდა შიშსა და შიმშილს, ეს რწმენა ღირდა კრიტიკის, ლანძღვის, მარტოობის, ან სულაც თავის მოკვლის ფასად. საუკუნის დასაწყისში ნათქვამი „იყიდეთ ბარემ მთლად, გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა,“ - საუკუნის დასასრულს ახალმა ჭირისუფალმა სხვა სიტყვებით გააგრძელა:

„ჭამთ და ხრავთ წინაპრების ძვლებს, გამოხარით ჩვენი ძვლები და ჯერ რომ არ დაბადებულან, იმ ქართველების ხორცსა და ძვალს ეპოტინებით დედის მუცლებში გამოსახრავად.

მხვრელებო!

მღრღნელებო!

მკვლელებო!

ერის ბოდების მჭრელებო!

იმ გულთაბოდების შემგინებლებო, ჩვენი წინაპრების დიდი დარბაზის, რომელსაც საქართველო ჰქვია, გულთაბოდის გამომღრღნელებო. ამ დარბაზს რომ სვეტებად ჩვენი დიდი წინაპრები ჰყავს შეყენებული, იმ სვეტების დამაქცევრებო, შემგინებლებო, ერის დამჩანაკებლებო, იმედისა და მომავლის წამრთმეველებო, ქართულ ყანაში სარეველას დამთესველებო! სიდედრები და სიმამრები გიშენებენ მაგ სასახლებს არა, ჩვენ დიდებულ მეფეებსაც რომ არ ღირსებიათ!!!

...საკუთარ ჯამში ჩამცქერლებო! ღვთისაგან გასაბრწყინებელი საქართველოს ჩამბნელებლებო! მართლმადიდებლობის მტრებო!“ (ჩოხელი, 2008, 179).

გოდერძი ჩოხელის ფსიქოლოგიურ-შემოქმედებით პორტრეტზე ფიქრისას, ჩვენ შევეცადეთ გვეპოვა კავშირი მის ტრაგიკულ ბედსა და შემოქმედებას შორის, რადგან მიგვაჩნია, რომ პიროვნული პასუხისმგებლობის გააზრების გარეშე ვერცერთი მწერლის შემოქმედების აღქმა სრულყოფილად ვერ მოხერხდება. ამის დასტურია არაერთი ქართველი თუ უცხოელი მწერალი, რადგან ჭეშმარიტ შემოქმედად ის ითვლება, ვინც საკუთარი ტალანტი „რიგიანად მოიხმარა“ არა ერთი რომელიმე ქვეყნის შვილთა საკეთილდღეოდ, არამედ ზოგადადამიანური ფენომენის უკეთ ასახსნელად და შესამეცნებლად.

## გოდერძი ჩოხელი და ქართული სალიტერატურო კრიტიკა

მოვიდა როგორც მწერალი, კინორეჟისორი, პოეტი გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გოდერძი ჩოხელი და მაშინვე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება მისმა უჩვეულო, თვითნაბადმა ტალანტმა. ფესვადმლიერმა, წერის ნიჭით უფლის ნებიერმა შემოქმედმა შექმნა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ღრმა თავისთავადობით სავსე პროზა და პოეზია, რომელიც ერთდროულად ძალიან ქართულიცაა და ძალიან ზოგადსაკაცობრივც.

ალბათ, მართლა უფლის ნება იყო მისი მოსვლა და არც ის იყო შემთხვევითი, რომ სწორედ საქართველოში მოვიდა, სადაც ჯერ კიდევ ეშინოდათ ხმამაღლა გამჟღავნებული ფიქრისა, ჯერ კიდევ სწორად ვერ აფასებდნენ მიმდინარე მოვლენებსა თუ წარსულში მომხდარს, ბუნებრივი განვითარების კალაპოტიდან ამოვარდნილი ქვეყანა საკუთარ თავთან გაუცხოებული და ნირშეცვლილი იყო. უშინაარსო, ნომენკლატურულ საბჭოთა ხელოვნებაში გოდერძი ჩოხელის გამოჩენა იმთავითვე მოვლენად იქცა. საერთაშორისო ფესტივალებზე რეჟისორული ნამუშევრებისათვის მოპოვებული აღიარების შემდეგ საზოგადოებამ გაიცნო გოდერძი ჩოხელი - მწერალი.

სათუთი და ამალღებული სული ადამიანისა, ღვთიური ნიჭი მწერლისა, დაენახა პირველხატი ადამიანში, დაესახა მათთვის ღვთისკენ მიმავალი გზა, დაეხატა და გადმოეცა უაღრესად ადამიანური განცდები, ნასაზრდოები ბუნებრიობითა და გულწრფელობით, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ არც ფართო საზოგადოებას და არც სამეცნიერო წრეებს. მუდმივად გაუნელებული იყო ინტერესი როგორც მისი შემოქმედების, ისე - პიროვნების მიმართ, რადგან გოდერძი ჩოხელს არასოდეს უღალატია ზნეობრივი პრინციპებისათვის და არასოდეს უკადრებია უკადრებელი; არასოდეს შეჰკვრია „ბილწთ ზავით“ - მისთვის პიროვნული ღირსება ყოველთვის ყველაზე მაღლა იდგა.

ლიტერატურის ჭეშმარიტი დამფასებლები მუდამ აღნიშნავდნენ მისი შემოქმედების სიღრმესა და სისადავეს. გრძნობდნენ, რომ ის არ იყო რიგითი მწერალი: „რა თემაზეც არ უნდა გესაუბრებოდეს, ხვდები, რომ რაღაც საოცარი



სამყაროს კარებს გიღებს... შედიხარ და უკან დაბრუნება აღარ გინდა. თითქოს ამ მშვენიერებას ის კი არ ქმნის, უბრალოდ, გახედებს იქით, საითაც ის სუფევს... ეს ყველაფერი მისი მოთხოვნებია“... (ჯიყაშვილი, 2011).

ნიჭიერთაგან გამორჩეული და სხვათაგან განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე მწერლის თხზულებები გამოსვლისთანავე ხდებოდა კრიტიკოსთა სამიზნე. იშვიათად რგებია სიცოცხლეშივე ვინმეს იმდენი კრიტიკა, რამდენიც - გოდერძი ჩოხელს. უხვად ჰყავდა შემფასებელ-დამფასებელნიც და ავადშემფასებელნიც, თუმცა ყველა მაინც ერთხმად თანხმდებოდა მისი შემოქმედების ფილოსოფიურ სიღრმეზე, თვითმყოფადობასა და სისადავეზე...

თურმე შეიძლება გუდამაყარში დაიბადო, წერო და ილაპარაკო იმაზე, რაც ძალიან შენია, შენშია, შენეულია და გადაიღო უამრავი უცხოური ჯილდოს მომპოვებელი ბრწყინვალე ფილმი (რადგან აქ ჯერ კიდევ არ იციან შენი ფასი), არ გაყოყნდე, დარჩე იმად, ვინც ხარ და სწორედ ეს გისაყვედურონ, ეს გახდეს გაკილვის მიზეზი. იქნებ კი, გოჩა ხარანაულის თქმისა არ იყოს და, „გოდერძის მრავალმხრივობამ დააბნია ადამიანები: ზოგს კინორეჟისორი ეგონა, ზოგს - სცენარისტი, ზოგს - პოეტი, ზოგს - პროზაიკოსი და ვერავინ მიხვდა, რომ გოდერძი იყო გოდერძი“ (ჩოხელი, 2012, 469), - ჩოხში დაბადებული გენიოსი, რომელმაც იცოდა მიზეზი და ამ მიზეზის პასუხიც იცოდა: „ერთი პერიოდი მსაყვედურობდნენ, ბიჭო, ისევ გუდამაყარზე წერო? მომინდა სხვა რაღაცაზე დამეწერა, მაგრამ ვერ დავწერე. მერე დავფიქრდი და მივხვდი, სხვა რამეზე რომ ვწერო, მართალი არ ვიქნები. იმაზე უნდა წერო, სადაც დაიბადე და რაც კარგად იცი“ (ჩოხელი, 2012, 128). მე ჩემი გუდამაყარიდან მოვდივარ და ვწერ ამ გუდამაყარზეო, - ამბობდა.

დიახ, აკი მოგახსენეთ, მისი წილი სამყარო სწორედ გუდამაყარია, მაგრამ არა როგორც პატარა ნაგლეჯი პატარა ქვეყნისა, არამედ - როგორც სამოთხე, ცენტრში პირველქმნილის სახითა და ხატით. „დიახ, გუდამაყარში დაიბადა (ყველა კაცი ხომ სადღაც იბადება), მაგრამ მისი ლიტერატურა და ხელოვნება მხოლოდ პატარა სოფელ ჩოხის კუთვნილება აღარ არის. ეს მთელი საქართველოს - გოდერძი ჩოხელის დიდი და დიდად საყვარელი სამშობლოს - მთელი ქართველი ხალხის

სიმდიდრეა და, თუ სათანადოდ ვიზრუნებთ მისი ნაწარმოებების ეკვივალენტურ თარგმანებზე, არც მსოფლიო იტყვის უარს მის მიღებასა და აღიარებაზე,“ - წერს მასზე მ. წიკლაური (წიკლაური, 2010, 20).

ალბათ, ჩოხელი ჩოხელიც ვერასოდეს იქნებოდა, სხვისი თვალით ხედვა რომ არ შესძლებოდა, რომ არ შესძლებოდა, სხვისი საზომით აეზომა საკუთარი ცხოვრება და არ ჰქონოდა სურვილი საკუთარი სხეულიდან გამოსვლისა და გაფრენისა, საკუთარი თავისთვის რომ თვალი შეეფლო... თავადაც კარგად იცოდა, რომ ბევრს პროვინციელ მწერლად მიაჩნდა, რომელიც სოფელზე, მთებსა და სოფლის ბალახზე წერდა მხოლოდ. ამას მაინცდამაინც არც დარდობდა: „მაშინ რა ვუყოთ ვაჟას გამონათქვამს. მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისაო. ლიტერატურა და კინო ჩემთვის ზნეობა და გალობაა. გალობაში კი ავსიტყვაობა არ შეიძლება,“ - წერდა გოდერძი ჩოხელი (ჩოხელი, 2012, 23).

შემოქმედების თემატიკით ბევრი ხედავს საერთოს გოდერძი ჩოხელსა და ვაჟა-ფშაველას შორის, რაზეც „ვაჟას ნაქონი ტყვია, ჯერ თოფში გაუსროლელი“ გოდერძი ჩოხელი ჩვეული მოკრძალებით აღნიშნავდა: „დიახ, მადარებენ. ეს ჩემთვის სასიამოვნოცაა და ამავე დროს უხერხულიც. არ მინდა შევედარო ისეთ დიდ შემოქმედს, როგორც ვაჟა იყო, თუმცა, იმასაც ვხვდები, რომ გარკვეული ნათესაური კავშირი ჩვენს შემოქმედებას შორის მართლაც არის, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მეც, ვაჟას მსგავსად, მთის ხალხზე ვწერ, თანაც გუდამაყარს და ფშავს ერთი მთა ჰყოფს. შესაბამისად, საერთო თვისებები, შეხედულებები და ადათ-წესები გვაქვს“ (ჩოხელი, 2012, 114).

ადამის მოდემის ბრძოლას პირველობისათვის და ცხოვრების მგლურ კანონებს არაერთხელ უტკენია გული მწერლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ, ვახტანგ გურულის მსგავსად, ძალიან ბევრ ადამიანს მიაჩნდა, რომ ჩოხელის შემოქმედებისადმი წიგნის მიძღვნას და ასეთი წიგნის კითხვას სჯობია მისი ერთი მოთხრობა წაიკითხო, ერთი ფილმი ნახო, რადგან ვერანაირი წიგნი ისე ვერ წარმოაჩენს მას, როგორც თვითონ თავისი შემოქმედება, გოჩა ხარანაულისთვის კი „გოდერძის ერთი მინიატურა ზოგიერთის რომანს აღემატებოდა, მისი ლექსის

ნაკვესი - ზოგიერთის მთელ პოეზიას“, ბევრი თვლიდა, რომ ეს ასე არ არის და თითოეულს გამოწოვილ თემას დაეძებდა საქილიკოდ და საკრიტიკოდ.

თითქოს არც გასაკვირია, რადგან საქართველოში მუდამ იყვნენ ხელისუფლების მეხოტბე, შესაბამისად, დაფასებული მწერლები, რომელთა ნიჭიერებას არავინ დაგიდევდათ, და, გოდერძი ჩოხელის მსგავსი, „კონტექსტიდან ამოვარდნილი მწერლები“, რომლებსაც იმთავითვე გამოტანილი ჰქონდათ „არცნობისა და მოკვეთილის განაჩენი“. სრულიად ვეთანხმებით ნ. ზედელაშვილს, რომ „აღიარება გვიჭირს ჩვენი გენიოსების. მერე ზოგჯერ ტყვიით, ზოგჯერ გულგრილობით, გაუფრთხილებლობით სასიკვდილოდ ვიმეტებთ მათ და მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ წავიშენთ ხოლმე თავში ხელებს..“ (ზედელაშვილი, 2012, 64).

გოდერძი კი, „ვიღაც გუდამაყრელი ბიჭი“, „შემოვიდა ქართულ მწერლობასა და კინოში, არავის არ გასჯიბრებია, არავის ადგილის დაკავება არ უცდია, დაიკავა ის ადგილი, რომელიც უფლის ნებით მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი. აფორიაქდა „ძველი სამყარო“. ჯერ იყო და, თითქოს ვერ შეამჩნიეს. როცა „არშემჩნევა“ შეუძლებელი გახდა, მაშინ ფარისევლებმა ზემოდან დაუწყეს ცქერა... ნიჭმა მაინც იპოვა გზა... გოდერძი ჩოხელის ყოველი ახალი მოთხრობა, ყოველი ახალი ფილმი სულ უფრო მეტად აბოროტებდა მის მოშურნეებს... იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ დაეკნინებინათ გამოსვლისთანავე შედევრად აღიარებული მოთხრობები და ფილმები. ...გოდერძი იმიტომ იყო დიდი, არაჩვეულებრივი, რომ არ აჰყვა მათ „ხორუმს“ და არ ჩაიკარგა ნიჭიერ შემოქმედთა შორის... „არ მოიგლიჯა მხარზე ამოსული ნაძვი. მიწაში ჩაეფლო, რომ ნაძვისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა“ (გურული, 2010, 7, 9).

მაინც რა არ მოსწონდათ და რას უწუნებდნენ?

კრიტიკოსი ჯ. შარაშიძე თვლიდა, რომ გოდერძი ჩოხელის ყველა მოთხრობა ამოდიოდა გუდამაყრელთა ცხოვრების თემატიკიდან, მათი ხასიათიდან, ცხოვრების მათეული სტილიდან. ზოგადად, მისი შთაბეჭდილებით, ავტორი ვერ ამალდა „მცირე სამშობლოზე“, ვერ განაზოგადა საკუთარ კუთხეზე სათქმელი.

„გუდამაყრული თემატიკა გ. ჩოხელთან თვითკმარ, დახშულ შინაარსად წარმოგვიდგება. როგორც წესი, არ ხდება ზოგადქართული ტკივილის და სიხარულის წარმოჩენა. მოვლენები წრეს არტყამენ და თითქმის არასოდეს გადიან ლოკალური გარემოდან; არ ხდება კონკრეტულის, ადგილობრივის განზოგადება ზოგადქართული, მით უმეტეს, ზოგადადამიანურ ღირებულებად. მისი რეზონანსი, ალბათ, მეტნაკლებად აღსაქმელია გუდამაყრელისათვის, მაგრამ იგი გაუგებარი დარჩება სხვა კუთხის ქართველისათვის“.

კრიტიკოსის შეხედულებით, საკამათოა ეთიკური თვალსაზრისით თითქმის ყველა მოთხრობის („გალმღვლები“, „მეომარი ჭიანჭველები“, „ვარდისფერი კაცი“, „ნაწილიანი“, „ნამგალანი“ და სხვა) შინაარსობრივ-თემატური შედგენილობა, თითქოს სხვა სამყაროს ბინადართა ვნებებითაა დამუხტული. უცნაურად და უჩვეულოდ ეჩვენება მოთხრობებში გაშლილი მოვლენების ავტორთა სული და ინტერესები. მისთვის გაუგებარია, „რატომ, რისთვის ებრძვიან ერთმანეთს დევგარეული და ბიბლადი, მათ დაუსრულებელ მუშტით ჭიდილში არც ასაკობრივი ფაქტორი თამაშობს რაიმე როლს და არც სხვა რამ მიზეზი. ისინი უუნარონი არიან საიმისოდ, რომ ერთმანეთს გაემიჯნონ, როგორც ერთმანეთთან შეუთავსებელი ადამიანები. ისიც ფსიქოლოგიურად არამოტივირებულია, როცა ბიბლადი დევგარეულის საფლავს დასტირის. ბიბლადის დევგარეულთან დაკავშირებით მხოლოდ დაუსრულებელი ცემა ჰქონდა მოსაგონებელი, რაც ცუდი საფუძველია იმისათვის, რომ ადამიანის სიკვდილმა სევდა გამოიწვიოს“ (ჩოხელი, 2012, 402).

ცხადია, კრიტიკოსს ერთი წუთით რომ მაინც გახსენებოდა ქვეყანაზე სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი, გაუგებარი ნამდვილად აღარ იქნებოდა მისთვის ბიბლასა და დევგარეულის დაუსრულებელი ბრძოლა.

სულ რამდენიმე წინადადებით „იხსნის“ ერთობ „მძიმე ბრალდებას“ გოდერძი ჩოხელი: „განგებ არ გამოვდივარ გუდამაყრიდან. იმიტომ, რომ იგი სამყაროა, მთებითა და ცით შემოსაზღვრული სამყარო. მდინარეც მოედინება და ცხოვრებაც მდინარეა. სული მინდა იქაური, მინდა არ წაიშალოს ის სული. ...გუდამაყარი ჩემს ხსოვნაშია, სხვის ხსოვნაშიცაა, მაგრამ ის რატომღაც არ წერს ან

ვერ წერს. გუდამაყარი სამყაროა პირველქმნილი, რომელიც აუცილებლად სხვასაც უნდა აჩვენო“ (ჩოხელი, 2012, 68).

ის, რასაც დღეს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებად ვიცნობთ, ნამდვილად არ არის ერთი კუთხისა და ერთი ქვეყნის საკითხავი, ისევე როგორც ვერ დააბრალებ ვაჟა-ფშაველას ფშავის მწერლობას, ან ბარათაშვილს ვერ უწოდებ მე-19 საუკუნის სევდიან პოეტს, ერთიცა და მეორეც დროისა და სივრცის დადგენილ ჩარჩოებს გაცდენილი გენიოსები არიან და მათ შემოქმედებაში ზოგადსაკაცობრიო პრობლემები იკითხება. გოდერძი ჩოხელმა ზუსტად იცის: „მწერალი ის არის, ვინც იცის რას წერს! მწერალი ის არის, ვინც იცის, რატომ წერს! მწერალი ის არის, ვინც იცის, ვისთვის წერს!“ (ჩოხელი, 2008, 311).

გოდერძი ჩოხელს, ცასთან ნაზიარებს, სხვა ხედვა ჰქონდა სხვა სამყაროსი და უჭირდა შეგუება იმ სამყაროს სინამდვილესთან, რომელშიც ცხოვრობდა. მგლური ცხოვრების თანაზიარად ვერ გახდებოდა და ვერც იმ რეჟიმს მოერგებოდა დაბადებიდან უფალთან წილნაყარი, უღმერთოთა საზოგადოება რომ მართავდა. როგორც მ. წიკლაური ამბობს, მგლების კანონი სიბნელეზეა მორგებული. ბრძოლა გადარჩენისათვის, მგლური ინსტინქტი, პირველობის სურვილი არც ადამიანისთვისაა უცხო, მაგრამ მგელი და კაცი ერთმანეთისგან სულიერებით განსხვავდება, რომელმაც უნდა სძლიოს კაცში ინსტინქტებს.

მწერალმა კარგად იცის, რომ სამგლეთად ქცეულ ქვეყანაში, მგლების რკალიდან ადამიანს მხოლოდ რწმენის დაბრუნება და რწმენისკენ შემობრუნება დააღწევინებს თავს.

გოდერძი ჩოხელს ისიც კარგად ესმოდა, რატომ ერჩოდნენ, რატომ ინაპირებდნენ, მაგრამ მისთვის მთავარი ის პასუხისმგებლობის შეგრძნება იყო, რასაც შემოქმედთან სიახლოვე ავალეზდა: „მე ისეთი რეჟისორი და მწერალი ვარ, როგორც ხალხს ვუყვარვარ და არა ისეთი, როგორც ზოგიერთ კინოკრიტიკოსს მოსწონს... ..დაამატე, „მე ასე ვფიქრობ“, „მე მგონი“, უფრო ქრისტიანს გაგხდის და ნაკლებად გააღიზიანებ იმ ადამიანს, რომელიც შემოქმედია და სული აქვს სათუთი. როცა სულში ჩაქუჩს ურტყამ, იქ უმსხვრევ ყველაფერს. „მე მგონი და მე ვფიქრობ“

თუ ეტყვი, იქ შეიძლება იმდენი ყვავილი ამოვიდეს... სულის ჩამსხვრევით შემოქმედის სიკვდილს ფიქრობ და არა მის აყვავებას..." (ჩოხელი, 2012, 62).

გოდერძი ჩოხელი ყოველთვის გრძნობდა ჩასაფრებულთა მზერას, ღვარძლს, ცინიზმს. ვახტანგ გურული იგონებს: „...ერთმა საზოგადოებაში ძალზე პოპულარულმა მოღვაწემ მავანის და მავანის დავალებით „კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა გოდერძი ჩოხელის შედეგრი „ადამიანთა სევდა“, გოდერძის იმდენად ეტკინა გული, რომ ლამის იყო წონასწორობა დაკარგა. მწერალი პასუხს ითხოვდა კითხვაზე: რატომ არ მოსწონდა მომხსენებელს „ადამიანთა სევდა“? პასუხს კი, ცხადია, ვერავინ გასცემდა“ (გურული, 2010, 8).

ამდენს ვეღარ უძლებდა ზნეობისა და კაცთმოყვარეობის მადიდებელი კაცის გული - ისედაც სევდითა და ტკივილით სავსე. ალბათ, ასეთ კრიტიკოსებს გულისხმობდა გოდერძი ჩოხელი, როდესაც წერდა, ჩემგან კრიტიკოსი არასოდეს გამოვიდოდა, ჩასაფრებულები რომ არიან ხოლმე და მზამზარეული რეცეპტის მიხედვით აფასებენ ადამიანის შემოქმედებასო.

ჟურნალ „ცისკარში“ რევაზ მიშველაძე არ ეთანხმებოდა და „იძულებული იყო,“ საწინააღმდეგო ემტკიცებინა იმ კრიტიკოსებისათვის, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მწერალი კარგად იცნობდა საქართველოს მთის და, განსაკუთრებით, გუდამაყრის ხეობის ცხოვრებას. „გოდერძი ჩოხელი მთიელთა ყოფა-ცხოვრებას სუსტად იცნობს და სწორედ ამის გამოცაა, რომ ისეთ ყალბ სიტუაციებში იყენებს, ისეთ თითიდან გამოწოვილ პრობლემებს აბრალებს თავის მეზობლებს ხშირად, რომ ეჭვი მეპარება, იმ ჯანსაღმა და უაღრესად მიწიერმა მეზობლებმა, თუ ასე გაგრძელდა, გოდერძი ჩოხელი გუდამაყრის ხეობის მწერალ-მემატიანედ მიიჩნიონ,“ - წერდა იგი (მიშველაძე, ჟურნალი „ცისკარი“ #2, 131-132).

არაფერია გასაცარი... კეთილში ბოროტის მაძიებელთა და ავადმეტყველთა სიმცირე ვერ გაგვაკვირვებს, რადგან იმდენად დიდია გოდერძი ჩოხელი, რომ ძალიან ცოტაა ღვარძლისა და არაჯანსაღი კრიტიკისათვის ხელჩასაჭიდი მასალა მის შემოქმედებაში. ავსიტყვაობის მოსურნეს მაინც საწაღმართოდ შემოაბრუნებს მწერლის ღრმა, მიმზიდველი და განუმეორებელი, ფასდაუდებელი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ამირან არაბული დარწმუნებულია, რომ: „...ამღვრეული, აღელვებული მდინარე დაწყნარდება, დაიწმინდება. მის მოკენჭილ ფსკერზე მთელი თავისი ბრწყინვალე ფერადოვნებით გამოჩნდებიან ის უძვირფასესი ქვები და ზოდები, დიდხანს რომ ეყოფა საქართველოს გონიერ, გულიან შთამომავლობას სულის სალბუნად, სიამაყედ, გასაოცებლად“ (ჩოხელი, 2012, 498), - ეს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაა!

გოდერძი ჩოხელი იმ ხალხის შვილი იყო, განსხვავებულად რომ განიცდიან სიკვდილ-სიცოცხლეს. იმ სამყაროში ედგა ფესვები, საიდანაც ამაყად იხედებოდა მისი გული, საიდანაც კარგად ჩანდა საქართველო, სამშობლო, რომლის გზა სიკეთის გზაა.

იობისეული მოთმინებით გამოატარა გოდერძი ჩოხელმა სულის სამჭედლოში ეს სიკეთე და შემოქმედს ჩაუქრობელ სანთლად აუნთო საარაგვოდან ჩამოტანილი სიცოცხლე შეწირული და ვალმოხდილი შემოქმედისა: „საარაგვო ერთი დიდი სამლოცველოა ჩემთვის, სადაც ჩაუქრობლად ანთია სანთელი მაღალ ღმერთსა და ჩემ შორის“ (ჩოხელი, 2012, 42).

ადვილი არავის ეგონოს ჩაუქრობლად სანთლის ჩამოტანა, მაგრამ „გუდამაყრის კლდის ნატეხსა“ და „მეფე ერეკლეს მეომარს“ მინამგვანებ ჩოხელს ეს არ გასჭირვებია, რადგან „გოდერძის სიდიდის საიდუმლო სიყვარულია. სიყვარულის სამფლობელო კი გულია და არა გონება. ასეთ ადამიანებს აზროვნებაც სხვაგვარი აქვთ. ..ისინი აზროვნებენ მთლიანად და არა ნაკლულად..... გოდერძის უნდა გაექცე და შორიდან შეხედო. მის დასანახად არ გამოდგება მოზაიკური მხედველობა და მოზაიკური აზროვნება, რაც ასე გახშირებულია კინომცოდნეობაში, კრიტიკაში, ფსიქოლოგიაში. გოდერძის ფენომენი მაღლა დგას, ის გულით უნდა გაიგო....“ (ჩოხელი, 2012, 468).

ნამდვილად, გოდერძი ჩოხელი უნდა გაიგო იმ გულით, რომელიც „ღვთაებრივი სიყვარულის ცეცხლად ღვივის მოყვასის და ქვეყნის უანგარო სამსახურში“ და უნდა დაინახო იმ თვალთ, რომელიც ნამში ჩატეული სამყაროს სიბრძნეს ხედავს. „გოდერძიმ, შეიძლება ითქვას, რომ წარიწყმიდა თავი თვისი, არ დაზოგა სულიერი და ფიზიკური ძალები. სიკეთის სამსახურში იგი იმ სანთელივით

დაიწვა, რომელიც უნათებდა ჩვენს ერს ღვთისკენ მიმავალ გზას“....(ზედელაშვილი, 2012, 127).

ყველაზე დიდ ჯილდოდ ხალხის დამოკიდებულებას, სიყვარულს, მათს მოსაზრებებს და შეფასებას მიიჩნევდა. ნ. ზედელაშვილი წერს: „გოდერძი ჩოხელმა სიცოცხლეშივე განუზომელი სიყვარული, აღიარება და პატივისცემა მოიპოვა ქართველთა და არამართო ქართველთა შორის. კინოფესტივალებზე მისი ფილმებით გაოცებული უცხოელები კითხულობდნენ: „იქ, საქართველოში იციან, ჩოხელის სახით გენიოსი რომ ჰყავთო?!“ (ზედელაშვილი, 2012, 64).

აკი თვითონაც ამბობდა: „ერთი წუთით არ მაქვს იმის განცდა, რომ ვიღაცამ რაღაც დამაკლო, პირიქით, ამდენი ყურადღება ვიგრძენი... შეიძლება, არც კი ვიყო ღირსი, ქუჩაში რომ გავდივარ, ისეთი სიყვარულით მხვდებიან, თანაც პატარა ბავშვები, ახალგაზრდები“ (ჩოხელი, 2012, 109).

ზემოთაც აღვნიშნეთ, გოდერძი ჩოხელის უჩვეულოდ ღრმააზროვანი შემოქმედება მუდამ იყო და იქნება მკვლევარ - მკითხველთათვის საინტერესო. მის პროზასა თუ პოეზიაში კვლავ არაერთი საინტერესო თემაა ჯერ კიდევ ლიტერატორთა ინტერესის საგანი, ჯერ კიდევ საკვლევეია მისი უმდიდრესი ლიტერატურული შემოქმედება, რადგან „ძალიან ღრმაა გოდერძი ჩოხელის შემოქმედება, ...ძალიან რთულია მასთან მიახლოება. ყველას თავისი ბილიკი, თავისი გზა აქვს გოდერძისთან მისასვლელად. გოდერძის სამყარო ძალიან ბევრის მთქმელია და ბევრ სიხარულს გვეტყვის. მისი ნაწარმოებები ისეთივე რთული საკითხავია, როგორც ვაჟას „გველისმჭამელი“. რაც მეტს კითხულობ გოდერძი ჩოხელს, უფრო ნაკლები იცი მის შესახებ. ...რამდენჯერაც მივდივარ გოდერძი ჩოხელთან, იმდენჯერ ახალი კარი მხვდება“ (ზედელაშვილი, 2017, 7).

ჩვენი აზრით, მართლაც ძნელია, მოარგო ზუსტად გაწერილი კრიტერიუმები მის შემოქმედებას, რადგან შეფასების ყველა ჩარჩოს გაარღვევს და „სამძღვროს იქით“ გადასული, მკითხველს ახალი აზრის სათავეებთან ასვლას აიძულებს, რომ სხვა თვალთა დაინახოს, კიდევ უფრო იდუმალი და ამოუცნობი.

აქვე ვიტყვით, რომ გზამ, რომელიც გამოიარა ჩოხიდან ქართულ კრიტიკამდე, მწერალს კიდევ უფრო მეტი ხიბლი შემატა და დღეს, როცა გოდერძი ჩოხელი უკვე



ზეციური საქართველოს მკვიდრია, მკითხველი ხვდება, რომ მისი შემოქმედება სიკეთისა და სიყვარულის სადიდებელია. ლიტერატურული საზოგადოება კვლავ არაერთხელ მიუბრუნდება გოდერძი ჩოხელის შემოქმედებით სიღრმეებს, როგორც ამოუწურავ მადანს, რადგან გოდერძი ჩოხელის გზა უსასრულოა.

მწერლის მეგობარ ლაშა გვასალიას თუ დავუჯერებთ: „მიცვალების მერმის აცამაღლებულმა ოცნებამ მითხრა, მტრედის სიწმინდეში ჩასახლებულმა, მილთაშორის მოფრენილმა „ცას მივალ, დარდას ვაგროვებ, არაგვში სული უნდა ვაბანაო, მზე მთაზე დავაწვინო და მგლების ხორუმი გავმართო.. არწივების რიალს უნდა შევუთვალდე და მიმინოს ირას შევუფრთიანდეო. არხოტის ნისლში მზერა ჩავფუთნო და სიყვარულს ხევისბრის ზანზალაკები ავუქდრიალოო“... (ჩოხელი, 2012, 462)).

გვჯერა, ეს იდუმალეა კიდევ არაერთ მკითხველს ავთრთოლებს გულს მისი სინათლის შესაცნობლად.

## გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ფოლკლორული წყაროები

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ნასაზრდოებია ქართველი ხალხის გაუხუნარი სულიერი საუნჯით - ქართული ზეპირსიტყვიერებით, რომლის ასე უხვად გამოყენებით მძაფრად იგრძნობა მწერლის მსოფლმხედველობრივი საფუძველი. ხალხური აზროვნების ფესვებიდან მოდის გოდერძი ჩოხელის მთავარი სათქმელი, რომელშიც ნათლად ჩანს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების დიდი პატივისცემა და სიყვარული, და რომელიც, უმთავრესად, მიკროეთნოგრაფიული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების აღწერითაა გამოხატული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ხალხის ცნობიერებაში შემორჩენილი ფოლკლორი, ყველა ნიჭიერი მწერლისათვის ნოყიერი ნიადაგია.

ვაჟა-ფშაველა ქართულ ზეპირსიტყვიერებას საჭირო განმად თვლიდა და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე წერდა: „მთაში უბირის კაცისაგან ისეთ რასმე გაიგონებთ ჩვენს სახელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე, რომლის მსგავსს ვერც ერთი ისტორიკოსი-არხეოლოგი წიგნების და ნივთების ჩხრეკა-ძიებით ვერ აღმოაჩენს. უსწავლელს, უბირ კაცს არავითარი მზა-მზარეულად შედგენილი აზრი არა აქვს, ამბობს, რაც გაუგონია თავისივე მსგავსი უბირის პირით და ხშირად თითონაც არ ესმის, რას ამბობს. სწორედ ამიტომ არის ძვირფასი და საყურადღებო მისი ნაუბარი, მისი მოთხრობა” (ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი, „ივერია”, 1902, №196).

ზეპირსიტყვიერების უმდიდრესი სალარო გახდა გოდერძი ჩოხელის შემოქმედების სულის საზრდო, თუმცა, როგორც ვაჟა-ფშაველა მიიჩნევს, ხალხის თქმულება, რაც არ უნდა მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვაო.

ამდენად, წინამდებარე თავში ჩვენ შევეცდებით გავიაზროთ, როგორ გადაამუშავა გოდერძი ჩოხელმა ძველი ხალხური წარმოდგენები და ტრადიციები,

რისთვის გამოიყენა და როგორ მოარგო თავის მხატვრულ საზრისს ხალხური ესთეტიკური აზროვნება.

სათუთად და ფრთხილად ამოკრეფდა გოდერძი ჩოხელი ხალხური სიტყვიერების ჯადოსნური სკივრიდან მარგალიტებს, „ხარშავდა, თავში ატრიალებდა, გულის ცეცხლში გაჰყავდა, სულის ცეცხლში წმენდდა,“ მერე ისე გამოახვევდა შემოქმედებით სამოსელში, ისე გადაადნობდა „სულიერ ქურაში“, ისე გამოატარებდა „ფიქრის ბუხარში“, რომ შეიძლება გაჭირდეს გარჩევა - ფოლკლორიდანაა ნასესხები თუ ავტორის ხილვიან წარმოსახვაში დაიბადა და შეისხა ხორცი, რომ მკითხველამდე მოსულიყო და განსჯის, ძიების საგნად ქცეულიყო.

„მგონია, რომ გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია. მთები ყდებად აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხრობა წერია. მზე და მთვარე მანათობლად მყვანან. ვზივარ ჩემთვის, გადაშლილი მაქვს ეს უცნაური წიგნი და ვკითხულობ“ (ჩოხელი, 2007, 9).

ალბათ, გოდერძი ჩოხელად დაბადება უნდა გარგუნოს უფალმა, რომ ჩაიკითხო ბოლომდე ეს უცნაური წიგნი, თუმცა, ამჯერად, სულეთის კიდობნისაკენ მიმავალთ, თავად გოდერძი ჩოხელი გაგვიწევს მეგზურობას თავისი შემოქმედებით და გვაზიარებს იმ საოცარი სამყაროს რეალობას, რომელიც ასე ღრმადაა ფესვგამდგარი შავი არაგვის ხეობას შეფენილ სოფლებში, სადაც „სევდის კაცის“ მთელმა ბავშვობამ გაიარა და უხუცესთა ნაამბობი მის ცნობიერებაში სულის საგზლად დაილექა: „იქ როგორ არის, იცი? ვიღაცის გმირობასა და კარგ საქმეს ხალისით ჰყვებიან უფროსები. პატარები ვუსმენდით. ისინი გვასწავლიდნენ, რა იყო სავაჟკაცო, რა იყო აუგი. სასამართლოსავით აწყობდნენ სჯა-ბაასს. იმათ ნაამბობზე ვიზრდებოდით“ (ჩოხელი, 2012, 103).

ასე შეითვისა მთის სულიერი სალარო და ბავშვური გაცებით მოსმენილი, ბავშვური სიბეჯითით მოუტანა მკითხველს. წარმართულ-ქრისტიანული, გმირულ-რაინდული, მართალ-მტყუანი. ბუნებასთან ნაზიარევი ადამიანების ფილოსოფიურ-შემეცნებითი აღქმა-წარმოდგენები კონკრეტულიდან ზოგად სარტყელში გადაიტანა და შემოქმედებით მრავალფეროვანი სამყარო შექმნა. თვითონვე უკვირდა, რაც კი

რამ ქვეყანაზე ხდება, დასაბამიდან დღემდე, გუდამაყარშიც მომხდარა და რაც ქვეყანაზე მომხდარა, რა მწერალმა ან რეჟისორმა უნდა ამოწუროსო?

მიზეზი მარტივი და უბრალო იყო, ერთი შეხედვით, გულუბრყვილოც კი: „არ მინდა, არაგვის ხეობაზე მოიშალოს ის წესები, რაც ჩვენს მამა-პაპას დღემდე შემოუნახავს, ეს სალოცავები, ქალის გათხოვება-დანაშინის წესები, ჭრელა-ჭრულა წინდების და ფარდაგების მოქსოვის წესი და ყველაფერი ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვესო“, - წერდა (ჩოხელი, 2012, 43), თუმცა არც ასე მარტივად არის საქმე. მოშურნეთა და დაუნდობელთა, ან იქნებ დაბნეულთა და უცოდნელთათვის ახსნა-განმარტებაც უწევდა თავისი ათვლის წერტილისა და სააზროვნო ჰორიზონტის ურთიერთკავშირის დასაზუსტებლად: „აღებული მაქვს მიკროსამყარო - გუდამაყარი, ჩოხი, საიდანაც მინდა შევხეო დედამიწაზე არსებულ პრობლემებს. ვწერ და ვიღებ იმათზე, ვინც მთაში ცხოვრობს და ისევე შეუძლია სიყვარული და სიძულვილი, როგორც ბარში და ქალაქში მცხოვრებ ადამიანებს. ისინი უფრო ახლოს არიან ღმერთთან, არ არიან დაბინძურებული ემბაკის მანქანებით და მეტად შეუძლიათ კავშირი ჰქონდეთ კოსმოსთან. ცაში ხშირად იყურებიან და ვარსკვლავებსაც ხშირად ხედავენ“ (ჩოხელი, 2012, 63). ამიტომ ფიქრობდა მწერალი, რომ მთიელი უფრო პროგრესულია სულიერად, რადგან ღმერთთანაა კავშირში.

„გუდამაყარის ხეობაში ყველაფერი წელიწადის გარშემო ბრუნავს. აქაური ამბები ახალი წლიდან ახალ წლამდე დატრიალებულ წრებრუნვაშია ჩართული. ამ ვიწრო ხეობაში დასაბამიდან ბრუნავს წელიწადის ბორბალი და თავის წრებრუნვაში ატრიალებს გუდამაყრელთა ბედ-იღბალს. აქაური დრო, ახალი წლიდან ახალ წლამდე, ერთი დიდი რიტუალია, სადაც ყველა დღეს თავისი საკრალური დანიშნულება აქვს. ქრისტიანულ ადათ-წესებთან ერთად, ძველს, ქვეყნიერებისაგან მივიწყებულ დღესასწაულებსაც ზეიმობენ და მთელი წელიწადი თითქოს ერთი დიდი დღესასწაულია, რომელიც ღმერთის წინაშე დღემდე ერთგულად სრულდება“ (ჩოხელი, 2008, 45).

ასეა თუ ისე, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება გზამკვლევაა გუდამაყარში შემორჩენილი ხალხური სიტყვიერების წიაღში, სადაც სამანის დაცვა აუცილებელია, რადგან მთის ადათ-წესების დარღვევა არა მხოლოდ შეურაცხყოფა, არამედ

მთიელთა ჩვეულების უგულებელყოფაა. ავტორი ისე მოხდენილად აღწერს მთაში აღსრულებულ ჩვეულებებს, სამართლებრივ-მორალურ ნორმებს, რელიგიურ-მითოსურ წარმოდგენებს, რომ მკითხველი იოლად ხედავს გუდამაყრელთა ბუნებასა და ყოფის თავისებურებებს, მათს ღირსებებებსა და ხასიათს: უდრეკობას, სინდის-ნამუსს, სიყვარულს, სილაღეს...

დავიწყით მთის წესით, რომლის მიხედვითაც, მშობიარე ქალი უწმინდურად ითვლება და ოჯახის წევრებისაგან განრიდებული მარტო რჩება უფლის ნების წინაშე. „ამ თოვლიან მთებივით მკაცრი წესები დაუდგენიათ აქაური ქალებისათვის მათ წინაპრებს“ (ჩოხელი, 2011, 378), - ასე აფასებს გოდერძი ჩოხელი მთაში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომლის შეცვლა არავის შეეძლო: „...სოფლის წესი ჰკრძალავდა „მირეული“ ქალის სოფელში ყოფნას, მდინარის გადაღმა ჰქონდა სოფელს სამშობიარო სოფელი და მშობიარობიდან მხოლოდ ორმოცი დღის მერე შეეძლო მელოგინე ქალს სოფელში დაბრუნება. სალოცავის მოედნად და წმინდა ადგილად ითვლებოდა ეს სოფელი და წესს ვერავინ დაარღვევდა“ (ჩოხელი, 2010, 169).

ამავე ტრადიციის უსიტყვო მორჩილები იყვნენ თავად ავტორის მშობლებიც. თავისი დაბადების უცნაური მომენტის თხრობისას, ისე ოსტატურად ჩაურთავს ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილ ლეგენდებს, რომ სრულიად უფერულდება ის სისასტიკე, რაც მარტო დარჩენილი ქალის მშობიარობისას გადატანილი განცდების წარმოდგენას ახლავს: „მე, ჩოხიდან ბურსაჭირისაკენ მიმავალ გზაზე, ერთი მკერდწამოყუდებული კლდის ძირში გამაჩინა დედაჩემმა და ახლაც მახსოვს, ბავშვობაში როგორ მეშინოდა იმ კლდისძირას გავლა. კლდე რაკი გადმოხრილი იყო, ასე მეგონა, ეს- ესაა წამოიქცევა და დამეცემა-მეთქი. იქვე, კლდის ძირში, ამოდიოდა დაწყევლილი წყარო, რომელიც წელიწადის ერთსა და იმავე დღეს ამოედინებოდა და ერთსა და იმავე დღეს დაწყებოდა. ლეგენდის მიხედვით, ამ ადგილას უცხოვრია მკურნალ მოძღვარს, რომელმაც შეიკედლა და მოარჩინა ახალგაზრდა მოხვეე ქალი, რომელიც საყვარელმა იმ წყაროსთან მოკლა. ამ ამბავზე კი შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგმა „მოძღვარი“ დაწერა. მეორე ლეგენდის მიხედვით კი, ახალგაზრდა ბიჭი დასალევად დასწაფებია წყაროს და სწორედ ამ დროს დაუკრიათ

თოფი მოსისხლეებს. ძმის სიკვდილით გამწარებულ დას კი ეს წყარო დაუწყევლია, რადგან მისი მიზეზით მოუკლეს ძმა“ (ჩოხელი, 2010, 50).

მთელი შეგნებული ბავშვობა გოდერძი ჩოხელისა, რაღაც მითიურ საბურველში იყო გამოხვეული. ბაღლობიდანვე აოცებდა დედა: „ასე მგონია, დედაჩემი ღმერთთან წილნაყარი ქალი იყო, რომელსაც ესმოდა ბალახებისა და ფრინველების ენა, ადამიანებივით ელაპარაკებოდა“ (ჩოხელი, 2012, 12). ...ისინიც თავისებურად რაღაცას ატყობინებდნენ, მოსალოდნელი ამბის ნიშანს აძლევდნენ. ერთი ყვავი ჰყავდა მაცნედ, როცა მე უნდა ჩავსულიყავი სოფელში, შეფრინდებოდა ეს ყვავი ჩვენს სახლთან და ჩხავილით ატყობინებდა დედაჩემს სასიხარულო ამბავს. ერთ დილითაც ასე უმცნია ყვავს და დედაჩემი საქმეზე აღარ წასულა. რომ დავიგვიანე და არ მივედი, ნაწყენი ხმით გაჰბრაზებია....

- ვის ელაპარაკები, ლელავ?! - გამოლაპარაკებია მეზობელი.

- ყვავს.

- ვაი ჩემ თოლებსა! - იმწყუთას სხვა მეზობლებში გაქცეულა შეშინებული მეზობელი, მგონი, ლელაი გაგიჟდა, ყვავს ელაპარაკებო და მეზობლებიც ჩემს სახლთან მოგროვილან. ამასობაში მეც მივედი“ (ჩოხელი, 2010, 49).

ასე იუმორნარევი თხრობით ცდილობს გოდერძი ჩოხელი, გაგვაცნოს მე-20 საუკუნის „გველისმჭამლის“ რეალური სახე „ანგელოზთდამეობაში“ და იქვე ახალი მახარობლის შესახებ გვიამბობს: „სწორედ ამ კლდესთან დაჰფრენია წინ გზაზე მიმავალ დედაჩემს ოფოფი და ბურსაჭირამდე ასე უვლიათ... ოფოფი თურმე თავის ენაზე დაელაპარაკა დედაჩემს და მეორე დღეს, როცა შვილიშვილის მახარობლად ჩავუვედი, დედაჩემმა ღიმილით მითხრა:

- ვიცი, ვიცი, ბიჭი გეყოლა და სამახარობლოც სხვამ წაიღო.

... გამიკვირდა.“ (ჩოხელი, 2010, 51).

ქართული მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, სამყარო სამი სკნელისაგან შედგება: ზემო ანუ ცის მკვიდრთა საბრძანისი, შუა, რომელიც ადამიანთა და ცხოველთა სამკვიდროა და ქვემო სამყარო, - მიწისქვეშეთი, რომელიც ბოროტი ძალების, ავსულთა, ხთონურ არსებათა საუფლოდ წარმოიდგინება.

ძიებას, თუ როგორ წარმოუდგენიათ სამყარო ზოგადად შავი არაგვის ხეობელებს, „ხილულ სამზეოში“ მივყავართ:

- რატომ გარტყვია წელზე ქამარ-ხანჯალი, პაპავ? - ეკითხებიან შვილიშვილები.
- იმად, რო შუა სკნელსა ვართ, - უპასუხებს მოხუცი.
- ზემო სკნელს ვინდა არიან, პაპავ?
- ზე სკნელს ღმერთია, - ამბობს მოხუცი და პირჯვარს იწერს.
- ქვემო სკნელსა?
- ალ-ქაჯები და დევ-ეშმაკები. ფუი, გაწყდა იმათი სახსენებელი.
- რატო, პაპავ!
- იმად, რო ბოროტნი არიან“ (ჩოხელი, 2007, 152).

ამ მითოსური სამი სკნელის გამოხატულებაა ავტორის სულის მთის სამი სამანი:

„სამად იყოფა ჩემი სულის მთა:

შუა სამანი,

მთის წვერზე ღმერთი,

სამანს ქვემოთ დიდი უფსკრული“... (ჩოხელი, 2011, 114).

ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს იმაზე, რომ გოდერძი ჩოხელი მთის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებდა თავს. თვითონ გუდამაყარი, მისი ფოლკლორი, მითოლოგია უფრო და უფრო ამდიდრებდა მის ცნობიერებას, უფრო მტკიცდებოდა შემოქმედებითი კავშირი ზეპირსიტყვიერებასა და ნიჭიერ შემოქმედს შორის: „ჩემში ბავშვობიდან ღრმად იყო გამჯდარი რწმენის საკითხი, იმიტომ რომ, სახლი, სადაც მე ვცხოვრობდი და სადაც გავიზარდე, ჩოხის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში იდგა. მთაში ...ჯერაც არ იყო მოშლილი დღესასწაულები. ...დღეობები ისევ იმართება, შესაწირიც იკვლება, ჩოხელების სალოცავ ჩოხის წმინდა გიორგის ბევრი ძველი ადათ-წესი შემოუნახავს“ (ჩოხელი, 2012, 17).

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ქართულ მითოლოგიაში წმინდა გიორგისთან იდენტიფიცირებული პერსონაჟი ჩნდება. რიგ მკვლევართა აზრით, გიორგის სახელი, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული სიუჟეტთა უმეტესობა, ქრისტიანობამდელი წარმოშობისაა. წმინდა გიორგის ხალხურმა კულტმა თავის

თავში გააერთიანა სხვადასხვა ძველი წარმოდგენა, რომელთა თანახმად, იგი არის გარეულ ცხოველებზე მონადირე, მიწათმოქმედების მფარველი, ზეციური ცეცხლის და ჭექა-ქუხილის მბრძანებელი, თავისი ყოველწლიური სიკვდილით და აღდგომით განასახიერებს ბუნების ყოველწლიურ კვდომას და აღორძინებას და ა. შ.

ზ. კიკნაძე მიიჩნევს, რომ ბუნებაზე, გარემომცველ სამყაროზე ადამიანის გამარჯვებისათვის, მას უნდა გაუჩნდეს სულიერი ფასეულობანი - შეგნებული რწმენა, ზნეობა, სიყვარული. ამიტომაც საყმოს შექმნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას სალოცავების აგება წარმოადგენს.

გოდერძი ჩოხელი გვიამბობს, რომ გუდამაყრის ხეობაში პირველად ჩოხლები დასახლდნენ, როცა ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანობა, თავიანთ სოფელს ჩოხი დაარქვეს და ჩოხლებიც კერპთაყვანისმცემლები იყვნენ, ხოლო ქრისტიანობის მიღების შემდეგ, თავიანთ მთავარ სალოცავად მთვარის ღვთაება - წმინდა გიორგი იწამეს.

საყოველთაოდ ცნობილი ლეგენდის თანახმად, წმინდა გიორგის სხეული ღმერთმა 360 ნაწილად დაყო და სხვადასხვა ადგილებში მიმოაბნია. ჩოხელების აზრით, მათი სალოცავი წმინდა გიორგის ენის სადიდებლად დაარსებულა, „რაკი სახარებაში ვკითხულობთ, რომ „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა" და რადგანაც სიტყვა ენით გამოითქმება, ამიტომ მთის მოსახლეობა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა ჩოხის წმინდა გიორგის," - წერს გოდერძი ჩოხელი, რომელიც სალოცავის აგებას, როგორც ჩანს, ქრისტიანულ ეპოქას უკავშირებს.

სალოცავი იმ ადგილას შენდებოდა, რომელიც საკრალურად გამორჩეული იყო. ამ საკრალურ ადგილას ადევლინებოდა ღვთის სადიდებელი უფალს განდობილი ხევისბერისაგან და ამ ადგილას პირველყოფილი წესების დაცვით აღესრულებოდა წმიდათწმინდა მოვალეობანი.

საქართველოში ყველა სალოცავი შემადგენელ ადგილზე დგას. რა თქმა უნდა, ჩოხისაც: „ხალხის წარმოდგენით, მთის წვერზე ღვთის საბრძანისია და აშენებული აქვს ქვის ნიში. მთის შუა ფერდზე სამანია დაცემული. სამანს ზემოთ ღვთის ადგილია, სამანს ქვემოთ კიდევ - ემშაკებისა, რომელიც ღრმა ხევში იკარგება“



(ჩოხელი, 2007, 496). აქ გოდერძი ჩოხელი საუბრობს მთაზე, როგორც წმინდა ადგილზე. მისთვის ადამიანიც „მთა“ ანუ „ღვთის საბრძანისი“, ადამიანის სულის სამანებად დაყოფაც ამიტომაც მნიშვნელოვანი და გასაგები. აქედან გამომდინარე, არც ისაა გასაკვირი, რომ ადამიანთა ყოფაში დევ-ემმაკებიც ისეთსავე მნიშვნელობას იძენენ, როგორც ღმერთი, ანგელოზი და ხატ-სალოცავი.

სამანების არსებობა მთის ხალხის წარმოდგენებში, წეს-ჩვეულებათა დაცვის აუცილებლობას განაპირობებს. ყველას, დიდ-პატარას, სისხლ-ხორცში აქვს გამჯდარი, რომ სამანის დარღვევა საშვილთაშვილო ცოდვად ითვლება: „ხატის მოედანზე შესვლა აკრძალულია უდღეოდღეს. მარტო დღესასწაულის დღეს მიგვესვლება იქ კაცებს, ქალები კი დანიშნულ სამანებს იქეთ ვერ შეაბიჯებენ,“ - წერს გოდერძი ჩოხელი და იქვე ცდილობს ახსნას ეს: „კაცებს მხოლოდ დღესასწაულის დროს პატიობს ღმერთი სამოთხეში ჩადენილი ადამისა და ევას ცოდვას, ქალებს კი - არც მაშინ, არ უშვებს საღვთო მოედანზე, რადგან ევამ უბიძგა ადამს აკრძალული ხილის შესაჭმელად. ამ მოედანზე ვიცი ერთი ადგილი, სადაც კაცებიც კი ვერ მიდიან“ (ჩოხელი, 2010, 60).

ამგვარი სიმკაცრე ადამის ცოდვით დამძიმებული კაცის შენდობის წესისა, და, ზოგადად, სამანების დაცვის აუცილებლობა გამოხატავდა საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების სურვილს, ერთგვარი მორალისა და ზნეობრივი ნორმების შემუშავების ელფერი ჰქონდა. ეხება რა მთის შვილთა წესებსა და რიტუალებს, გოდერძი ჩოხელის სტრიქონებში ვკითხულობთ მის პირად დამოკიდებულებას ამათუიმ მკაცრი ნორმებისა და დოგმების მიმართ, რომელიც ავტორის ჰუმანური ბუნებისათვის სრულიად მიუღებელია.

ერთ-ერთი ასეთი წესია დარისხება, რაც დამნაშავეს მხილებას და საზოგადოების წინაშე მის გასამართლებას გულისხმობს. დარისხების რიტუალი ტარდებოდა ხევსბრის ან დეკანოზის მიერ ხატ-სალოცავში თავშეყრილი ხალხის წინაშე. „ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავ გორაში სამანებია ჩაცემული. აქ მკაცრი კანონი მოქმედებს, თუ ჩოხელი ჩოხელს უღალატებს, დარისხებულია, თუ ვინმე ჩოხელის გოგოზე ცუდს გაივლებს გულში, ისიც დარისხებულია.

ასეთი შემთხვევაც მახსოვს, ყოფილა მამასახლისი, გვარად ქარჩაიძე, მას დღეობიდან ხალხი ძალად წაუყვანია სამხედრო გზის მშენებლობაზე. დაარისხეს: ქარჩაიძეები არც გაწყდეთ და არც გამრავლდეთო. და ამის ნიშნად გორაზე სამანი ჩასცეს. კარგა ხნის შემდეგ, სალოცავში მოვიდნენ ქარჩაიძეები მუხლმოყრით, თან დიდი ხარი მოიყვანეს, მათ სახელზე ჩაცემული სამანის ამოღება უნდოდათ, მაგრამ ჩოხელებმა სამანს ხელი არ ახლეს, - რაღა ვიცით, რომელიაო. შეცდომის შემთხვევაში კი დარისხება ახლა მათზე გადავიდოდა...” (ჩოხელი, 2012, 17).

ჩოხელების თემისთვის შვიდი სამანი, ანუ შვიდი კანონი მოქმედებდა. შვიდს, მ. ხიდაშელის კვლევის მიხედვით, მაგიურ რიცხვს უწოდებენ, რომელიც ყოველთვის გამოხატავს ერთიანი სამყაროს იდეას და სამყაროული ხის კონსტანტას წარმოადგენს, ამ რიცხვს დაუკავშირდა შემდეგდროინდელი რელიგიური პანთეონისა და დღესასწაულების გააზრება და დაწესება. რომელიმე მათგანის დარღვევის შემთხვევაში, თემისგან დარისხებას იმსახურებდა. ეს კანონები გორაზე ჩარჭობილი სანთლით შებოლილი სიპი ქვებით იყო აღბეჭდილი. „ერთ-ერთი სამანი იცით, ვის არისხებს? - გვამცნობს გოდერძი ჩოხელი - იმ რძალს, რომელიც დაქვრივდება, ობლებს მიატოვებს და სხვას გაჰყვება ცოლად“ (ჩოხელი, 2008, 86).

სამანის დადგენა მხოლოდ უფლის ნებით ხდებოდა და უფლის ნებითვე გადაეცემოდა განდობილს. მოთხრობაში „სამანს იქით დასახლებულნი“ შულა გვიჩვენებს სამანს, შუა გორაზე დაგდებულ ლოდს, როგორც სიმბოლოს სიკეთესა და ბოროტებას შორის. სამანს მიღმა დევის სამკვიდროა, არც ქალს და არც კაცს ფეხის დადგმა არ შეუძლია... სამანს იქით გადაასახლებდნენ ადამიანებს თემის ადათ-წესების დარღვევის, მიუტევებელი ცოდვების გამო - თემი მოიკვეთავდა იმას, ვინც ან კაცს მოკლავდა, ან იმრუშებდა, ან სხვა რაიმე მიუტევებელ დანაშაულს ჩაიდენდა, რადგან ის ბოროტ სულს ემსახურებოდა და აღარ ჰქონდა მას წმინდა ადგილში ცხოვრების უფლება. ასეთ მოკვეთილ კაცს ლოდის იქით, დევის სამკვიდრებელში ასახლებდნენ.

მივდევთ შულას და ვხედავთ, თითქოს სამოთხე და ჯოჯოხეთი ამქვეყნადვეა სამანდადებული, გამიჯნული. სოფელშივე განისაზღვრება, ვინ არის „სიცოცხლით სიკვდილიანი“.

შულაი ასე მოძღვრავს სოფელს: „...სამანს იქით დასახლებულნი მარადიულ ტანჯვაში იქნებიან. ეცადენით, სიკეთეს ემსახუროთ სიკვდილამდე და სამანს აქეთ იცხოვროთ და დაიმარხოთ, ამისათვის შეგეწიოთ სიწმინდის მადლი“ (ჩოხელი, 2007, 46-47).

ამ მოძღვრებით ცხოვრობდნენ მთიელები, თავიანთი გმირობის საზომი ჰქონდათ და თავიანთი გმირები ჰყავდათ. ამიტომაც ვერ წარმოედგინათ პოლიტიკოსების სიყვარული. მთაში არც სტალინი და არც სხვა ვინმე პოლიტიკოსი არ უყვარდათ, - იხსენებს მწერალი და პოლიტიკურ ლიდერებს ჩოხელების გმირს - ბერას უპირისპირებს: „ჩოხელების გმირს ბერა ერქვა. მისი საფლავი დაკარგული იყო, მერე გამოჩნდა და ისევ ნიღვარმა წაიღო. ჩოხელები დღემდე მღერაინ ბერას ფერხისას მარიამობას.

დროთა განმავლობაში მთის ტრადიციები იცვლებოდა. „ქრისტემდე იყო მოსეს რჯული - სისხლი სისხლის წილ. ქრისტემ მოიტანა ახალი კანონი - ერთ ლოყაში თუ გაგარტყამენ, მეორე მიუშვირე. აქ მეტი სიყვარულია, აქ ბოროტებას სიყვარულით უნდა ვუპასუხოთ ...უნდა დავძლიოთ ყოველგვარი ურთიერთმტრობა და სიყვარული გავიღოთ ჩვენი მოწინააღმდეგის სიძულვილის წილ“ (ჩოხელი, 2012, 121, 125).

როგორც ვთქვით, გოდერძი ჩოხელი პირუთვნელად ასახავდა ადათობრივი სამართლის ნორმებით დადგენილი ზოგიერთი წესის სისასტიკეს, რომელიც ძვალსა და რბილში გამჯდარი სენივით ებრძოდა ახალ, ჰუმანურ მორალს. ყველაზე მთავარი და სისასტიკით გამორჩეული სისხლის აღება გახლდათ - სამაგიეროს მიზღვა ჩადენილი დანაშაულის ანალოგიური ქმედებით. ეს იყო შურისძიება, სამაგიეროს გადახდა მკვლელის მოკვლით ან დამჭრელის დაჭრით. იყო შემთხვევები, როცა მოსისხლენი მალევე რიგდებოდნენ და ისპობოდა მომდევნო თაობათა შორის მტრობაც, მაგრამ ხშირად, როცა შერიგებას ვერ აღწევდნენ, მტრობა რამდენიმე თაობას გადაეცემოდა. თუ ერთი გვარიდან უფრო მეტი იქნებოდა მოკლული, ვიდრე მეორიდან, დაპირისპირება უფრო მწვავე ხასიათს იღებდა და საქმე რთულდებოდა. შერიგებას სისხლის დათავსწორება აადვილებდა - ორივე მხრიდან მოკლულთა რაოდენობის გათანაბრება. შერიგების მოსურნედ მკვლელი და მისი

მხარე ითვლებოდა. ბჭეები შეარიგებდნენ მოსისხლე ოჯახებს. მკვლელს გადაახდეინებდნენ საზღაურს და ამით საბოლოოდ მთავრდებოდა ორ გვარს შორის მტრობა.

გოდერძი ჩოხელს მიაჩნია, რომ მთის ხალხების რწმენა, „მტერი არ უნდა დაინდო, ვალი არ უნდა შეარჩინო, თორემ ქვეყანაზე ცოდვა გამრავლდება," ძველი აღთქმიდან მონაქროლი ხმაა, „შორეული საუკუნეებიდან ქარის მიერ წამოღებული და ჩოხის წმინდა მთაში ჩარჩენილი თუ შეხეთქებული." ასეთ ახსნას უძებნის ბერას მორალს: „სანამ მოკლავდნენ, მანამდე იგი ამ ბიბლიურ მთაზე (ელიას მთა) ძველი აღთქმის კანონებს კითხულობდა და შორიდან მოსდიოდა ხმა, რომელიც არ ესმოდა: მტერს ვალი არ შეარჩინო, თვალი - თვალისა წილ, კბილი - კბილისა წილ. მტერს ვალი არ შეარჩინო! და ეს ხმა უბიძგებდა ბავშვობიდან სიკვდილამდე“ (ჩოხელი, 2008, 15).

ბიძის მონაყოლი ხთიშვილების საგმირო ამბებით გულათრთოლებული ბერა მუდამ ისეთ ძალას ნატრობდა, ყველა მტერი ერთიანად რომ შეემუსრა. როცა ბიძაშვილ მართასთან ერთად საქონლისათვის თვალის დასავლებად გააგზავნეს აბუდელაურის ტბასთან, ბიჭი სიხარულისგან ხტოდა.

ნახირზე თავდამსხმელმა ქისტებმა საქონელიც გაირეკეს და მათთან ერთად თოკით შეკრული პატარა ბიძაშვილებიც გააყოლეს... ქისტებმა ღამე ჭიუხის ძირში დაიბანაკეს და ბერამ მოახერხა გამოპარვა.

იმ ღამესვე შეატყობინა სოფელს, მაგრამ ქისტებმა მოასწრეს მთაზე გადასვლა... ბერამ მოსვენება დაკარგა. „ქროდა მის სულში შორეული ქარი და ერთსა და იმავეს ჩასჩურჩულებდა: მტერს ვალი არ უნდა შეარჩინო, ...იმას უნდა ტყვია, სირცხვილიანის ყოფნას სიკვდილი სჯობია! - და ბერაც სირცხვილიანად სთვლიდა თავს, რომ საკუთარი ბიძაშვილი, საკუთარი სისხლი და ხორცი მისი თანდასწრებით გასტაცა მტერმა. ბერას ერთი სული ჰქონდა, როდის წამოიზრდებოდა, რომ ქისტეთში გადასულიყო, მართა ეპოვა და უკან მოეყვანა“ (ჩოხელი, 2008, 18).

დაეძებდა ბერაი თავის ბიძაშვილ მართას და რამდენ ქისტსაც დაინახავდა, იმდენსა კლავდა. ყოველი მოკლულის მერე ჭდეს აკეთებდა თოფის ლულაზე.

თექვსმეტი წლისამ დაიწყო ქისტეთის დაწიოკება ბერამ და, სანამ ოცდათვრამეტი წლისა გახდებოდა, მანამდე იდგა შურისძიების გზაზე, - გვიყვება ავტორი.

სისხლის აღების ჩვეულება, პირველ ყოვლისა, მოითხოვდა დამნაშავეს დასჯას, მაგრამ ზოგჯერ დასჯის სხვა გზასაც ირჩევდნენ: ზოგან მიღებული იყო მკვლელის ნაცვლად მისი ახლობლის მოკვლა, ზოგან - თანამოგვარისა; ზოგან მესისხლეობა გრძელდებოდა მოქიშპე მხარეებს შორის მოკლულთა ან დაჭრილთა რაოდენობის გათანაბრებამდე. მოგვიანებით, სისხლის აღების ჩვეულებას, დაზარალებულის სასარგებლოდ, დამნაშავესგან მიყენებული ზიანის ნატურით ანაზღაურება ჩაენაცვლა და მოსისხლეებიც რიგდებოდნენ.

მწერალი გვამცნობს, რომ ქისტებსა და ხევსურებს შორის დაუძინებელი მტრობა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებიდან მოდის, მას შემდეგ, რაც ქისტებმა რწმენა შეიცვალეს, მათი ურთიერთობა ქრისტიანებთან გამწვავდა. ქისტები თავს ესხმოდნენ ფშავ-ხევსურეთს, გუდამაყარს და სტაცებდნენ საქონელს, ხშირად ტყვეებიც მიჰყავდათ. გახშირდა ურთიერთკვლა, სისხლის აღება... განსაკუთრებით დაზარალდა ხევსურეთი. მთის კაცებს წინაპრებთან დადებული ფიცი და საკუთარი სამართალი ავალეზდათ შურისძიებას. არხოტიონში უშიშაის ძეს, გუდამაყარში ბერას - მტრის სისხლის შერჩენა „ცოდვიან სიცოცხლედ“ მიაჩნდათ.

„შეწუხდა ქისტეთი.

არხოტში ამოვიდნენ და ზავი მოითხოვეს.

გაიხსენეს და გაარჩიეს ყველა ურთიერთშუღლი და მტრობა. ...ბოლოს ქისტებმა სთხოვეს არხოტიონთ, ოღონდ ჩოხელთ ბერაი დაგვეხსნას და ბეგარას დავიდებთ მის წინაშე, ყოველ წელს იმათ სალოცავში სამოცდასამ შესაწირ ცხვარს, სამ ხარს და ერთ ქალ-ვაჟს მოვიყვანთ ჩვენი მხრიდანო. ბერასთან მოითათბირეს არხოტიონთ, ისიც დათანხმდა.

ბერა ჩოხში წამოვიდა, სალოცავში მივიდა და მაღლი შესწირა მფარველობისთვის წმინდა გიორგის, რომელიც ბრძოლაში ნისლებს ახვევდა ხოლმე თავის ყმას, მტერს რომ არ მოეხელთა.

ქისტებს არ უნდოდათ, ბეგრის გადახდით შეერცხვინათ თავი, შთამომავლობა და ბერას ბიძაშვილი გულბათაი მოისყიდეს...

„კერის პირს იჯდა ბერა.

მზის სხივი ჩამოდიოდა ერდოდან, რომელიც სახლის ბანზე იყო დატანებული და უცებ ეს მზის სხივი კაცის ჩრდილმა დაფარა. ველარ მოასწრო ბერამ მაჟარის აღება. ერდოდან ჩამოსროლილმა თოფის ტყვიამ მკერდი შეუნგრია“ (ჩოხელი, 2008, 25).

ბერას მეტამორფოზა ადამიანური ჰუმანიზმისა და ქრისტიანული მორალის ნიშნითაა აღბეჭდილი, სწორედ ამის გამოა იგი გმირი, რომლის საფლავსაც დღემდე ეძებენ ჩოხელები. მთელი ცხოვრება მტრის კვალზე შემდგართ, კარგად იცოდნენ, სად გადიოდა ზღვარი ცოდვა-მადლს შორის, იცოდნენ, ღვთის მონიჭებული სიცოცხლის ხელყოფა მტრისთვისაც არ შეიძლებოდა.

ბერას შინაგანი გარდაქმნის ურთულესი პრობლემაა გადაწყვეტილი მის თხოვნაში: „იმ პატარძალსა და იმ ბაღს სანთლები დაუნთეთ და ოთხრქიანი ჭედილები შესწირეთ ჩვენ სალოცავში. ფერხისა ჩააბით და სიმღერის მაგიერ ღმერთს სთხოვეთ, რომ მაპატიოს შურის გზაზე ჩადენილი ჩემი ცოდვები. შეევედრეთ, რომ შემიშვას სასუფეველში. მე კი თქვენ გვედრებით, რომ ნუ შედგებით და ნუ დახოცავთ ხალხს. ეცადეთ, თოფ-იარაღით კი არა, ერთურთის სიყვარულით, ღვთის სიყვარულით და თუნდაც მტრის პატივისცემით გალიოთ წუთისოფელი. სააქაოს ჩადენილი ცოდვა წინ ეღობება ჩამდენს და სულს სასუფეველში არ უშვებს“ (ჩოხელი, 2008, 29).

საკუთარი ცოდვების შეგნებითა და სინანულითაა გამოწვეულია ბერა ჩოხელის თხოვნა, რითაც ნათელია ავტორის სათქმელი: ადამიანმა ამქვეყნიურ ცხოვრებაში ცოდვის შეგნებითა და სინანულით უნდა მოიპოვოს იმქვეყნად სასუფეველი, რომ მარადიულ სოფელს მტრობის ნაცვლად, სიყვარული სჭირდება, ამიტომ ამქვეყნად ცხოვრების წესი სიყვარული, კაცთმოყვარეობა უნდა იყოს და არა - სიძულვილი.

„ღმერთმა ნურასოდეს შეგაყენოს შურისძიების ეკლიან გზაზე.

ია-ვარდითამც გაგელიოს სულეთის ქვეყნისაკენ მიმავალი ამ წუთისოფლის შარაგზა“ (ჩოხელი, 2008, 31), - ასეთია ბერას მორალი, გმირისა, რომელსაც საზოგადოება ახალ, ნათელ სააზროვნო სივრცეში გადაჰყავს.

სისხლის ალების წინააღმდეგია „აგუნდაც“

აგუნდას შვილი მოუკლეს.

„იარაღი აისხა მთელმა გვარმა.

უნდა მოკვდეს მკვლელი.

უნდა მოკვდეს!“

აგუნდას შესძულდა სიცოცხლე, ლამის - ღმერთიც. მკვლელის სიკვდილი უნდოდა, მის სურვილს ასრულება არ ეწერა. შვილის დარდმა მოკლა.

„მერე მოხდა ის, რაც იშვიათად ხდება.

გაცოცხლდა აგუნდა.

წამოდგა.

წავიდა შვილის მკვლელის სოფელში.

მივიდა დაჭრილის სარეცელთან.

დაიჩოქა.

აკოცა შვილის მკვლელს.

მოუბრუნდა უკანდადევნებულ ხალხს და თქვა: - არ მოკლათ, ხალხო!

წავიდა, თავის სარეცელზე დაწვა და განაგრძო სიკვდილი“ (ჩოხელი, 2010, 84).

საინტერესოა თვითონ ავტორის აზრი ამ მოთხრობასთან დაკავშირებით: „როცა აგუნდა კვდება, სიყვარულია მთავარი, ღმერთთან მიდის სიკვდილის მერე და იქ სიყვარული და მიტევებაა მთავარი. ვაჟას ალუდაც მთაზე ადის, ღმერთისკენ“ (ჩოხელი, 2012, 121).

სისხლის აღების ძველთაძველი ტრადიციას აღწერილი მოთხრობაში „უიღბლო ყვავილები“. სიყვარულის უსაზღვროებამ შეშალა გარსოც, თავის გვარში, თავის სოფელში ჭკუით და სილამაზით გამორჩეული ვაჟკაცი, რომლის მამაც მეზობელ ხეობაში მდებარე სოფელში მოსახლე გვარის წარმომადგენელს მოეკლა. აქაური წესის მიხედვით, გარსოს მამის სისხლი უნდა აეღო. არა მარტო გარსოს ევალებოდა ეს, არამედ ყველა მის ბიძაშვილს, რომელთა გვარსაც დააკლდა გარსოს მამის სისხლი. თუ მკვლელს ვერ მოჰკლავდნენ, მაშინ მისი გვარიდან უნდა დაღვრილიყო სანაცვლო სისხლი.

„თვალი თვალისა წილ!

კბილი კბილისა წილ!

სისხლი სისხლისა წილ!“ - რეკდნენ ადამიანთა შეგნებაში შორეული ზარები“.

ძველი რწმენა და სისხლის აღების ჩვეულება თავისას ითხოვდა. ამოდ უთვალთვალებდა შურისძიებით ანთებული გარსო მამის მკვლელს. ვერ მოიხელთა. ტყეში ჩასაფრებული დურბინდით ჩაჰყურებდა მტრის სოფელს გარსო.

„თვალი თვალისა წილ!

კბილი კბილისა წილ!

სისხლი სისხლისა წილ!“ - რეკდნენ გარსოს გუნებაში ჩაბუდებული წინაპართა ჩვევები.

და...

უცებ,

ბულბულის ხმაზე რაღაცამ დაიჟღურტულა გარსოს არსებაში. წყაროზე გოგო მოდიოდა კოკით“.

ვიღაც უჩინარი ზეიმობდა მის სულში იმ გოგოს გამოჩენას. მალ-მალე ჩაჰყურებდა დურბინდით გარსო სოფელს. ლოდინში გაილია მეორე დღე. თითქმის არ ეძინა ის ღამე. დილა იღბლიანი გათენდა. ისე ლამაზად მოდიოდა გოგო წყაროზე, სულ გადაავიწყდა გარსოს, რატომ იყო იქ და კინალამ წყაროსკენ გაიქცა.

„სიყვარული სიყვარულის წილ! - ვიღაც უხილავი აჩურჩულდა გარსოს გულში. და დაემონა გარსო სიყვარულს“.

დათვის ტყავგადაცმულმა გარსომ სოფლელები ტყისკენ გაიტყუა, რომ მის მეგობრებს საპატარძლო მოეტაცათ.

ეშხში შესულმა მდევარმა „დათვის“ კინალამ რამდენიმე ტყვია მოარტყა... გარსოს ერთილა უშველიდა, დათვის ტყავი გაეხადა და ისე დანახვებოდა მტრებს, მაგრამ „გულმა არ მისცა ამის ნება. სიამაყემ არ დაუთმო სიცოცხლის სურვილს. ეს მისი დამარცხება იქნებოდა მტრების თვალში. მტრების შერცხვა.

იქუხა თოფმა. გულადმა დაეცა გარსო ფერად-ფერადი ყვავილებით მორთულ მდელოზე. მდევრების ყიჟინა აღარ გაუგონია მას. თოფის გავარდნის წამიდან ჩაჰფრენოდნენ მის სულს სიყვარულის ანგელოზები და ზეცაში მიაფრენდნენ, როგორც სიყვარულის ერთგულების დასტურს.



„სულმა კი ჯერ არაფერი უწყოდა იმ ქვეყნის შესახებ, საითკენაც ანგელოზები მიაფრენდნენ. იგი ზემოდან გადმოჰყურებდა მიწას, მიწას, სადაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ მისმა მტრებმა, რა მოხდა მის თავს, რატომ ესვენა ასე უმოქმედოდ ამ ულამაზეს ყვავილებს შორის. იმ წუთში არც მისმა მეგობრებმა იცოდნენ ეს ამბავი, ისინი დათქმული ადგილისაკენ მიაჭენებდნენ ცხენებს და, რაღა თქმა უნდა, ჯერ ისიც არავინ იცოდა, რომ საპატარძლო გარსოს მამის მკვლელის შვილი იყო“ (ჩოხელი, 2008, 393).

ავტორი შეგნებულად კლავს თავის გმირს, მაგრამ ეს სიკვდილი მისი მარადიული სიცოცხლის დასაწყისია, იმ სიცოცხლისა, სადაც მტრობით დანგრეულს სიყვარული აშენებს. ასეთია გოდერძი ჩოხელის რწმენა და მიზანდასახულობა - სიყვარული ყველაფერზე მაღლა დგას.

სისხლის აღების ტრადიციაზეა საუბარი მოთხრობაში „პატარა ბუბუნაური.“

„მყავს მოსისხლე... ბუბუნაურთა შორის მეღა დავრჩი გვარის გამგრძელებელი. ჩემი წინაპრების უმეტესი ნაწილი მტრებმა დახოცეს. მამაჩემიც მთასიქითელმა ხევსურებმა მოკლეს. ზამთარი იყო, მიცვალებული დიდ თოვლში ვერ ატარეს და ნაწილ-ნაწილ გადმოიტანეს ხურჯინებით. მაშინ ხუთი წლისა ვიყავი. თავგაურები არიან ჩემი მოსისხლეები. იმ მთაზე ასვლას ყოველთვის ვერიდები. არ გეგონოს, მოსისხლეებისა მეშინია. მე ახლაც შემიდლია სისხლის აღება, მაგრამ მრცხვენია, წინაპრებისა მრცხვენია, არ მინდა უაზროდ შევწყვიტო მათი გვარი. ჯერ ცოლი უნდა მოვიყვანო და მოგვარე გავიჩინო, მერე სისხლს ჩამოვირეცხავ და, თუ მომკლავენ, არაფერია, გვარის გამგრძელებელი ხო დამრჩება. ისე, კაცმა რომ თქვას, არ მინდა კი კაცის მოკვლა, მაგრამ სისხლში მიზის ვიღაც და მეძახის: - გვარი არ შავვირცხვინო, ბაღლოო! ვიცი, ჩემი წინაპრების ხმა არის, მაგრამ ჯერ ვიცდი, ჯერ გვარს გავაგრძელებ და მერე... (ჩოხელი, 2007, 483).

მაინც არ დასცალდა პატარა ბუბუნაურს გვარისა და სიყვარულის გაგრძელება.

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებით დასტურდება, რომ გოდერძი ჩოხელის მორალური პრინციპი კაცთმოყვარეობაა, ქრისტიანული ჰუმანიზმით ნაკარნახევი. მისი სურვილია „მიქცევა უარესთა უკეთესად,“ თითქოს ეძებს და ამზეურებს იმათ, ვინც უკვე ამაღლდა მოძველებულ წეს-ჩვეულებაზე, ვისაც უკვე ესმის, რომ სისხლის

წილ სიყვარული და სიკეთე უნდა დადგეს, ასეთია უფლის ნება, ასეთია სიცოცხლის უზენაესი კანონი.

საზოგადოების გაკეთილშობილების სურვილია გამოხატული ისეთი ტრადიციების წინ წამოწევაში, როგორცაა ფიცვერცხლის ჭამა. გოდერძი ჩოხელის მგრძნობიარე ბუნება კაცის კაცად შეცნობის დაკანონებას განსაკუთრებულად აღიქვამს. ძმად გაფიცვისას ერთმანეთს ურთიერთმოწონებას ან მტრობის დასრულებას უდასტურებენ. დაძმობილება ხდებოდა ან თითების გაჭრისა და ჭრილობების ერთიმეორეზე მიდებით, ან ტყვიების გაცვლით და ფიც-ვერცხლის ჭამით. მთაში განსაკუთრებით გავრცელებული იყო „ფიც-ვერცხლის ჭამით“ დაძმობილება. ასეთ დროს დეკანოზი ან უფროსი კაცი მომავალ ძმობილებს სასმელში ვერცხლს ჩაუფხვკდა, ერთი სასმისიდან სამ-სამჯერ შეასმევდა, დალოცავდა და დააძმობილებდა. ამის შემდეგ ძმობილები ერთად უნდა ყოფილიყვნენ ჭირსა და ლხინში. ძმობილის მოკვლის შემთხვევაში ძმობილს შურისძიების უფლება ჰქონდა.

ლამაზ ძლიერი და შეუპოვარ, ქედუხრელ არწივს - მთიელთა ხასიათთან შესაბამისს - თორმეტი წლის გიგია ბუბუნაური ძმად გაეფიცა.

„ადგილის დედის“ სალოცავთან ხაფანგში გაბმული არწივი შინ ჩამოიყვანა გიგიამ.

კერასთან დაფენილ ჯიხვის ტყავებზე თორმეტი წლის გიგია ბუბუნაური და არწივი ისხდნენ. გიგია ადგა, კედლიდან ვერცხლის ხანჯალი ჩამოხსნა, სკივრიდან ვერცხლის თასი ამოიღო, თუნგით წინწანაქარი არაყი მოიტანა, თასში ჩამოასხა და ხანჯლის პირით ვერცხლი ჩამოათალა თუნგს. ჩამონათალი ვერცხლი არაყიან თასში ჩაყარა, მოურია და წინ დაიდგა.

გიგია გაჩუმდა, მერე თვალებში შეხედა არწივს, რომელიც მშვიდად უგდებდა ყურს. „არ იფიქრო, რომ მაღლა ყოფნა მეჯავრება, პირიქით, მიყვარს. მე მზიაც მიყვარს. შენ ალბათ სულ სხვანაირად გესმის სიყვარული, სულ ცაში ხარ და ოცნებაც უფრო მაღალი შეგიძლია. სიყვარული კიდევ, ჩემი აზრით, მარადიულ სიცოცხლეზე ოცნება არის. ...ღმერთმა სიყვარული გვარის გასაგრძელებლად დაგვიწერა. ქალის სიყვარული დასაწყისია იმ დიდი სიყვარულისა, რასაც მარადიული სიცოცხლე ჰქვია.“

მე ჯერ ეს სიყვარული უნდა გავაგრძელო, შენ შეიძლება სხვანაირად გესმის, ჩვენ, ალბათ, მიწაზე უფრო ნაკლებად შეგვიძლია ოცნება, ვიდრე შენ ცაში. იცი, როგორ მინდა ხანდახან ცაში გამოფრენა! რა ბედნიერი ხარ, - მიწაზეც შეგიძლია ყოფნაც და ცაშიც“ (ჩოხელი, 2007, 483).

გოდერძი ჩოხელისათვის ადამიანი თავისუფლებისთვისაა დაბადებული, ამიტომ ნატრობს ხოლმე ფრენას, ამით ადამიანად ყოფნას კი არ გაურბის, არა, სწორედ მაშინ უფრო უყვარს ადამიანად ყოფნა. ფრენას მხოლოდ ადამიანად ყოფნის გასალამაზებლად ნატრობს,

„...ვაჟკაცი ხარ და უნდა გამიგო. ძმად უნდა გამეფიცო. მე თუ ვერ ვიფრენ ცაში, მაღლა რომ დაგინახავ, იმას ხომ მაინც ვიტყვი, ჩემი ძმა არის-მეთქი.

...გიგია ბუბუნაურმა ხანჯლის პირით გადაისერა მარჯვენა ხელი. მერე არწივს სისხლიანი ფეხი აუწია და იმის სისხლს შეურია თავისი სისხლი.

ვერცხლგარეული არყიანი თასი აიღო და არწივს უთხრა:

შენ დედაი, - ჩემი დედაი!

შენი დაი - ჩემი დაი!

შენი ძმაი - ჩემი ძმაი!

შენი სიხარული - ჩემი სიხარული!

შენი დარდი - ჩემი დარდი!

შენ ვინც გაწყენინებს, მე მაწყენინას!

შენ ვინც მაგკლას, მე მამკლას!

შენი სიც

ოცხლე - ჩემი სიცოცხლე!

შენი ფიცი - სამარადისო!

ჩვენი ძმობა უკუნისამდე!

ამინ!

თქვა ბოლოს და თასიდან არაყი მოსვა. მერე არწივს შეასვა ერთი ყლუპი. დარჩენილი არყით ჭრილობა მობანა, შეუხვია, გარეთ გაიყვანა და გაუშვა.

თოვდა.

არწივი კარგა ხანს უვლიდა წრეს ბუბუნაურთა კომპკების მაღლა.

რამდენჯერმე ხმამაღლა დაიყევა არწივმა და ჭიუხებისკენ გაფრინდა“ (იქვე, 484).

არ დასცალდა გიგიას ლამაზი სიყვარული. ტოლამხანაგისგან მშობილი არწივისთვის სასროლად გამზადებული ტყვია მოხვდა...

მესამე დღეს დაჯდა არწივი გიგიას საფლავზე და აღარც გაფრენილა. ერთ დღეს ის ბიჭი დაადგა თავზე კეტიტ, რომელსაც თოფი გაუვარდა და რაკი ამის მიზეზი არწივი იყო, ცემა დაუწყო. არწივმა ჯერ ითმინა, მერე კი კლანჭებში მოიქცია ბიჭი და თვალეზი ამოჰკორტნა.

„გამოცვივდნენ სოფლიდან და დაჰკრეს თოფი არწივს.

ცოტა ხანს მიწაზე ეგდო, მერე ისევ გაიმართა, კაცებმა ფეხებში ჩაიგდეს და წიხლებით დაუწყეს ცემა. ისევ გასწორდა, ფრთებით მიწას დაეყრდნო, ერთი საშინლად დაუბრიალა ხალხს თვალეზი, პირი გააღო, დაიქმინა და გულიდან ამოდებული სისხლი ხალხს მიაფურთხა.

მერე კლანჭებით ღრმად ჩაბლუჯა გიგიას საფლავის მიწა და ზედ დააკვდა“ (ჩოხელი, 2008, 485).

კაცისა და ფრინველთა მეფის ძმადნაფიცობის გააზრებას უაღრესად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს - ფრენის მოტრფიალე არსებათა სულიერ ერთობას გამოხატავს, მარადიულ სიყვარულზე მეოცნებეთა სულიერ ერთობას. არწივმა გაუგო კაცს, კაცმა კი - ვერა. კაცს არ აღმოაჩნდა სულის დასანახი თვალი, ამიტომაც შეაფურთხა არწივმა ადამიანთა მოდემას, უსიყვარულოს, შეუგნებელს, გაუაზრებლად მოქმედს - სპონტანური ინსტინქტებით.

სისასტიკის ზღვარგადასულ ტრადიციად მიაჩნია გოდერძი ჩოხელს თემიდან მოკვეთა - ასე სჯიდნენ თემის შემარცხვენელს. მოკვეთა სასიკვდილო განაჩენია მთიელთათვის.

„ღმერთო! შენ ხარ სადიდებელი!

ღმერთო! შენ ხარ სახსენებელი! - ასე მიმართავენ უფალს გამიხარდაის („თევზის წერილები“) უცნაური სურვილით შეურაცხყოფილი ადამიანები: „შენგან შექმნილმა ადამიანმა ადამიანობაზე უარი განაცხადა და ამით ხალხსაც შეურაცხყოფა მიაყენა, შენზეც უარი თქვა,“ - აღშფოთებულია თემი განსხვავებული პიროვნების

თავისუფლებით: „ჩვენც უარი გვინდა განვაცხადოთ მასზე,“ - უხსნიან ყოვლის დამნაზავს. „ძლივს არ მოიფიქრეთ? ადამიანის მოკვეთა თქვენი ძველისძველი ხერხია... მე თქვენზე უარი განვაცხადე და თქვენ ეს შეურაცხყოფად მიიღეთ. აუჰ!.. როგორი პატივმოყვარეები ხართ. ...გამწარებული ხალხი? - რა სასაცილოა, ვინ იცის, რამდენი მოძმე მოუკვეთიათ და რამდენი ყოფილა იმათში მართალი. ...როგორც გინდათ, ისე მოიქეციოთ. მე ადამიანებზე იმაზე უწინ განვაცხადე უარი, ვიდრე ისინი უარმყოფდნენ“... (ჩოხელი, 2012, 223).

კარგად იცნობს გამიხარდაი ტრადიციების ერთგულ დამცველ თანასოფლელთ, მათს „ღირსებებს“, რამაც საბოლოოდ ათქმევინა უარი ადამიანად ყოფნაზე, ამიტომ არაფრად აგდებს მათს „სამართლიან“ სისასტიკეს, თუმცა ხალხსაც ეპარება ეჭვი საკუთარი გადაწყვეტილების სამართლიანობაში - იციან კარგად, რომ ღვთისმოსაობა, პირველ რიგში, სიყვარულსა და შემწყნარებლობას ნიშნავს, ალბათ ამიტომაც ევედრებიან, ნუ გვიწყენ, დალოცვილო, უმადურობაში ნუ ჩამოგვართმევო.

მთის ტრადიციებსა და ქრისტიანულ მორალს შორის გახიდილი საზოგადოების სახე იკვეთება მოცემულ მონაკვეთში. ერთი მხრივ, წესი, რომელიც ავალდებულებს ღვთის უარმყოფელის დასჯას, და, მეორე მხრივ, თანაგრძნობა და მოყვასის სიყვარული, რომელსაც ქადაგებს იგივე ღმერთი. ამ გადაუჭრელი დილემის ჭიდილია მთიელთა ყოფა, ამ დილემის გადაწყვეტის მისია ეკისრება მწერალს, სწორედ ამიტომ გვიხატავს გულში მონანიე საზოგადოების სურათს ერთგვარი მორიდებულობით გოდერძი ჩოხელი - საშინელი წყევლის შემდეგ „ხალხი ჩურჩულით ჩამოდიოდა გორიდან. გამიხარდაის ცოლი ტირილით მიჰყვებოდა უკან. კაბის კალთებზე ბალღი ჰყავდა გამობზქნეული“ (ჩოხელი, 2007, 224).

შეუძლებელია აქ ქეთელაურის ლელა არ გაგვახსენდეს, თემისგან განწირულ ქმარს უკან რომ მიჰყვება, ქმრის უტყვი მესაიდუმლე, მისი გამგები და ერთგული. გოდერძი ჩოხელმაც ერთი ხელის მოსმით დახატა ქალისა და ბალღის პორტრეტი არა იმიტომ, უბრალოდ ლამაზია, არამედ იმიტომ, რომ ასე სურდა - აღმზრდელი და გამგრძელებელი ჰყავდეს გამიხარდაის, უსიყვარულო, უსულგულო ყოფას რომ გაექცა.

ვინ იცის, იქნებ ადამიანური ყოფის სისასტიკეს სწორედ გუდამაყრელთა მველისძველი ტრადიციებიც განაპირობებდა, ბუნების მშვენიერების აღქმასა და კერპ-კულტთა მსახურებაში დაბნეული მთიელები იქნებ სწორედ ამიტომ იყვნენ ერთდროულად ფაქიზი სულისა და დაუნდობელი ბუნებისანი?

რა არჩევანს აკეთებს გოდერძი ჩოხელის მორალი, როგორია მისი დამოკიდებულება მე-20 საუკუნემდე შემორჩენილი ადამიანური ვნებების მიმართ? ამ კითხვაზე პასუხს ვეძებთ მისსავე მოთხრობებში, სადაც არაგვის ხეობის მკვიდრთა ყოფის დეტალები შეულამაზებლად ედება დვრიტად ავტორისეულ თვალთახედვას.

სრულიად ბუნებრივია გოდერძი ჩოხელისათვის ამგვარი დასასრული მთელი ამ სისასტიკისა: ადიდებულმა არაგვმა წაიღო ყველაფერი. გამიხარდაც აღარსად ჩანდა. იმისი ცოლ-შვილი ქვითინით მისდევდა არაგვს. „ამ უბედურმა შემთხვევამ ხალხი ისევ ერთად შეკრა, ყველას დაავიწყდა წყენა და არაგვს გაეკიდნენ დაკარგული ადამიანის დასაბრუნებლად. ...გულსაკლავად მისდევდა ეს შავოსანი ხალხი აბობოქრებულ არაგვს“ (ჩოხელი, 2007, 225).

ძველთაძველი ტრადიცია - შვილის მსხვერპლშეწირვა უდევს საფუძვლად გოდერძი ჩოხელი მოთხრობას „აღმართი“, რომელშიც შეულამაზებლად ჰყვება ავტორი გუდამაყრელთა ყოფის სიმართლეს.

ლეგენდის მიხედვით, დღევანდელი მარტვილის ეკლესიის ადგილას წმინდა მუხის ხე მდგარა, რომელთანაც პირველშობილ ვაჟებს სწირავდნენ. გადმოცემის მიხედვით, პირველ საუკუნეში ეს ხე ანდრია პირველწოდებულს მოუჭრევინებია და მის ადგილზე მარტვილის სახელით ცნობილი ეკლესია აუშენებიათ.

მსხვერპლშეწირვის ამგვარ რიტუალზე საუბრობს ჯერ კიდევ ესაია წინასწარმეტყველი: „მუხებს შორის, ყოველი ხემხვივანის ქვეშ, ბავშვთა დამკვლელნო ხეებში, კლდეთა ნაპრალებში“ (ესაია 57:5). მკვლევართა აზრით, აქ აღწერილია მოლოქისადმი ბავშვების მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება.

კერპების მიმართ ყმაწილთა შეწირვა ნახსენებია „ქართლის ცხოვრებაში“: „ნეტარი ნინო ღაღადებდა: ...ხოლო ეს, რომ თითქოსდა მთები დაირღვნენ ქართლში, ხოლო წყლები, რომლებიც დადგნენ, /მოასწავებს, რომ/ კერპების მიმართ ყმაწვილთა

შეწირვის სისხლი შეჩერდება, ხოლო ეს მოთქმა ხმა არის ემპაკთა სიმრავლისა“ (მროველი, 2011, 89).

უხსოვარი დროიდან გავრცელებული ტრადიცია გოდერძი ჩოხელისდროინდელ მეხსიერებასაც შემორჩა. ძველი წესი უნდა აასრულო, ღმერთი შენგან მსხვერპლის შეწირვას თხოულობს, პირველი ბაღლი უნდა დაკლა, რომ მომდევნო შეგრჩესო, - უთხრა მკითხავმა თორღვას, რომელსაც შვილები არ რჩებოდა, ეხოცებოდა. ამის მერე დაიწყო მისი წამება. გრძნობდა, როგორ ემსხვერეოდა სული.

მოკალი... გადაარჩინე... მოკალი... გადაარჩინე... - იმეორებდა ვიღაც უჩინარი თორღვას არსებაში. შესწირა თორღვამ მსხვერპლი, მიუხედავად სულის მსხვერვისა, მიუხედავად მზექალის უტყვი მწუხარებისა.

„ყველაზე მეტად ხანჯლის ამოწევა გაუჭირდა ქარქაშიდან. მოეჩვენა, რომ ვეღარც მზე ჩაეტია ჩასავალში და გაიჭედა. ხრიალი დაიწყო სამყარომ“. სამყაროს ხრიალში სისასტიკეს ხატავს მწერლის მეტყველი ენა, საკუთარი ქმედებით შეპრწუნებული კაცის ხელი ვერ ერევა ხანჯალს, გაცეხებული მზე ვერ ეტევა ჩასავალში. ასე სურს ავტორს, გამოხატოს ცრურწმენას აყოლილი ადამიანის ვნების სიმძაფრე. შემდეგ თითქოს ყველაფერი მშვიდდება და ამ სიმშვიდით ეკითხება ნინო, ძმის სიკვდილის ფასად მოვლენილი, თორღვას ახალი იმედი:

- მამავ, იმ მთაზე, ნიშთან, ვისი საფლავია?

თორღვას ხმა არ ამოუღია, გაშრა.

არ უნდოდა ნინოს ცოდვა-ბრალიანი სიცოცხლე, ძმის ხელყოფით მინიჭებული ბედნიერება, ბუნებისა და უფლის ნების წინააღმდეგობით მიღებული სიმართლე.

კვირა დღეს თოფის ხმამ დაიარა მთელი ხეობა. მერე ყველაფერი ჩაწყნარდა.

თვითმკვლელობით დაასრულა მემამოხე სულმა ცხოვრება. უარი თქვა სამადლოდ მიღებულ ჯილდოზე, რომელსაც მისი სიცოცხლე ერქვა. მამის ცრურწმენის, საუკუნეებს შემორჩენილი უსამართლო წესების წინააღმდეგ გავარდა იმ დღეს ტყვია, მაგრამ ისტორია აქ არ მთავრდება, რადგან აქ არ მთავრდება სიცოცხლე. ის ფაქტი, რომ მწერლისთვის მთავარი ადამიანური ყოფის ცოდვა-

ბრალიანი საკითხავია, იკითხება თორღვას არჩევანში. ხალხი შავად მიდიოდა ქვემოთ, აღარ იცოდა, თვითონ საით წასულიყო. მის სულში ვიღაცები აუჯანყდნენ ერთიმეორეს. ერთი ქვემოთ, სახლისკენ ეწეოდა თორღვას არსებობას, მეორე - ზემოთ, მთის წვერისაკენ.

„წადი, წაჰყევ ხალხს“, - აქეზებდა ერთი.

„რა გინდა იქ, არარაობის მეტს ველარაფერს ნახავ,“ - ეუბნებოდა მეორე ხმა.

„წადი, გააგრძელე შენი დარჩენილი წუთისოფელი“...

„მთაზე ადი და შენც იქ დაასრულე ყველაფერი, სადაც ნინომ დაასრულა...“

„წადი ქვემოთ...“

„მთაზე-მეთქი!..“

„წადი...“

„არ წახვიდე...“

ხან ზემოთ გადადგა ნაბიჯი, ხან - ქვემოთ. მზე საშინელი ხრიალით ჩადიოდა ჩასავალში...

ლასლასით აედევნა სოფლისაკენ მიმავალ ხალხს თორღვაი.

სხეული ეკვეთებოდა, მაგრამ სული მაინც სოფლისკენ მიითრევდა. გამრავლებისა და ადამიანად ყოფნის სურვილი უხილავი ძაფით თითქოს მისდაუნებურად მიითრევდა წუთისოფლისაკენ“ (ჩოხელი, 2008, 229).

თორღვამ სიცოცხლე აირჩია... სიცოცხლე ხომ სევდაა, ადამიანად ყოფნის სევდა, - ასეთია გოდერძი ჩოხელის განაჩენი საკუთარი გმირის მიმართ. შვილმკვდარი მამის თვითგვემით უნდა იცხოვროს თორღვამ, დრომდე მიათრიოს საკუთარი სხეული, როგორც მძიმე ჯვარი ცრურწმენებისადმი ბრმა მორჩილებისა.

ზოგადად, სიკვდილი უბრალოა, სიკვდილიც ხომ სევდაა გოდერძი ჩოხელისთვის. სულ-ხორცის გაყრას, **სულის დათხოვნას** ეძახიან ხეობაში. სიკვდილის ესტეთიზირება, სიცოცხლის ფასის გააზრების სურვილია მწერალთან „ჩანართში“ (ანუ სულ-ხორცის გაყრა და დედის დალოცვა სულეთის ქვეყანაში მიმავალი შვილისა) რომანიდან „სულეთის კიდობანი“:

„წადი დედაო, გაჰყევი, ნურცარა შეგაშინებს, ნუმც დამიღონდები, მალედამც შეყრები შენ სწორთ. უდედოდ ნუ იტირებ. გაჰყევი, შვილი, მაინც არ გწირავენ; მე



დამითხოვიხარ, ჩამიბარებიხარ სულეთის კაცთათვის. გიყვარდა ყველაი, მაგრამ ეხლა უნდა გასწირო. თუ რამეში შესცდი: ხელით, ენით, თვალთ, სუ ყველაფერიმც გეპატოს, ცოდვად ნუ გადაგხდების. წადი, ჯვარი გეწეროს, ალალიმც არის შენზე ჩემი ამაგი. მე დამითხოვიხარ, უნდა გავიყაროთ დედაშვილობით; სულეთის ღმერთიმც ჩაგიბარებს, ისიმც დაგაყენებს ნათელს. მშვიდობით, ჯვარი გეწეროს, ნათელშიმც იქნები!" (ჩოხელი, 2010, 170), - ასე ეთხოვება დედა მომაკვდავ შვილს და სულეთის კაცებს იმედიანად ატანს.

ალბათ ძნელია, გაიაზრო „გარდაცვალების“ მნიშვნელობა ამაზე უკეთ. სიკვდილი - სულის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლაა, მიწიერი ცხოვრება - იმქვეყნიური საგზალი, ვალმოხდილი დედის ვედრება - „სუ ყველაფერიმც გეპატოს“ - შემოქმედის ლოცვაა ახალ სამყოფელში.

უბრალოდ წასვლაა ქმრის სიკვდილი ცოლისთვისაც. პირნათლად უნდა მოიხადოს მანაც ვალი, არა შავეთში, არამედ ნათელში უნდა გაისტუმროს ქმარი, იქაც სახელიანი უნდა წარსდგეს სულეთის ღმერთთან:

„თამარიძის ცოლმა სულის მოსახსენებელი ტაბლა დაუდგა თამარიძისგან მოკლულ ქისტს და შეევედრა:

- დაანებე თავი, აგრემც ღმერთი ნათელში გამყოფებს, მაეშვი, მივიდეს სულეთის ღმერთთან და იმან თავისი წესით გაარჩიოს რჯული.

- წავიდა! - აღმოხდა თამარიძეს და ცოტა ხანში ხმალი მოითხოვა. მიართვეს ხმალი.

სანთელი! - თქვა თამარიძემ და მეორე ხელში ანთებული სანთელი მიართვეს.

სულეთისაკენ მიმავალ გზას გაუყვა თამარიძის სული ხმლითა და ანთებული სანთლით (ჩოხელი, 2008, 23).

სიკვდილის ესთეტიკური გააზრებიდან გამომდინარეობს მთიელთა წარმოდგენაც, რომლის მიხედვითაც, **მიცვალებულები აქტიურად მონაწილეობდნენ ცოცხალთა საქმიანობაში**, განსაკუთრებით იქ, სადაც ცოცხლებს დახმარება ესაჭიროებათ. ეს ხშირად თავს იჩენს სამიწათმოქმედო საქმიანობაში. ირაკლი სურგულაძე აღნიშნავს, რომ სულები დადგენილ დღეებში და გარკვეულ სამეურნეო

პერიოდში ცხადდებოდნენ სამზეოს. მათთვის იმართებოდა დღესასწაულები, რომელთა ერთი ნაწილი საგაზაფხულო დღეობების ციკლში იყო მოქცეული, ხოლო მეორე ემთხვეოდა მინდვრის მოსავლის აღების სეზონს.

აი, კიდევ მაგალითი სიკვდილის ჰუმანისტური გააზრებისა:

„ის იყო, ერთხელ კიდევ უნდა შეესვენა ქალს (გარსიას ცოლს), ბალებიც წაეტანნენ დედის ცელს, რომ გარსიას ხმა გაისმა მთელ სათიბებში:

- აი, მოგიკვდათ მამა, შვილებო!

ქალი წამოხტა.

მიიხედა-მოიხედა.

ხალხმაც ყური მიუგდო ამ ხმას.

სათიბებში პირდაპირ ცოლ-შვილისაკენ მოდიოდა გარსიას ლანდი. მოდიოდა ჩვეულებრივად, ფეხზე შემდგარი, როგორც კაცი, მოაბიჯებდა ისე, როგორც გარსიამ იცოდა. ყველაფრით გარსია იყო, თითქოს ჩაცმულიც იყო ლანდი, მაგრამ თანაც უხორცო იყო, ჩრდილი იყო, ოღონდ მიწაზე გართხმული კი არა, ადამიანებს რომ დაჰყვება ხოლმე, არა, ჩვეულებრივად ფეხზე იდგა, ჩვეულებრივად მოაბიჯებდა.

- მოგიკვდათ მამა, შვილებო, რა დღეში ხართ, - კიდევ თავისებურად დაილაპარაკა გარსიას ლანდმა, მოვიდა, შვილებს ცელი გამოართვა, სალესი გაუსვ-გამოუსვა და დაიწყო თიბვა.

ცოლ-შვილი შეშინებული შეჰყურებდა გარსიას.

გარსია თიბავდა, თან ცოლ-შვილს რაღაცას ელაპარაკებოდა, ხალხში კარგად არ ისმოდა ეს ხმა. მთიბლებმა თიბვას თავი ანებეს და გარსიას მამულში მოგროვდნენ“ (ჩოხელი, 2011, 396).

შემთხვევითი არაა ამ თემის წინ წამოწევა მწერლის შემოქმედებაში. გოდერძი ჩოხელი იმ გარემოში იზრდებოდა, სადაც ერთმანეთს ერწყმის წარმართულ-ქრისტიანული წარმოდგენები სამყაროს არსის შესახებ. როგორც თვითონ ავტორი ამბობს, გუდამაყრელებმა ქრისტიანობა ნინოს დროს მიიღეს. იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთაში უფრო მტკიცეა ქრისტიანობა, ვიდრე - ბარში, თუმცა ნაკლებად არც წარმართული სარმუნოების ტრადიციები და სალოცავებია შემონახული. მთას რაც სჭირდებოდა, იქ წარმართული ეხმარებოდა

ქრისტიანულს. რაღაცნაირად შეერწყა ერთმანეთს ქრისტიანობა და წარმართობა.

ფოლკლორში ცნობილი თემაა - **მონადირეთა და ნადირთღვთაებათა** ურთიერთობა. ამ საკითხს ეხება გოდერი ჩოხელი რომანში „მღვდლის ცოდვა“, სადაც სიყვარულის ერთგულებისათვის დაღუპულ გაგიზე გვიამბობს...

მთიელთა წარმოდგენით, ნადირთღვთაების სამფლობელო მაღალ, მიუვალ კლდეებშია. ის სამონადირეო საქმეს განაგებდა. ყველაზე უფრო გავრცელებული წარმოდგენის მიხედვით, ნადირთა ღვთაება ყვითელთმიანი, ლამაზი ქალია, რომელიც მონადირეს თუ თვალს დაადგამდა, ისეთ ადგილას გაიტყუებდა, საიდანაც თვითონ ვეღარ ახერხებდა დამოუკიდებლად გამოსვლას და იძულებული ხდებოდა, მის ნება-სურვილს დამორჩილებოდა. მონადირე თუ ამ ურთიერთობაზე უარს იტყოდა, ქალღმერთი შურს იძიებდა და დაღუპავდა მას.

შიშშილისაგან დაოსებული ცოლ-შვილის დასაპურებლად გაიპარა ნადირა, თორემ ბოლო დროს იშვიათად თუ ვინმეღა წავიდოდა სანადიროდ, რადგან ხალხს თოფები ჩამოართვეს. ვინც გადამალვა მოახერხა, იმათაც ეშინოდათ სანადიროდ წასვლა. კაცი კაცს ვეღარ ენდობოდა. მართალია, მთები ჩუმად იდგნენ, მაგრამ მათაც ჰქონდათ „თვალეზი და ყურები“.

ერთი დღის სავალზე იყო საჯიხვეებამდე. მზის ჩასვლისასლა მივიდა ნადირა ღამისგასათევ ეხში. პირჯვარი გადაიწერა ეხში შესვლისას.

„შიგნით ყველაფერი ძველებურად იყო: შემურული ეხის კედლები, რომელზეც აქა-იქ ეკიდა უშველებელი ჯიხვის რქები, წინაპრებს რომ შეეწირათ გამოქვაბულის ადგილის დედისათვის. მარჯვენა კედელთან საცეცხლური იყო გამართული და იქვე ხმელი დეკა ეყარა. სიღრმეში ქვიშა ბალახი ეფინა და საიმედო მშრალ ადგილას ორი ნაბადი ჩამოკიდებული. იქვე იყო მარილისა და ტყვია-წამალის შესანახი ქვა, სადაც ყოველთვის იდო მარილი და ტყვია-წამალი. თუ მონადირეს ძალიან არ უჭირდა, ხელს არ ახლებდა ამ გადანახულ ტყვია-წამალს. როცა იღბლიანად ინადირებდნენ, სახლიდან წამოღებული ტყვია-წამლიდან, ნაწილს იმ ქვიშაში ჩადებდნენ ხოლმე, ადგილის დედის სამადლობელოდ.

ყველაზე ბებერი ჯიხვის რქებსაც შესწირავდნენ ხოლმე გამოქვაბულის მფარველ ანგელოზს.“

ნადირას ეხში გაახსენდა, მამამ პირველად რომ ამოიყვანა ამ კლდეებში სანადიროდ, მაშინ ისე უყვებოდა მონადირეთა ამბებს, რომ დღემდე ნათლად შემორჩა მეხსიერებაში. წყაროზე რომ გადაიტანეს ქვამარილი, მაშინ მოუყვა მამამ, როგორ მოკლა მთელი დღე ნადირობით ხელმოცარულმა მონადირემ წყაროს წყალს დაწაფებული ჯიხვი. ეხში დაანთო ცეცხლი და მწვადები ააშიშხინა. მოულოდნელად გამოქვაბულში ქალი შემოვიდა, რომლის პირის შუქმა გაანათა ეხის კედლები.

შეკრთა მონადირე და ფეხზე წამოხტა.

ქალი მიესალმა, დაამშვიდა და კედელზე ჩამოკიდებულ ჯიხვთან მივიდა.

- ეს ჩემი უსაყვარლესი ხარ-ლადი იყო, - თქვა და თლილი თითებით შუბლზე მიეფერა მკვდარ ჯიხვს, - როგორ ღალატით მომიკალი, შენ ეგ არ გეკადრება, - მიუბრუნდა მონადირეს.

- გინდა გაპატიო? - მოდი ჩემთან, - მაცდურად გაუღიმა გაგის.

ვაჟმა უნებურად წადგა ნაბიჯი წინ. უცებ გაახსენდა თავისი საცოლე, რომელსაც სწორედ წამოსვლისას მისცა ერთგულების ფიცი და მტკიცედ უთხრა უარი.

ქალმა წარბი შეიკრა, ახლოს მივიდა ვაჟთან და თვალეებში ჩახედა.

„შენ ჩემი უსაყვარლესი ხარ-ლადი მოკალი, - უთხრა და გამოქვაბულიდან გავიდა“.

გაოგნებულ გაგის როდის-როდისღა მოერია რული. გაეღვიძა და ეხში აღარ დახვდა მკვდარი ჯიხვი. არ უნდოდა ხელცარიელი დაბრუნებულიყო სოფელში და ისევ სანადიროდ წასულმა კლდის თავზე ულამაზესი ყვავილი, ჯერ მისი მსგავსი რომ არაფერი ენახა, საცოლისთვის მოწყვიტა.

ისევ ის ქალი გამოეცხადა გაგის და ამჯერად უსაყვარლესი ყვავილის მოწყვეტა უსაყვედურა.

ისევ არ გაჰყვა ქალს, თვალწინ საცოლე დაუდგა... წარბი შეიკრა ულამაზესმა.

- მაშინ შენი გზით წადი, - თქვა ქალმა და კლდე გადაიარა.

გაგიმ შეამჩნია, რომ ყვავილი აღარ ეჭირა ხელში. მიმოიხედა. ოთხივე მხარეს ფრიალო კლდე იყო. მაინც გაბედა და ძირს დაეშვა. იქვე მოუცურდა ფეხი და მიწამდე აღარც ჩაჰყოლია სული.

გაახსენდა მამის გაფრთხილება ნადირას: „არასოდეს ესროლო თოფი წყალსდაწაფებულ ჯიხვს, თორემ ვინ იცის, როგორ იძიებს ის ქალი შურს“ (ჩოხელი, 2010, 291).

გოდერძი ჩოხელი არაერთგან აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის მიღებამდე, გუდამაყარში „ცეცხლითა და მახვილით“ კერპებს სცემდნენ თაყვანს. შემდეგ კი შეიცვალეს სარწმუნოება, მაგრამ მაინც დიდხანს დარჩნენ კერპების თაყვანისმცემლები.

საინტერესოა, რომ ძველი და ახალი რწმენის ადგილმონაცვლეობას გოდერძი ჩოხელი ადამიანისა და ბუნების ჭიდილად მოიაზრებს, თითქოს, ბუნებრივ კანონზომიერებად განიხილავს ახალი აზროვნების დამკვიდრებას. ეს აზრი გვებადება „თოვანში გასვენებული დღესასწაულის“ კითხვისას, სადაც მოხუცები სწორედ წარმართული რიტუალის აღსრულებისას იღუპებიან, ხოლო ეს სიკვდილი არაგვის ხეობაში წამოსული ზვავია, თავის უბეში რომ შეიხვევს უკანასკნელ დღესასწაულს და გამარჯვებულის ფეხმორთხმით მკვიდრდება ცრურწმენის ადგილზე. მარტო დარჩენილ ეფრემას გოდერძი ჩოხელი ფრთებდალეწილ წეროს ამსგავსებს, წეროს, რომელიც ვერასოდეს აფრინდება, რადგან მის თვალწინ ბუნების ხელით სამუდამოდ დასამარდა ოჯახის ხვავისა და ბარაქის მტრების განდევნის გულუბრყვილო ტრადიცია.

გუდამაყარში **თაგვების დღესასწაული** იყო. მოხუცებმა ხის თაგვები გააკეთეს, ჩალის ულვაშები გაუკეთეს „თაგვებს“ და, წესის მიხედვით, ხის თაგვებით სამჯერ შემოუარეს თავიანთ სახლებს ძახილით: გამო, თაგვო, გამო, რწყილო, ანგელოზო, შინ დაბრძანდიო!

ამის შემდეგ უკანმოუხედავად უნდა გადაეყარა სოფლის ხევში ეს ხის თაგვები. თუ მოიხედავდნენ, თაგვები ისევ იმათ სახლში დარჩებოდნენ და გაუნადგურებდნენ მოსავალს.

„გამოიტანეს ხის თაგვები ერთდროულად გაიქცნენ სოფლიდან.

თოვდა.

მირბოდნენ შავი მოხუცები თეთრ თოვლში და უკან არ იხედებოდნენ.

უკან მოხედვა არ შეიძლებოდა.

შეუჩერებლად მირბოდნენ.

ბებრული მუხლებით.

და გაღმა მთიდან, მაგათ შესახვედრად გამოიქცა უზარმაზარი თოვლის ზვავი.

წინ ზვავი მოდიოდა...

უკან მოხედვა არ შეიძლებოდა.

და შეიხვია ზვავმა უბეში უკანასკნელი დღესასწაული, ხევი ხველებით ჩაიარა და არაგვის ქალაზე დაჯდა ფეხმორთხმით.

თოვდა.

თეთრ წინდას ქსოვდნენ შორეული ცის ლურჯი ხელები.

იდგა თეთრ თოვლში ცალფეხზე ეფრემია და ფრთებდალეწილ წეროსა ჰგავდა, თოვლში რომ გდია ხოლმე და ასაფრენად ყელყელაობს.

თოვდა.

თეთრი ფარტენით ივსებოდა მთის ფერდზე ჩამოკიდებული „ბერის საფარტნე“ (ჩოხელი, 2007, 160).

როგორც აღვნიშნეთ, გუდამაყრელთა ყოფა ქრისტიანულთან ერთად ითავსებდა წარმართობიდან მომდინარე და კერპთაყვანისმცემლობიდან ნასესხებ ტრადიციებს.

ქრისტიანული და წარმართული კულტურის ნაზავია მგლის „პირის შესაკრავად“ **პურების ცხოვის** ტრადიცია: „ახლაც აცხოვენ პურისაგან მგლებს, რომელთაც აგურის კბილებს უკეთებენ. პურის მგელი საქონლის ბაგაზე მიაქვთ. ჯერ წნელით შეუკრავენ პირს და შემდეგ ულოცავენ.

„აესრემც შაეკვრის პირი იმ მგელს, რომელმაც ჩემი ძროხის შაჭმა მაინდომოს“.

მერე წნელს ახსნიან და მგელს აგურის კბილებს საქონლის ბაგაზე უმტვრევენ:

„აესრემც დაგენაყება, მგელო, კბილები!“

„აესრემც დაგემტვრევა მუხლები!“ - ამტვრევენ მუხლებს და ლუკმა-ლუკმა ჩაციცქნილ მგლის კვერს საქონელს აჭმევენ.

ქრისტიანობა უცნაურად შემოდიოდა აქ. ჯერ ვერ ურიგდებოდნენ ახალ სარწმუნოებას. მერე თანდათან იწამეს“ (ჩოხელი, 2007, 449).

ჯვარხატების თაყვანისცემასა და მფარველი ღვთიშვილების კულტი სიღრმისეულად უკავშირდება ქრისტიანულ რელიგიას. გოდერძი ჩოხელი ღრმად სწვდება არაგვისხეობელთა მითოლოგიურ წარმოდგენებსა და კულტმსახურების ძირებს, გუდამაყრელთა ყოფა-ცხოვრებაში მყარად ფესვგადგმულ გახალხურებულ ქრისტიანულ რელიგიას...

„არსებობს გადმოცემა, რომ როდესაც მირიან მეფემ ქრისტიანობა ქართველთა სარწმუნოებად გამოაცხადა, პირველად არაგვის ხეობაში გაავრცელა ქრისტეს მოძღვრება. მანამდე არაგველები წარმართები იყვნენ. ...ყოველივე ახალი ძნელად მკვიდრდება ადამიანის სულსა და გულში, მით უმეტეს, რწმენა.

არაგველებმა, რაღა თქმა უნდა, უცებ არ ისურვეს ქრისტეს რჯულზე მოქცევა და როგორც მათიანე გვამცნობს: - „მაშინ მეფის ამირსპასალარმა მცირედ წარმართა მახვილი.“

ამის მერე არაგველებმა ახალი რწმენა მიიღეს, რომელიც დღემდე მოაქვთ (მიუხედავად იმისა, რომ წარმართული სარწმუნოებიდანაც შემოინახეს ბევრი რამ) და ღმერთის შეწევნით, ალბათ, უკუნითი უკუნისამდე იღვესასწაულებენ: აღდგომას, ამაღლებას, მარიამობას, გიორგობას“ (ჩოხელი, 2008, 63).

ტრადიციული ქრისტიანული ღვესასწაულების გარდა, გოდერძი ჩოხელი ერთ უცნაურ, **თეატრალიზებულ-სანახაობრივ რიტუალს** ახსენებს, რომელსაც სოფელ სალალოში ატარებენ: „უცნაურად ხდება ყველაფერი: აღდგომის წინა ოთხშაბათს სოფელში აირჩევენ ქრისტეს როლის შემსრულებელ ვაჟს, რომელსაც იმ წელს ოცდაცამეტი წელი შეუსრულდა, დაატყვევებენ და და მიჰყავთ „პილატესთან“. პილატე - ამ სოფლის ხევსბერი, ამ სოფლის დეკანოზია, ის განაგებს საღვესასწაულო რიტუალებსაც და მას ეკითხება სოფელი ჭკუას. ხევსბერის სიტყვა კანონია აქ, მისი ენა-პირით ღმერთი ლაპარაკობს, სალალოელთა რწმენით.

ხევსბრის ნათქვამ სიტყვას ვერავინ გადავა, ბიჯს ვერ გადაადგამს მის წინ. ამიტომ ასრულებს ხევსბერი „პილატეს“ როლსაც.

დატყვევებულ „ქრისტეს“ (ღმერთო, მაპატიე) მიჰგვრიან „პილატეს“ და იქ ხალხის თანდასწრებით იწყება „ქრისტეს“ დაკითხვა.

„პილატე“ ეკითხება:

- შენა ხარ მეუფე ჰურიათა?

„დატყვევებული ქრისტე“ ჩუმად დგას.

- მიპასუხე, შენა ხარ-მეთქი მეუფე ჰურიათა?! - ხმას აუწევს „პილატე“.

- მაგას შენ ამბობ, - პასუხობს „ქრისტე“.

შემდეგ გრძელდება მთელი ის სცენა, რაც ორი ათასი წლის წინ გაიმართა მაცხოვარსა და პილატეს შორის. იქვე ჰყავთ დატყვევებული ბარაბა და ორი ავაზაკი.... მერე ქრისტე კვდება ჯვარზე, ჩამოხსნიან, შეახვევენ თეთრ სუდარაში და იქვე ახლოს ამოშენებულ გამოქვაბულში დაასვენებენ.

ეს ხდება პარასკევს.

შაბათს... მწუხარეა მთელი სოფელი.

კვირა დილით, გამთენიისას, გადააგორებენ გამოქვაბულის შესასვლელთან მყოფ ლოდს და რაც შეიძლება ხმამაღლა რეკავენ ზარებს.

გამოქვაბულიდან გამოდის „ქრისტე“.

მთელ სოფელს სიხარულის ყიჟინა აღმოხდება. ულოცავენ ერთურთს:

- ქრისტე აღსდგა!

- ქრისტე აღსდგა!

- ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

შეგეწიოთ ქრისტეს მადლი, ხალხო! - ხმამაღლა გაიძახის გახარებული „პილატე“, რომელიც ვერცხლის ბარძიმიტ ღვინოს და პურს მოუტანს ახლად ამდგარ „ქრისტეს“. ის იღებს ბარძიმს და პურს, რომელიც ვერცხლის სინზეა წვრილ ნაწილებად დაწყობილი და ხალხს ეუბნება:

აჰა, ხალხო, ესე არს ხორცი ჩემი (პურს აჩვენებს სინით) და ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის დანთხეული, სვით ამისაგან და ჭამეთ ამისაგან. ასე ეიარება ეს სოფელი. მიდიან, სინიდან პურის ნატეხს იღებენ და ჭამენ, ბარძიმიდან ღვინოს მოსვამენ. ამის მერე მთელი დღე დღესასწაულობს სოფელი“ (ჩოხელი, 2008, 64).

ამ რიტუალის მიმართ მწერლის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, მისი მხატვრული გააზრება ამაზე დაფიქრების საშუალებას იძლევა:

„ლურსმნებით მიმაკარით, ლაჩრებო, ლურსმნებით! მშიშრებო, თოკებით იმიტომ მაკრავთ, თქვენ რომ არ შეგიძლიათ ისევე გაუძლოთ ჯვარზე ლურსმნებით



გაკვრას, როგორც გაუძლო ჩვენმა მაცხოვარმა. მე თქვენზე მეტად მეშინია, მაგრამ არ მინდა თამაში. ნუ თამაშობთ, იცოდეთ, ქრისტეს ჯვარცმა არ ყოფილა თამაში და არავის სჭირდება ეგეთი ზიარება.....

მაინც თოკებით მიაკრეს, რადგან რიტუალს თავისი წესი ჰქონდა.

„წამოაყენეს ჯვარი.

ზემოდან დახედა საბამ ხალხს და უცებ მთელი არსებით შეიგრძნო ის, რა ტკივილიც იგრძნო ორი ათასი წლის წინ ქრისტემ, როცა ჯვარზე გაკრულმა ხალხს გადმოხედა.

საბას გულმა ამას ვეღარ გაუძლო და გასკდა.

ისეთი ხმა ჰქონდა მისი გულის გასკდომას, ხალხს ქუხილად მოეჩვენა.

საბას თავი ჩამოუვარდა მკერდისაკენ.

ჩამოვარდა სიჩუმე.

ჩამოხსნეს საბა.

დაასვენეს და დიდხანს ხმას ვერავინ იღებდა, დედამისიც კი.

თითქოს მთელი ქვეყნიერება სიჩუმედ გადაიქცა....“ (ჩოხელი, 2008, 70).

ერთი მხრივ, ხეობის ტრადიციის მიმართ პატივისცემა და მოწიწება, მეორე მხრივ, ურყევი მორალური პრინციპები მწერალს აიძულებს, სხვა თვალთ დაგვანახოს მის მიერ გააზრებული რეალობა. საბა ტრადიციული რიტუალის წყალობით, საკუთარი თავის ქრისტესთან იდენტიფიკაციას ახდენს, იგი ფიზიკურად ეწირება ამ რიტუალის აღსრულებას.

ისმება კითხვა: ემსახურება კი ეს რიტუალი სარწმუნოების განმტკიცებას, სარწმუნოებრივი პრინციპების აღსრულებას? დაცულია ამ რიტუალის შესრულებისას ქრისტიანული მორალი? ცალსახად - არა. მწერალი ეძებს დასაბუთებას და ახალგაზრდას, რომელიც ქრისტეს როლის შემსრულებლად საზოგადოებამ აარჩია, კლავს. მაშასადამე, საზოგადოება დამნაშავეა მის წინაშე!

დადგენილი წესების მიხედვით, მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში მაცხოვარს სიმბოლურად განასახიერებს უპირატესი მღვდელმსახური და ამის მიზანი ვნების შვიდეულში მომხდარი ამბის გახსენებაა. ამდენად, ის, რაც სალალოში ხდება, არა მხოლოდ სინამდვილის, არამედ ქრისტიანული სარწმუნოების

პროფანაციაა. მწერალი კრიტიკულად ეკიდება ყველა იმ წეს-ჩვეულებას, რომელსაც ადამიანისთვის ზიანი მოაქვს. ადამიანის არსის მისეული აღქმა-გაგება უაღრესად მართლმადიდებლურია და ეწინააღმდეგება ყოველგვარ ძალადობას.

ქრისტიანული და წარმართული კულტურის აღწერაა გამოხატული გუდამაყარში გავრცელებული ტრადიციებში: **დათვქადაობა, აბრამძოლობა, წუნკლაობა.** მოთხრობაში „ხუჭუჭულა“ ვკითხულობთ: „ახლა ყველიერია, მხიარულობს სოფელი და ხუჭუჭულასაც უხარია ამდენი ყველის ხინკალი და ხაბიძგინები. ჩათავდა ყველიერი და დადგა შურის კვირა. ახლა ხორცის ჭამას ეშურება მთელი სოფელი. ყველის ხინკლები ხორცისამ შეცვალა. ხუთშაბათს დათვქადაობაა. ცხრაქერქა ქადებს აცხობენ. მიდიან ხატში.

პარასკევს ჟამთ უქმეა, ხელს არავინ არაფრისთვის არ გაანძრევს. ეს მძიმე უქმეა.

შაბათი ხორცის შაბათია, ხორცის ხინკალს ხარშავენ და მიცვალებულებს შენდობას ეუბნებიან.

ამ დღეს უკანასკნელად ჭამენ ხორცს.

გამოხრულ ძვლებს წითელი ძაფით შეკრავენ, გარეთ გამოვლენ, ძვლებს ძველებურ, მაღალ ბანზე შეგდებენ და მანამ ძვლები ბანზე დაეცემა, შემგდები სამჯერ უნდა შეხტეს ჰაერში. თან ზემოთ ბანზე მყოფ ვიღაც უჩინარს შესძახიან:

- აბრამძოლ, ველის ნადირო, წელს ამას დაგვჯერდი, კვლავ სხვას მოგართმევთ!“ (ჩოხელი, 2008, 53).

ხუჭუჭულა ძმის ნაცვლად აპირებს ბეჭის ჩამოტანას. გასაოცარ ამბებს ჰყვებიან სხვები, დევებითა და ჭინკებით გაჯერებული ყოფა კაცობის საზომად სიბნელეში ბანზე ასვლას და ბეჭის ჩამოტანას მიიჩნევს. ამ შემთხვევაშიც ავტორს განაჩენი გამოაქვს: უშიშარი, ძმის ნამუსზე მოდარდე ხუჭუჭულა ტრადიციების ბრმა მორჩილებაში მყოფი ადამიანების გვერდით ყოფნას არ იმსახურებს, მისი ადგილი ზეცაშია.

„ქრისტიანულ ადათ-წესებთან ერთად, ძველს, ქვეყნიერებისაგან მივიწყებულ დღესასწაულებსაც ზეიმობენ და მთელი წელიწადი თითქოს ერთი დიდი დღესასწაულია, რომელიც ღმერთის წინაშე დღემდე ერთგულად სრულდება“

(ჩოხელი, 2008, 45), - წერს გოდერძი ჩოხელი და უთუოდ იმ განსაკუთრებულ დღესასწაულებს გულისხმობს, რომელიც არაგვის ხეობისთვისაა დამახასიათებელი და რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თავისთავში მოიცავს ქრისტიანობასთან ორგანულად შერწყმულ წარმართულ კულტურასაც.

მთაში ყველა რიტუალური წესის აღმსრულებელი დეკანოზია. ის არის „საგანგებოდ ამორჩეული ხელკაცი“, კულტის მსახური.

ტ. მახაურის აზრით, რიტუალში ცხადი ხდება ტრადიციული საზოგადოების წევრთა კონსოლიდაცია: ამ დროს დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ჯანსაღი თუ სნეული - ყველა ჩართულია საღვთო დღესასწაულში. ასეთი რიტუალური დღესასწაულია დეკანოზის მიერ ციკნის დაკვლა.

„დეკანოზი მთაზე ავიდა, დაიჩოქა და ისევ სამჯერ ემთხვია მიწას. მერე წამოდგა, სანთლები აანთო და კარგა ხანს ილოცებოდა. ეხვეწებოდა ელიას, შენმა ძალამ კარგად ამყოფოს ჩოხლების გვარი, სეტყვა და ქარიშხალი ააშოროს, წარღვნას ნუ მოუვლენსო...

დეკანოზმა ციკნის თავი ნიშზე ჩამოაგო, მერე თავმოჭრილი სხეული აიღო, ქვემოთ, ხალხისკენ გადაისროლა და ხმამაღლა დაიძახა: „ელიასა და ზაქარიას გაუმარჯოს!“ (ჩოხელი, 2007, 498).

რიტუალის მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ზ. კიკნაძეც. მისი აზრით, რიტუალით ადამიანი არა მხოლოდ იხსენებს მითს, არამედ უკან აბრუნებს მითში გადმოცემულ ამბავს, მითოსურ დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ რიტუალის მონაწილენი და მთელი საზოგადოება იმყოფებიან ზებუნებრივ არსებათა დროში, „მას ჟამს“, როცა ყველაფერი პირველად იქმნებოდა და ყველა მოვლენა ხდებოდა. ამიტომ მიიჩნევენ იგი ამ დროს სიწმინდით მოსილად.

„ელიასათვის თხის შეწირვის და ფიტულის ხეზე დაკიდების წესი ჯერ კიდევ არქანჯელო ლამბერტის შეუმჩნევია, რომელიც წერს: გვალვისას თხას შესწირავენ წმინდა ელიას. ამ წესმა მე-19 საუკუნის დასასრულამდე მოაღწია. ...ელიასათვის თხის შეწირვის წესი აღწერილი აქვს ვახუშტი ბაგრატიონს დვალეთში, დვალთა და ოსთა ნარევი მოსახლეობაში“ (ირ. სურგულაძე 2002, 68; 385).

როგორ ვლინდება ეს ტრადიცია გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში? „გუდამაყარში, სოფელ ჩოხის აღმოსავლეთით, დგას მთა, რომელსაც აქაურები ელიას მთას ეძახიან.

ხალხის წარმოდგენით, მთის წვერზე ღვთის საბრძანისია და აშენებული აქვს ნიში. მთის შუა ფერდზე სამანია დაცემული. სამანს ზემოთ ღვთის ადგილია. სამანს ქვემოთ კიდეც - ეშმაკებისა, რომელიც ღრმა ხევში იკარგება.

ყოველ წელიწადს ციკანს კლავენ ნიშთან. დასტურები მთის წვერიდან თავმოჭრილ ციკანს გადმოისვრიან ქვემოთ. ხალხი ცდილობს, სამანს ზემოთ, ღვთის კუთვნილ ადგილზე დაიჭირონ მთიდან დაგორებული ციკანი და თუ ეს შეძლეს, ხარშავენ ხორცს და თითო წილს აჭმევენ ყველას.

თუ ციკანი სამანს გადაუცდათ, მაშინ იგი „ეშმაკების წილია“, თავს ანებებენ და დაღონებულები მიდიან შინ“ (ჩოხელი, 2011, 115).

ციკანი, მთის ხალხის ტრადიციით, ეშმაკისაგან სულის დამხსნელად ითვლებოდა - თვითმკვლელის, ზვავში, მდინარეში დამხვრჩვალთათვის.

რაც შეეხება სამანებად დაყოფის ამგვარ ფორმას, ცნობილი მკვლევრების ინფორმაციით, მართალია, ასეთი რამ არ დასტურდება, მაგრამ კარგად ასახავს იმ სამყაროს, რომელშიც გოდერძი ჩოხელი ცხოვრობდა: „ზამთარში დგება ჟამი, როცა ბუნება კვდება. მერე მოდის გამოღვიძება-გაცოცხლების დრო, რაც დაკავშირებულია უფლისა ჩვენის მაცხოვრის იესო ქრისტეს აღდგომასთან. ხშირად მიფიქრია, რომ არ მომკვდარიყო, ჯვარზე რომ არ გაეკრათ იესო, ალბათ, მისი აღდგომის სიხარულსაც ვერ შევიგრძნობდით, რასაც ქრისტიანები განიცდიან ამ დღესასწაულთან დაკავშირებით. და აი, ამდენი ხნის განმავლობაში, რაც ის პერიოდი გამოვიარეთ-საშინელი ურწმუნობის პერიოდი, როცა ერი ჩვენი სულიერად მკვდარი იყო და ეკლესიაშიც კი ვერ შევდიოდით, პირჯვარი რომ გამოგვესახა, აღდგომის მაძლი არ შემოდიოდა ჩვენს ცხოვრებაში, დღეს ისევ გამოჩნდა გზა ღმერთთან დაბრუნებისა“ (ჩოხელი, 2012, 73).

იხსენებს რა კომუნისტურ ეპოქაში გატარებულ ბავშვობას, გოდერძი ჩოხელი გულწრფელი სინანულით ამბობს, რომ ბევრი რამ თვითონაც არ იცოდა, რადგან იმ საზოგადოების ნაწილი იყო, რომელიც მთლიანად არაქრისტიანულად ცხოვრობდა.

კომუნისტებმა გუდამაყრელებსაც თავის წესზე ყოფნა მოსთხოვეს: ხალხს ხატში ლოცვა აუკრძალეს, სალოცავები თვითონ გაძარცვეს, მღვდლები გაკრიჭეს, პირიმზის მოედანზე კოლმეურნეობის კანტორა ააშენეს, სადაც დასხდნენ ქართველი კომუნისტები და ხატის მინდორზე, ძველი ბასტიონის გვერდით, საქონლის ფერმა ააშენეს.

მწერალი თანამედროვე ყოფის მხატვრული გააზრებისას ფოლკლორის მოშველიებით ავსებს პოეტურ სათქმელს:

„მინდობილი ვარ მაცილებს

განა ერთსა და ცოტასა,

მოხარული ვარ იმათთან:

ლხინსა, ქეიფსა, ყოფასა.

ღვთის რჯული დამვიწყებია,

აღარ დაგიდევთ შობასა,

ბნელს ვეფარები, არ დავდევ

საუფლო ნათელყოფასა“ (ჩოხელი, 2011, 14).

ცნობისათვის: მაცილები ქართულ მითოლოგიაში ბოროტი სულები არიან, საიქიოდან აშინებენ მგზავრებს და მონადირეებს, ააცდენენ მათ სწორი გზიდან, კლავენ ბავშვებს, აჯადოებენ ადამიანებს და საქონელს. მაცილთა დედა ზოგჯერ დევების დედად მოიხსენიება.

გოდერძი ჩოხელმა, როგორც ქრისტიანული მორალის ერთგულმა, კარგად იცოდა, რომ „უპირველესად ადამიანი არის ღმერთის სული, ხანდახან კი, ეშმაკი ცდილობს, ადამიანიდან განდევნოს ღვთის სული და თვითონ ჩასახლდეს იქ. იმისათვის, რომ ადამიანებმა ატარონ ჭემმარიტად ღმერთის სული, ჩვენ მაღალმა შემოქმედმა მოგვცა ღვთის სიტყვა. ღვთის სიტყვა გვასწავლის, სული როგორ გადავირჩინოთ ამ ქვეყანაზე, როგორ უნდა დავუპირისპირდეთ ეშმაკს, რომელიც ცდილობს ჩვენგან განდევნოს ღმერთის სული და თვითონ ჩაიბუდოს, თვითონ იფშვინვიეროს ჩვენში“ (ჩოხელი, 2010, 140).

ეს რწმენა კიდევ უფრო მტკიცდება, როცა ღვთისმშობლის წილკურთხეულ საქართველოში ეშმაკის ტარტაროზებს ტამ-ფანდურა აქვთ გამართული, ამიტომაც

სულისშემძვრელად დაღონებული წერს პუბლიცისტურ წერილში „ღმერთმა კეთილად მოგიხდინოსთ ჩემი მეკვლეობა“: „ჩაკლულია ეროვნული სული, ხოლო ვიღაც უჩინარი ცდილობს, რაც ჯერ კიდევ შემორჩათ ქართველებს სასიკეთო წინაპართაგან, ისიც ჩაკლას, ისიც ჩააქროს, რათა მომავალი თაობები აღარ გაიზარდნენ ნამდვილ ქართველებად.

გათითოკაცებულება საზოგადოება. მთავრობა ცალკეა, ხალხი - ცალკე. ინტელიგენციას ფუნქცია აქვს დაკარგული, უფრო სწორად კი ღონე აქვს დაკარგული ამ ფუნქციის შესასრულებლად. მწერლის სიტყვა ხალხს აღარ ესმის. იმარცვება ქართული სული და ქართული მიწა. ერი ჰგავს მწყემსისაგან მიტოვებულ ცხვრის ფარას, რომელიც უფსკრულის პირას დამფრთხალ-დამშეული შეყუჟულა და ნადირის ყოველ წამოტევაზე ფრთხება. ნადირი კი უხვად არის და რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, შინაური ნადირებით იჯიჯგნება საქართველო“ (ჩოხელი, 2012, 10).

უღმერთო, ათეისტურმა რეჟიმმა ეშმაკეულთა სამანი შექმნა. გოდერძი ჩოხელმა მალევე გააცნობიერა ამ ყოფის სიმძიმე და გულისტკივილით გაჯერებული ალაპარაკდა რწმენისა და სულიერი საწყისის რღვევაზე. წუხდა, რომ კომუნისტებმა ხალხი ცასა და მიწას შორის გამოკიდებული დატოვეს. კარგად იცოდა მწერალმა, რომ სულის ნავსაყუდარის გარეშე დარჩენილი კაცი კარგს ვერაფერს იზამდა. თუ შაჰ-აბასი ვაზის გაკაფვით ფიქრობდა საქართველოს განადგურებას, კომუნისტები ამას ქართველის ცნობიერების მოსპობით ცდილობენო, - ამბობდა, რადგან მათ არ სჭირდება ქვეყნები საკუთარი ისტორიით, ადათ-წესებით, ტრადიციებითა და ცნობიერებით.

კომუნისტებმა ბევრი რამ ჩაკლეს და საზოგადოება ერთფეროვან მასად აქციეს, რომლებიც დღითიდღე კარგავდნენ კავშირს შემოქმედთან და ტრადიციებთან. მწერლისათვის პრინციპულად მიუღებელია უღმერთოთა და სულდაცლილთა საზოგადოება, სავსე უამრავი საცდურით.

გოდერძი ჩოხელი მაინც ძველებურად პირთამდეა ავსილი სიყვარულით: „გულს მილაღებს ჩვენი დიდი წინაპრების გახსენება, გულს მილაღებს, გულს

მილაღებს, როცა ქუჩაში ფეხმძიმე ქალს ვხედავ, ...გულს მილაღებს, როცა ეკლესიებში იმდენი მორწმუნეა, შიგნით შესვლასაც კი ვერ ვახერხებ.

გულს მილაღებს, როცა ქართველის წარმატება და სიკეთე მესმის.

გულს მილაღებს ქართული სიმღერა, ქართული ცეკვა და ყოველივე ქართული, სადაც ჩვენი წინაპრების სულია გაცხადებული.

გულს მილაღებს ჩემი მამულის სილამაზე, იმისი მზე და იმისი მთვარე, იმისი მთა და იმისი ბარი.

გულს მილაღებენ ის ყვავილები საქართველოს მთა-ველებს რომ ქარგავენ კვლავინდებურად.

და ყველაზე მეტად გულს მილაღებს, რომ ქართველი ვარ“ (ჩოხელი, 2012, 11).

გოდერძი ჩოხელი როგორც აღნიშნავს, „მთელი ეს წმინდა მთა, რომელიც ახლა მთვარის შუქით არის განათებული, თითქოს მთა კი არ არის, არამედ წმინდა წიგნია, სადაც ძველი აღქმისა და ახალი აღქმის ნიშნები იკითხება“ (ჩოხელი, 2008, 14).

ამ სივრცეში იყო აღბეჭდილი ხალხური ზეპირსიტყვიერებაც, რომელიც მწერალმა თავის პოეტურ საზომად აქცია: „მთას, სადაც ჯერ კიდევ ესინჯება ფხა და გემო მუხლად სიტყვას, მუდამ მოსდგამდა პოეტური მეტყველებისა თუ პაექრობის განსაკუთრებულად ძლიერი და გამძლე ტრადიცია“ (ა. არაბული).

„მთაში კარგ კაცზე იტყვიან, ლექსივით აწყობილი კაციაო“, - წერს გოდერძი ჩოხელი. ალბათ, ვერავინ იქნება მასზე უკეთესი შემფასებელი ხალხური პოეზიისა. ლამაზად და მოქნილად ამბობს სათქმელს:

„ მთაში ლექსად ტირიან.

ლექსად დატირეს მზექალის სიკვდილი.

ამ ლექსად დატირებაში იყო ერთი უდიდესი თხოვნა, რომელსაც მზექალს აბარებდნენ საიქიოში.

სად მიხვალ, მთვარის საყურევ,

ცის ოქროს ღილის სადარო,

ღმერთსა ვთხოვთ ეგ შენი წიგნი

საიქიოშიც ატარო...

და მერე იყო თხოვნა, რომ მათ უდროოდ წასულ შვილებსაც ასწავლოს საიქიოში „ვეფხისტყაოსანი“ (ჩოხელი, 2010, 141).

მთაში ლექსი ლოცვის მაგიერია. ტირილითაც კი ლექსად ტირიან...

რა ვეწისა ციხე ავაგე,  
ჯავრი შავაბი კარადა,  
საიქიოდან მოვიდნენ,  
ამ ციხის სანახავადა,  
ბევრი უარეს გარშემო  
კარ ვერ გატეხეს ძალადა.

მამრე თქვეს, ჟამი მოვალის,

კარ გაიხსნების თავადა“ (ჩოხელი, 2010, 146).

არაგვის ხეობაში, ისევე როგორც მთელს მთიანეთში, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რიტუალი იყო ხატობა.

მთიელთა მძიმე და დუხჭირი ცხოვრება, ადათ-წესების ერთობლიობა და მისთვის მორჩილება, ღვთისაგან რჩეულთა აღიარებისა და საუკუნეების განმავლობაში დაკანონებული სამართლის არსებობა, ხეობის მცხოვრებთ ერთ მუშტად შეკრულ მძლავრ სოციუმად ჩამოყალიბებას განაპირობებდა. ამ სოციუმის გამოხატულებაა **ხატობა** - თემის კოლექტივის ერთგვარი თავყრილობა. აი, როგორ იწყება იგი:

„თენდება.

ხევისბერი ზარებსა რეკავს.

სათემო გორაზე იკრიბებიან აქა-იქ მიმოფანტული ჩოხელები. ფერხული უნდა ჩააბან (ისინი ამას ფერხისას ეძახიან) და ბერაის საგმირო ლექსი „დაიძახონ“.

დასტურებს კოდით გამოაქვთ სვიანი ლუდი.

ჩააბეს ფერხული და დაიწყო პირველმა:

ჩოხს დაიბადა არწივი,

ამბობენ ცოტა ხნისასა,

ამზადებს ტყვია-წამალსა,

ხანს ეხლა მოვე ცდისასა...



პირველის ხმა მეორემ გაიმეორა და დანარჩენებმა ბანი მისცეს.

პირველი -

ადგა და გამოემართა.

მადლს ახსენებდა ღვთისასა,

„გამამყევ ჩოხის გიორგივ,

ძალსა ნუ მომრევ მტრისასა.“

მეორე ხმა იგივეს იმეორებს.

ხალხი ბანს აძლევს.

ხატის დასტურები ვერცხლის თასებით იღებენ კოდიდან ლუდს და ბერაის შესანდობარს ასმევენ „ფერხისის დამძახებლებს“.

პირველი ხმა -

მიუვა თამარიძესა,

ამბავთა ჰკითხავს მტრისასა,

არხოტის ჭალას ჩადიან,

ვაჟნი ჩაჰლარავენ ქვიშასა.

მეორე ხმა იგივეს იმეორებს.

ხალხი ბანს აძლევს.

მთელი მოედანი გასუსულია და ამ სიმღერის ხმაზე თრთიან. მდუმარედ ისმენენ ამ სიმღერას სამარის ლოდები... (ჩოხელი, 2008, 26-27).

ერთი სიტყვით, ხატობა სათემო დღესასწაულია, რომლის დროსაც გარდასულ დღეებს, წასულ გმირებს და ღმერთს სიმღერითა და ფერხულით იგონებენ.

ფერხისა „მრავალთ მობმით როკვაა,“ - ვკითხულობთ სიტყვის კონაში (სულხან-საბა, 1993, 189). მკვლევრები მას ბიბლიური სადღესასწაულო ცეკვების მემკვიდრედ მიიჩნევენ, ზოგნი კი უფრო პოეტურ ახსნას უძებნიან. ზოგიერთი მათგანის აზრით, ფერხისა რიტუალური ცეკვაა და წარმოადგენს მიწასა და ზეცას შორის კავშირის, ჰარმონიის დამყარების საშუალებას.

ფერხულს თან ახლავს სიმღერა, მის გარეშე წარმოუდგენელია მთიელთა ცხოვრება. „მე უმღერელად ვერ გავძლებ, სულო, შამინდევ მკვდრისაო,“ - უთქვამს ფშაველს. სიმღერა დარდს უქარვებს მთიელს, ჯაფას უადვილებს. ყველა საქმეში,

ჭირსა თუ ლხინში თან სდევს. განსაკუთრებით უხდება სიმღერა ხატობას, სხვა შნო და ლაზათი აქვს სალოცავში მღერას.

გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში უტყუარი სიზუსტით ცოცხლდება ხატობის დღესასწაული, თუმცა მწერალს თავისებური ელფერი და მუხტი შეაქვს ერთი კონკრეტული დღის აღწერაში და ამით ხატობის რიტუალის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებასაც გვამცნობს: „მაცურებელი ხალხი მონუსხული და გასუსულია. მონუსხულია ზეცაც. ქუხს. ელავს. კოკისპირული წვიმა იწყება. ...წვიმა ფერხისას ვერ შლის, არ შეიძლება ფერხულის შეწყვეტა, არ შეიძლება, წვიმას შეუშინდნენ იმ გვარის წარმომადგენლები, რომელთა წინაპარმაც თავის სალოცავის რწმენას, გვარს და შურისძიებას შეაღია სიცოცხლე“ (ჩოხელი, 2008, 27).

საინტერესოაა აღწერილი გოდერძი ჩოხელთან ახალი წლის აღნიშვნის ტრადიცია. საახალწლოდ ხევსბერები ხატში მიდიან, იქ წმინდობენ და ხატს ღამეს უთენებენ. მერე გაყინულ არაგვში ბანაობენ და სიმღერით მიდიან ხატში.

წყალი სულიერი განახლების სიმბოლოა, რწმენაში განმტკიცების და თემის წინაშე პასუხისმგებლობის აღიარების სიმბოლო, ჩოხელების ეს ტრადიცია ყველაზე ნათლად გამოხატავს იესოს ნათლობის მნიშვნელობას, აკი სწორედ იორდანეში განბანვის შემდეგ დაიწყო ქადაგება, ხალხთან ურთიერთობა და მრუდე სოფლის გასწორება იესომ. გოდერძი ჩოხელის დეკანოზებიც მხოლოდ არაგვის წყალთან ზიარების შემდეგ ხდებიან ღირსნი, იხილონ წმინდა გიორგის სალოცავში ამოსული მომლოცველები.

„წმინდის გიორგის კარზედა  
ხე ალვად ამოსულიყო,  
თავში დაესხა ყურძენი  
საჭმელად ჩამოსულიყო...

სიმღერის ხმა ექოდ აწყდებოდა მთებს და მთებიც იმეორებდნენ ამ სიმღერას. ზეცა მღეროდა საახალწლოდ“ (ჩოხელი, 2008, 47).

ხატობის განუყოფელი ნაწილია ლუდის დუღება, რომელიც წმინდა საქმედ არის მიჩნეული. მისი მომზადება დასტურებს ევალება.

ზ. კიკნაძე მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა სალოცავის ადგილ-მდებარეობას - საყმოს შუაგულს, საიდანაც იფინება სიწმიდე მთელ საყმოზე, რომელიც განსახლებულია ჯვარის თვალსაწიერზე, მისი ზარის ხმის საწიერზე, აქ ცხოვრობს ღვთისშვილის მიერ მოპოვებულ მიწა-წყალზე მისი მკვიდრი, ანუ ყმა. სალოცავი მიკროსამყაროს ანუ თემის ცენტრია, რომლის სიმბოლური მნიშვნელობა გააზრებულია არა მხოლოდ საკრალურ, არამედ ყოველდღიურ ყოფაში, რიტუალებსა და ცეკვა-სიმღერებში, რომელიც სწორედ სალოცავში სრულდება მთელი საყმოს თვალწინ.

რწმენიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩოხელებს ბედისწერისაც სჯეროდათ. ბედისწერის ანგელოზების არსებობაზე საუბარი მსოფლიო ლიტერატურაში ჯერ კიდევ შუასაუუნეებიდან იწყება. რუსთველიც კი ერთმანეთისგან გამიჯნულად იაზრებს ღმერთსა და ბედს. ბედი წუთისოფლის სინონიმია, მისი სამანი სკნელია, ადგილი, სადაც ადამიანი ცხოვრობს და საქმიანობს, ბედისწერა სწორედ მის ცხოვრებას განაგებს. ყველას გვახსოვს წუთისოფლის სამდურავს მეგობრის საშველად წასული ავთანდილი როგორ ასრულებს: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავსა, კაცსა შენგან განაწირსაო“, ან ნესტანი რას აბრალებს თავის უიღბლობას: „ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართაო“, ან თინათინს როგორ სჯერა: „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსაო“.

ქართულ სააზროვნო ესთეტიკაში დამკვიდრებული აზრი, რომ „ბედია მაყინებელი,“ არც გუდამაყრელებისთვის იყო უცხო. მათაც ეშინოდათ ბედისწერის სიმუხთლისა და ალბათ ამიტომაც ყოველ ახალ წელს ასე გამოსცდიდნენ მას: „საახალწლოდ ბედისკვერებს ყველას სახელზე აცხოვენ. ხალხის რწმენით, ვისიც ბედის კვერიც კარგად ამოფუძდება და კარგად გამოცხვება, იმას ბედნიერი წელიწადი ელოდება და ვისი ბედის კვერიც ჩაითუთქებოდა, პატრონის უბედობის ნიშანიაო.

საქონლის სახელობაზეც აცხოვენ ბედისკვერს. კვერებს ზემოდან ჯვარი აქვს გამოსახული...

ყველა ოჯახი უფრო ხილდება და ინახავს საახალწლოდ გამომცხვარი ოჯახის ბედისკვერს, მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. წუნკლაობა დღეს ამ ბედისკვერმა უნდა ამცნოს ოჯახს, როგორ წავა მათი ბედი წლის განმავლობაში."

ბედის განშრევების გამოცდის რიტუალია ასახული მოთხრობაში „ხუჭუჭულა“.

„დადგა წუნკლაობაც.

დაანთეს ჭიაკოკონები.

ხუჭულას მამამ ოჯახის ბედისკვერი საცერში ჩადო, საცერი მხარზე შემოიდგა და თან კიოდა:

- მიშველეთ, მომეშველენით, კეთილმა წელი მომწყვიტა! შემდეგ ...სახლისაკენ წაიღო საცერში ჩადებული ბედისკვერი, კარებთან დაიჩოქა, საცერი ძირს ჩამოდგა, იქიდან კვერი ამოიღო და სამჯერ შეაგორა სახლში.

ყველანი გულისფანცქალით ადევნებდნენ ამ სცენას თვალ-ყურს, რადგან აქ წყდება ოჯახის წლებანდელი ბედი: თუ სახლში შეგორებული კვერი ისე გაჩერდება, რომ მასზე გამოსახული ჯვარი ზემოთ მოექცევა, მაშინ საშიში არაფერია, მაგრამ თუ კვერი გულალმა დაეცემა და ჯვარიც ქვეშ მოყვება, რაღაც უბედურება დაატყდება ოჯახს.

სამჯერვე გულალმა დაეცა ხუჭუჭულას მამის მიერ სახლში შეგორებული ბედისკვერი.

თითქოს მეხი დაეცა ოჯახს.

გამტკნარდნენ,

გაფითრდნენ,

ელდა ეცათ და ხმამაუბრებლივ შეხედეს ერთიმეორეს“ (ჩოხელი, 2008, 48).

მართალია, ბებომ სცადა თავზარდაცემული ოჯახის გამხნეება, - ნუ გეშინიათ, ნუ, ჩემზედამც გადაიაროს რაც ავი და ბოროტი გველოდებაო, მაგრამ დაზაფრული ოჯახი არ შემცდარა, მართლაც, დიდი უბედურება დაატყდა თავს: ორ დღეში ბებია გარდაიცვალა, ხოლო ხუჭუჭულა მალევე მოიტაცა ყორანმა...

ამრიგად, გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში აღწერილი არაერთი რიტუალი თუ რწმენა-წარმოდგენა, რომელიც სინთეზურად შეიცავს როგორც მითოსურ თუ

წარმართულ, ისე ქრისტიანულ ელემენტებს, ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებებში ავტორი გვევლინება არა მხოლოდ, როგორც აღმწერილი ამ რწმენა-წარმოდგენებისა, არამედ როგორც ერთგვარი ინტერპრეტატორი, რომელიც ხალხურ წიაღში არსებულ ფოლკლორულ ნიმუშებს თავისი მხატვრულ-ესთეტიკური საზრისის გამოსაკვეთად იყენებს.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ასახული ფოლკლორული წყაროების მხატვრული გააზრება და გადამუშავება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორის წყალობით არსებობას ინარჩუნებენ, არამედ იმიტომაც, რომ მათი საშუალებით ხორცი ესხმება მკვეთრი ინდივიდუალიზმით აღბეჭდილ თვითმყოფად ლიტერატურას და ავტორის, როგორც ჭეშმარიტად დიდი მწერლის, მთავარი სათქმელის გააზრების სურვილსაც. ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ყველა ლეგენდა, ლექსი თუ თქმულება, რაც არ უნდა მკაცრი და შესაზარი იყოს, გოდერძი ჩოხელის „სულიერ ქურაში“ გადადნობილი, მკითხველის სულიერ აღზრდასა და გაკეთილშობილებას ისახავს მიზნად. უმეტეს შემთხვევაში ავტორი მკაცრად ილაშქრებს დრომოჭმული წეს-რიტუალების წინააღმდეგ და გვევლინება, როგორც უაღრესად პროგრესული და თანამედროვე მოაზროვნე.

## გოდერძი ჩოხელის შემოქმედების სიმბოლურ-ალეგორიული გააზრება

ლიტერატურა სათქმელს, ძირითადად, მხატვრული სახეებით, სახე-სიმბოლოებით, ფაქტი-სიმბოლოებით და პერსონაჟი - სიმბოლოებით გადმოსცემს.

„რამდენადაც დიდი ტრადიციების მქონეა ეროვნული ლიტერატურა, მით უფრო დიდი შესაძლებლობა აქვს, შექმნას ეპოქის სახის განმსაზღვრელი პრინციპებით და ამავე დროს სპეციფიკური ეროვნული ნიშნებით აღბეჭდილი ადამიანი“ (ტრაპაიძე, [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)), ხოლო რაც უფრო მასშტაბურია პიროვნება, იმდენად მასშტაბურ ასპექტში გაიზრება სახე-სიმბოლოებს და მისთვის დამახასიათებელ ეროვნულ ნიშნებში გამოხატავს მოვლენებს, მის არსში წვდომის ხელოვნებას. არსში წვდომის ხელოვნება კი, ჩვენი გაგებით, სწორედ ისაა, რომ ალეგორიული სახე-სიმბოლოებით გამოხატო არამხოლოდ ეროვნული ნიშნები, არამედ ზოგადად ადამიანური მორალი და პრინციპები.

მასშტაბურად იაზრებს გოდერძი ჩოხელი სახე-სიმბოლოებს და ჩვეული მოხდენილობით გადმოსცემს სათქმელს. მის თხზულებებში თითოეული სახე-სიმბოლო ორიგინალური გააზრებით იქცევს ყურადღებას და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მწერლის შემოქმედების მხატვრულ საზრისს.

საკმაოდ რთულია მისი სიმბოლური სახისმეტყველება, ზოგიერთი სახე-სიმბოლოს მხატვრული საფუძველი შეიძლება პირველყოფილ წარმოდგენებში იდოს, ზოგიერთისა - ქრისტიანულ რელიგიაში. მთიელთა ბუნებასავით რთულია და იდუმალი გოდერძი ჩოხელისეული სიმბოლოები, რადგან სწორედ კუთხურ-ეროვნული ნიშნით ერწყმის კოსმოპოლიტურ სააზროვნო სივრცეს და ადამიანის უნივერსალურ ფენომენს მოიცავს.

ქსენია სიხარულიძე მიიჩნევს, სიმბოლიკაშია დამალული წარსულის ნაშთების ამოცნობა, რაც საშუალებას იძლევა უხსოვარი დროის საიდუმლოებაში წვდომისას, როცა ფოთლის შრიალი, მდინარის ხმაური, ცის ქუხილი, წვიმა და სხვა ასეთი მოვლენები სიცოცხლის ნიშნების მატარებლად იყო მიჩნეული, როცა პირველყოფილ ადამიანს გულუბრყვილო რწმენით გადაჰქონდა ბუნების მოვლენებზე ადამიანური თვისებები.

გოდერძი ჩოხელმა შექმნა გალერეა პერსონაჟებისა, რომელთა მიღმაც ფსიქოლოგიური ქვეტექსტების ამოკითხვისას იკვეთება ეპოქალური სათქმელი. „მღვდლის ცოდვა“, „არჩევნები სასაფლაოზე“, „მგელი“, „ბაძია“, მართა“, „ნადირობა ოზანოს მთებში“ - თითოეული ნაწარმოები პირდაპირი მინიშნებაა ეპოქის სატკივართან, ეპოქალურ პრობლემასთან, ზოგადად ადამიანურთან, თითოეულ სიუჟეტში პერსონაჟი ალეგორიული ხაზგასმას კონკრეტული ისტორიული კონტექსტისა და ამ კონტექსტში მოქცეული ადამიანური ვნებებისა. მაგალითისთვის: წითელი მგელი სისხლის, ძალადობის, ბოლშევიზმის სიმბოლოა, „ბაძია“ „შავ დროს გაურბის, დროს, როცა შავი და უჟმური საძირკველი ეყრება შავსა და უჟმურ სახელმწიფოს,“ „მართა“ - პერსონიფიცირებული შეურიგებლობაა მონობასთან, ხორცმესხმული ქართული სული“ (ნ. კუცია), ხევისბერი შულა („სამანს იქით დასახლებულნი“) - რწმენადაკარგული საზოგადოების დამმოდღვრავი, ღრუბელა („ნადირობა ოზანოს მთებში“) - რწმენა-ურწმუნოებას შორის მერყევი მოქალაქე.

ამრიგად, ალეგორიულ-სიმბოლური სახეების განზოგადება ერთგვარი ხერხია გოდერძი ჩოხელისთვის, რათა უკეთესად დაგვანახოს სისავსე სათქმელისა, გვასწავლოს აზროვნება - ანალიზი. ირიბი, იგავმეტყველებითი ფორმით გადმოცემა მოვლენა-ფაქტებისა, მის ლიტერატურულ თხზულებას თვისობრივად ახალ ფუნქციას სძენს.

„ალეგორიის საფანელში გახვეული, მტანჯველი და იმავდროულად ამამაღლებელი გრძნობით არის გამსჭვალული 80-იანი წლების ქართული ნოველა. ეს „განწირულის სულისკვეთება“, „ცუდად რომ მაინც არა ჩაივლის“ „ნაწილიანთა“ თავგანწირვა, ცოტა ხნით მაინც ჩაღვრის ფერსა და მელოდიას „მქისე მოწყენილობით“ დაღდასმულ სოფელშიო,“ (ნ.კუცია) - ფიქრობდნენ.

ალეგორიული თხრობის აუცილებლობას ისტორიული პირობები ქმნიდა, აკაკი ბაქრაძემ საბჭოთა პერიოდის ლიტერატურა „მოთვინიერებულ მწერლობად“ მონათლა და, სამართლიანადაც. რეპრესიებისა და მსოფლიო ომის შემდეგ რკინის ფარდის მიღმა დარჩენილ სამყაროში სხვა რაღა გზა იყო სიმართლის სათქმელად?

ალეგორიულ-სიმბოლური სახისმეტყველებით შემოვიდნენ ლიტერატურაში ახალგაზრდა თაობის მწერლები: გ. რჩეულიშვილი, გ. დოჩანაშვილი, რ. ინანიშვილი,

ნ. დუმბაძე. გამბედავი სიხარულით გამოთქვა მ. ლებანიძემ მთელი თაობის სათქმელი თავისი ლექსის ერთ სტრიქონში: „საოცარია, სამოცდაშვიდის გავხდი პოეტი...“ ახალი თაობის მწერლებმა და პოეტებმა ის გზა გააგრძელეს, ის გამოსავალი იპოვეს, რაც მათმა წინამორბედებმა საუკუნის გარიჟრაჟზე, საკუთარ ყოფას ქვებზე დაგდებულ, ლაყურებახეულ კალმასხს რომ ადარებდნენ და აუცდენელ ტყვიას რომ გრძნობდნენ ტანით.

ამდენად, მე-20 საუკუნეში სათქმელის ალეგორიულად გადმოცემა არა მარტო მწერლური დიდოსტატობის გამოვლენა იყო, არამედ რეალური სოციალურ-საზოგადოებრივი საჭიროებაც. ასე გადაიქცა სიმბოლურ-ალეგორიული ასპექტი მოდერნისტული მწერლობის განუყოფელ ნაწილად და ორგანულად ჩაეწერა ქართული ლიტერატურის თხუტმატსაუკუნოვანი ლიტერატურის მთლიანობაში.

„ალეგორიული თხრობა როდი გულისხმობს „ჭეშმარიტებისაგან სასმენელთა გარე მიქცევას და ზღაპრებს. ეს სხვა „ზღაპრებია“, ჟამის დაუნდობლობის აღმწერ-აღმწესხავი, - წერს ნ. კუცია, „საგანგებოდ უთითებდნენ, ქვესათაურად ურთავდნენ უსაზმნო ტკივილით გაჯერებულ ნოველებს, „ზღაპარიო“, რათა „დევებს“ ან ხატის წიფლებს შემოხვეულ „გველეშაპთ“ საკუთარი თავი არ ამოეცნოთ. მწერლები სხვებს უხმობდნენ ღამისმთევლებად, მაგრამ თავადვე იყვნენ ღამისმთევლები, „გაიძვერა მოყვრის მიერ საწამლავგარეული შარბათით დაბანგულ ერს“ სულს რომ უდგამდნენ, აფხიზლებდნენ, ილიასავით, რომელმაც ქართველს „ლუკმა-ლუკმა დაჭრილი, შესაჭმელ გამზადებული სამშობლო ხელახლა გამოუგონა, მკვდრეთით აღუდგინა, გაუცოცხლა და განუბანა, პირში სიტყვა ჩაუდო, გულში - ცეცხლი, ტვინში - აზრი, ვინც კუდიტ ქვა ასროლინა მთათხველებსა და მაგინებლებს, სიბნელით რომ სარგებლობდნენ და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ მისი სარჩო-საბადებელი, მისი სალოცავი და ძვალთშესალაგი, ვინც ტვირთაკიდებულს ხელს შეაშველებდა, ვინც ბაზალეთის ტბის ფსკერზე ოქროს აკვანი ჩაუდგა და შიგ იმედი ჩაუწვინა, სიჯიუტის, სიმტკიცის, გაუტეხლობის არტახებით გაკრული“ (კუცია, 2009, 62-63).

ამდენად, გოდერძი ჩოხელმა ორიგინალურად გააგრძელა მე-20 საუკუნის ლიტერატურული ტენდენცია, შემოსა რა მეტაფორული ხერხებით, სიმბოლო-ალეგორიებით თავისი სათქმელი, ამით „აიძულა“ მკითხველი მიხვედრას,



გააზრებას იმისას, რა დგას სიტყვის, ნიშნის, მეტაფორის, ტერმინის მიღმა- ესაა მისი სააზროვნო წესი და ამის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია გოდერძი ჩოხელის შემოქმედება.

იმ რეალობაში, რომელშიც ჩოხელი ცხოვრობდა, კომუნისტურმა იდეოლოგიამ მოსპო ყოველივე ადამიანური, ადამიანები სულგამარცვულები აღმოჩნდნენ ირგვლივ გამეფებულ სიბნელეში. ჩოხელი გვაფრთხილებს, რომ სულიერებისაგან დაცლილი ადამიანი სახიფათოა: „სამოცდაათწლიანმა ურწმუნოებაში ცხოვრებამ გადააგვარა ქართველი კაცის სული, ...რწმენის უარყოფამ ყამირად უქცია ქართველ კაცს სული, უფალი ამბობს, ყამირ მიწაზე აღმოცენდება ის, რასაც დასთეს, მაგრამ ...ღვთის ნებით გამოჩნდნენ სარწმუნოებისათვის თავდადებული პირები, რომელნიც დიდი ძალის მეოხებით ამტკრევენ ყამირს და სთესენ სიტყვას უფლისას“ (ჩოხელი 2012, 170).

ურწმუნოების ყამირს მთელი ძალისხმევით ამტკრევდა და უფლის სიტყვას სთესდა გოდერძი ჩოხელი, სიმბოლურ-იდუმალური ანალოგიებითა თუ ფსიქოლოგიური წიაღსვლებით რომ ნიღბავს სათქმელს.

რა თავისებურებებითაა აღბეჭდილი მწერლის შემოქმედება სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნების თვალსაზრისით? ჩვენ ამ კითხვაზე პასუხს ვეძებთ.

როგორც აღვნიშნეთ, სათქმელის ალეგორიულად გადმოცემა რეალური სოციალურ-საზოგადოებრივი საჭიროება იყო, მაგრამ რამ განაპირობა გოდერძი ჩოხელის ესოდენ მრავალწახნაგოვანი, ღრმა და მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი? პირველ რიგში, გავიაზროთ მისი შემოქმედების ზოგადი ტენდენციები:

- გოდერძი ჩოხელის თხზულებათა გაგება-გააზრება შეუძლებელია ფოლკლორულ-მითოსური მსოფლმხედველობის ცოდნის გარეშე, რადგან მისი შემოქმედებითი სამყარო სწორედ აქედან მოდის.
- სათქმელის გამოხატვის ხერხების ერთობლიობა, მხატვრული სიტყვის ძალა, ფრაზის სიღრმე და ემოციურობა გვიქმნის განწყობას, რომ გველაპარაკება ადამიანი, ჩვენ გვერდით მყოფი ადამიანი, ჩვენი კეთილისმყოფელი.

- მწერლის თვითმიზანი არ არის შექმნას განსხვავებული ადამიანი, თუმცა მის შემოქმედებაში ასეთი ძალიან ბევრია. ეს რეალობაში ნანახის, გაგონილისა და მოსმენილის მხატვრული გააზრების ზოგადი შედეგია, რაც თავისთავად მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური საზრისის გამოხატვას ემსახურება.
- უცნაური პერსონაჟების თავგადასავლის თხრობისას, ხშირ შემთხვევაში, დრო არ კონკრეტდება, ეს მწერლის სურვილია - გასცდეს ეპოქალურ კონტექსტს და პრობლემა უნივერსალურ ჭრილში წარმოაჩინოს.
- გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით, მეოცე საუკუნეში ჩამომდგარი დრო ისეთია, რომ კაცი ნებისმიერ არსებად ყოფნას არჩევს, ადამიანობის გარდა.
- და რაც მთავარია, გოდერძი ჩოხელისეული სამყაროს მოდელი, მისი, როგორც შემოქმედის, თვითგამოხატვის უნარი, მიმართულია ერთადერთი მიზნისკენ - ადამიანის გაკეთილშობილებისა და სულიერი კათარზისკენ. სწორედ ესაა მისი შემოქმედების ქვაკუთხედი, მისი მხატვრული საზრისი.

რ. სირაძის აზრით, მხოლოდ მითოსურ ხილვებშია შესაძლებელი, რომ ადამიანის არსებობის სამ სახედ დაყოფისას - ფილოსოფიურ-მეცნიერულად, რელიგიურად და ესთეტიკურად, - სამივე მთელი ინტენსივობით იყოს წარმოდგენილი ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთს ერწყმოდეს.

რით საზრდოობს მთაში შემონახული მითოსური წარმოდგენები და რა მნიშვნელობა აქვს მითოსური სიმბოლოებით აზროვნებას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიხმობთ მკვლევართა აზრს.

საუბრობს რა ქართული მითოლოგიური წარმოდგენების გენეზისზე, თამაზ ჩხენკელი წერს: „ქრისტიანულ სამყაროში იშვიათია სხვა ქვეყანა, რომელსაც მითოსის ისეთი მდიდარი და არქაული დიკუმენტაციის მქონე მარაგი გააჩნდეს, როგორც საქართველოს. ქართული მითოსი ფესვეულად უკავშირდება შუამდინარეთის უძველეს თქმულებებს და, ამავე დროს, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ბერძნულ მითოლოგიასთან, რომლის ბევრი ელემენტი აგრეთვე წინააზიური წარმომავლობისაა. ქართველმა ერმა ახალ დრომდე მოიტანა უძველესი მითური წარმოდგენებით აღბეჭდილი მსოფლშეგრძნება, რომელიც დღემდე ძალუმად

ცნაურდება მის ენასა და ყოფაცხოვრებაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში“ (ჩხენკელი, 2009, 16).

მ. ხიდაშელი მიიჩნევს, რომ „არქაული სამყაროს სურათი საზოგადოების აზროვნების წესით, მითით არის განსაზღვრული, რომელშიც სრულად მოქმედებს ის სიმბოლური, ხატოვანი ენა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გრძნობებსა და ასოციაციებზე იყო დაფუძნებული. ამ სიმბოლოთა ჩვენებით, ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ფიქრები, გრძნობები და ემოციები, მატერიალურ, ხელშესახებ სახეს იღებდნენ. ამიტომ გვიხსნის და გვაზიარებს ადამიანის სულიერი სამყაროს უძველესსა და უღრმეს პლასტებს მითი.

ხალხური აზროვნების შეცნობის გარეშე რთულია გოდერძი ჩოხელის შემოქმედების სწორად გაგება და შეფასება. იგი ადრეული ასაკიდანვე ჩაერთო მითოსური წარმოსახვებით სავსე გარემოში, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ უხვად იყენებს მითოსის ზღვა მასალას საგანთა და მოვლენათა შეუცდომლად განჭვრეტისათვის.

გოდერძი ჩოხელისეული „სამყაროს მხატვრული მოდელი“ მითოლოგიიდან იღებს სათავეს და მასში ისეა შერწყმული რეალური და ფანტასტიკური, რომ ძნელია გარჩევა, ავტორის წარმოსახვაა თუ საიდანმე ნასესხები. მისი შემოქმედებითი ცნობიერება სავსეა მთიელთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებით, მათი ზნე-ჩვეულებები, რიტუალები, გამოგონილი თუ გაგონილი, მისთვის მეტად ნოყიერი ნიადაგი იყო, რომ მთელი სრულყოფილებით გამოეხატა ზოგადსაკაცობრიო იდეალები.

პირველ რიგში, ვნახოთ, რას უკავშირდება გუდამაყრელთა წარმოდგენა არაგვის ხეობაში დასახლებასთან დაკავშირებით და როგორ აისახება ეს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში.

ალ. ოჩიაურის ცნობით, მთაში მხოლოდ მას შემდეგ გამხდარა შესაძლებელი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვა, რაც ღვთისშვილებს ბრძოლა გაუმართავთ ადგილობრივ დევ-კერპებთან და, ღვთის შეწევნით, ერთიანად გაუწყვეტიათ ისინი.

დევ-კერპების დამარცხება ღვთისშვილების შეწევნით მოუხერხებიათ ხეობაში დამკვიდრების მოსურნეთ. ამ ომს ზ. კიკნაძე საღვთო ომს ადარებს. დევები

ავიწროებდნენ ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობას, ბილწავდნენ მათ სალოცავებს, პატივს ჰყრიდნენ ქალებს, კლავდნენ ბავშვებს. შეწუხებულმა მთიელებმა თავიანთ ღვთაებებს მიმართეს და დახმარების თხოვნით.

ღმერთის კართან სათათბიროდ შეკრებილმა ხვთისშვილებმა უზენაეს ღმერთს დევების დასჯა სთხოვეს. წინამძღოლის ასარჩევად ღმერთმა ხვთისშვილთა ძალა გამოსცადა. შეჯიბრში იახსარმა და კოპალამ გაიმარჯვეს, რომლებიც ჩაუდგნენ კიდევაც ლაშქრობას სათავეში. მათ გაანადგურეს დევების ჯარი, მოკლეს მათი გოლიათები მუზა და ბეღელა. ამის შემდეგ დევები უხილავნი გახდნენ და სამუდამოდ მიატოვეს მათი მიწები.

ზ. კიკნაძე თვლის, რომ სწორედ დევების დამარცხებას უნდა მოჰყოლოდა ახალი რჯულის, მხსნელი რელიგიის დაარსება და საყურადღებოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ ღვთისშვილნი „ჯვარის“ სახელწოდებით არიან ცნობილნი.

„დღეს არავინ იცის ღვთისშვილთა საბრძანისი, ალბათ, მას მერე, რაც დევები გაწყვიტეს, ისევ ზეცაში ამალდნენ, ანდა, შეიძლება, ისევ დედამიწაზე არიან და იმ დარბაზში იმყოფებიან, სადაც ოქროს აკვანში მწოლარე ყრმა,“ - წერს გოდერძი ჩოხელი (ჩოხელი, 2011, 15-16) და ამით ეთანხმება გუდამაყრელთა შეგნებაში არსებულ წარმოდგენას, რომ დევებისაგან დაცლილი სამკვიდრო მისი მამული ღვთაებრივი სიწმინდის საუფლოა.

მიწა-წყლის დევთაგან გათავისუფლებას უშუალოდ მოჰყვა სალოცავების დაარსება, რასაც ზ. კიკნაძე დევების წინააღმდეგ მებრძოლ წმიდანთა „გაანგელოზებით“ ანუ ხორციელი არსებობიდან უხორცო არსებობაში გადასვლით ხსნის. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ღვთისშვილები უკავშირდებიან ახალი რელიგიის დამკვიდრებას, ისინი „ქმნიან ადამიანთა თანაცხოვრების ზნეობრივ კოდექსს“. ცხადი ხდება, რომ ადამიანთა დამკვიდრებისთანავე არავის ხეობაში ჩნდება სულიერი ფასეულობები, კეთილისაგან ბოროტის დამღვევის ცნება, რაც აძლიერებს კიდევ მას სტრუქტურულად და მსოფლმხედველობრივად. ღვთისშვილნი კი რჩებიან ამ ადამიანების წარმოდგენაში, როგორც ერთგვარი მფარველი ანგელოზები.

ჩვენი მიზანია გოდერძი ჩოხელის მწერლური მისიის გააზრებისა და მისი მითოსურ-ალეგორიული ექსპრესიის თავისებურებათა ასახვა. ამასთან დაკავშირებით, გვინდა დავეთანხმოთ ნ. ჩიკვაიძეს, რომელიც ფიქრობს, რომ: „მითოსური წარმოდგენები ყველაზე უფრო მეტად მოსავს აზროვნებას სახე-სიმბოლოების სამოსით და აიძულებს ადამიანის ცნობიერებას ინტუიციური წიაღსვლებით, დასიმბოლოებული აზროვნების პარადიგმებით გააღწიოს არსებული რეალობის მატერიალიზებულ სიტლანქეს და სილბო შესძინოს შინაგან სამყაროს, მინიჭოს მოვლენებს სახე-სიმბოლოებად გარდაქმნის, გააზრების უნარი და ამით ოდნავ მაინც მიემსგავსოს ადამიანის პირვანდელ ბუნებას, მარტივი, (არაპრიმიტიული) აზროვნების უნარით“ (ჩიკვაიძე, ფსიქოლოგიზმი ლიტერატურაში).

მაშ ასე, მწერლის თვითგამოხატვის თავისებურებებზე, მის ესთეტიკურ პარადიგმებზე ფიქრისას მოვიძიეთ და განვაზრცეთ ის მხატვრული სახე-სიმბოლოები, რომელიც ასე უხვადაა მიმოხეული რომანებში, მოთხრობებსა თუ ლექსებში. თითოეული მათგანი გამოხატავს მწერლის შინაგან ხმას, აზროვნების მორალურ-ზნეობრივ ფორმატს და მთლიანობაში ქმნის ერთიან მხატვრულ საზრისს, გოდერძი ჩოხელის მწერლურ სათქმელს.

სიმბოლურ სახეებზე საუბარს ცენტრალური მითოსური ფიგურებით - **ღვთისშვილებით** დავიწყებთ. „ღვთისშვილნი ცოცხლობენ საკრალური სიცოცხლით. მათ მიერვე გათავისუფლებულ მიწა-წყალში და იქ მცხოვრები ხალხის შეგნებაში, როგორც ამ კაცობრივი მიკროკოსმოსის მცავი მფარველი ანგელოზები“ (ზ. კიკნაძე).

გავეცნოთ ღვთისშვილ იახსარს:

**იახსარი** აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების (ფშავ-ხევსურეთი) მითოლოგიაში ერთ-ერთი ღვთისშვილია, რომელიც ზეციურ მოციქულად ითვლებოდა, რომელიც სვეტის ან ჯვრის სახით წარმოსდგებოდა. იახსარს თაყვანს სცემდნენ, როგორც ბოროტ ძალებთან - დევებთან, ქაჯებთან, ეშმაკებთან მებრძოლ ღვთაებას, რომელიც იცავს როგორც მისი მფარველობის ქვეშ მყოფ ადგილს, ისე ყველა ადამიანს, ვინც შველას ითხოვს.

ხალხური რწმენის მიხედვით, იახსარი განდევნის ბოროტ სულებს სულიერად დაავადებული ადამიანისგან და უბედური შემთხვევით (მეხის დაცემა, ზვავში მოყოლა და ა. შ.) გარდაცვლილთაგან. ამ ფუნქციების გამო და ასევე მოსახლეობის მიგრაციის შედეგად იახსარის კულტმა ფართო გავრცელება ჰპოვა აგრეთვე თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარში, ერწო-თიანეთში და სხვა რაიონებში.

ვნახოთ, როგორ იაზრებს გოდერძი ჩოხელი იახსარის მხატვრულ სახე-სიმბოლოს: „ხევსურეთის მხარეს, იქ, სადაც მაღალი ჭიუხებია, თითქმის ზედ მწვერვალზე ლივლივებს მოზრდილი ტბა, რომელსაც აბუდელაურის ტბას ეძახიან. აქედან კარგად სჩანს მყინვარწვერი, სადაც შორეულ წარსულში ზეციდან ღვთისშვილები: - კოპალა, კვირე, კანჩხა, კარატე, იახსარი და კიდევ სხვანი ჩამომსხდარან, რათა შებრძოლებოდნენ დედამიწაზე გამეფებულ დევების მოდგმას... სწორედ აქ, აბუდელაურის ტბაში ჩაუძვრა დევი იახსარს, რომელიც დევს ტბაში ჩაჰყვა და იქ მოკლა. დევის სისხლი ტბის ზედაპირს გადაეკრა და ვეღარ ამოდიოდა იახსარი ტბიდან მანამ, სანამ ოთხრქიანი ჭედილა არ დაკლეს ტბაზე და იმის სისხლით არ გადარეცხეს ტბის ზედაპირიდან დევის სისხლი. ახლა კი შეეძლო იახსარს ტბიდან ამოსვლა, იგი მტრედის სახით ამოფრინდა“ (ჩოხელი, 2011, 15-16).

ცხადია, აქაც მითოლოგიურს ქრისტიანული ერთვის და ბოროტ ძალაზე ღმერთის გამარჯვებას ზეიმობს, ამ გამარჯვებისთვის მსხვერპლია საჭირო.

„ჯვარი და საყმოს“ I ნაწილში ზურაბ კიკნაძე წერს: „აბუდელაურის ტბის ნაპირას ხდება პირველი მისტერია საყმოს საკრალურ ისტორიაში: გამორჩეული ცხვარი იკვლის (პირველი საკლავი, პირველი მსხვერპლშეწირვა - დასაბამი მრავალგზის შეწირული მსხვერპლისა). წმიდა სისხლი უწევს იახსარს და ის არა მხოლოდ მხარახსნილი, არამედ ფერნაცვალი, მტრედის სახით ამოფრინდება ტბის სიღრმიდან, სადაც მან უკანასკნელი დევი ჩატოვა. მაგრამ ოთხრქა, ოთხყურა საკლავის სისხლი არა მხოლოდ ტბის შვერულ ზედაპირს გახსნის, არამედ - როგორც ამ სიმღერის ერთი გუდამაყრული ვარიანტიდან ჩანს - ცასაც გახსნის და მტრედი, ღვთისშვილის ნიშანი, თითქოს ერთდროულად ტბიდანაც ამოდის და ციდანაც ჩამოდის, როგორც ნათლისღების დროს იორდანეზე, როცა დასაბამი მიეცა ახალ რელიგიას“.

ზ. კვიციანი იხსენებს, როგორ განმარტავს „ღვთის ძეგ“ ანუ ღვთისშვილთ პავლე მოციქული: „რომელნი სულითა ღმრთისადათა ვლენან, ესენი არიან ძენი ღმრთისანი“ (რომ. 8:14) და დასძენს: „მთიელთა ღვთისშვილნი ანუ „ძენი ღმრთისანი“ არიან სწორედ ის არსებანი, რომლებიც მორიგე ღმერთის ნებით მოევიწყნენ ადამიანებს საშველად - დევ-კერპთაგან მათ დასახსნელად“.

სწორედ ამგვარი როლი და მისია აკისრია იახსარს გოდერძი ჩოხელის ერთ მოთხრობაში „დევების ნასოფლარი“. გუდამაყრელ მექორწილეებს გზაში დაუღამდათ და დევების ნასოფლარს მიადგნენ. ქორწილი ჰქონდათ დევებსაც. ცეცხლზე შემოდგმულ საარაყე ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა. დევების მბრძანებელმა თავისთან მიიწვია მექორწილეები, რომლებიც უხმოდ მიდიოდნენ. დევების ნეფეს პატარძლის სილამაზემ აღმური მოუკიდა სახეზე და წართმევა დაუპირა სიძეს.

„ - გვიშველე, დიდო იაღსარო! - დაიძახა ამ დროს ვიღაცამ მაყრიონიდან და როგორც ცის ელვა, ისე რამ გაკრთა იმ ადგილას.

დამფრთხალი დევები უშველებელი წიფლის ტყეში მიმოიფანტნენ“ (ჩოხელი, 2008, 80).

ამ სიუჟეტშიც უფლის ნების გამომხატველია იახსარი, რომელიც საფრთხეში ჩაცვენულ ადამიანებს ეხმარება. ადამიანის სასიკეთოდ იყენებს ავტორი მთიელთა წარმოდგენას, რომ ღვთისშვილები ყველაფერს "მორიგე ღმერთის" ნებით სჩადიან, ამ რწმენამ უნდა გააძლიეროს ადამიანი, იმის შეგნებამ, რომ სამყაროში ბოროტი ძალების ამარა მართო არ არის, ამან უნდა გაახსენოს ადამის მოდგმას, რომ ოდესღაც ხატი და სახე იყო ღვთისა, ამან უნდა აღძრას მის წიაღში დასაბრუნებლად ძე შეცდომილი.

სამყაროს გააზრების სიმბოლური სურვილი დევს **სამანების** არსებობაში. მთა, რომელიც ინახავს საკრალურ ცოდნას, სწორედ სამანების არსებობით გამოხატავს ერთგვარ მორალურ-ზნეობრივ ნორმებს, რომელიც ადამიანმა უნდა დაიცვას. ამაზე მიგვანიშნებს სამანების განლაგება მთაზე აგებულ სალოცავზე.

მთიელთა წარმოდგენით, როგორც ირკვევა, „ადამიანი არ არის უფლებამოსილი თავისუფლად აარჩიოს საკრალურის ადგილმდებარეობა, ამაში მას ღვთაება ეხმარება, ცხოველის ან ფრინველის სახით გამოეცხადება, ნიშანს აძლევს და

შემდეგ საკრალურისაკენ მიჰყავს. მითოსური ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ეს უძველესი არქეტიპი ქართულ სამყაროში აქტიურად მოქმედებს, სხვადასხვა სახით განსახიერებული ღვთაება და ხალხს ხატის დაარსების ადგილზე მიუთითებს“ (ხიდაშელი, 89-90).

საინტერესოა, რომ გოდერძი ჩოხელის მიერ მხატვრულად გააზრებულ ისტორიაში სწორედ ამგვარი წარმოდგენის კვალს მივაგენით. მოთხრობაში „სამანს იქით დასახლებულნი“ წმინდა გიორგის სალოცავში მოსულ ჩოხელებს შუღლაი ხატის მსახურებისკენ მოუწოდებს და უამბობს: „გუშინ ცირასების მთაში წავედი სანადიროდ. წიფლიან ტყეში რომ გავედი, დიდველში ქორბუდა ირემს გადავეყარე. ყვავილებში იწვა და მშვიდად იცოხნებოდა. მოვზიდე მშვილდი, მაგრამ ისარი ვერ ვტყორცნე, ხელები რაღაცა ძალამ დამიჭირა და არ მასროლინა. ვუცქერ და ირემიც მიყურებს. მერე სანთლები დაენტო რქებზე, წამოდგა და მთის წვერისაკენ წამიძღვა. მშვილდ-ისარი იქვე დავაგდე და გავყევი. მთაზე რომ ავედით, ირემი გაქრა. ვდგავარ ერთ ადგილზე და გაკვირვებული ვათვალიერებ მთა-გორებს. უცებ მტრედი დამაჯდა მხარზე და მორთო ღულუნი. მივხვდი, ხთით იყო გამოგზავნილი.

გაღმა ხევიდან ხეების ლეწა-მტვრევის ხმა მომესმა და უზარმაზარი დევი გამოიქცა იქიდან ჩემკე. მტრედი გუდაში ჩავსვი და და გამოვიქეცი. ის იყო უნდა მომწევნოდა დევი, რომ ჩემ წინ ირემი გაჩნდა, დაიჩოქა და მეც ზურგზე შევახტი. რქებზე ისევ ენთო სანთლები, მომარბოლებდა და მოგვდევა დევიც. სოფლის იქით რომ მოვმარჯვდით, წამოგვეწია დევი, მაგრამ, სწორედ იმ დროს, ჩვენ უკან დიდი წიფელი წამოიქცა გზაზე და სანამ დევი ზედ გადმოხტებოდა, მანამდე სოფელში მოვედით. მტრედმა ღულუნით მანიშნა, გამიშვიო და გავუშვი. აფრინდა და ჩვენი სახლების თავზე რომ გორია, იმ გორს შემოუფრინა გარშემო და ამიტომ, ის ადგილი წმინდად უნდა შევინახოთ... ის წმინდა გიორგის სამკვიდრებელია დღეიდან. აქ გაცხადდება ყოველი თქვენი სიკეთე და დანაშაული“ (ჩოხელი, 2007, 46).

მიგვაჩნია, რომ შუღლაის ნაამბობში კვლავაც ქრისტიანულ-წარმართული სიმბოლოების ურთიერთკავშირი იკვეთება. შუღლას მშველელი ირემი არქაული სახე-სიმბოლოა, რომელიც, როგორც ჩანს, ჩოხელების ხსოვნას ჯერ კიდევ წინარექრისტიანული ხანიდან შემორჩა, ხოლო უბეში დამალული მტრედი -



ცალსახად ქრისტიანულია. უაღრესად საინტერესოა ის ნიუანსი, რომ რქებზე სანთელანთებული ირემი სწორედ მაშინ ევლინება მხსნელად შულლას, როცა ის მტრედს ჩამალავს უბეში. ხომ არ ნიშნავს ეს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე არალეგალურ ქრისტიანთა მალვასა და დევნას? თუ ამ აზრის რელევანტურობას ვირწმუნებთ, ვირწმუნოთ ისიც, რომ გოდერძი ჩოხელის მონათხრობით ღრმა ისტორიულ წარსულს ვაცოცხლებთ.

საინტერესოდ გრძელდება მოთხრობა. შულლას მიერ მონიშნულ სამანში ჩოხელების სალოცავი ადგილი შემოიფარგლა, იქვე დასახლდა დევიც, დიდი ქვა მოიტანა და შუა გორზე დადო. გორის იქით ის დამკვიდრდა, გორის აქეთ - წმინდა გიორგი.

„ვინც დღეის მერე სიკეთეს ემსახურება, ის წმინდა გიორგის ემსახურება და მან უნდა იცხოვროს ლოდის აქეთ, წმინდა გიორგის ადგილში. აქვე უნდა დაიმარხოს სიკვდილის მერე. ვინც ან კაცს მოკლავს, ან იმრუშებს, ან სხვა რაიმე მიუტყვებელ დანაშაულს ჩაიდენს, ის ბოროტ სულს ემსახურება და მას უფლება არა აქვს წმინდა ადგილში იცხოვროს. ასეთი კაცი უნდა მოვიკვეთოთ და დავასახლოთ ლოდის იქით, დევის სამკვიდრებელში. სამარხიც იქ უნდა ჰქონდეს.“

ვინც გორის აქეთ, წმინდა ადგილში იცხოვრებს და აქეთვე დაიმარხება, იმას, ამ სოფლიდან წასვლის მერე, საუკუნო სასუფეველი მოელის, ხოლო სამანს იქით დასახლებულნი მარადიულ ტანჯვაში იქნებიან“ (ჩოხელი, 2007, 47), - ასე გაიმიჯნა სინათლე და სიბნელე, სიკეთე და ბოროტება, ცოდვა და მადლი, სამოთხე და ჯოჯოხეთი. ასე დაიწყო ახალი სამყაროს შექმნა, ახალი სამართლებრივი მორალით, ახალი ღმერთით.

ამ მოსაზრებას შესაბამისი დასაბუთებით ვხვდებით მ. ხიდაშელის ნაშრომში: „არქაული ცნობიერება კოსმოსს ორ, ურთიერთსაწინააღმდეგო ნაწილად ყოფს - პროფანულსა და საკრალურ სამყაროებად. პროფანული ადამიანის მიწიერი ცხოვრებაა, რომელზეც საკრალური სამყაროა ზეადმართული; ეს საკრალური სივრცეა, აქ საკრალური დრო მოქმედებს, აქ კულტურული გმირები და ღვთაებები სახლობენ. სწორედ ეს საკრალურია მიწიერი ცხოვრების მომწესრიგებელი, აუცილებელი წესრიგის საფუძველი, სულიერი ძალების საგანძური. აქაც იქმნება

პროფანული ცხოვრების ერთგვარი იდეალური ხატი, რომელთანაც ადამიანის ყოველდღიური ურთიერთობა გარდუვალი და აუცილებელი ხდება. მედიაციის როლში ისეთი საგნები ან მოვლენები გამოდიან, რომლებიც ერთდროულად პროფანულ სამყაროსაც ეკუთვნიან და საკრალურსაც. ესენია: მთა, ტაძარი, სვეტი, სამყაროული ხე, ჯვარი და სხვ. ამგვარად, კულტურის დამკვიდრებისათვის აუცილებელი იყო კოსმოსური ღერძის აღმართვა, ან სამყაროული ხის ამოზრდა, რასაც რეალურ ცხოვრებაში შეესაბამებოდა სალოცავის აგება, რათა ადამიანი საკრალურ სამყაროს დაკავშირებოდა, იქიდან მიეღო სულიერი ძალა, რაც ადამიანის არსებობისთვის ასე აუცილებელი იყო“ (ხიდაშელი, 89-90).

სწორედ ამგვარი საკრალური სამყაროა თემი, თავისი საკულტო ნაგებობით, სალოცავით, წეს-ტრადიციებით და დადგენილი სამართლის, გნებავთ, ზნეობის ნორმებით, ადამიანებით, რომლებიც სამანსა და სამანს შორის მერყეობენ, ვინაიდან მათი ცხოვრება, გარდა ყოფითი კულტურისა, ცხოვრებისეული შეხედულებებითა და წარმოდგენებითაა სავსე.

„ჩემი სოფელი ერთი მთლიანი ოჯახია, დიდი ოჯახი, აქ მხოლოდ ერთი გვარის ხალხი ვცხოვრობთ, ერთი თემი ვართ, ერთი სალოცავი გვაქვს და იმ თემისა და იმ სალოცავის კანონებით ვცხოვრობთ. სალოცავის გვერდზე სათემო გორია, ამ გორაზე ანთებს დღეობაში დეკანოზი სანთლებს, იმ გორაზე კლავენ შესაწირავ საკლავებს, იმ გორაზე იყრის მუხლისჩოქსა ყოველი ჩვენგანი და იმ გორაზე ხდება ყოველ თემში დაბადებული მამაკაცის ჯვარში გაწევრიანება. ამ გორაზე, ლოცვის შემდეგ, სამჯერ დააგორებს ხოლმე დეკანოზი პატარა ჩოხელს და ამის მერე ის ამ გვარის მატარებელი ხდება, ამ გვარის სალოცავის ყმა ხდება - ამას „ხატში გარევა“ ჰქვია“ (ჩოხელი, 2008, 86).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხატის დღესასწაულებს საკრალური მნიშვნელობა აქვს ხეობაში და მას ღვთიური მადლით გამორჩეული ხევისბრები ატარებენ. გოდერძი ჩოხელი დეტალურად აღწერს ამ რიტუალს მოთხრობაში „გაცოცხლებული მიცვალებული“: „სანთლებს კრებენ ხატის დასტურები, ხევისბერთან მიაქვთ, რომელიც ქუდმოხდილი, თავზე თეთრ მიტკალწაკრული დგას სალოცავის გორაზე,

ანთებული სანთლების კონა უჭირავს და ღმერთს ადიდებას, მლოცველს ახვეწებს და მერე ღვთისთვის შეწირულ საქონელს უტრუსავს იმ სანთლების ალით შუბლს.

სანთლის ალით შეტრუსული შესაწირი საქონლის ბეწვის სუნი დგას ირგვლივ. ეს სურნელი უნდა იყნოსოს ღმერთმა, რომ შეეწიოს კაცთა მოდგმას, რომელნიც პირველქმნილი ცოდვის მერე ახალ-ახალ ცოდვებს ჩადიან და შესაწირავი საქონლის დაღვრილი სისხლით ცდილობენ თავიანთი ცოდვების გამოსყიდვას“ (ჩოხელი, 2008, 12).

როგორც ირკვევა, სურნელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ღვთაებრივი ნიშნის გამომხატველია. ხატობის დღესასწაული ერთგვარი დასტურია უფლისადმი ერთგულებისა, დასტურია გუდამაყრელთა მორალურ-ეთიკური სიწმინდისა, რომ ღვთის სამანს არ გასცდომიან, სული არ გაუყიდიან და ისევ გრძნობენ უფალს საკუთარ სხეულში, თუმცა „სევდიანი და ცოდვიანია სულეთის ქვეყნისაკენ მიმავალი გზა.“ ადამიანები ხომ სამანებს შორის არიან მოქცეულნი, დროდადრო ცდუნება დასდევთ ხოლმე, მერე „გზადაგზა გაახსენდებათ ღმერთი, ილოცებენ, სანთელს აანთებენ, შესაწირს შეწირავენ და მერე ისევ იმ ცოდვიან გზას დაადგებიან, რომელ გზასაც სულეთის ქვეყნისაკენ მიჰყავთ ისინი, სადაც მათ სამოთხეც ელოდებათ და ჯოჯოხეთიც“ (ჩოხელი, 2008, 12).

სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის ჭიდილია მთიელთა ცხოვრება. დუალისტური შინაარსის მატარებელია მათ ირგვლივ ყველაფერი: ბუნება ერთდროულად მშვენიერიცაა და მკაცრიც, ყოფა მძიმეცაა და ლაღიც, რიტუალი ერთდროულად სასტიკიცაა და ღვთიური ნიშნით აღბეჭდილიც, რწმენა წარმართულიცაა და ქრისტიანულიც, მაგრამ ეს სულაც არაა მთავარი, მთავარი ისაა, რომელი იმარჯვებს, რომელს უფრო ემსახურებიან ხეობის გამორჩეული შვილები? რა მორალურ საზრისზე დგას ავტორი, რომელიც ასეთი უტყუარობით აღწერს, ასეთ სითბოს აყოლებს თითოეულ ამბავს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მაგალითი მოვიყვანოთ: ცოდვიანი კაცი იყო ბერა, მის საფლავთან შეკრებილიყვნენ ჩოხლები, რათა ღვთისთვის ეთხოვათ - ბერასთვის შეენდო მისი მძიმე ცოდვები. ასევე მოკრიფეს სანთლები, რომლებიც ბერას მიერ დახოცილთათვის უნდა აენთო ხვეისბერს.

„იდეა მოხუცი ხევისბერი და ორივე ხელში ჯერ აუნთებელი სანთლების შეკვრა ეჭირა.

უცებ იელვა. ელვა სანთლებს მოეკიდა და ხევისბერი შეკრთა:

- დიდება შენდა, ღმერთო! - აღმოხდა მას.
- შეისმინა! შეისმინა!

- მიიღო! გაეხსნა გზა სასუფეველისაკენ! - იძახდა აღტაცებული ხალხი, რომელიც გულმხურვალედ ლოცულობდა ჩოხის წმინდა გიორგის მოედანზე, რომელიც იმ მთაზეა აშენებული, სადაც ოდითგან ათასგვარი სასწაული ხდებოდა. დღევანდელი სასწაულიც, ამიტომ არ უკვირდა ხალხს და მას ისევე ჩვეულებრივ ამბად ღებულობდნენ, როგორც იმას, რომ ახლა აქ არიან და ლოცულობენ. მათ არ დაუნახავთ, როგორ ამოფრინდა ამ დროს აბუდელაურის ტბიდან მტრედი, არხოტის და ქისტეთის მთებს შემოუფრინა, მერე ერთხანს ბერას საფლავის თავზე იღულუნა და მცინვარისაკენ გაფრინდა" (ჩოხელი, 2008, 30).

ჩვეულებრივ ამბად მიიღეს ბერას შენდობა უფლისაგან ჩოხლებმა, ასე გვაწოდებს თემის შეგნებას გოდერძი ჩოხელი, მისი ღრმა რწმენით, „ღმერთი თავად სიყვარულია“ და ამიტომ მიტევებას, შენდობას სწორედ უფლისაგან სწავლობს ადამიანი - ესაა გოდერძი ჩოხელის ჭეშმარიტება.

პირველსაწყისთან მიბრუნების სურვილითაა შთაგონებული მწერლის კალამი, აბუდელაურის ტბიდან აფრენილ მტრედს რომ ხატავს ღვთის სიყვარულის ნიშნად. მივაქციოთ ყურადღება მტრედის მოძრაობის ვექტორსაც - მაღალი ჭიუხების წიაღში, ზედ მწვერვალზე მოლივლივე ტბიდან ამოფრინდა მტრედი, არხოტსა და ქისტეთს გადაუფრინა, ანუ იმ ცოდვიან ადგილებს, სადაც ყველაზე მეტი სისხლი დაიღვარა საუკუნეების განმავლობაში, შემდეგ ბერას საფლავზე დაეშვა, როგორც ნიშანი პატიებისა, გაგებისა, აღიარებისა. შესაძლოა, მავანმა შინაარსობრივი კონცეფციიდან გამომდინარე, მტრედი აქ მშვიდობის სიმბოლოდ მიიჩნიოს, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ, გოდერძი ჩოხელთან მტრედი სულიწმინდაა, უფლისაგან გამოგზავნილი, რომელსაც ზეციდან ცოდვილი ადამიანის სიყვარული და შენდობაც კი ჩამოაქვს და არა მშვიდობის დამყარების სურვილი.

ამავე ჭრილში აღვიქვამთ ფაქტს, რომ „სალოცავთან ახლოს მისვლა, „სათემო გორაზე“ შედგომა და იქ მუხლის მოყრა მხოლოდ კაცებს შეუძლიათ... მამაკაცი უფრო წმინდად ითვლება, ვიდრე ქალი და ამიტომ არ არის სამანები დაწესებული კაცებისათვის... იქნებ აქ, სალოცავის ახლო ყოფნით ხედავენ კაცები თავის მეტ უფლებას ღმერთის წინაშე ქალების მიმართ... იქნებ ქვეცნობიერად გრძნობს კაცი, რომ ღმერთმა ქალზე ცოტა მეტად მას აპატია“ (ჩოხელი, 2011, 10-11).

რა უპირატესობით სარგებლობენ მამაკაცები თემში, რა სარჩული უდევს სამანების არარსებობას კაცებისათვის, რა გამოარჩევს კაცს დედათაგან? რით აიხსნება ამგვარი დისკრიმინაციული მიდგომა სუსტი სქესის მიმართ? იქნებ ეს ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ წყაროებში დაფიქსირებული ტრადიციის გამოძახილია მხოლოდ? არა გვგონია...

ჩვენი აზრით, ამ განსხვავებას კაცისა და ქალის ფუნქციური მნიშვნელობა განაპირობებს: კაცი დამცველია, ქალი - დასაცავი, კაცი შემქმნელია, ქალი - შემნახავი. სწორედ ამიტომ, ის უნდა იყოს ღვთიურ სამანებში მოქცეული, სწორედ ის არ უნდა შეცდეს არასოდეს, რადგან მან უნდა აღზარდოს, მოუაროს, გადასცეს თაობიდან თაობას ყველაფერი ის, რასაც კაცი ქმნის. ქალი სუბსტანციური არსებაა, კაცი დინამიურია, ამ დინამიურობაში კი სამანებს შორის რყევაც დასაშვებია. ამ ჭეშმარიტებაში გააზრებულია კაცის კიდევ ერთი მთავარი მისია - ებრძოლოს მტერს, რომელიც მას მონაპოვარს ართმევს. ამიტომაც ეშვება სულიწმინდა - მტრედი ბერას საფლავზე და ჩუმი ღუღუნით შენდობას აძლევს მას.

ასევე საინტერესოდ იკითხება მამაკაცის ზემოთ ნახსენები განსაკუთრებული მისია ღვთისშვილთა და გახუა მეგრელაურის ურთიერთობის შესახებ დაცულ მითოლოგიურ მასალაში. გახუა ბაცალიგოელი ხევისურების ჯვარ-ღმერთების ერთგული იყო. როგორც კაცი კაცს ელაპარაკება, ისე ელაპარაკებოდნენ მას ღვთისშვილები. ყველაფერს აგებინებდნენ, სადაც წავიდოდნენ, თან გაიყოლებდნენ, ხან ლაშქრობაში, ხან დევებთან ბრძოლაში, ხან სად და ხან სად. ერთხელ გუდანის ჯვარმა, ხახმატის ჯვარმა და იახსარმა გადაწყვიტეს დევებთან საომრად წასვლა. პირობა შეკრეს. თქვეს: ხორციელი ვინ გვინდა, რომ შეგვეშველოსო. გახუა წავიყოლოთო, - უთხრა გუდანის ჯვარმა. დაუჯერეს ხახმატის ჯვარმა და

იახსარმაც.

დაიბარეს გახუა. უთხრეს რაშიაც იყო საქმე. „მეძნელება თქვენთან,... დიდი ხათრი მაქვს თქვენი, მაგრამ, დიდნო ბატონნო, უარს როგორ გეტყვით, წავიდეთო“... - შენ გახუავ! უკან, შორი-ახლო მოგვეყვიო, - უთხრეს. უკან დაბრუნებულ გახუას საკუთარი სხული უკვე ხრწნაშემდგარი დახვედრია, მატლები დასეოდა და მხარი თაგვს ამოეჭამა. გახუას სულს შეზიზღებია ამგვარ სხეულში ჩაბრუნება, მაგრამ ხატებს დაუძალებიათ და ისიც ძველებური სახით აღდგენილა, ოღონდ მხარზე თაგვის ნაკბილარი დარჩენია“, - ამ სახითაა დაცული ინფორმაცია მთიელთა მითოლოგიურ გახუა მეგრელაურის შესახებ.

ვნახოთ, როგორ იაზრებს **სულთან გაყრილი კაცის სახე-სიმბოლოს** მწერალი. „აქედან კარგად სჩანს მყინვარწვერი, სადაც შორეულ წარსულში ზეციდან ღვთისშვილები: - კოპალა, კვირე, კანჩხა, კარატე, იახსარი და კიდევ სხვანი ჩამომსხდარან, რათა შებრძოლებოდნენ დედამიწაზე გამეფებულ დევების მოდგმას. სწორედ იქ, მყინვარწვერთან შეიყვანეს საოცარ დარბაზში ხთისშვილებმა გახუა და იქ ოქროს აკვანში მწოლარე ყრმა აჩვენეს, რომელსაც ანგელოზები უგალობდნენ. გახუა ჩვეულებრივი მოკვდავი იყო და ხთისშვილებმა იგი ქაჯებთან საბრძოლველად წაიყვანეს ქაჯეთში. ხორციელად ვერ წაიყვანდნენ ხთიშვილები გახუას და ამიტომ მხოლოდ მისი სული წაიყოლეს სალაშქროდ. როცა ქაჯეთის ქვეყანა დაამარცხეს ხთიშვილებმა და უკან გამარჯვებულნი მობრუნდნენ, გახუას სულს თაგვის სხეულში ჩაბრუნება აღარ უნდოდა, მოეჩვენა, რომ თაგვებისა და ჩრჩილებისაგან იყო სხეული გამოხრული და ხთიშვილებთან ნამყოფ სულს აღარ მოსწადდა სხეულში ყოფნა. მაშინ ერთ-ერთმა ღვთიშვილმა უბრძანა:

- ჩამვერ, შე მეყველპურე გახუავ, შენა! - და ამის მერე გახუას სული სხეულში ჩაბრუნდა...“ (ჩოხელი, 2008, 6).

საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა მწერალმა ასე? რას უნდა ნიშნავდეს ერთ-ერთი ღვთიშვილის ასეთი დამამცირებელი ბრძანება? რამ ათქმევინა გახუას საკუთარ სხეულზე უარი? აკი პირდაპირ გვეუბნება ავტორი: „ხთიშვილებთან ნამყოფ სულს აღარ მოსწადდა სხეულში ყოფნა.“

ამ უცნაური ინტერპრეტაციის გასაღები ბიბლიური კოსმოგონიის დასაწყისშია, სადაც ნათქვამია, რომ ღმერთი არის ყველგანმყოფი ყოვლისშემძლე არსი. „არსი“ სულს ნიშნავს. ღვთისშვილებიც ხომ სულები არიან მთიელთა შეგნებაში, მაშასადამე, გახუასაც ღვთისშვილებთან გატოლება მონდომებია. და რა არის ამაში ცუდი, განა ყველა ადამიანი ამისკენ არ უნდა ესწრაფვოდეს? გახუას შეცდომა ისაა, რომ დროზე ადრე, დაუმსახურებლად მოინდომა სულად ყოფნა და ღმერთთან მიახლება.

კოპალამ, კვირემ, კანჩხამ, კარატემ, იახსარმა დაიმსახურეს ღვთისშვილობა (მათ დევები დაამარცხეს), გახუამ კი არა. როგორია ავტორის ლოგიკა მითოსურ-რელიგიურ ასპექტში? ლოგიკა ერთი მარტივი ჭეშმარიტებაა - ყველაფერს თავისი დრო აქვს და შემთხვევით არაფერი ხდება. ღვთისშვილებს გახუას ფიზიკური დახმარება არ სჭირდებოდათ, ღვთისშვილებს მისი გამოცდა სურდათ. ისინი ხომ ხეობის ზნეობის მცველები და მფარველები არიან.

ხევსურების გადმოცემით, როცა ჯვარ-ანგელოზნი, ღვთისშვილნი არ ეხმარებიან, როცა ტოვებენ ადამიანს, მაშინ ადამიანი „დაიხელთება,“ გაგიჟდება, რადგან ეშმაკები იწყებენ ზეობას. ეშმაკისეული სიმბოლოებია გახუას უართქმულ სხეულს და სულს დასეული ჩრჩილი და თავვი, რადგან მან განარისხა ღვთისშვილები და დაკარგა კავშირი უფალთან. „ხომ ხედავ, გახუავ, აღარ უნდინარ ხთიშვილებს, აღარ გენახვებიან! - ჩასძახოდა ყურში ეშმაკი.

შესთხოვა გახუამ ხთიშვილებს, კიდევ სჩვენებოდნენ, მაგრამ ყოველთვის კაცთა სურვილზე არ არის ხთიშვილთა ნება-სურვილი და, რაკი ეშმაკმა მოსვენება აღარ მისცა, გახუამ თავი მოიკლა..

ხთიშვილებთან ნამყოფს ადამიანად ყოფნა გაუჭირდა.

...ვიწრო და საცდურია კაცთა ბუნება“, - ასეთია ნაწარმოების ფინალი (ჩოხელი, 2008, 16).

როგორც ჩანს, ღვთისშვილთა არსებობას, გნებავთ ჩვეულებრივ მოკვდავთა „ვიწრო და საცდურ“ ბუნებას კიდევ უფრო აძლიერებს შეგნება, რომ ისინი მუდმივი ბრძოლის რეჟიმში ცხოვრობენ. ამ სკნელებითა და სამანებით შემოსაზღვრულ სამყაროში ორი საწყისია - კეთილი და ბოროტი. სწორედ მათი გაუთავებელი

ჭიდილია ცხოვრება და ამ ჭიდილში ერთ მხარეს მადლი, მეორე მხარეს - ცოდვა, ერთ მხარეს მოზიემე სიკეთე, მეორე მხარეს - დამარცხებული ბოროტებაა. ამ კონტექსტში ღვთისშვილების საკითხის განხილვა შეუძლებელია **დევე-ემმაკთა** გარეშე. ღვთისშვილები ხომ ღმერთმა სწორედ დევებთან საომრად გამოაგზავნა ადამის მოდგმის გადასარჩენად.

ქართული ზეპირსიტყვიერების ამ ამოუწურავ ფენომენს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში. „მცოვანი ხალხის გადმოცემით, ჩვენი სოფლის ტყეში ადრე რაღაც ბანჯგვლიანი, დევისმაგვარი არსებები ცხოვრობდნენ, რომელთაც უეცარი გამოჩენა და გაქრობა შეეძლოთ. ახლა მათნაირებს „ასტრალურ არსებებს უწოდებენ“ (ჩოხელი, 2012, 153), - იხსენებს გოდერძი ჩოხელი.

დევისა და ღვთისშვილის უტყუარ ურთიერთკავშირზე საუბრობს ზ. კიკნაძე „ჯვარი და საყმოს“ I ნაწილში: „ის მიწა-წყალი, სადაც საყმო სახლობს, ისტორიულ ხანაში ღვთისშვილებმა დევებს გამოგლიჯეს ხელიდან, როგორც ძველ მითოსში სოფლისათვის წყლის დამკავებელ გველეშაპს. ამ ბრძოლების ხსოვნა შენახულია არა მხოლოდ საყმოს ცნობიერებაში, არამედ მიწა-წყლის რელიეფზეც: მათი კვალი ატყვია საყმოს მიწა-წყალს, შეიძლება ითქვას, „ნადევარ“ ტერიტორიას. ანდრეზი გამაგრებულია ნივთიერი საბუთით - ანაბეჭდით მიწა-წყალზე და ის სამარადისოდ არის დარჩენილი თაობებში. ეს ნიადაგის მახსოვრობაც არის, რომელიც, როგორც საყრდენი, მხარს უჭერს ხალხის მეხსიერებას“.

ასეთი „ნადევარი“ ტერიტორიაა გუდამაყრის ხეობაში ერთ-ერთი ნასოფლარი, „სადაც მათი საფლავებიცაა და თუ შიგნით ჩაიხედავ, უზარმაზარ ძვლებს დაინახავ. იქვე, გზის პირას, აწყვია დიდი ჯამები, რომელთაც დევის პინებს ეძახიან“ (ჩოხელი, 2008, 80).

ირ. სურგულაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მითოსში ზედმიწევნით არის განსაზღვრული ადგილი, სადაც შეიძლება ადამიანი შეხვდეს დევს: „მტკიცედ ისაზღვრება როგორც შესაძლებელი კონტაქტების არეალი, ასევე ამ კონტაქტების გარდუვალობა. ამისათვის საკმარისია ადამიანი დაშორდეს კაცთა საცხოვრებელს, რადგან დევი სოფელში არ შემოდის. მათ ხვდებიან წისქვილში ღამისთევისას,



დაკარგული საქონლის ძებნისას, ნადირობისას, საქონლის მწყემსვისას,“ - წერს იგი (სურგულაძე, 2002, 213).

დევისა და გუდამაყრელების ურთიერთობის სურათს ხატავს გოდერძი ჩოხელი მოთხრობაში „დევების ნასოფლარი“: „დამით თუ გაივლიდა ვინმე, აუცილებლად ჯვარ-ხატებს შეავედრებდა თავს, რომ დევი არ ასდევნებოდა. დევები ეჭიდებოდნენ ძლიერებს და დახრჩობას უპირებდნენ, მაგრამ ვისაც კი ისინი ნანახი ჰყავს, ყველა იძახის, რომ დევს ცერა თითი არა აქვს და ამიტომ გაუჭირდა მათი მორევა და დახრჩობა. ზოგს თავის ახლობლის სახითაც კი ეჩვენებიათ, რომ ადვილად აცდუნონ. ფეხის ტერფები დევებს უკუღმა ჰქონიათ, ქუსლები წინ, თითები ზურგის მხარეს და, რაღა თქმა უნდა, არც ფეხის ტერფებზე აქვთ ცერა თითი“ (ჩოხელი, 2008, 80). ერიდებოდნენ გუდამაყრელები ღამე სიარულს, მაგრამ თუკი მაინც შემოეყრებოდა დევი, ეს ლოცვა უნდა ეთქვა:

„წინდა მეცვა ხეშისაო,  
ქალამანი მეშისაო,  
წმინდა გიორგიმ დასწყევლოს  
ემმაკების ფეხისაო" (ჩოხელი, 2008, 80).

საუბრობს რა ტერმინის სპარსულ წარმოშობაზე, ირ. სირგულაძე აღნიშნავს, რომ დევის მცნება ქართულ მითოსში შეიძლება შემოჭრილიყო სპარსელთა კავკასიის ხალხებთან კონტაქტში შესვლის შემდგომ, „მაგრამ ქართულ და კავკასიურ მითოსში ამ სახემ მხოლოდ გარკვეული გადამუშავების შემდეგ მოიკიდა ფეხი. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ქართველთა წარმოდგენები დევთა შესახებ ამ უკანასკნელთ არ გვიჩვენებენ ისეთი განზოგადებულ, ზნეობრივ მანკიერებათა სახით, როგორც ეს ავესტასათვისაა დამახასიათებელი" (სურგულაძე, 2002, 215).

მართლაც, გოდერძი ჩოხელთან დევი სხვაა და ეშმაკი სხვაა. „დევი არ არის ეშმაკივით ბოროტი. იგი დიდია, ბალნიანი და გაქრობა შეუძლია, როგორც ეშმაკს.... ზოგი დევი ისეთი კეთილიც კი იყო, რომელიმე ოჯახს მიეჩვეოდა და ხვნა-თესვაში ეხმარებოდა. სახლის კუთხეში საჭმლიან ჯამს დაუდგამდნენ და ამოჭამდა. მაგრამ როცა ღამეა და ეშმაკიც დასუნსულებს, ალიც და ქაჯიც, წადი და გაიგე, რატომ შემოგეყარა გზაზე დევი" (ჩოხელი, 2008, 80).

ამ ირონიული ნათქვამიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, რატომ არქმევს გოდერძი ჩოხელი თავის გულუბრყვილო პერსონაჟს „დევგარეულს“. ამ შემთხვევაში დევ-გარეული ისაა, ვინც დიდი ფიზიკური ძალის პატრონია, თუმცა გულჩვილი და კეთილი.

დევის გაკეთილშობილების სურვილს „ღმერთის შვილებშიც“ ვკითხულობთ: „დევი ხო კეთილია და ისედაც გაბრაზებულია, ეშმაკებმა რო ჩაიგდეს ხელში ქვეყანა, იშვიათადაა ჩნდება აქა-იქ. ცოტანილა დარჩნენ, მაგათაც რა ქნან, თორე დედას უტირებდნენ ეშმაკებს, თანაც ეშმაკური ხრიკებისა არა გაეგებათ და ერიდებიან მაგათთან შეხვედრას. ეშინიათ, კაცო.. ეშმაკების დროა.... ახლა ხო ეშმაკებმა კაცის სახე მიიღეს და ისე დადიან. რა ქნას ამ საწყალმა დევმა, ვეღარ გაიგო, ვინ ეშმაკია, ვინ - კაცი“ (ჩოხელი, 2008, 312).

რა განაპირობებს დევის გაკეთილშობილებას, ავტორის სურვილი, რომ წაღმა მოაქციოს ყველა ბოროტება თუ ამის მიზეზი ისევ ზეპირსიტყვიერებაში უნდა ვეძებოთ? რატომ ვერ გაუგია დევს, „ვინ ეშმაკია, ვინ - კაცი?“ ამ კითხვაზე პასუხს ისევ მოთხრობებში ვიპოვით: „ადამიანებმა გადააბიჯეს სიკეთის სამანს და ბოროტების სამანში დასახლდნენ. ბოროტების თაფლს სჭამენ და ტკბებიან, ზოგი დიდი კოვზით, ზოგი - პატარათი“ (ჩოხელი, 2012). სწორედ ამიტომ, გოდერძი ჩოხელთან დევი არა ბოროტი, არამედ გაბრიყვებული არსებაა, ადამიანს მინამგვანები მშიშარა ბუნებით და მერყევი ხასიათით, რომლის დამარცხებაც არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს.

ღვთისშვილების გარდა, მთიელთა წარმოდგენაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ **ნაწილიან** ადამიანებს, ჩვეულებრივ მოკვდავებს, რომლებიც ფარულად ატარებენ უფალთან წილნაყოფის ნიშანს. ფოლკლორისთვის კარგად ნაცნობი სიმბოლო ნაწილიანისა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ინტერპრეტაციას იძენს.

უხსოვარ წარსულში წარმოშობილი წარმოდგენა ნაწილიანობის შესახებ ასეთია: „ნაწილი კაცსაც და ცხოველსაც დაჰყვება დედის მუცლიდან. ეგ ღვთაებრივი ნიშანი ტანზე (ბეჭზე) აქვთ კაცებს მზის ან მთვარის სახით და სანთელივით ანათებს, წითელია, ცეცხლისფერი. ნაწილიანობას დამალვა სჭირდება.

დედამ ან მამამ რომ იცოდეს შვილის ნაწილიანობა, ერთმანეთსაც არ უნდა უთხრან. თუ გაანდეს, ბალლი მოკვდება. ზოგჯერ ნაწილი ღამით გამოდის და ანათებს ისე, თითქოს საკვამლეში მზე ჩავარდა. ცუდია, როცა ნაწილი სააშკარაოზე გამოდის, ის კაცი დიდხანს აღარ ცოცხლობს“ (ქურდოვანიძე, 2013, 28).

ამგვარი ნიშანი არ დაჰყოლია, მაგრამ ვფიქრობთ, თავად გოდერძი ჩოხელიც ნაწილიანი იყო: „ახირებული კაცი ვარ... ჩემი სულის ნაწილი რაღაც სიღრმეებს წვდება“- მეტი თავის განსაკუთრებულობაზე არაფერი უთქვამს“, - იხსენებს ბუბა ხოტივარი (ზედელაშვილი, 2017, 150).

„ვერძნობ, რომ რაღაც უხილავთან მაქვს საქმე, ...წინასწარმეტყველი არ ვარ, მაგრამ რაღაც რწმენა მიჩნდება ბრმად, რომ ეს ასე იქნება და მართლაც ახდება ხოლმე. ჯერ კიდევ ბავშვობაში, ხშირად შემშინებია კიდევ, რადგან რასაც შევთხოვდი უფალს მთელი სულით და გულით, უთუოდ მისრულდებოდა. ერთხელ, მაისში, თოვლის მოსვლაც ვთხოვე და - რა ვიცი - ისეთი სასწაული მოხდა, ერთ მეტრამდე თოვლი დადო. სანთელი ავანთე და თვითონაც არ ვიცი, რა ლოცვას ვამბობდი, უბრალოდ, ყველა სიტყვა პირდაპირ გულიდან მოდიოდა, ისე ძლიერი იყო ჩემი რწმენა, ისე მწადდა ის, რისთვისაც ვლოცულობდი, რომ ღმერთმა სასწაული მომივლინა. ...შუა ლოცვის დროს საოცარი, ხელისგულისოდენა ფანტელები წამოვიდა“ (ჩოხელი, 2012, 74).

ღვთის ნება-სურვილი ცხადდებოდა გოდერძი ჩოხელში. როგორც თვითონ ამბობდა, წინასწარ ხედავდა რაღაცას, რომელიც შემდეგ მის ფილმებში მეორდებოდა: „ნისლის ფარდა რომ გადასწიო და რაღაც უცნაური სამყარო დაინახო, მოდიან და მოდიან გმირები ამ ნისლგადმა სამყაროდან. ...ვენდობი იმ ძალას, რომელიც მოთხრობებს მაწერინებს, მე შემსრულებელი ვარ მხოლოდ. ყველაფერი თავისით იწერება“ (ჩოხელი, 2012, 139).

უჩვეულო ბედწერაზე გაჩენილი თავის თავში იტევდა ისეთ მადლს, რომელსაც განსაკუთრებული სიკეთე არ მოუტანია თვითონ მისთვის, თორემ შთამომავლობას საკუთარი მადლცხებულობა ფასდაუდებელ შემოქმედებით მემკვიდრეობად გადასცა. მეტიც, მთელი მისი ცხოვრება რაღაც ტრაგიკულობის ნიშნითაა აღბეჭდილი. „ვერ ავხსნი, როგორ ვარ. ადამიანი, თუ ჩემს განცდებში არ

არის, ის ვერ მიხვდება, როგორ ვარ... სხვაგან მინდა გადასვლა. სხვაგან - სიკვდილია. სიკვდილითაც ყველაფერი არ მთავრდება. ეს ყველაფერი ვიცი, ვგრძნობ, ვებრძვი...ზოგი ერთ დღეს ვერ გაუძლებდა იმას, რასაც მე ვუძლებ... ერთ წამში, შეიძლება ათასამდე აზრმა გამიაროს“ (ჩოხელი, 2012, 110).

ალბათ, ეს არის ჩოხელის მსგავს განდობილთა ხვედრი: „ეს მაღლი სადღაც გამიქრა, სადღაც გამებნა და ვეღარ ვპოულობ“ (ჩოხელი, 2012, 74). უთუოდ კინოში იპოვიდა, კიდევ რომ ჰქონოდა შესაძლებლობა, გადაელო ფილმები. „კინო სხვა სამყაროა, სხვა განზომილება. ...უზომოდ მიყვარს. მე მომწამლა, მომაჯადოვა ამ სამყარომ და, როცა ერთ დღეს კინოს გარეშე დავრჩი, უცებ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. ბევრჯერ მითქვამს, კინოს გარეშე სიცოცხლეს ვერ შევძლებ-მეთქი და, პრაქტიკულად, ასეც მოხდა. უზარმაზარი ტრამვა მივიღე. წერთაც იმიტომ ვეღარ ვწერ, რომ კინოს ვეღარ ვიღებ. რასაც კინოში ვერ გამოვთქვამდი, მოთხრობებად ვაქცევდი ხოლმე... უცბად ყველაფრის გარეშე დავრჩი“ (ჩოხელი, 2012, 160).

ღვთიურ საწყისთან ნაზიარები გოდერძი ჩოხელი, როგორც ჩანს, უზარმაზარ კოსმიურ ენერგიას იტევდა, რომელიც უნდა გაეცა, უნდა გაელო სხვათა სიკეთისათვის. ამას ფილმებით ახერხებდა, როცა ამის საშუალება მოესპო, ეს ყველაფერი უნაპირო სევდად და ტკივილად დაგროვდა მასში.

ნაწილიან პირთა შესახებ არსებული ძველი ზეპირსიტყვიერი ამბები და თანამედროვე თვითმხილველთაგან მოპოვებული ცნობები თუ გადმოცემები ერთხმად ცხადყოფენ ღვთისშვილებთან მათ ბუნებაზიარობას. ხთიშვილია პატარა ზოსიმე ამავე სახელწოდების მოთხრობაში.

სოფელი, სადაც ზოსიმე უნდა დაბადებულიყო, აქაური ხალხის რწმენით, წმინდა ადგილად ითვლებოდა და ამ სოფლის ქალებს აკრძალული ჰქონდათ მშობიარობა. გზაზე დაიბადა ზოსიმე. ერთი მაღალი, შავად წამოყუდებული კლდის ძირას იმშობიარა დედამისმა.

ახლად დაბადებული ზოსიმე თავმალში შეახვია დედამ და რაკი წვიმა წამოვიდა და თავის მამის სახლამდეც კარგა დიდი გზა უნდა გაევილო კიდევ, მას კი ღონე აღარ შესწევდა სასიარულოდ, მდინარეზე გადავიდა და მწყემსების საზაფხულო ქოხს შეაფარა თავი. ...სახბორეში ბიჭი ბაგაში ჩაფენილ თივის ბზეში

ჩააწვინა თბილად. თვითონ იქვე ჩამოუჯდა და გაბრწყინებული თვალებით მიაჩერდა პატარას. მოეჩვენა, თითქოს რაღაც ამქვეყნიური ნათელი ეფინა სახეზე პატარას.

ორმოცი დღის შემდეგ დაბრუნდა თავის სოფელში ზოსიმეს დედა, მერე კი - ქმრის სოფელში. ბიჭის მამამ სამხთო გადაიხადა. ხევისბერმა ზოსიმეს ხარის სისხლით შუბლზე ჯვარი გამოსახა. ზოსიმე დაამწყალობნეს. ამ დღიდან პატარა ბიჭი გვარის წევრი გახდა და ზუსტად ამ დღიდან... ბიჭი სანთლის ალს თვალს ვერ აშორებს.

დედა ამჩნევდა, რომ ღამდამობით რაღაც მკრთალი ნათელი დაადგებოდა ხოლმე ზოსიმეს აკვანს, მაგრამ მალავდა, დანარჩენები ამას ვერ ამჩნევდნენ.

ზოსიმემ ფეხზეც გაიარა, როცა ლაპარაკიც ისწავლა, აჟღურტულდა, „მის არსებაში მთელი ძალით იფეთქა ლაღმა სიცოცხლემ. ყველას შეაყვარა თავი, ყველას მის სანახავად მიუწევდა გული, თითქოს ზოსიმეს, სხვათაგან გამორჩეული, სიყვარულის ღვთაებრივი ნიშანი ჰქონდა“ (ჩოხელი, 2008, 183).

ეს ნიშანიც დედამ შეამჩნია: ერთ დღეს, როცა იმან ტაბლაზე სანთელი აანთო, პატარა ზოსიმე მივიდა, სანთელთან გაჩერდა, ტაბლიდან მოხსნა, ხელით ასწია და თვითონაც აფრინდა. საითაც სანთელს წაიღებდა, იმ მხარეს მიფრინავდა ბიჭი. დედა გაოგნდა. სანთელი სანამ ჩაიწვებოდა, ზოსიმე ლაღად დაფრინავდა. ჩაქრა სანთელი და პატარაც ფრთებშეჭრილივით მოწყვეტილი ჩამოვარდა.

ამის მერე ანთებულ სანთელს ახლოს აღარ აკარებდნენ, ის კი მუდამ მიიწევდა მისკენ თვალებგაბრწყინებული.

გვარი ხატის გორაზე იყო. თვალსა და ხელს გაქრა ზოსიმე მამის თვალიდან, მაშინდა დაინახა, როცა ბიჭმა სამანის ქვაზე მიკრული სანთლების კონა მოხსნა და მაღლა აიწია...

დედის მოთქმამ გაარღვია სიჩუმე.... ჩამოვარდება, ჩამოვარდება, - გულამოსკვნით ქვითინებდა ქალი.

სანთლის ალი ჩაქრა, ყველა მოუთმენლად ელოდებოდა ზოსიმეს ჩამოვარდნას, მაგრამ ბიჭი ცას შეერია.

ხატის დასტურებმა სანთელი მოკრიფეს.ხევისბერმა აანთო და დაილოცა:

- ღმერთო, შენა ხარ სადიდებელი!
- ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი!
- ღმერთო, დიდება შენთვისა,
- ღმერთო, მადლობა შენთვისა,
- რო ღირსად გვცანი, ღირსად ჩაგვთვალე,
- ღთიშვილი ცოდვილთ მოგვივლინა“... (ჩოხელი, 2008, 185).

გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში ნაწილიანები შუამავლის როლსაც ასრულებდნენ ადამიანებსა და მორიგე ღმერთს შორის. ღმერთის ნებას ღვთისშვილები მეენებეს ან ქადაგებს ამცნობდნენ, ეს უკანასკნელი კი - ხალხს. ღვთისშვილთა თანაშემწენი იყვნენ მექილიკენი, კეთილი ანგელოზები, მეყურადენი, ურჩნი და გველფერნი. სიზმარში გამოცხადებული ღვთის ნებით ხდებიან მკითხავები, ქადაგები, ხევსბერები... ერთი სიტყვით, კაცთა ცხოვრების გამრიგენი, ურწმუნოთა მარწმუნებელნი. ამიტომაც მათი ცხოვრება შეუცნობელი და საიდუმლოებით აღსავსეა.

„ეს ამბავი ჩემს ბავშვობაში, სინამდვილეში მოხდა. მაშინ ათიოდე წლის ვიგონებდი. მახსოვს, სოფელში ცხოვრობდა ერთი ქალი, „ხატის ქადაგად“ იყო დავარდნილი. იგი თითქოს თავის თავს არ ეკუთვნოდა და დროდადრო ამბობდა იმას, რასაც ხატი უბრძანებდა, ერთხელ ეკლესიის ეზოში ბევრ ხალხს მოეყარა თავი, მათ შორის ეს ქალიც ერია. უცებ „ხატის ქადაგი“ მიწას მოსწყდა, ჰაერში აიწია და ორი მეტრის დაშორებით გაჩერდა. იქ მყოფებმა უსიტყვოდ დაიჩოქეს, მე კი ისე ვიყავი ნანახით გაოგნებული, რომ გაშეშებული შევეყურებდი მას, სანამ ერთმა მოხუცმა მუჯლუგუნმა არ გამკრა და მითხრა „დაიჩოქე ბაღლო“. მე დავიჩოქე, ამის მერე ეს ქალი დამუნჯდა და ენა მაშინ ამოიდგა, როცა წმინდა წმინდა გიორგის სახელზე ჭედილა დაგვკალით და ვილოცეთ“ (ჩოხელი, 2012, 154).

მეხსიერებას შემორჩენილი ხილვა გოდერძი ჩოხელმა თავის სათქმელს მოარგო და ნაწილიანის გამოჩენით საწაღმართოდ მოაქცია უკუღმართ გზაზე შემდგარი ხალხი. რომანში „წითელი მგელი“ ვკითხულობთ: „დღეობა თავის ეშხში იყო შესული. ...უკვე სიმთვრალეში შესული ხალხი ღრეობდა, ერთი სუფრიდან მეორეზე გადადიოდა და აღარ დაგიდევდა დღეობის წესრიგს. ერთმა მთვრალმა

დეკანოზმა ხანჯალი წაჰგლიჯა და თვითონ მოაჭრა თავის საკლავს თავი. აირია ხალხი, აყაყანდა, ატყდა ჩხუბი. შეშინებული ბაღლები ხის კენწეროებს მოექცნენ. აღარ გაიგებოდა ვინ ვის ურტყამდა. დეკანოზი ზარებს მიეჭრა და ხალხის დასაშოშმინებლად ჩამორეკა. ყური არავინ ათხოვა ზარის ხმას.“

სწორედ ამ დროს, როცა ღვთის ხატი ადამიანებში იშლება, როცა მისი ხმა აღარ ისმის, როცა სამანს აღარავინ დაგიდევს, ჩნდება თმებგამლილი ქალი, რომელიც წმინდა გიორგის სახელით შეაგონებს წრეგადასულ ღრეობაში მყოფ სოფელს: „მე წმინდა გიორგი! მე წმინდა გიორგი! გაგწყვეტ და გაგანადგურებთ! გაგწყვეტ და გაგანადგურებთ! აღარას ისმენთ ჩემსა, აღარა გჯერათ ჩემი... დაიჩოქეთ!“ და როცა სიტყვა ძალას კარგავს, საქმეში ერთვება საქმე და „უცებ გაშალა ქალმა ხელები, მოსწყდა მიწას და ეკლესიის გუმბათამდე აიწია ჰაერში“ (ჩოხელი, 2011, 271).

ეს ის წუთია, როცა ადამიანები კვლავ უბრუნდებიან თავიანთ ნამდვილ სახეს, რასაც ავტორი, თითქოს ღვთაებრივი სიმაღლიდან დაჰყურებსო, ისე გვიხატავს: „ამაღლება დღე იყო. ეკლესიის გარშემო თეთრად იყვნენ მსხლები გადაპენტილნი, მთები და ტყეებიც ახლად აყვავებულნი იყვნენ. ჭიუხებიდან წამოუბერა ნიავმა, წამოუქროლა აყვავებულ მსხლებს და ეკლესიის გუმბათი, ჰაერში გაჩერებული ქალი და მოედანზე დაჩოქილი მლოცავი ყვავილების თეთრ საბურველში გაახვია. მთებიდან და ტყეებიდანაც მოეფინებოდა ჰაერში ყვავილები. გარშემო საოცარი სურნელება იდგა. მერე ჩადგა ნიავი. ყვავილები ნელ-ნელა დაეფინნენ დედამიწას. დამშვიდდა ხატის მოედანი.“

ეს საოცარი სურნელება ზეციურ ძალთა მიწაზე დაშვების ნიშანია, ჰაგიოგრაფი მთხრობელის ეშხით გამთბარი: ბერი ხუედიოსის სიკვდილი გვახსენდება, გამოქვაბულში რომ მიიცივალა პირნათელი და ვარდის სურნელით რომ ამცნო ხანძთის ძმებს სააქაოს დატოვების ამბავი.

ეს სურნელება უცვლის ხალხს გუნებას გოდერძი ჩოხელის მოთხრობაშიც: ნაწილიანის მისია შესრულებულია, ხალხი დამშვიდებულია, ირგვლივ სიხარული სუფევს: „ქალმა ნელ-ნელა იწყო ძირს დაშვება. ხელები ახლა გულზე ჰქონდა ჯვარედინად დაწყობილი და მიწას ჯერ თითისწვერებით შეეხო, მერე იმანაც

ხალხთან ერთად მუხლი მოიყარა, თვალებით ზეცას მიაჩერდა. წამოდგა და ამით ანიშნა ხალხს, ამდგარიყვნენ. პირჯვრისწერით წამოიშალა ხალხი. დეკანოზმა ზარი დარეკა. გაგრძელდა დღეობა. ირგვლივ სხვანაირი მხიარულება დატრიალდა. ყველა როგორღაც აღტაცებული და ბედნიერი იყო სასწაულის ხილვით." (ჩოხელი, 2011, 272).

საინტერესოა გოდერძი ჩოხელის ქადაგის მიწიერი ცხოვრების დასასრულიც. იმ შემთხვევის შემდეგ დამუნჯდება, თუმცა ვერავინ მიხვდა ამას. იმის ენა-პირმა ხატის სათქმელი იუბნა და, რა გასაკვირია, რომ იმის მერე დამუნჯდა და აღარა თქვარაო, - ამბობდნენ სოფელში. მარტო ის ვერ გაეგოთ, სად წავიდა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი - რას. მრავლისმნახველი თეთრუა შვილის ძვლებს იფიცავდა და არწმუნებდა ხალხს, რომ გამთენიისას ციდან ნათლის სვეტი ჩამოდგა, ქალმა მაღალ ბანზე ხელები გაშალა და როგორც იმ დღეს, ისე გაფრინდა ზეცაში, მიდიოდა და ნათელი სვეტიც მიჰყვებოდაო.

ამგვარად, ნაწილიანის მიწიერი ცხოვრების დასასრულიც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ისეთივე დაფარული საიდუმლოა, როგორც მისი თანდაყოლილი ნიშანი.

სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს **სიკვდილ - სიცოცხლის** ესთეტიკა გოდერძი ჩოხელთან. მიჩნეულია, რომ სიკვდილისა და სიცოცხლის ერთიანობის განცდა სამყაროს მთლიანობის აღქმიდან მომდინარეობდა.

მითოსური ცნობიერება არ სცნობდა სიკვდილის ფაქტს.

სიკვდილი მოიაზრებოდა, როგორც გარკვეული ცვლილება, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, გარდაცვალება, სიკვდილის წიაღიდან უცილობლად ახლის დაბადება ქაოსიდან კოსმოსის დაბადების იდეას უკავშირდებოდა.

ყოველი წარმოდგენა სამყაროზე შეიცავს აგრეთვე ღირებულებათა იერარქიულ სისტემას, ერთგვარ მოთხოვნებს სამყაროს მიმართ. იგივე შეიძლება ითქვას არქაული საზოგადოების მსოფლალქმის შესახებაც. მითებში ასახულია კოლექტივის ყველა ძირითადი წარმოდგენა სამყაროზე, მისი მსოფლგანცდა. მითში კოსმოგონია და კოსმოლოგია ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს. იგი წარსულში „რეალურად“



მომხდარ ამბებზე გვიამბობს და ამით მისთვის მნიშვნელოვან კოსმოსურ და სოციალურ საკითხებს წყვეტს. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ეს განსაკუთრებით შეიგრძნობა.

ამ თემაზე ძალზე ბევრს და საინტერესოდ წერს, თითქოს შეუცნობელის შეცნობა უნდა:

„რაა სიკვდილი? - ზოგისთვის წამი, ზოგისათვის მთელი ცხოვრება.

ზოგი დაბადებიდან გრძნობს თანდაყოლილ სიკვდილს და მანამდე აწვალებს ამის შიში, მანამ სულ-ხორცი არ გაეყრება ერთიმეორეს.

სულ-ხორცის გაყრა სიკვდილია?

მაშინ სიცოცხლე რაღაა?

ალბათ, სულ-ხორცის ერთიანობა.

მაგრამ ვიღაც, თუ რაღაც ხოა, ვინაც სულ-ხორცი შექმნა და დაუწერა სიკვდილ-სიცოცხლე.

სიცოცხლე ჩვენთან არის და სიკვდილიც აქვია, ის კი არა ჩანს, ცოცხლები ვერსად ვხედავთ და ვინ იცის, მკვდარნი სულ ვერაფერს ხედავენ“ (ჩოხელი, 2011,376).

თითქმის ყველა პერსონაჟი სიკვდილ-სიცოცხლის აზრის ძიებაშია. შეუცნობელს შეიცნობენ, ამოუხსნელს დაეძებენ, კითხვებს სვამენ:

„ღმერთო, სად დაიკარგე?!

ანდა თუ არ ყოფილხარ არასოდეს, ვინ გააჩინა სიკვდილ-სიცოცხლე?

სიცოცხლეს ვხედავთ, რასაც ჰქვია;

რაშიც ვლინდება.

სიკვდილი?!

ყოველივე სრულდება ამით?

„ნეტავ რას ვფილოსოფოსობ“, ისევ გაიფიქრა ლუკამ, „განა ვინმე ყოფილა ამ ქვეყანაზე, ვისაც ჩამოსდგომია ღმერთი და უთქვამს რაც არის სიკვდილი?“

მოვა და გაიგებ.

ყველა კაცი რომ საკუთარ სიკვდილს დაატარებს, ამას რა მიხვედრა უნდა“.

კითხვებს სვამენ და იკვლევენ, ახასიათებენ:

„როგორ მგელივით იცის ჩასაფრება სიკვდილმა, საიდან წამოგვარდება და როდის, ვერ გაიგებ.

ზოგჯერ სიტყვაშიც არის.

კაცის პირიდან ამოხტება - ერთი კაცი რომ მეორეს უღვთო სიტყვას ეტყვის, იმ სიტყვას მოსდევს თან“ (ჩოხელი, 2011, 377).

„სიკვდილი რომ გამაიგონა ღმერთმა, იფიქრა, მოდი, გამოვცდიო და ჯერ ქვას მიაგინა იმის განცდა. ქვებმა ისე განიცადეს, იმდენი იდარდეს, დარდისაგან სუ იფშვნებოდნენ. ღმერთმა იფიქრა, ამათთვის ეს განცდა არ შეიძლება, ამისათვის სუსტებიაო, აარიდა ქვებს სიკვდილი და ეხლა ხეს მიაგინა, იმათაც ძალიან განიცადეს, მთელმა ტოტებმა ჩამაილეწეს და აღარ ივიწყებდნენ. ხეებსაც აარიდა და ახლა წყალს მიაგინა. ვერც წყალმა გაუძლო, დაშრობა დაიწყო. ადგა ღმერთი და ადამიანებს მიაგინა სიკვდილი. ადამიანმა იტირა, იტირა... მერე დამარხა მკვდარი და ტირილით გადაიმგლოვა კიდეც. ჰოო, ამის მერე ღმერთმა ადამიანს მიაკუთვნა სიკვდილის განცდა“ (ჩოხელი, 2007, 450).

გოდერძი ჩოხელის აზრით, მშვიდი, ღვთივკურთხეული სიკვდილიც არსებობს, სიკვდილი სიცოცხლის ჭეშმარიტ ფასს აგებინებს ადამიანს. „სიცოცხლე და სიკვდილი, ...ბუნების წესით, ერთმანეთის გვერდით არსებობენ, ერთმანეთით ცოცხლობენ და ერთმანეთს ასაზრდოვებენ. სიკვდილ-სიცოცხლის უწყვეტი ერთიანობისა და დაუსრულებელი არსებობის რწმენით არის განათებული პავლე მოციქულის სიტყვები: „გინათუ ცოცხალ ვიყუნეთ, გინათუ მოვსწყდეთ, უფლისანი ვართ. რამეთუ ამითვისცა ქრისტე მოკუდა, და აღსდგა და ცხოვნდა, რათა მკვდართაცა და ცხოველთაცა ზედა უფლობდეს“ (ჩოხელი, 2012, 106).

უტეხი მთიელებისთვის სიკვდილი ბუნების წესია, რომელიც უნდა აღსრულდეს.

„ყველაზე დიდი ტკივილი სიკვდილია, ხშირად ვკლავ ჩემს გმირებს. უნდა აჩვენო, რომ ის მოკვდა, რადგან ადამიანი ტკივილში გრძნობს მეტ სიახლოვეს ღმერთთანაც, ადამიანთანაც“ - წერს გოდერძი ჩოხელი (ჩოხელი, 2012, 120).

- სიკვდილისა გემინია?

- რატო მეშინია?

- რატო არა?

- იმიტომ რომა, სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადოს კაცმა თავისი ვალი („ადამიანთა სევდა“).

საპყარმა „ერთ დღეს სიკვდილის მოსვლა იგრძნო, თვითონვე წამოწვა ტახტზე გულაღმა და თქვა:

არ მეშინია, არა! კაცი სანამ ცოცხალია, არ მოკვდება, ხოლო თუ მოკვდება, აზა რისიღა უნდა ეშინოდეს, სიკვდილის იქეთ ხომ უფრო დიდი სიცოცხლეა“... (ჩოხელი, 2008, 355.)

მოთხრობაში „ლამის რეპეტიცია“ ძიკაანთ აკაის ნოდარამ მთლად გააოცა „სასხდომაში“ ჩამომსხდარი დედაკაცები, როცა უთხრა გარდაცვლილ დედაზე, არა ვდარდობ, რატო უნდა ვიდარდო, მოკვდა, მერე რა, სიკვდილამდე ხო ცოცხალი იყო.

ნოდარმა ქალების გაკვირვება არ შეიმჩნია და განაგრძო:

- მე ვიცი, რომ თქვენ გაშინებთ სიკვდილი, მაგრამ ტყუილად გეშინიათ.

- კი არ გვეშინია, გვეჯავრება.

- რატომ გვეჯავრებათ?

- იმიტომ რომ, რა სახარბიელო ის არის.

- მე კი გეტყვით, რომ ძალიან საყვარელია. ...საყვარელია იმიტომ, რომ დიდი სიკეთე მოაქვს ადამიანებისთვის, ხოლო ის, რასაც სიკეთე მოაქვს, ყოველთვის საყვარელია. თვითონ სიყვარული სიცოცხლისა და სიკვდილის ერთიანობა არის. ჩვენ გვეჯავრება სიკვდილი იმიტომ, რომ ცოცხლები ვართ და გვეშინია დასასრულის. მთელი ჩვენი მოქმედება, ჩვენი ცხოვრება ცდაა, როგორმე დავივიწყოთ დასასრული - სიკვდილი, მაგრამ იმას კი აღარა ვფიქრობთ, რა იქნებოდა, რომ არ იყვეს. ჩვენ სიცოცხლე იმიტომ გვიყვარს, რომ შევეჩვიეთ. შეჩვევა არის ყველაფერი. სიკვდილი არ გვიყვარს იმიტომ, რომ იძულებულს გვხდის, გადავეჩვიოთ. იცი, სიცოცხლე გალობს და უნდა გითხრათ, რომ არა ნაკლებ გალობს სიკვდილი. მოედინება ეს სიკეთე და ვერც კი ვხვდებით, როგორ გვაყვარებს ეთიმეორეს, როგორ გვაყვარებს სილამაზეს, სიცოცხლეს და თვით სიყვარულს როგორ გვაყვარებს“ (ჩოხელი, 2008, 364).

სიკვდილის სიყვარულთან გაიგივება, ჩვენი აზრით, ისევ და ისევ ადამიანისა და ღმერთის ურთიერთკავშირს გულისხმობს. ღმერთთან მისახლოებელი გზაა სიკვდილი.

„ალბათ მაპატიებენ, გვერდი რომ ვერ ავუარე სიკვდილს. მე მაინც მჯერა, რომ თვითონ სიკვდილი უდიდესი სიყვარულია, რადგან სიცოცხლესა და მას შორის მარადიული სიყვარულის ვარდი ყვავილობს“, - ამ სიტყვებით ასრულებს გოდერძი ჩოხელი მოთხრობა „ზანგს“ (ჩოხელი, 2008, 388).

მთაში, იმ გარემოში, სადაც ჩოხელი გაიზარდა, მიუღებელია ღალატი, ღალატი, უზნეობა... ნამდვილი მთიელი წარმოუდგენელია იმ მაღალზნეობრივი ღირებულებების გარეშე, როგორცაა: სამართლიანობა, პირდაპირობა, გაუტეხლობა, ღირსება, სიკეთე, რწმენა, სიყვარული, დანდობა, გატანა, ერთგულება... ჩოხელის შემოქმედებაში სრულიად უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანებშია გაცხადებული ყველაზე დიდი ფასეულობები. ჭეშმარიტად, ეს ავტორის შინაგანი „მეა“, გასალკლდევებული და პერსონაჟებში ჩადედებული. მთიელებმა იციან, როგორ იცხოვრონ, იციან, რომ ამქვეყნიური სამყოფელი იმქვეყნიური საგზლის მომზადებას უნდა შეალიონ, ამიტომაც არ ეშინიათ სიკვდილის, მარადიულ არსებობაში გადასვლად აღიქვამენ მას.

„სხვისი სიკეთე მახარებს და არ მშურს. მაკმაყოფილებს ღმერთისგან ბოძებული მცირედი სარჩო, არ ვარ და არ მაშფოთებს მომხვეჭელობა, შემიდლია საიდუმლოს შენახვა, შემიდლია ერთგულება და ჩემი საქმის ერთგულად და უანგაროდ (უღალატოდ), თავდადებით კეთება. უცოდველი კაცი სამარის კარზე ვერ მივა და ვცდილობ, რაც შეიძლება ნაკლები ცოდვები გავიყოლო საიქიოში... (ჩოხელი, 2012, 77).

„ერთი გზა გვიდევს სიცოცხლით,

საიქიოსკენ სავალი,

ყველა იმ გზაზე მივდივართ,

მათხოვარიც და მთავარიც,

სუყველას ზურგზე ჰკიდია

თავის თავგადასავალი“ (ჩოხელი, 2011, 26).

ამ გზაზე გოდერძი ჩოხელისთვის ხსოვნაა მთავარი, ხსოვნა, როგორც სიყვარულის გამოცდილება, რომელსაც ამქვეყნად აგროვებს კაცი.

მწერლისთვის სიცოცხლე და სიკვდილი ძმები, ღვთის შვილები არიან. სიცოცხლეს, სიკვდილის მსგავსად, ღმერთის გაჩენილია. სააქაო ცხოვრების გარეშე ფასი ეკარგება სიკვდილს, ისევე, როგორც სიკვდილის გარეშე - სიცოცხლეს. გოდერძი ჩოხელს სასოწარკვეთილებაში აგდებდა ფიქრი, რომ იმქვეყნად წასულს სააქაო შეიძლება დაავიწყდეს.

„ჩემი ტკივილი და მარად უპასუხო კითხვა ის არის, რომ თუ ადამიანის სულს, გულსა და გონებას იმქვეყნად არაფერი ემახსოვრება, ვინ იყო ამქვეყნად, რა სტკიოდა, რაზე ფიქრობდა, ვინ და რა უყვარდა, მაშინ რაღა გაგრძელება იქნება?! მაშინ ის იგივე ადამიანი აღარ არის და აბსოლუტურად სხვა ვინმეა. მინდა, იმქვეყნად წასულ კაცს ისევე ახსოვდეს ეს ქვეყანა და ისევე ფიქრობდეს, როგორც აქ ფიქრობდა; ისევე უყვარდეს, როგორც აქ უყვარდა; ისევე განიცდიდეს, როგორც აქ განიცდიდა. მაშინ აქვს, ჩემი აზრით, ყოფნას გაგრძელება. შეიძლება სხვანაირად არის, მაგრამ მე რატომღაც მინდა, რომ ასე იყოს: აქაური ამბავი იქ გრძელდებოდა; აქ მომხდარი ამბები სულს იქ არ ავიწყდებოდა... თუ აღარ ახსოვს, აქ რას აკეთებდა და რა უხაროდა, მაშინ ჩალის ფასი ჰქონია აქაურ ყოფნას“ (ჩოხელი, 2012,107).

გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ და მისი რაობის გააზრება ეფუძნება სიკვდილ-სიცოცხლეზე, სულეთზე, მიცვალებულის საიქიო ცხოვრებაზე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებულ უამრავ მასალას. ერთ-ერთი არსებითი ამ კუთხით მიცვალებულის სააქაოში დაბრუნების შესახებ რწმენაა. ეს რწმენა გაჯერებულია გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაშიც:

„მე დავბრუნდები სიკვდილის მერე,  
ყვავილს მოგიტანთ საიქიოდან,  
მოგიტან ღმერთის ლამაზ სიმღერებს  
და თვითონ ღმერთის იმედს მოგიტან.  
მე დავბრუნდები საიქიოდან,  
მაღალი ღმერთის სუნთქვას მოგიტან.  
მე დავბრუნდები თავისუფალი

სიკვდილისა და სიმარტოვისგან“ (ჩოხელი, 2011, 68).

საიქიოს შესახებ არსებულ წარმოდგენებში გავრცელებული იყო საიქიოდან მოვლინებულთა, უდროოდ წასულთა და ამის გამო დაბრუნებულთა, თუ სხვა რამ განსაკუთრებული მიზეზით გაცოცხლებულთა ამბები და თავგადასავლები.

ქართული მითოლოგიის მიხედვით, ყოფილა შემთხვევები, როცა „ბედის მწერლებს“ შეცდომით წაუყვანიათ სულეთში ადამიანის სული. ასეთ დროს ისინი ისევ უბრუნებდნენ სულს სხეულს და ადამიანი კვლავ აგრძელებდა ცხოვრებას მისთვის განსაზღვრული დროით. ბევრია გადმოცემა, როცა ადამიანებმა სულეთი დატოვეს და შემდეგ გაცოცხლებულები ჰყვებოდნენ იქ ნანახს.

სულეთიდან დაბრუნებული პერსონაჟია გარსია.

„საკუთარი თვალით ნახეს სოფლებმა, სანთლის ალში როგორ დაინთქა ზღვაში გველეშაპი, რომელზეც გარსია იჯდა, მაგრამ მათ ისიც კარგად იცოდნენ, გარსიამ შიში რომ არ იცოდა და ამიტომაც სჯეროდათ, რომ გარსია აუცილებლად დაბრუნდებოდა. არც შემცდარან. სათიბებში პირდაპირ ცოლ-შვილისკენ მოდიოდა გარსიას ლანდი, უხორცო, თითქოს ჩაცმულიც, მაგრამ ჩრდილი, რომელიც ჩვეულებრივად მოაბიჯებდა“ (ჩოხელი, 2011, 396).

მივიდა, შვილებს ცელი გამოართვა და თიბვა დაიწყო. თიბვას თავი ანება ხალხმა და გარსიას სათიბში მოგროვდნენ. ყველა მოიკითხა გარსიამ და ხალხს შეპირებული პურ-მარილიც შეახსენა.

„- სად იყავ, სად რა მოიხილე გარსიავ? - ჰკითხა ვიღაცამ.

- ქვესკნელში, ქვესკნელის ქვეყანაში ვიყავ, - თქვა გარსიამ.

- იმით იყავი?

- ჰო, იმას ჩავყევი, აბა მე გზა სად ვიცოდი.

- რა ნახე, რა მოიხილე?

- რო ჩავედი, კი მეტანებოდა, მაგრამ ისე დაღლილი იყო, კუდის განძრევის თავიც აღარა ჰქონდა. როგორც კი თავი სამშვიდობოს დაიგულა, ჩაემინა. გადმოვხტი იმის ზურგიდან და წაველ ფეხით, გავერიე იმათ ქვეყანაში“ (ჩოხელი, 2011, 397).

გარსია ისეთ საოცრებებს ჰყვებოდა, რომ ხალხმა ვერც კი გაიგო, როგორ ჩამოლამდა. როგორც კი ქვესკნელში ჩასულა, უსხეულო გამხდარა, როგორც ყველა

დანარჩენი. კარგად მიუღიათ გარსია, მასაც ძალიან მოსწონებია იქაურობა, მხოლოდ იმას ვერ შეჰგუებია, რომ იქ სავაჟკაცო საქმეები არც არაფერი იყო და არც არაფრად მიაჩნდათ, გარსიას დაბრუნება გადაუწყვეტია, მაგრამ, თურმე, აღარ უშვებდნენ, წესი არ არის, აქ ჩამოსული, უკან დაბრუნდესო.. გველემაპიც ვეღარსად იპოვა, იქნებ იმისთვის მაინც წამოეყვანინებინა თავი, მაგრამ ვეღარც ის უპოვია. ვეღარ გაუძლია გარსიას გველემაპივით წითელ ქვესკნელში, სადაც მდინარეებიც და წყაროებიც წითელი ყოფილა, მარტო ხალხი ყოფილა ლანდისფერი. გარსიას უცდია თავი და ისეთი რამე უქნია, ისეთ რაღაცაზე შემჯდარა, ხრიალი ისევ აქ ამოუტანია, თუმცა როგორ, ამას აღარ ეუბნებოდა თანასოფლელთ.

ლანდად დაბრუნებული კაცი გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში საიქიოს ამბებს ისე ჰყვება, თითქოს მეზობელ სოფლებში წასულიყო თავგადასავლების საძებნელად: „წაველ ფეხით, გავერიე იმათ ქვეყანაში.“ ჰყვება, რა ნახა, რა ფერი იყო ქვესკნელი, როგორ გადარჩა, მაგრამ არ ჰყვება მთავარს - როგორ დაბრუნდა. არც ავტორი ცდილობს მისი საიდუმლოს ამოხსნას, დე, დარჩეს ეს უცნაური წარმოდგენა მიცვალებულის გაცოცხლებისა მთიელთა შეგნებაში ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე, როგორც ეჭვგარეშე კავშირი საიქიოსა და სააქაოს შორის - ალბათ, ასეთია გოდერძი ჩოხელის სურვილი, ერთი რამ კი ცხადია გარსიას ისტორიის შემოქმედის შეგნებაში: კაცს საიქიოდ აქაურთა დარდი მიჰყვება, ცოცხლად დარჩენილთა დარდი, რომელიც მოსვენებას უკარგავს არარაობაში უფუნქციოდ ქცეულს.

მიცვალებულის გაცოცხლების თემას თავისებურად იაზრებს და გადაამუშავებს გოდერძი ჩოხელი მოთხრობაში „წითელა“, სადაც გუდამაყარში სახადის დროს მომხდარ ამბავს გვიამბობს.

საქართველოში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, სახადის გამომწვევი ღმერთისგან გამოგზავნილი ანგელოზები არიან, რომელნიც დროდადრო მოეფინებიან დედამიწას. ამიტომ ამ ავადმყოფობას „ბატონ ანგელოზებს, ან „ბატონებს“ უწოდებენ. XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ბატონებს გზავნის ღმერთი და ერთხელ მოსახდელ ვალდებულებად ითვლება. ამიტომ მოსახლეობა მას ზეიმით ხვდება.

წითელამ ერთიმეორის მიყოლებით გაუყენა გაზაფხულის ყვავილებივით ახლად შეღერებული ყმაწვილები საიქიოსკენ მიმავალ გზას.

არ იტიროთ! არ იტიროთ! თორემ წითელა უფრო გაბრაზდება და ვინც სახლში დაგრჩათ, იმასაც მუსრს გაავლებს. იმღერეთ, წითელას სიმღერა და მხიარულება უყვარსო, - არიგებდა ხალხს ას წელს კარგა ხანს გადაცილებული, წელში მოხრილი მოხუცი ქალი, რომელსაც ზედმეტ სახელად მათუსალას ეძახდნენ.

თვითონაც ასე სჯეროდათ გუდამაყრელებს და წინაპართა რჩევებსაც ითვალისწინებდნენ, ამიტომ ჭირისუფალიც კი მღეროდა, ვალდებული იყო, რადგან სიკვდილის შიშის მიუხედავად, ბატონი არ უნდა გაებრაზებინა, ერთი განწირულის სანაცვლოდ მეორე მაინც უნდა გადაერჩინა. შეშინებული ხალხი ცრემლის ჩამოგორებასაც კი ვერ ბედავდა, არც მაშინ ტიროდნენ, როცა სიცხისაგან გათანგულს სულს ამოართმევდა წითელა და არც მაშინ, როცა მიწას აბარებდნენ გაციებულ სხეულს, ეშინოდათ, მათი ტირილის გამო წითელას შური არ ეძია.

„ - რა გატირებთ, იმღერეთ, ღმერთის ნაბოძები, ღმერთმა წაიყვანა, იმღერეთ, სოფელს რას ერჩით! - უწყრებოდა მათ მართას უსულო სხეულთან ჯოხზე დაყრდნობილი მათუსალა.

მართას დედა მუდარით შეჰყურებდა მას და თითქოს ეუბნებოდა მზერით:

- მატირე, ცოტა ხანს მაინც მატირე შვილი, ქალო, ღმერთი არა გწამს?!

- იმღერეთ! იმღერეთ! - იძახდა მათუსალა და ჭირისუფლებიც მღეროდნენ.

ეს სიმღერა არ ჰგავდა სიმღერას, არც ტირილს ჰგავდა, ...ეს უფრო ვედრებას ჰგავდა და მაინც, სიმღერა იყო, წითელას დასაშოშმინებლად ნამღერი სიმღერა.

მღეროდა მთელი გუდამაყარი, დღისით და ღამით სახლებიდან სიმღერის ხმა გამოდიოდა და ცაში აზიდული მთის კალთებს მაღლა მიუყვებოდა, მთის მწვერვალებზე ჩამომხობილი ვარსკვლავიანი ზეცა ირეკლავდა ამ სიმღერას, ისევ ხეობაში აბრუნებდა და ამ დროს ბნელით მოცული გუდამაყარი ჰგავდა შავებში ჩაცმულ მათუსალას“ (ჩოხელი, 2008, 61).

გოდერძი ჩოხელის თხრობაში არ იგრძნობა წყრომა ჩამორჩენილი, წარმართული ცოდნის ამარა დარჩენილი სოფლის მიმართ, სადაც ადამიანები ერთმანეთის მიყოლებით იღუპებიან. თუმცა აშკარაა, რომ ას წელს კარგა ხანს



გადაცილებული მოხუცის (რომელსაც შემთხვევით არ უწოდა მათუსალა) სიმბოლოდ მოიაზრებს იგი სოფლის სიბნელეს, ამ ბნელის თავზე დამბობილან ვარსკვლავები, თითქოს შერცხვენილნი, ადამიანთა უსულგულობის გამო.

მიცვალებულთა გაცოცხლების მთაში გავრცელებულ წარმოდგენას გოდერძი ჩოხელი პრობლემის გადასაწყვეტად იყენებს: უსამართლობად მიაჩნია უცოდინრობით დაბნელებულ სოფელში ახალგაზრდების მიყოლებით სიკვდილი, ამიტომაც აცოცხლებს მართას: „არაამქვეყნიური შვება და სიამე იგრძნო მართამ. შემოეხვივნენ იქ მყოფი თავის მეგობარი გოგო-ბიჭები, რომელნიც წითელამ წაიყვანა.

ტაძრის სიღრმიდან გადმოსული შუქი დიდი სიხარულით ავსებდა მართას და ლამაზ მდელოზე მეგობრებთან მხიარულობდა, ენით აუწერელ ნეტარებას განიცდიდა.

უცებ ერთი ჭაღარა კაცი მოეახლა მათ და გუგუას უთხრა:

- გუგუავ, დროა, წაიყვანე უკან.

გუგუამ მართას ხელი ჩასჭიდა.

- წამო, ..დედასთან და მამასთან.

- არ მინდა იქ, მე აქ მინდა, მე შენთან მინდა ყოფნა, - შეევედრა მართა.

- არ შეიძლება.

- რატომ?

- ჯერ შენი დრო არ არის აქ.

- მაშ, როდის იქნება.

- ჯერ შენ მიწაზე დიდხანს უნდა იცოცხო, შვილო, - უთხრა იმ ჭაღარა კაცმა.

- წადი ახლა და ორჯერ კიდევ გამოვაგზავნი გუგუას, რომ აქ მოგიყვანოს,

სამჯერ მეტის უფლება არა გვაქვს.

ანგელოზები აქა-იქ ამოუდგნენ და-მმას და უკან დააბრუნეს“ (ჩოხელი, 2008, 60).

მიცვალებულის გაცოცხლების იდეა კულტურის ძალიან ადრეულ პლასტებში უნდა იღებდეს სათავეს. ამასთან დაკავშირებით ირ. სურგულაძე წერს: „ხდებოდა ხოლმე, რომ სულეთს მივიდოდა სული, რომლის ვადა ჯერ არ დამდგარიყო და მას უკან აბრუნებდნენ. იგი მოიხილავდა სულეთის სამყაროს, შეხვდებოდა სულეთის

ღმერთს, ბედის მწერლებს, თავისიანებს, და დაბრუნების შემდგომ, როცა მის ახლობელთაგან მკვდრად მიჩნეული სხეული გაცოცხლდებოდა, სულეთში ნახულსა და გაგონილს უამბობდა ხალხს... მსგავსი მაგალითები მთელ საქართველოშია დამოწმებული“ (სურგულაძე, 2002, 13).

სულეთში უდროოდ მივიდა პატარა თადეოზიც.

მარტოკამ მიაყარა თადეოზმა მამას მიწა, პატარა ძმა კი, რაკი ორმოცი დღისა არ იყო და ამის გამო სასაფლაოზე არ დაამარხვინებდნენ, მდინარის გაღმა გაუთხარა პატარა საფლავი და იქ დამარხა სამ დღეში დაკაცებულმა თადეოზმა.

მალე მოენატრა ბიჭს მშობლები. თავისიანების ნახვის სურვილმა მოანდომა სულეთის მონახულება. ბებოსგან გაიგო, რომ სულეთის ქვეყანა ხმელეთისა და ცის ნაპირის დასასრულშია და იქამდე მხოლოდ „წმინდა ნოეს გაუცურნია კიდობნით დიდი წარღვნის დროს და მერე ისევ დაბრუნებულა“.

სამი დღე ეძება სოფელმა თადეოზი. ბოლოს ვიღაცამ იმათი სახლის კალოში დადგმულ კიდობანში მიაგნო გულადმა მწოლარე ბიჭს, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა.

კიდობნიდან ამოასვენეს და დერეფანში დაასვენეს ტახტზე. მკვდარი იყო, მაგრამ არც მკვდარი ეთქმოდა, სახეზე ბედნიერების ალმური გადასდიოდა.

სამი დღის მერე საფლავის გათხრა გადაწყვიტეს, რომ უცებ მტრედის ფართქალის ხმა გაისმა და ამის მერე ბიჭიც შეტოკდა, სულეთის ქვეყანაში წასული სული მოფრინდა და ჩაიბუდა სხეულში.

„- ბებო, ბებო, რა გახარო, ბებო! - ეხვეოდა ბიჭი ბებიას, - მართლა გასცურა ცის ნაპირამდე ჩვენმა კიდობანმა, ღმერთს ვთხოვე, რომ სულეთის ქვეყანა ეჩვენებინა და იმიტომ ჩავწექი კიდობანში, ჩავწექი და გავცურე კიდეც.“

- იცი, რა ლამაზია სულეთის ქვეყანა, იცი, რა კარგად არიან ჩვენები, დედაც ვნახე, მამაც, ჩემი პატარა ძმაც, პაპაჩემიც. აღარ მინდოდა იქიდან წამოსვლა, მაგრამ ბოლოს თასით წყალი მოიტანეს, ჩემ წინ დაღვარეს და მიბრძანეს: წადი და სანამ შენი აქ მოსვლის ჟამი არ მოვა, ქვეყანას ემსახურეო. ნეტავ გენახა, რა დიდებულია სულეთის ქვეყანა და რა ბედნიერები არიან ყველანი, ასე ხო აღარ იტირებდი, ბებო“ (ჩოხელი, 2010, 172).

მოცემულ ნაწყვეტში, რომანიდან „სულეთის კილოზანი,“ კარგად ჩანს ავტორის სათქმელი: „ყველაფერი განსაზღვრულია, ყველაფერი კანონზომიერია, რაც ცხოვრების მანძილზე გვხვდება ხოლმე, უბრალოდ, ღმერთი პატარა ადგილს გვიტოვებს იმისთვის, რომ ჩვენ ჩვენი თავი ვიმოქმედოთ - ავირჩიოთ, გადავწყვიტოთ, და ამის მიხედვით ვვასობთ ჩვენ, ამის მიხედვით ვართ ცოდვილნი და უცოდველნი. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ სიკეთეს ვემსახუროთ თუ ბოროტებას, სიმართლით ვიცხოვროთ თუ სულები დავილაქავოთ. ბედისწერა კი თან გვდევს და ყველაფერი ურთიერთკავშირშია“ (ჩოხელი, 2012, 88).

სიმბოლური გააზრების საშუალებას იძლევა ხალხურ წარმოდგენაში არსებული **ბედის მწერლების** მწერლისეული პარადიგმაც.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რწმენის მიხედვით, ადამიანის ამქვეყნად მოვლენისას მისი ვარსკვლავი ჩნდება ცაზე, ხოლო ბედის მწერლები ადგენენ, დავთარში იწერენ ან სულაც შუბლზე აწერენ ახალგაჩენილს იღბალს, ბედს, ყისმათს - თუ კაცი რით, ან როგორ უნდა მოკვდეს, ან როგორ ატაროს ცხოვრება.

ბედის პერსონიფიკაციის ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში „ბედის მწერლები“ წარმოიდგინებიან შავებში ჩაცმულ, ხშირად, ხანში შესულ ქალებად.“ (აბაკელია, 1997, 123)

გოდერძი ჩოხელსაც სჯეროდა ბედისწერის, როგორც ყველა მთიელს. ღრმად სწამდა, რომ ადამიანს თავისი ბედი თან დაჰყვება, მაგრამ ამავე დროს მას შეუძლია იმის თავიდან აცილება. ადამიანი უნდა ეცადოს, როგორმე გათავისუფლდეს მისგან. ბედისწერა კი დაუწესა ღმერთმა, მაგრამ ამავე დროს თავისუფალი აჩევანის უფლებაც დაუტოვა. „მე თავად ვაჭედინებ ჩემს გმირებს ბედს, მაგრამ ბედისწერაც თან დაჰყვებათ. იგი ღვთისგანაა განსაზღვრული. ადამიანს არჩევანის უფლება აქვს, იგი ბედისწერასთან მეზრძოლია და არა მისი მონა,“- წერს იგი (ჩოხელი, 2012, 60).

ეს რწმენა-წარმოდგენა უდევს საფუძვლად მწერლის მოთხრობას „მგელი და სიკვდილი“.

„ - რაც ბედისწერამ დაუწერა, ის უნდა მოხდეს.

- მაინც რა დაუწერა?

- ეგ მხოლოდ ღმერთმა იცის და ბედისწერის გამრიგემ, იმას ყველაფერი მისხალმისხალ აქვს ჩაწერილი თავის დავთარში. ერთი პირი თვითონა აქვს, მეორეს სიკვდილს აძლევს, ეს სიკვდილი კიდევ კითხულობს და რაც იქ სწერია, იმას ასრულებს, არც მეტი, არც ნაკლები. ნურავინ იტყვიოთ და ნურავინ დაიკვებნით იმას, რომ ბედისწერას წინ წავუვლიო. ერთ ნაბიჯსაც ვერვინ წაუდგამს წინ წერა-მწერლის მიერ დაწერილს“.

ისე დარწმუნებით ამბობდა ბასა ამას, თითქოს თვითონ იყო ბედის მწერალი...

ბასამ კი მართლა ბევრი რამ იცოდა ბედისწერის შესახებ... საჯიხვევებში რომ შემოაღამდა, ღამის გათენება იმ ოჯახში მოუწია, სადაც ქალმა იმშობიარა. „სიჩუმე კარგა ხანს გაგრძელდა და ბასამ ისევ გაიხედა ბორწნელში. ქალს ახალდაბადებული ბავშვი გვერდით მოეწვინა და ჩასძინებოდა.

ბალებსაც ეძინათ.

კერაზე მკრთალად ბჟუტავდა ცეცხლი.

უცებ რაღაც შრიალისმაგვარი შემოესმა ბასას და ოთახი უცხო სინათლით განათდა.

იმავე წუთს მძინარე დედა-შვილს თავზე წამოადგა სამი კაცი. ის სამი კაცი რაღაცით არ ჰგავდა ჩვეულებრივ ადამიანებს.

- რა ბედი დავუწეროთ? - იკითხა ერთმა.
- დიდხანს იცოცხლოს, - თქვა მეორემ.
- არა, - თქვა მესამემ - დიდხანს არ უნდა იცოცხლოს.
- მაინც როგორი სიკვდილით მოკვდეს?
- გაიზარდოს, გოგო შეუყვარდეს და იმაზე დაიწეროს ჯვარი. ქორწილის დღეს კი მგელმა შეჭამოს, - ბრძანა მესამემ, - მანამდე კი ესე შეემთხვას, ესე შეემთხვას... - წვრილად უწერდა ბედს წერა-მწერალი, - და თუ ვინმე ისმენს ჩვენს ნათქვამს და ამის აღსრულებამდე განაცხადებს, რა წამსაც იტყვის, იმავე წამს მოკვდეს ეს ბაღი, - დაამთავრეს ბედის მწერლებმა და გაქრნენ...“

როგორი ირონიაა! იშვიათია ირონია გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში, თუმცა, აქ მაინც ირონიაა, სევდანარევი ირონია გულდამძიმებული კაცისა, სიყვარულით გამთბარი - ფორმა ასეთია, კონცეპტუალური გააზრება კი ასეთი: ბასას

თავად ეგონაო თავი ბედის მწერალი, ყველას ბედის მორჩილებისკენ მოუწოდებდა, ავტორმა კი იგი არჩევანის წინაშე დააყენა, ღვთისმშობლის შობასავით შემთხვევით შეასწრო ყრმის დაბადებას და მისი მომავალი დაანახა. რატომ გაიმეტა ასე გოდერძი ჩოხელმა თავმომწონე ბასა? ამ კითხვაზე პასუხი მისივე სიტყვებშია, რომელიც ზემოთ ვრცლად მოვიტანეთ და რომელსაც კვლავ გავიმეორებთ, რათა მწერლის ლიტერატურული პერფორმანსი გახდეს უფრო ნათელი: „ღმერთი პატარა ადგილს გვიტოვებს იმისთვის, რომ ჩვენ ჩვენი თავი ვიმოქმედოთ - ავირჩიოთ, გადავწყვიტოთ, და ამის მიხედვით ვფასობთ ჩვენ, ამის მიხედვით ვართ ცოდვილნი და უცოდველნი. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ სიკეთეს ვემსახუროთ თუ ბოროტებას, სიმართლით ვიცხოვროთ თუ სულები დავილაქავოთ" (ჩოხელი, 2012, 88).

ნებისმიერ შემთხვევაში სიკვდილზე, საიქიო ცხოვრებაზე, გაცოცხლებულ მიცვალებულებსა თუ ბედისწერის ანგელოზზე საუბრისას გოდერძი ჩოხელი ეყრდნობა ხალხურ წარმოდგენებს და იყენებს მათ ლიტერატურული ინსინუანციებისთვის.

განვიხილოთ სხვა სიმბოლოები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ზნეობრივი და მორალური სრულყოფის საკითხთან და მთელი სისრულით გამოხატავენ მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურ თვალსაზრისს.

### **სიმბოლო -კერა**

მ. ხიდაშელის კვლევის მიხედვით, მსოფლიო მითოლოგიურ სისტემებში სამყაროს ცენტრს საცხოვრისში კერა განასახიერებდა. კერიდან ამოიმართებოდა ის ძირითადი კოსმიური ღერძი, რომელიც მარად განახლებულ სამყაროს განასახიერებდა და კულტურის დამკვიდრებას აღნიშნავდა. მითოსური ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ეს იდეა სრულად არის გამოვლენილი საქართველოს უძველესი მოსახლეობის სულიერ კულტურაშიც. საცხოვრისში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი კერა, დედაბოძი და კერასთან არსებული შემადღება იყო. კერა, მასთან დაკავშირებული სადგარები და დედაბოძი სრულად ასახავდა კოლექტივის წარმოდგენებს სამყაროზე, გადმოგვცემდა სამყაროს შექმნისა და მისი მთლიანობის იდეას. აქვე, კერასთან, სრულდებოდა ის რიტუალები, რომლებიც ქაოსიდან კოსმოსის შექმნას განასახიერებდა. მათი შესრულების დროს

მყარდებოდა კავშირი პროფანულ და საკრალურ სამყაროებს შორის, იქმნებოდა კოსმოსი, მყარდებოდა აუცილებელი წესრიგი, რომელიც, ქაოსისგან განსხვავებით, მხოლოდ კოსმოსისათვის იყო დამახასიათებელი.

კერის სიმბოლური მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხევისურეთსა და გუდამაყარში. „ეს ორი კუთხეა ძველთაძველი საქართველო, სადაც წარსული და აწმყო, ლეგენდა და სინამდვილე, ისეა ერთმანეთში ჩაგრებილ-გადაჭდობილი, როგორც საკიდლის ჯაჭვი.

აკი, ამიტომაც ჰკიდებდნენ თავხეზე, კერიის თავზე ამ ჩაგრებულ ჯაჭვს, რომ სწორედ წარსულისა და აწმყოს, ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთობა იგულისხმებოდა და თითქოს სამყაროს ჭერის მარადიულ თავხეზე ეკიდა ეს ჯაჭვი, თანაც სამყაროს ცენტრისა და ურღვეველობის მიმნიშნებელ კერიაზე იყო ჩამოშვებული“ (ჩოხელი, 2008, 79).

კერასთან სრულდებოდა სხვადასხვა სახის რელიგიური ცერემონიალი.

„როცა ქორწილი იყო, მოვიდოდა ნეფიონი, ეჯიბი და მისი მაცრები წესის მიხედვით შელაგდებოდნენ დარბაზში, ნეფე-დედოფალთან ერთად კერიის გარშემო ტრიალებდნენ სიმღერით.

მღერიან, ამით ღმერთს შესთხოვენ და თავხეზე ჩამოკიდებულ საკიდელს ხანჯლებს ურტყამენ, ცეცხლს აყრევიან. ამით იმას მიანიშნებენ, რომ მარადიულობას - თავხეს, საკიდელს - კერას დღეს კიდევ ერთი ლამაზი ნეფიონი შესძინეს და ხანჯლის ცემით უფრო მაგრდება საკიდელი, ეს მაღლიანი სვეტი ჭერსა და ფუძეს შორის“ (ჩოხელი, 2008, 79).

კერა მთიელთა ოჯახის სიძლიერისა და სიწმინდის სიმბოლური გააზრებაა, ამიტომაც ქორწილის რიტუალის ძირითადი სცენები სწორედ კერასთან ეწყობოდა.

„კერა სახლის საფუძველია.

კერა სახლის საძირკველია.

კერა სახლის სალოცავია.

კერაზე ენთება ცეცხლი.

კერაზე ცხვება ხატში შესაწირი ქადა.

კერაზე ხდება სანთლის ჩამოქნა.

კერაზე ჰკიდია საკიდელი, რომლის გარშემოც შემოატარებდნენ ხოლმე ნეფე-პატარძალს და მათ მაყრიონს. მაყრები საკიდელს ხანჯლებს სცემდნენ და თან იძახდნენ: ღმერთმა გვიმრავლოს ჩვენი ნეფე-დედოფალი“ (ჩოხელი, 2010, 156).

კერასთან ლოცავდნენ ახალ ოჯახს, მაღლა ღმერთს, დაბლა დედამიწას, ქვეყანაზე სამართალს, ოჯახში ჭერს:

„ტრიალებდნენ, მღეროდნენ სანეფო სიმღერას და საკიდელზე აბრჯდვიალებდნენ ხანჯლებს.

დედოფალი ჰგავდა გველეშაპის ხახიდან გამოხსნილ მთვარეს.

ნეფე ჰგავდა ბედნიერებას.

ხოლო დევის ხელის მომჭრელი ეჯიბი იმ ზღაპრულ გმირს ჰგავდა, რომელსაც სახელად მარადიული ერთგულება ჰქვია.

მაყრიონი კი, ტრიალებდა კერის გარშემო.

ტრიალებდა.

ტრიალებდა.

ტრიალებდა...

და

ჩემს წარმოდგენაში დღესაც ისევ ისევე ლამაზად ტრიალებს.

დროც ტრიალებს და მიწაც ტრიალებს.

მიწაც ტრიალებს და ჩვენც გვატრიალებს“

წრიული და ვერტიკალური ფორმების გადაკვეთა გამოხატავდა ღვთიური და ადამიანური სიმართლის ურთიერთკავშირს:

„ ...კერასთან წყდებოდა ოჯახის საქმეები.

კერასთან უყვებოდნენ უფროსები ბალღებს საგმირო ზღაპრებს  
კერასთან მღეროდნენ ზამთრის გრძელ ღამეებში ფანდურზე საგმირო ლექსებს.“  
(ჩოხელი, 2008, 82).

კერა განასახიერებდა არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ოჯახის სიწმინდეს, არამედ ოჯახის, როგორც ინსტიტუციის მარადიულობას:

„კერის პირას უწმინდური ქალი ვერ დაჯდებოდა.

კერაში ღამლამობით ახვევდნენ ღადარს, რომ დილით გაეღვივებინათ და ამაში იყო რაღაც დროის უწყვეტობა, რაც პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს ჩამოუტანა მიწაზე, ადამიანი კი დღესაც გულმოდგინედ ახვევს ღადარს, რომ ხვალ კიდევ გააღვივოს ცეცხლი (ჩოხელი, 2010, 157).

კერა განასახიერებდა მომავლის იმედს და ამიტომაც: კერასთან ხვდებოდნენ ახალ წელს და ასრულებდნენ საგანგებო რიტუალს: „დიდ ხის მორს, რომელსაც თავზე ერბოს წაუსმევენ, ცეცხლში შეურთავდნენ. ოჯახის წევრები ამ მორზე გადასხდებოდნენ.. „წინ მჯდომარე ცხენივით შეიხვიხვინებდა.

ბებერაი მობრძანდება! (ვითომ ძველი წელი).

ბებერაი რასა ბრძანებს? - ეკითხებიან.

ბედსა, ბედნიერობასა,

პურსა, პურიანობასა,

ვაჟსა, ვაჟიანობასა,

წულსა, წულიანობასა

ოჯახის კარგად ყოფნასა,

ოჯახის ბარაქიანობასა! - პასუხობდა მორის თავზე მჯდომარე და თან მორის ცეცხლმოდებულ თავზე ჯოხს ურტყამდა. “ (ჩოხელი, 2008, 46).

ყველაზე დიდ უბედურებად ითვლებოდა კერის გაცეცხვა. გამჭრალი კერა მტრის გამარჯვებას ნიშნავდა, ამიტომაც აპირებს ჩრჩილების მისევეს საახალწლო ხისათვის სადგისი მელიას საამებლად, თორემ თუ მან კერა გააჩაღა, ჩაემლებათ საქმე.

„ქართველისათვის ყველაზე დიდი წყევლა იყო, შენ გაგიცივდეს კერაო.

- ხო ახდა? - ნიშნის მოგებით იკითხა მელიამ“ (ჩოხელი, 2010, 157).

აკი ახდა კიდევ სიწმინდეების დავიწყებითა და სოფლების დაცლით მტრის წყევლა, გაცივდა მთის სოფლები, სახე იცვალა ქართულმა ოჯახმაც, საშოვარს გადაგებული მეყველპურეებივით მოვედეთ მთელ მსოფლიოს ქართველები...

### **სიმბოლო სულის ცხენი**

ეს სიმბოლო უკავშირდება მიცვალებულებზე ზრუნვისა და მისი საიქიო ცხოვრების ამა თუ იმ სახით უზრუნველყოფის სურვილს. მკვლევრები ჭირისუფლის



ამ დამოკიდებულებას მიცვალებულის მიმართ კულტურის უდიდეს მონაპოვარს უწოდებენ. საგვარეულო წყობის დროს მიცვალებულის პრობლემას წყვეტდა თავად გვარი, საკუთარი ინტერესების გამომხატველი რიტუალებით, რომლებიც აღადგენდნენ სოციუმის წევრის „გასვლის“ გამო დარღვეულ ბალანსს და სათანადოდ „ამშვიდებდნენ“ მიცვალებულს.

„დიფერენცირებულ საზოგადოებაში იმქვეყნად თავს კარგად გრძნობდა ის, ვინც ამქვეყნად ბევრ ძეს ტოვებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, შეწირული საკვები, სამოსელი, თუ საქონელი უსათუოდ უნდა მოხვედრილიყო სულეთში, რასაც სჭირდებოდა სპეციფიკურ საშუალებათა მთელი არსენალი, - რიტუალური მოქმედებები, რომელთა შესაბამისი მიმდევრობის გამოყენება საშუალებას მისცემდა დაინტერესებულ პირს შეჭრილიყო ირაციონალურ, საკრალურ სივრცეში და გარკვეული ფასეულობები გადაეტანა სამზეოდან სულეთში. ასეთ მოქმედებებად ითვლებოდა მიცვალებულის სახელზე საქონლის დაკვლა, „დაყენება“, ან თავისუფლად გაშვება, სულის ცხენის სირბილით გახეთქვა“ (სურგულაძე, 2002, 409).

ამ საინტერესო, იდუმალებით მოცულ რიტუალზე წერს ნ. აბაკელიაძე: „დოდის გამართვა გარდაცვლილისათვის დიდ პატივად ითვლებოდა, ამიტომ წლის ხარჯზე, ზოგჯერ დაკრძალვაზეც, ცხენები აუცილებლად უნდა ერბოლებინათ. ...დოდში მონაწილე ცხენს საგანგებოდ ალამაზებდნენ ქალები, ძუა-ფაფარს უწნავდნენ და ფერადი ძაფებით უკრავდნენ, მძივ-ლილითვე გაწყობილ „საშუბლურს“ კი ცხენს მუხლზე უმაგრებდნენ. იგი თვალისაგან დასაცავად ფაფარზე ურძნის მძივებსა და ნახშირს უმაგრებდნენ. დოდის ცხენებს უნაგირი არ ედგათ, მხოლოდ მუცლებზე ჰქონდათ სარტყლები ამოკრული, რომ თავდადმართში და ცუდ გზებზე მხედრებს ხელი ჩაეჭიდათ, უნაგირით შეკაზმული მხოლოდ „სულის ცხენი“ იყო.

დოდის დღეს, ვისი ცხენიც მონაწილეობდა, ის ე. წ. „ცხენთ ტაბლას“ დადგამდა. სოფლის ცხენის „ცხენტაბლას“ მიცვალებულის ტალავართან (ტანსაცმელთან) დადგამდნენ.

სულის ხუცესის მიერ (ან ვინმე უფროსი კაცის მიერ გარდაცვლილისათვის ტაბლის დალოცვის შემდეგ დოდის ცხენებს „ცხენტაბლასთან“ მიიყვანდნენ.

მხედრები თავიანთ ცხენებს იმ ქერს აკმევდნენ, რომელიც ტალავარზე გაშლილ ფარდაზე ეყარა, თვითონ კი ლუკმას შეჭამდნენ, არაყს დალევდნენ და რაც სუფრაზე ქადის კვერების ნაჭრები იყო, ხალხისკენ გადაისვრიდნენ.

ამის შემდეგ მხედრები ცხენებზე შესხდებოდნენ, ჭირის პატრონი კი მათ აუწყებდათ, თუ რომელ სოფელში უნდა მისულიყვნენ, ტაბლას ვინ დაუდგამდათ. მხედრები „სულის ცხენით“ წინ, რომლის სადავე გარდაცვლილის დედას ან დას ეჭირა, მარცხნიდან მარჯვნივ სამჯერ შემოუვლიდნენ ტალავარს და გააჭენებდნენ (აბაკელია, 1997, 158).

რიტუალი სრული სიზუსტით ცოცხლდება გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში „ცხენი“: „ხალხმრავლობა იყო იმ დღეს ბაკურხევს, სადოლედ ემზადებოდნენ მხედრები. დიაცები ჭრელ-ჭრელი ნაჭრებით რთავდნენ სადოლედ ცხენებს. ძილამ დიდი ცისფერი ბანტი დააბნია ძმის ცხენს შუბლზე...“

პურობად დასხდნენ მხედრები. მერე გამოიტანეს მიცვალებულის ტალავარი და გაშალეს ბანზე. ტალავართან დაყარეს ქერი. იტირეს დიაცთ. მიცვალებულის ქვრივმა სულის ცხენი შემოატარა წაღმა ქმრის ტალავართ და მხედართუხუცესს გადასცა. მერე მხედრებმაც შემოატარეს ცხენები და დაიწყო დოლი.

გზაში ოთხი ტაბლა იყო, ბოლო - ფასანაურში იყო“ (ჩოხელი, 2007, 208-209).

ამავე რიტალზე საუბრობს მწერალი მოთხრობაში „დოლი“: „სულის ცხენს კაზმავდნენ, ფაფარსა და ძუას უწნავდნენ. ამ ცხენით უნდა წასულიყო „სულეთის ქვეყანაში“ მიცვალებული, შუახნის მამაკაცი, რომლის გარშემოც სამჯერ შემოატარა ცხენი მისმა ცოლმა, მერე ზედ მკვირცხლი ბიჭი შეჯდა და წყაროსკენ გააჭენა, იქ დაალევინა წყალი. ეს წყაროც მიცვალებულის სახელზე ეკურთხება და ამის მერე მისი სულის შესანდობრად შესვამენ აქ გამვლელი მგზავრები ამ წყაროს წყალს, ხოლო იგივე წყარო სულეთის ქვეყანაში მიცვალებულის წყურვილის მოსაკლავად იჩქეფს.“

მხედრები წასასვლელად ემზადებიან. როგორც წესი, დოლში მონაწილეთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს: შვიდი, ცხრა ან თერთმეტი მხედარი. ისინი დათქმული ადგილიდან უნდა წამოვიდნენ და მიცვალებულის სახლამდე აჭენონ

ცხენები ამ ციკაბო მთებზე. პირველი ვინც მოვა, ხარს აჩუქებენ, მეორეს - ძროხას და დაუსაჩუქრებელი არავინ დარჩება.

...სულის ცხენზე ხურჯინს გადაკიდებენ, შიგ საგზაოს და სასმელს ჩადებენ, შესანდობარის სათქმელად, და მიდიან დათქმული ადგილისაკენ. სულის ცხენზე ხანშიშესული, დარბაისელი კაცი შეჯდება, დანარცენები ახალუხლებია. მიდიან.

იქ, საიდანაც ცხენები უნდა გამოაჭენონ, უფროსი კაცი მხედრებს წინასწარ ჩამორთმეულ მათრახებს დაურიგებს და გაქცევის ნიშანს მანამ არ მისცემს, არავინ დაიძვრება ადგილიდან.

ერთ ადგილზე ვერ ისვენებენ ცხენები. თითქოს ისინიც გრძნობენ, რომ დღეს შეჯიბრია, რომელიღაც მათგანი პირველი უნდა მივიდეს მიცვალებულის სახლთან.

ვინ იქნება პირველი?

ამ მთებში დოღში პირველობა დიდი სახელია.

მოხუცმა კაცმა ნიშანი მისცა და გავარდნენ მხედრები. ნალები ამგრიალდა ცხენთა ფლოქვების ქვეშ. გაირინდა გარემო, დოღის საცქერლად გამტერდნენ მთები. უფსკრულზე მიხტიან მხედრები. ახლა ისინი შავ ფრინველებს ჰგვანან. ძალიან აღმართზე ძუაზე გამოებშიან ცხენებს, თავდაღმართზე კი ქვეითდებიან და წინ მიუბრუნდებიან. ცხენი და მხედარი ერთი სურვილით მთლიანდებიან. ერთნი ხდებიან. უფსკრულიდან უფსკრულზე ხტებიან და სოფლისაკენ მიფრინავენ მხედრები.

...მიცვალებული მშვიდად წევს საკაცეზე. ახლა მას უკვე ჰყავს სულეთის ქვეყანაში გასამგზავრებელი ცხენი.

ისმევა მისი შესანდობარი“ (ჩოხელი, 2008, 149).

გოდერძი ჩოხელი ადფრთოვანებულია ამ რიტუალით: „არის მართლა რაღაც დიადი და არქაული ამ რიტუალში, რაც მნახველს სისხლს აგიჩქროლებს, წარსულში და სულეთის საუფლოში ერთდროულად გადაგახედებს,“ - აცხადებს ავტორი.

ჩვენი აზრით, ავტორის ამგვარი დამოკიდებულების საიდუმლო სწორედ იმ დეტალებსა და ნიუანსებშია, რომლებსაც აღწერს. პირველ რიგში, აქ ცხადდება ადამიანისა და ღმერთის, სიკვდილისა და სიცოცხლის, სააქაოსა და საიქიოს კონცეპტუალური ურთიერთკავშირი, რაც მწერალმა არაერთგზის დაადასტურა. მეორე მხრივ, ამ რიტუალში იკვეთება სკნელში მკვიდრთა ურთიერთობის წესი,

თემის, სოციუმის წევრებს შორის მტკიცე კავშირი, ერთი მიზნისთვის შეკრებილთა ერთობლივი და მწყობრი მოქმედება, დინამიური რიტმი და მიზანდასახულობა.

დაბოლოს, რაც ყველაზე მეტად აღაფრთოვანებს მწერალს, ამ რიტუალში იკვეთება, რა არის სიცოცხლე, იკვეთება ქართულ მწერლობაში არაერთხელ და არაერთგვაროვნად გამოხატული ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების საზრისი - ბრძოლა სახელიანი გამარჯვების მოპოვებისთვის.

### **სიმბოლო ხარი**

ხარი ფოლკლორში მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვის მქონეა. ხალხური წარმოდგენით, ღმერთმა ხარი ადამიანის შემწედ გამოაგზავნა და მანაც უდრტვინველად იდო თავს მისი რჩენა, ამიტომ ის უფლისაგან დალოცვილია.

გოდერძი ჩოხელი უფასებდა ადამიანისთვის თავდადებას და სიყვარულით ამბობდა, ეს ჩვენა ვფიქრობთ, მათ გრძნობა არა აქვთ, თორემ პირუტყვი კარგად ხვდება ყველაფერსო.

სხვა რომ არაფერი ეთქვა და არსად ეხსენებინა ხარი, მხოლოდ ერთი სულისგამთობი მოთხრობითაც გადაუხდიდა ხარკს საუკუნეების განმავლობაში ქართველი გლეხკაცის მარჩენალ პირუტყვს: „მაღალი ღმერთის მადლითა, ცისა და მიწის მადლითა, ხარისა და გუთნის მადლითა, დღევანდლამდე მოვალწიეთ ადამიანებმა... არავინ იცის, რამდენი საუკუნე ეწეოდა მძიმე უღელს, უღელს, რომელიც ერთი ქართული ხალხური ლექსის მიხედვით, თვითონ ხარს, თავისი ნებით დაუდგია ქედზე:

... ხარი და ადამიანი დადგნენ ერთ სამართალზედა,

ადამიანის დარჩენა ვერვინ ვერ იღვა მხარზედა,

ადგა, ხარმა მოახსენა: „მე დამიდვია თავზედა.“

და მიუხედავად მძიმე უღლისა, ხარი სიკეთის განსახიერება იყო, ხარი არ გაბოროტებულა.

თანდათან გადადგა ხარი, წავიდა თავისი მშვიდი ნაბიჯებით. დიდი, წყლიანი თვალებით.

მიდის.

მიდის და ჩვენს სულში ღრმა კვალს სტოვებს:

სიკეთის კვალს.

სიმშვიდის კვალს.

მოთმინების, ამტანობის, გაუტეხლობის, სათნოების კვალს.

გვიტოვებს მოგონებებს გუთნის დედებზე, ხის გუთნებზე, ურმებზე...  
გვიტოვებს სიმღერებს:

„ურმული“,

„გუთნური“... (ჩოხელი, 2007, 296).

ხარის ძალას ნატრობდა, მთაზე ასვლასა და ფერდობებზე სიარულით დაღლას  
ოცნებობდა ჯანგატეხილი. უნდოდა, იმ სიცოცხლის წყურვილით სავსე ხარს  
ჰგვანებოდა, „ყასაბს რომ დასხლტომია, უკვე ყელში ხანჯალგაყრილი წამომხტარა  
და გაქცეულა“ .

ხარივით წმინდა, ხარივით ერთგული, ხარივით ამტანი და ხარივით  
მარტოსული წავიდა თვითონაც ამ ქვეყნიდან უფლის საბრძანებელში და დაგვიტოვა  
სევდა, სევდა ადამიანად ყოფნისა.

### **სიმბოლო თხა**

მკვლევართა აზრით, შექმული ნადირის გაცოცხლების შესახებ იდეა  
უნივერსალურია არა მხოლოდ კავკასიისათვის, არამედ თითქმის მთელი ძველი  
მსოფლიოს ხალხების კულტურისათვის. კავკასიური მასალისათვის ტიპურია  
სიუჟეტები, სადაც მოკლული და შექმული ცხოველის გაცოცხლება ხდება ძვალისა  
და ტყავის, როგორც სასიცოცხლო მინიმუმის ბაზაზე.

ადამიანისა და ღმერთის კავშირი დასტურდება გოდერძი ჩოხელის ბევრ  
მოთხრობაში, უფრო სწორად, ადამიანის ღვთიური წარმოშობა. ეს იდეა სხვადასხვა  
ფორმითა და შინაარსით ვლინდება და თავის თავში იმეორებს არაერთ მითსა თუ  
ლეგენდას. ასეთია „სიკვდილთან ღრეობა“.

„ბიჭი გამტერებული უყურებდა ნიშზე ჩამოგდებულ ციკნის თავს. თავი  
თვალებს ახამხამებდა

- არ კვდება, - თქვა ბიჭმა.

- რატომ არ კვდება?

- ხანდახან ეგრე იცის, იგვიანებს, სანამ სიკვდილი არ მოაკითხავს, - მიუგო დეკანოზმა.

...ხალხი დიდხანს ელოდა ციკნის სიკვდილს, მაგრამ ის მაინც ფართხალებდა, მანამ უკანასკნელი სისხლის წვეთი ედგა მარღვებში, მერე ჩაწყნარდა და ოდნავდა ფეთქავდა“ (ჩოხელი, 2007, 499).

„ქართულ ტრადიციაში თხის სიმბოლო მრავალ რიტუალში მონაწილეობს, შესაბამისად, მისი მნიშვნელობები ვლინდება ამა თუ იმ რიტუალის მრავალ ეპიზოდში სხვადასხვაგვარად და, ამიტომ, იგი მრავალი თემის გამომხატველია“ (აბაკელია, 1997, 167).

გოდერძი ჩოხელიც თავისებურად იყენებს ამ სიმბოლოს და უცოდველი ციკნის სიკვდილით ადამიანთა სისასტიკეზე მიგვანიშნებს („სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან“). უცოდველობა ბიბლიური ნიშანია, აბრაამის ბატკნის, განტევების ვაცის სიმბოლო, ნიშანი იმისა, რომ სისასტიკესა და სიყვარულს შორის გამყოფი სამანი ბეწვის ხიდივით უნდა გაიაროს ადამიანმა. სიყვარულმა სისასტიკე არ უნდა ჩაადენინოს კაცს, რწმენამ და ერთგულებამ მხოლოდ სიყვარული და სიკეთე უნდა მოითხოვოს მისგან.

ელისას მთაზე შეკრებილი ჩოხელები წმინდა ადგილას ციკანს კლავენ. კიდევ ერთი მოჭრილი თავი და კიდევ ერთი უცოდველი კრავის გამოხრული ძვლები უნდა შეემატოს საუფლო ადგილს. „დროთა განმავლობაში იმდენი ძვალი დაგროვილიყო, შემოქმედს ხელახლა რომ მოენდომებინა იმ ციკნის თავებისთვის სულის ჩაბერვა და იმ თავებს რომ ერთად შეებლავლათ ცისათვის, ალბათ ცა გაიხეოდა ცოდვით“ (ჩოხელი, 2007, 497).

ამ სისასტიკეს მკაცრსახიანი ბიბლა უფროსობს და ხალხიც ბრმად უსრულებს ყველა მითითებას. ცასავით ლურჯთვალა ციკანი მთის წვერზე პატარა ბიჭს მოჰყავს. ისიც ისეთივე მსხვერპლია, როგორც მის მხრებზე მოგდებული, თოვლივით თეთრი ციკანი. მსხვერპლი ადათ-წესების ბრმა მორჩილებისა, ღვთის სახელით ღვთის შვილის მოკვლას რომ გავალდებულებს. თითქმის მთელი საუკუნის შემდეგ, მთის მკაცრი წესების კრიტიკით ვაჟა-ფშაველასავით მომთხოვნია გოდერძი ჩოხელი საზოგადოების მიმართ. ვაჟას ქისტების მსგავსად, ჩოხელებსაც სტკივით გული

მოკლული სიკვდილის მომღიმარი სახით დამარხვაზე და ტირილით ემშვიდობებიან:

„ჩვენთან რა გინდოდა ჩემო შვილი,  
ჩვენთან შენნაირებს ვერ იხდენენ“...

სწორედ საზოგადოების გაკეთილშობილების სურვილი ჩანს მოთხრობის ფინალში; მზე მაინც ამოვიდა მეორე დღეს, „მე თვითონ ვიყავი იმის მომსწრე, როგორ ამოვიდა მზე, ოღონდ იქიდან კი არა, საიდანაც ამოდიოდა ხოლმე, გუშინდელი საფლავიდან ამოვიდა, ამოიწია და საშუადღეოდ დაჯდა ცაზე“ (ჩოხელი, 2007, 505). სიკვდილმა სიკვდილით ადამიანთა სისასტიკეს მოუღო ბოლო, გაუაზრებელ მოქმედებებს, ადამიანის არცნობის უნარს, წრეგადასული თვალთმაქცობასა და ფარისევლობას. ამიტომაც ცხადზე ცხადია სიკვდილის მზედ გარდაქმნისა და ციკნის გაცოცხლების სიმბოლური მნიშვნელობა.

მკვლევართა აზრით, ყველა ლეგენდაში ღვთაებები ადამიანს აუცილებელ პირობად უდებენ ძვლების დაცვას, რადგან ახალი სიცოცხლის შექმნა თუ ძველის აღდგენა მხოლოდ ტყავის სიმრთელისა და ძვლების უკლებლად და დაუმსხვრევლად დაცვით არის შესაძლებელი. ჩოხელის ლურჯთვალა ციკანიც ცოცხლდება: „ხალხმა იქით მიიხედა. გორდაგორ თავი მოგორავდა, სამანთან გაჩერდა, ხალხს მიაშტერდა, გამშრალი ენა გაალივლივა და დაიკვივინა. იმავე წუთს გადაგორდა და თან გაიყოლა ყველა ძვალი, რომელიც კი მას ეკუთვნოდა, კარჩხაზე ჩამოკიდებული ტყავიც თან გაჰყვა...“ (ჩოხელი, 2007, 502).

ციკნის გაცოცხლება იმ უცოდველი ადამის გაცოცხლებას ჰგავს, პირველყოფილი სისპეტაკით გამორჩეულ სახეს რომ ატარებდა, პირველსახეს, ნამდვილსახეს. ხატი უფლისა დაკარგულა ადამიანში, განმსგავსებული უფლისაგან ღრეობს და ვერც ხვდება, რა ცოდვებს სჩადის, რა ცოტა დრო აქვს ნაბოძები სიცოცხლით ტკობისათვის.

გაცოცხლებული ციკნის სიმბოლოს ჩვენული დეკოდირება ამგვარია: ავტორს სურს შეახსენოს ადამიანებს, რომ ახალი სიცოცხლის შექმნა, ახალი ფორმირება, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა დაუმსხვრევლად იცავ ბუნების ძველთაძველ კანონზომიერებებს, როცა ბუნების პატრონად კი არა, ბუნების შვილად მოიაზრებ

თავს, როცა ხვდები, რომ სიკვდილიცა და სიცოცხლეც სევდაა, და, მთავარი, ამ სამზეოში ადამიანად ყოფნაა და იცი, რომ შენით არ იწყება და არ მთავრდება წუთისოფელი.

„სიცოცხლე სევდაა, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა...“

სიკვდილიც სევდაა, ადამიანად არყოფნის სევდა...“

### **სიმბოლო ყვავი**

ცხადია, ყვავი პოზიტიური მეტაფორული სახე არაა, თუმცა იმის საილუსტრაციოდ, რომ გოდერძი ჩოხელის მწერლური ფანტაზია უარყოფით სიმბოლოსაც პოზიტიური კონტექსტის გასაძლიერებლად იყენებს, მოთხრობა „ბაძია“ გავიხსენოთ.

„არეული დრო იყო, ამაზე უფრო არეული.

შავი და უჟმური საძირკველი ეყრებოდა შავსა და უჟმურ სახელმწიფოს.

ჰაერში შავი ყვავები უფრო ლამაზები ჩანდნენ, იმასთან შედარებით, რაც დედამიწაზე ხდებოდა.

შავი დრო იყო.

მაგრამ ჯერ კიდევ ჯვრიანი ჭრელი პერანგებით დადიოდნენ ხევსურები.

ჯერ ისევ ამაყად გადმოდგებოდა ხოლმე ხახმატის მთაზე მთვარის ნალევი და გადმოხედავდა წმინდა გიორგის სამწყსოს. იმისი მკრთალი სხივები შუბისტრად ჩაეჭრებოდა ტოტებს შორის ასწლოვან მუხებს და სისხლით შეღებილ სამსხვერპლოს გამოანათებდა ხახმატის ჯვარში.

ასევე ჩაენთებოდნენ მუხებს შორის მთვარის სხივები და გამოლადდებოდა გუდანის ჯვარი, დიდი დალოცავი, დალოცვილი გუდანის ჯვარი.

მთვარე ჩაადგებოდა ბაცალიგოს ძლიერ სალოცავს.

მთვარის სხივზე შეკრთებოდა დიდი პირიმზე.

მთვარის სხივებზე წკრიალებდა ლომისის ჯაჭვი.

ჩოხის გიორგი ყმათ ლოცავდა მთვარის ნათელში.

ლაშარის ჯვარის დიდ მუხაზე შიბი ეკიდა.

ხევს დაჰყურებდა წმინდა სამება.

ტანის მთებში დევს მისდევდა დიდი კოპალა.



დღეობა ჰქონდათ იახსარს და ფუძის ანგელოზს.  
და მთვარე იდგა ნათლის სვეტად ქართველთა ცაზე.  
ცა იყო მკრთალად იისფერი, სრულად უღრუბლო.  
მთების ჩრდილები ერთურთს ჰკოცნიდნენ.  
და მოცურავდა ვარსკვლავთ შორის მთვარის ნალევი,  
თან მიჰყვებოდა შავი ღრუბელი...

და,  
ყველაფერი ფერს ჰკარგავდა,  
იცრიცებოდა.

წელან ერთმანეთს გადახვეულ მთების ჩრდილებს აბნელებდა, უხილავს ჰქმნიდა.

სადღაც ისმოდა მგლის ყმუილი.

ჭოტიც ჩხაოდა.

ცაზე ღრუბელი დიდდებოდა, მთვარის ნალევს ჩასანთქმელად ეტანებოდა. და ბნელდებოდა.

გეგონებოდათ სალოცავებს გველეშაპი დასტანებოდა.

რალაც ხდებოდა ბუნებაში, რალაც იმგვარი, რაც ალბათ მხოლოდ კაცს კი არა, დიდ სალოცავთაც შიშს მოჰკიდებს, შეაჟრჟოლებს.

მთვარე კრთებოდა ღრუბლებს შორის მალიმალულად და სანამ სულ დაბნელდებოდა, კაცი გამოჩნდა გუდანის ჯვრის მეიდანზე ჩუმად მლოცველი, ცრემლების ფრქვევით დიდ სალოცავს ევედრებოდა:

- გემშვიდობები, მაპატიე, ჩემ სალოცაო!

მერე წამოდგა, ჯვარს აკოცა სასანთლის ქვაზე და სიბნელეში გაუჩინარდა“ (ჩოხელი, 2011, 167-168).

დრო-ჟამის აღწერისას ყვავების სიმბოლო შემოაქვს. ისინი უფრო ლამაზები არიან, ვიდრე ის, რაც ხდება მიწის ამ პატარა ნაგლეჯზე, ყვავი და არა ყორანი, ყორანი ბედისწერასთან ასოცირდება, ბედისწერა განგებაა, მისგან მოვლენილი ხიფათი, ყვავი კი მასზე მიწიერია, მიწიერი ბოროტებაა, რომელიც ერთ კონკრეტულ ადამიანს კი არა, მთელ ერს, თემს, საზოგადოებას ემუქრება.

ყორანი გულ-ღვიძლის მკორტნელია, ანუ ადამიანის სულიერ საწყისს უტევს, ის, კი რასაც ახლა „საძირკველი ეყრება“ არა განგებასთან, არამედ ადამიანის მიწიერ ვნებებთან, ხორციელი სურვილების დაკმაყოფილების სურვილთან ასოცირდება.

გოდერძი ჩოხელის სამყაროს იერარქია „ზემოდან“ იწყება. დგანან სალოცავები: ხახმატი, გუდანი, ბაცალიგო, ლომისი, ჩოხი, ლაშარი - ეს წმინდა გიორგის სამწყსოა. ამაზე წმინდა გიორგის სიმბოლოებით - მთვარისა და შუბის - ხსენებით მიგვანიშნებს მწერალი: „გადმოდგებოდა ხოლმე... მთვარის ნალევი და გადმოხედავდა წმინდა გიორგის სამწყსოს. იმისი მკრთალი სხივები შუბისტრად ჩაეჭრებოდა ტოტებს შორის ასწლოვან მუხებს.“

სალოცავების შემდეგ შემოჰყავს მისტიკური სახე-სიმბოლოები, ფოლკლორული პერსონაჟები: კოპალა, იახსარი, ფუძის ანგელოზი, კოპალა დევს მისდევს, იახარსა და ფუძის ანგელოზს დღეობა გაუმართავთ, მათაც თავზე ადგათ მთვარე და ცაც „სრულიად უღრუბლოა,“ იერარქიულ სიმყუდროვეში იჭრება ჭოტისა და მგლის სიმბოლოები, რომელიც განზოგადდება კიდევ უფრო ავისმომასწავებელ სიმბოლოურ სახეში: „ცაზე ღრუბელი დიდდებოდა, მთვარის ნალევს ჩასანთქმელად ეტანებოდა. და ბნელდებოდა.“ დადებითი და უარყოფითი სახე - სიმბოლოების თამაშითა და მონაცვლეობით ეშვება მწერლის მზერა ადამიანურ სამყაროში და ჩნდება კაცი, „ჩუმად მლოცველი,“ რომელიც პატიებას სთხოვს სალოცავებს. რისთვის? ამ კითხვის პასუხი თხოვნამდე ნათქვამ სიტყვაშია: „გემშვიდობები,“ - ამბობს ცრემლების ფრქვევით და მიდის.

ეს საკრალური სცენა სამნაწილიანი მოთხრობის დასაწყისშია, სადაც მთავარი პერსონაჟი ერთმანეთს ჩახვეული მთების, მთვარის სხივზე შემკრთალი პირიმზის, აწკრიალებული ლომისის ჯაჭვისა და სისხლით შეღებილი სამსხვერპლოს წინაშე თითქოს უკანასკნელ წმინდა რიტუალს ატარებს, თავის კაცობასთან გამოსათხოვრად და საკუთარი სინდისის დასამშვიდებლად. ზემოდან მთვარის ნავალად ქცეული წმინდა გიორგი დაჰყურებს.

თამაშს აგრძელებს მწერალი და ის ჩუმად მლოცველი კაცი მოთხრობის მეორე ნაწილში თითქოს სხვა პიროვნებად გვევლინება. ნუთუ ეს

გულუბრყვილო ხევსური ისაა, ვინც ასეთი მოწიწებით ეთხოვებოდა სალოცავებს, რატომ ცდილობს თავი მოისულელოს, რატომ თანხმდება, ყველამ მოატყუოს და დასცინოს? რის ფასად ყიდულობს თავისუფლებას? ვერტმფრენი მისი ბედნიერი მომავალია, მხოლოდ მისი საშუალებით დააღწევს თავს სამშობლოს თავზე მოქუფრულ ღრუბლებს, იმას, რის გამოც ყველაფერი გაიცრიცა, ყველაფერმა ფასი დაკარგა.

ბაძია ის არაა, ვინც ჰგონიათ, არც ისაა, ვინც თვითმფრინავში ადის, თავს გაქცევით რომ შევლის, ამ გაქცევისთვის პატიებას რომ სთხოვს სალოცავს, სინდისი რომ ვერ დაუმშვიდებია და მაინც თამაშობს, მაინც ბოლომდე იბრძვის საკუთარი მომავლის გადასარჩენად და არაფრად აგდება ბრბოს უღმობელ ხარხარს? მაშ ვინაა ბაძია?

ამას მოთხრობი ფინალში გვიშიფრავს ავტორი: ბარში ჩამოსახლების შემდეგ გაუჭირდა ბაძიას, ხევსურებს უჭირთ ბარში ცხოვრება. ბაძიას კი თავდავიწყებამდე უყვარდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მისთვის ყველაფერს დათმობდაო, - გვიამბობს მწერალი.

კაი ყმად ითვლებოდა ბაძია, სალოცავები სწყალობდნენ, ხევსურთა ბრძოლაშიც გაუმარჯვნია და გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის ხუთი წლის ქორაი უჩუქებია თემს. თუმცა მისთვის საკუთარი ვაჟკაცობა კი არა, კაცის კაი კაცობაა მთავარი, ქისტი ასლანბეგიც იმავე საზომით გაზომა, რა საზომითაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი უყვარდა, რადგან მისთვის მთავარი ადამიანია მთელი სისრულით, ადამიანი, როგორც თავისუფლების სიმბოლო.

არავინ იცისო, ჩააღწია თუ არა საფრანგეთამდე, არცაა ეს მთავარი, მთავარი ისაა, რომ „ჯვრიანი პერანგის უბიდან მაუზერი დაადრო“ და დაიღრიალა. თავისუფლების წყურვილი და მონატრება დაიღრიალა! იქაც ბაძიად მიდიოდა ჯვრიანი პერანგით და თან თავისი სალოცავების მაღლი მიჰქონდა.

### **სიმბოლო ყორანი**

ყორნის სიმბოლო, ცხადია, ამირანის მითს უკავშირდება.

ამირანის ეპოსი თავისი არსით კავკასიური ცივილიზაციის მწვერვალია, სადაც ცალსახადაა ნათქვამი ემპირიული ცნობიერების რღვევის ევოლუციურ

ფორმებზე და ზეცნობიერი სულიერი სამყაროს ზეემპირიული მდგომარეობის დამყარების აუცილებლობაზე.

„ამირანი ქართველთა უძველესი ეროვნული გმირია. იგი ჩვენს ეროვნულ მიხსიერებას უშორეს წარსულში დარაჯობს და იცავს.

ათასწლეულებს მიღმა ერის თვალსაწიერი ბურუსით იქნებოდა მოცული, რომ არა მზიური გმირის-ამირანის პიროვნება. ამირანი თავისი სინათლით და სიდიადით ფანტავს წყვიდადს, ნისლებს, წინარე ისტორიულ ეპოქაში და ამით ხაზს უსვამს ქართველი ერის უძველეს ისტორიას.

ამირანი სიკეთისათვის მეზობლი გმირია. ის ებრძვის კაცობრიობისათვის ზიანის მომტან არსებებს: დევებს, ქაჯებს, გველეშაპებს,“ - წერს ზ. კიკნაძე.

ამავე კონტექსტში გვხვდება გოდერძი ჩოხელთან ყორანი, როგორც ამირანის მითოლოგიური შინაარსის ნაწილი. ზ. კიკნაძეს ბუნებრივად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ამირანის თქმულებამ ვერ ჰპოვა ადგილი მთიანეთის საყმოთა ანდრეზულ სისტემაში. ამის მიზეზად მთიელთა ცნობიერებას ასახელებს. ამირანი, როგორც სახელგანთქმული დევთმორკინალი, არ ჩანს ღვთისშვილთა შორის, რომელთა უპირველესი ღვაწლი დევების წინააღმდეგ ბრძოლაა. ღვთისშვილთაგან განსხვავებით, ამირანს არ ჰყავს საყმო, ის არ არის რომელიმე მოსახლეობის პატრონი, რადგან საყმოს წმიდანი ან ანგელოზი პატრონობს, ამირანი კი არც ერთია და არც მეორე.

ამიტომაც ამირანი „ხუჭუჭულაში“ განყენებული, დამოუკიდებელი ფენომენია და ამაოა მისი ცდა, დაიხსნას ყორნისაგან პატარა ბიჭი, ბიჭი, რომელიც ძმის ნამუსს, მისი კაცობის აღიარების სურვილს ეწირება, ბიჭი, რომელსაც სურს, მისი ძმა იყოს ის, ვინც სოფელს ეიმედება, ვისაც ბოროტი ძალების შემმუსვრელ, ოჯახის, საყმოს უსაფრთხოების დამცველად მოიაზრებენ. ბებიას ნასათუთევემა ხუჭუჭულამ შეშინებული უფროსი ძმის მაგივრად უნდა ჩამოიტანოს ბანიდან ბეჭის ძვალი. სხვა „გულადი“ ბიჭები, რომლებმაც ეს უკვე შეძლეს, ფრთოსან გველებთან შეხვედრის და მათთან გაბრძოლების სცენებს ჰყვებიან.

გამთენიისას სახლიდან გაპარულ ხუჭუჭულას კი ბანზე ყორანი ხვდება. „დაიყრანტალა ყორანმა და როცა ხუჭუჭულა დაიხარა, ზურგზე დააცხრა, ტანსაცმელში ბრჭყალები გამოსდო, აიქნია ფრთები, აატყლამუნა, ჰაერში აიწია და ფარტენასავით მსუბუქად აიტაცა ხუჭუჭულა, რომელსაც ფეხსაცმელი ეჭირა და უცებ ვერც კი მიხვდა, რომ ჰაერში მიფრინავდა, სანამ მაღლიდან არ ჩამოხედა სოფელს.

ყვირილი მორთო ხუჭუჭულამ.

ყორნის ყრანტალმა და ხუჭუჭულას ყვირილმა გამოადვიდა სოფელი.

- ბებოო! ბებოო! მიშველე, ბებოო! - ყვიროდა მაღლიდან ხუჭუჭულა.-

ყორანი ჭიუხებისკენ გაფრინდა და მთელი სოფელი შეძახილებით გაჰყვა თან. მალევე მიეფარა ყორანი მთას. ისეთი პატარა და მსუბუქი იყო ხუჭუჭულა, ოდნავაც არ უჭირდა ყორანს ფრენა.

„კავკასიონი კი დგას.

დგას ამაყად ამოზიდული და შორს მომზირალი. იგი ვერ ხედავს, როგორ ცდილობს მის გულ-მკერდზე უშველებელი შავი ყორანი პატარა ბიჭის დაკორტნას. ...მარტო კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი ხედავს ყორანთან მოჩხუბარ ხუჭუჭულას.

ბორგავს ამირანი. ჯაჭვების გაწყვეტას ცდილობს, მაგრამ ამაოა მისი მცდელობა.

თანდათან ღონე ელევა ხუჭუჭულას.

საზარლად ყრანტალებს ყორანი.

არ ჩანს მშველელი.

ბორგავს ამირანი

და -

საიქიოში ხუჭუჭულას ბეზის სული მაღალ ღმერთს ევედრება, რომ აუშვას ამირანი, რათა დროზე მიეშველოს მის საყვარელ, პატარა ხუჭუჭულას“ (ჩოხელი, 2008, 56).

ზოგადად, ანდრეზად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ტექსტი, სადაც წმინდა გიორგის, ან სხვა რომელიმე ღვთისშვილის, კოპალას თუ იახსრის ღვაწლი - დევ-კერპთა შემუსრვა ან მათი განდევნა ადამიანთათვის განკუთვნილი მიწა-წყლიდან, უკავშირდება ამ კონკრეტული საზოგადოების გენეზისს. აქედან გამომდინარე,

ხუჭუჭულა ღვთისშვილია, საიქიო სამყაროსთან მობაასე, გარდაცვლილ ბებიასთან უშუალო კონტაქტში მყოფი, მისი დამჯერე. ეს მისი გამორჩეულობის ნიშანია, გამორჩეული კი ღვთის შვილია, - ასე ესმით მთაში, ასეთი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს ჩოხელი.

სწორედ ამიტომ, სამყაროს მომწესრიგებლის, სინდის-ნამუსის შემნახავის ფუნქცია საყმოს შვილს, ზემადლით რჩეულს აქვს და ყორანიც სწორედ მას უკორტნის გულ-ღვიძლს. უადრესად საინტერესოა, რომ ნაწარმოების ფინალში, კავკასიონის ქედზე ყორანთან „მოჩხუბარი“ ღვთისშვილი ამირანის მითიური ბორგვის მიზეზი ხდება. სწორედ აქ, მის გვერდით, იკვეთება უშუალო კავშირი კუთხურ და ზოგადქართულ ცნობიერებას შორის.

გოდერძი ჩოხელი მთიელთა წარმოდგენას არ ღალატობს: მისი ხუჭუჭულა, როგორც სხვა ღვთისშვილი, საზოგადოებრივი შეგნებისა და მორალის დამცველია, ხოლო ამირანი, რომელიც ჯაჭვების გაწყვეტას ამაოდ ცდილობს, კონკრეტული ადამიანის მორალურ-ეთიკური სახისა და ზნეობის გამომხატველად სიმბოლიზდება. საინტერესო გადაწყვეტაა ფინალური სცენა: საიქიოს მკვიდრი ბებია უფალს ევედრება, „რომ აუშვას ამირანი, რათა დროზე მიეშველოს მის საყვარელ, პატარა ხუჭუჭულას.“ ეს ფრაზა თითქოს აგვირგვინებს დაუსრულებელ რჩევას, რა არის წარმართული და რა - ქრისტიანული ქართულ ესთეტიკაში, ყველა წარმოდგენას აერთიანებს ღვთის სახე, ქრისტიანული აზროვნების ყოვლისმომცველობა, ერთდროულად თავისთავადი და წარმართული კულტურული მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებელიც.

### **სიმბოლო გველი**

გველის მეტაფორული სახე-სიმბოლო არაერთგვაროვანია უძველეს მითოლოგიურ წარმოდგენებში. ერთი მხრივ, იგი განასახიერებდა ქაოსს, სიბნელეს, ბოროტების საწყისს, რომელიც უპირისპირდებოდა კეთილ ძალას, მეორე მხრივ, გველი ხთონური არსებაა, დაკავშირებულია ქვესკნელთან, წყალთან, წყალი კი მუდმივი განახლებისა და აღორძინების სიმბოლოდაა მიჩნეული.

ბიბლიის მიხედვით, გველი სიბრძნისა და ბოროტების სიმბოლოა, მასთანაა დაკავშირებული პირველი ცდუნება და ადამიანის სამოთხიდან გამოძევება.

ბიბლიაში ვკითხულობთ: „უთხრა უფალმა გველს: რაკი ეს ჩაიდინე, წყეულიმც იყავ ყველა პირუტყვს შორის! მუცლით იხოხე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე. მტრობას ჩამოვაგდე შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე!“ (დაბადება, 3:1415).

ბიბლიის მკვლევარნი ვარაუდობენ, რომ ადამისა და ევას შეცდენამდე გველი „არ უნდა ყოფილიყო ზარდამცემი. შიშისა და ზიზღის გამომწვევი არსება ვერ მოახერხებდა იმას, რაც მოახერხა. გველი ისეთივე მშვენიერი და მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, როგორც აკრძალული ხე და მისი ნაყოფი.

დასჯილ-დაცემულ გველს შერჩენილი აქვს ძველი „დიდება“ - შეფერილობა, მოქნილი ტანი, იდუმალება მოწმობს მის სხვანაირ წარსულს. „ის არსებაც, რომელმაც გველი გამოიყენა ღვთის ხატის მატარებელთა შესაცდენად, უბრწყინვალესი ანგელოზი იყო, მას სახელადაც შერჩა ლუციფერი“ (კიკნაძე 2004:25).

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში გველი გაორებული სახით არის წარმოდგენილი. „სიონელი მოხვეე დ. წამალაიძე ამბობს: „გამიგია, რომ ალალი და არამი გველი არსებობსო“, სონა აქიაშვილის გადმოცემით კი „ფუძის გველი ალალია. ცხოვრობს სახლის საძირკველში, ზოგი რძესაც ასმევს“ (ცანავა 1986, 120-122).

სხვა დატვირთვასა და გააზრებას ვხედავთ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში, სადაც გველთან დაკავშირებით მართლაც უცნაური ამბავია გადმოცემული ამავე სახელწოდების მოთხრობაში.

ბაგილა ალდიაურმა გამოიღვიძა და, როცა ადგა, მისი სული ლანდის სახით სხეულიდან გამოვიდა. სულმა სხეული გარეთ გამოიტანა და გაიხედ-გამოიხედა. სალადოელები სამუშაოდ წასასვლელად ემზადებოდნენ. ლანდმა ხალხს დაუმახა. მივიდნენ და ლანდი და სხეული ცალ-ცალკე რომ დაინახეს, დაიზაფრნენ.

- აემ ჩემს სხეულს ხომ ხედავთ, ამას შავიტან სახლში; ზემოთავში მივაყუდებ და მე საიქიოს წავალ. მანამ მოვბრუნდები, ამას ხელი არავინ ახლოთ, მიწაში არ დამარხოთ, თორე ვაი, თქვენი ბრალიო, - გააფრთხილა ბაგილამ სოფლელები.

სხეული იღლიაში ამოიჩარა ლანდმა და კუთხეში მიაყუდა. გამოვიდა და წავიდა.

იმ დღეს თორმეტი კაცი შეიშალა ჭკუიდან. სული ერთი წლის მერე ისევ მობრუნდა. ისევ ლანდივით მოდიოდა. შევიდა, სახლიდან ჩაკირკილავებულ-ჩაჭიკივებული თავისი სხეული გამოიტანა, მზეზე გაბერტყა და ჩაძვრა. სხეული უცებ გაცოცხლდა და ისევ კაცად იქცა. იმ დღეს უკვე ნახევარზე მეტი გაგიჟდა სოფელში. დაიჭირეს და ხეზე გააკრეს ბაგილა. აწვალეზდნენ, უნდოდა გაეგოთ, სად იყო, რა მოიხილა ან რატომ არა კვდებოდა. „არ ამბობს, ერთი პატარა გველი ჰყავს სხეულში. დადის, დადის ის გველი და ულოკავს ჭრილობებს. არაფრით არ კლავს ბაგილას, ლოკავს და ლოკავს. ეს გველი საიქიოს მიეცათ და ეთქვათ: წაიყვანე, სხეულში ჩაისვი და რაც არ უნდა მოგივიდეს, მაინც მოგარჩენსო. თუ ადამიანად ყოფნა მოგწყინდეს და აქ გამოგწიოს გულმა, გველს კუდი მოაწყვიტე, ამასაც ძალა დაეკარგება და შენც მოჰკვდები და ისევ აქ მოხვალო“ (ჩოხელი, 2007, 487).

გაუწამეს სიცოცხლე ბაგილას გიჟებმა, ვერაფრით ვერ დაიჭირეს ის გველი, ვერაფრით ვერ მოაქციეს ბაგილა ჩვეულებრივ კაცად, აწვალეზენ, მაგრამ მაინც არ აწყვეტს იმ გველს კუდს ბაგილა, არც ხმას იღებს, არ უნდა იქ წასვლა, საიდანაც დაბრუნდა.

ცხადია, გველი ბაგილას უკვდავების სიმბოლოა. დავაკვირდეთ, სად იყო წასული ბაგილა? რა მოიხილა, რა ძალას ეზიარა, რა აიძულებს მოითმინოს და არ გაექცეს წამებას, დამცირებას? რატომ და რის ფასად ინარჩუნებს უკვდავებას? გავიხსენოთ, თუ როგორი დემონსტრაციულობით იწყებს პერსონაჟი ახალ ცხოვრებას: სამუშაოდ მიმავალ თანასოფლელებს ერთგვარი სიმალლიდან ემუქრება: - „აემ ჩემს სხეულს ხომ ხედავთ, ამას შავიტან სახლში; ზემოთავში მივაყუდე და მე საიქიოს წავალ. მანამ მოვბრუნდები, ამას ხელი არავინ ახლოთ, მიწაში არ დამარხოთ, თორე ვაი, თქვენი ბრალი!“

შემდეგ ასეთივე დემონსტრაციულობით „სხეული ილიაში ამოიჩურთა,“ კარის ზემოთ, კუთხეში მიაყუდა. გამოვიდა და წავიდა“.

ავტორს აშკარად სურს მისი გამორჩეულობა, განსხვავებულობა დაგვანახოს, ბაგილა ჩვეულებრივი კაცი არაა, მას რაღაც სხვა მიზნები და ამოცანები აქვს დასახული. სააქაოდან გასული ისევ დაბრუნდა. როგორია ახლა მისი ქცევა? ისევ კაცად იქცა, მაგრამ სადღაა ეპატაჟურობა, მისი გამომწვევი ქედმაღლობა? ახლა



ბაგილას მორევა ადვილია. თანასოფლელებს უკვე მისი დაჯახვის სურვილი უჩნდებათ, რადგან ის ახლა სხვა რამითაა განსხვავებული ჩვეულებრივ მოკვდავთაგან. მან რაღაც ისეთი იცის, რის ცოდნასაც დანარჩენები ეშურებიან. ამ ცოდნას განასახიერებს უბეში დამალული გველი, რომელიც მიწიერი ცხოვრებისგან მიყენებულ ჭრილობებს ულოკავს, რომლის წყალობით, ყველანაირ ტკივილებს უძლებს და რომელმაც კიდევ უფრო მეტი უნდა შეაძლებინოს.

მაშასადამე, გველი იმ სიბრძნის სიმბოლოა, რომელიც ამ სამყაროს შეაცნობინებს ადამიანს. ამ სიბრძნის შეძენის შემდეგ აკეთებს ბაგილა შეგნებულ არჩევანს: იტანჯება, მაგრამ მაინც არ აწყვეტს იმ გველს კუდს, რადგან სწორედ ესაა მის მიერ აღმოჩენილი ჭეშმარიტება - ადამიანის ცხოვრება სულის ბორგვაა, ტანჯვაა, საკუთარი თავის მუდმივი გამოცდა და გაძლება. ვაჟას „სიმღერა“ გვახსენდება ერთი შეხედვით პარადოქსული ამონაკვნესით: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული“. მარადიულ წუხილში ყოფნა ურჩევნია ბაგილას არარაობაში ყოფნას, მას ხომ წყალობის მომშუშებელი გველი ჰყავს, სიმბოლო, ცოდნისა, როგორ გაუძლო, როგორ დაითმინო, როგორ გაუმკლავდე.

სიბრძნისა და სიკეთის, კაი ყმის მფარველი სიმბოლოა გველი ლუკასთვის თევდორეს მონაყოლში: „ლეგო ბალობიდანვე მობრალული გულის იყო. მისი (სამხედრო) ნაწილის მოშორებით გველის წიწილები უნახავს ლეგოს. დაობლებულები ეგონა და რძეს უზიდავდა ყოველ დღე. ერთხელ კი, როცა დაუდგა თურმე რძე და გველის წიწილებიც დასწაფებიან დასაღევად, ლეგოს სისინის ხმაზე უკან მოუხედავს და უზარმაზარი გველის დანახვით დაზაფრული, უკანმოუხედავად გაქცეულა. კარგა ხანს აღარ გაჰკარებია იქაურობას. ლეგომ უკვე იცოდა, როდის იყვნენ მარტოკები და ისეთ დროს მიჰქონდა რძე, როცა გველი იქ არ ეგულებოდა. ერთხელაც, როცა დაუდგამს რძე, შემოხვევია ის უშველებელი გველი ფეხებიდან. ლეგოს გული წასვლია. არც გონზე მოსული გაუშვია გველს, ისევ ისე ჰყოლია შემოხვეული, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ შემოხსნია. თავის ნაწილთან რომ მისულა ლეგო, იმაზე მეტად გაოგნებულა, ვიდრე იმ გველმა დამართა: გერმანელები ნაწილს გერმანელები დასხმოდნენ თავს და ყველა ერთიანად ამოეწყვიტა. (ჩოხელი, 2011, 389).

## სიმბოლო მთა

მთა სულიერების გამომხატველი სიმბოლოა ქართულ ლიტერატურაში. ადამიანის სულის სიმაღლეა მთა. საუკეთესო მეტაფორაა პიროვნების პერსონიფიცირებისა და მისი მნიშვნელობის ასახსნელად. მაგალითისთვის ისიც კმარა, საყვარელ მწერლებს ბუმბერაზის ეპითეტით რომ ვამკობთ. მათ შორის უპირველესი გავიხსენოთ:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,  
თვალწინ მეფინა ქვეყანა,  
გულზედ მესვენა მზე-მთვარე  
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“ (ვაჟა-ფშაველა).

მის მემკვიდრედ თვლიდნენ და ჩვეული მოკრძალებით ეთანხმებოდა კიდევ, რადგან ორივენი მთის ღვიძლი შვილები იყვნენ, ორივენი სულიერ სიმაღლეს ესწრაფვოდნენ და კალამსაც ორივე ადამიანთა სულის აღზევებისთვის იყენებდა.

გოდერძი ჩოხელის სულის მთა სალოცავის საკრალურ სივრცესავით შრეებად იყოფა:

„ხან მთის წვერზე ვარ,  
ხან უფსკრულში დავხეტები...“

ცხოვრებასთან ჭიდილში მთასა და ბარს შორის ორად გაჭრილს, წარსულსა და თანამედროვეობას შორის გახიდულს, საკუთარ სინდისთან მარტო დარჩენილს სულიერი გაორება სტანჯავდა. მძიმე თოვლად აწვა მისი სულის მთას მგლად ქცეულთა უღმობლობა:

„...ანდა რა ვუყო აიმ ხის ქვეშ განაბულ ნადირს,  
მეორეს რომ ჩასაფრებია -  
ერთი სურვილი მეორეს ჭამს ჩემს არსებაში,  
ფიქრი ფიქრსა სცვლის,  
სიხარული მოსდევს ჭირ-ვარამს.  
ჩემი სულის მთა ხან თოვლით არის დაფარული  
და ტყის სიღრმეში მწიფე ძახველს ვკენკავ მშიერი...  
მძიმე თოვლი დევს მთის ფერდობზე,

მძიმე ზვავებს ვიქანებ სულში" ჩოხელი, 1991, 9).

მიუხედავად მძიმე ყოფისგან დამძიმებული სულისა, ჰყოფნიდა ძალა, მზესავით მოეფინა თავისი სიკეთე, სიტყვის ჯადოსნური მადლით გაეთბო მკითხველი და ეთქვა:

„ყველას ეკუთვნის ჩემი სულის მთა:

ცხვარს საბალახოდ,

ნისლებს სატირლად,

ვარსკვლავებს, მთვარეს, დღესა და ღამეს,

კაცებს ბალახის სათიბლად, ხან სანადიროდ...

...ყოველ ცისმარე მზე ამოდის მთის იქითიდან,

ბნელს გაანათებს და უფსკრულში ჩაიწურება...

სუყველგან ჩემი ნაწილია, სუყველგან მე ვარ,

მზეც ჩემი სულის გარშემო ბრუნავს“ (ჩოხელი, 2011, 117).

#### **სიმბოლო ხე - ნაყოფის მომცემი**

მსოფლიო ხალხთა მითოსში ხე სიცოცხლისა და მარადიული ცხოვრების სიმბოლოა. წარმოდგენები ნაყოფიერი ხის შესახებ ფართოდაა გავრცელებული მთელ საქართველოში. აბაკელია საკრალური ხის სიმბოლოებს საქართველოში სტატიკურ და მობილურ სიმბოლოებად აჯგუფებს. სტატიკურ სიმბოლოთა რიცხვს მიეკუთვნება დედაბოძი, რომელიც საცხოვრებელისათვის საყრდენს წარმოადგენს და მსოფლიო ხის ფუნქციას ასრულებს.

უნივერსალური მნიშვნელობისაა ხე გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში.

„სულეთის კიდობნის“ საქმე #13-ში (გუთანის) მწერალს ხის სიმბოლური მნიშვნელობა გამყარებული აქვს სახარებისეული იგავმეტყველებით: „ყოველმან ხემან, რომელმან ნაყოფი არ გამოიღოს, მახვილით მოიჭრას“.

ხე ნაყოფის გამომღები სარგოა როგორც კაცთათვის, ასევე ფრინველთათვის და ცხოველთათვის. არც ყოველი ხე უნდა მოიჭრას, რომელიც ნაყოფს არ გამოიღებს, რათა არ წახდეს და არ გამოიფიტოს ჰაერი, მაგრამ ნაყოფის გამომღებ ხეს დიდი ვალდებულება აქვს ღვთის წინაშე. ძველთაგანვე აკრძალული იყო ნაყოფის მომცემი ხის მოჭრა.

„და იყო ერთხელ ომი ქართველებსა და შემოსეულ მტრებს შორის.“ ქართველები მიუვალ კლდეზე მდგარ ციხეში იყვნენ გამაგრებულნი, გვირაბით აჰქონდათ წყალი. ციხის გარშემო უფსკრულის ამოვსება დაიწყო მრავალრიცხოვანმა მტერმა.

ციხის ზემოთ ცაში აშოლტილი მსხლის ხე იდგა. გაზაფხული იყო და ისე ლამაზად ჰყვავოდა მსხლის ხე, უმთვარო ღამეშიც კი მთვარესავით ანათებდა მისი თეთრად გადაპენტილი ყვავილები. ამ მსხლის ნათელში უთვალთვალეზდნენ ერთიმეორეს მტერი და მოყვარე. თანდათან ივსებოდა მიწაყრილით ქართველების ციხის გარშემო უფსკრული, და უცებ, ცაზე მეხის გავარდნის ხმასავით გაისმა ჭახანი. აფეთქებული ყვავილების კორიანტელი გულზე მოხვდა მტრის მთავარსარდალს. „თვალი მოჰკრა, როგორ მოწყვეტით დაეცა მიწაყრილის მხარეს მოჭრილი მსხლის ხე.“

საკრალურ იდუმალებას კვლავ სურნელებით ამძაფრებს მწერალი, ამით მიანიშნებს სიტუაციის კულმინაციურ დამაბვავზე და აქედან იწყება ხის მეტაფორული გააზრების ეტაპიც: „სახე მოელუშა მტრის მთავარსარდალს. ათასისთავი იხმო და მკაცრად იკითხა: - ვისი ბრძანებით მოიჭრა ეს მსხლის ხე?

- ჩემი ბრძანებით!

ჯალათს უხმო მთავარსარდალმა და უბრძანა:

- როგორც ის ნაყოფის გამომღები მსხლის ხე დაეცა მიწაზე, ისე დაეცეს ამავე წუთში ამისი ტანი!

ჯალათის ხმალმა ჰაერში გაიშხულია და ათასისთავის სხეული მთავარსარდალის ფეხებთან დავარდა, ხოლო თავი მიგორავდა და ბოლოს ჯერ კიდევ ამოუვსებ უფსკრულში ჩავარდა.“

რა დატვირთვას იძენს ნაყოფის მომცემი ხის სიმბოლო მოცემულ სიუჟეტში, ვინ არის ის, ვინც პასუხს ითხოვს მოჭრილი ხის გამო? გავაგრძელოთ თხრობა: „ცხენის მოყვანა უბრძანა მთავარსარდალმა. იმისთანა ცხენი მოჰგვარეს, გასაფრენად გამზადებულ ანგელოსს ჰგავდა.“ ალბათ ძნელად თუ გავიხსენებთ სხვა შემთხვევას, სადაც ქართველთა წინააღმდეგ ხმალამოწვდილი მტერი ანგელოზთან არის

შედარებული, აქ ალუდა ქეთელაურის სულის სიმაღლეა საჭირო, რომ სიძულვილით კი არა, პატივისცემით განიმსჭვალო ასეთი მტრის მიმართ.

„გახსოვდეთ, როცა გეწინააღმდეგებათ მტერი, საკუთარი სიკვდილიც არ უნდა დაიშუროთ მის შესამუსრად, ხოლო როცა სიცოცხლეს უსწრაფებთ ნაყოფის გამომღებ ხეს, რომელსაც ერთნაირად მოაქვს სურნელი და ნაყოფი თქვენთვის და თქვენი მოწინააღმდეგისათვის, ღირსი არა ხართ მოწინააღმდეგეზე გამარჯვებისა. ასეთია ღმერთის სამართალი და ვინც ამას დაარღვევს, ისევე ჩაგორდება უფსკრულში იმისი თავი, როგორც ათასისთავი ჩაგორდა დღეს“ (ჩოხელი, 2010, 153), - ასე მიმართა მთავარსარდალმა ჯარს და ალყის მოხსნის ბრძანება გასცა...

ღირსეული მტრის შემცნობი მწერალია გოდერძი ჩოხელი. აქ არ არის მტრის ფერისცვალება, სულიერი მეტამორფოზა... მწერალი არ აკონკრეტებს როდის, რატომ და რა მიზნით შემოვიდა მტერი, სამტროდაა მოსული და მორჩა, მაგრამ თურმე არსებობს რაღაც, რაც ყველა კონკრეტულ მიზეზსა და მიზანზე მეტია, რის წინაშეც ყველა მტრობა უფერულდება და ეს რაღაც ის სამყაროა, რომელიც მტერსაც და მოყვარესაც აერთიანებს. ხე ამ შემთხვევაში კოსმოგონიური სიმბოლოა, ღვთაებრივი ჰარმონიის სიმბოლო, რომლის დარღვევა არც ერთ შემთხვევაში არ ეპატიება ადამიანს.

„ქართველებმა იმ წაქცეული მსხლის ხისგან გუთანი გამოთალეს, თავიანთი ხმალ-ხანჯლები გადაადნეს და მჭედელს იმ გუთნისათვის სახნისი და საკვეთელი გამოაჭედვინეს. იმ გუთნით კი საუკუნეების მანძილზე მარტო იმ ციხის შემოგარენს ხნავდნენ, იქ მოჰყავდათ ქერი, რომლის მარცვლებსაც სალოცავ ხატში აფორებდნენ, იმისგან ლუდსა და არაყს ხდიდნენ და იმათ შესანდობარს სვამდნენ, ვინც მამულისათვის ბრძოლაში დაეცა. ამავე ეკლესიაში ინახებოდა თასი, რომლითაც იმ მტრის მთავარსარდლის შესანდობარს სვამდნენ, რომელმაც ღვთის წინაშე სამართლიანად დაიცვა ნაყოფის გამომღები ხე“ (ჩოხელი, 2010, 153).

ასეთია მოთხრობის ფინალი და ავტორისეული გადაწყვეტა დაპირისპირების ოდინდელი თემისა. დაპირისპირება და მტრობა წყდება მაშინ და იქ, სადაც ადამიანებს გააზრებული აქვთ პასუხისმგებლობა არა მხოლოდ სამშობლოს, არამედ სამყაროს წინაშე. ნაყოფის მომცემი ხის სიმბოლო ამ შემთხვევაში კოსმოპოლიტურ შინაარსს იძენს.

## სიმბოლო ყვავილი

ხალხურ სიტყვიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში ყვავილის სიმბოლიკას დიდი დატვირთვა აქვს. ის თითქმის ყოველთვის სინათლის, სიხარულის, სილამაზის, სიყვარულის გამომხატველია, თუმცა მითოსურ აზროვნებაში ყვავილთა მხატვრულ სახეებთან ფერთა სიმბოლიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

„სვავი კი კლდის ფხაზე მშვიდად მდგარ სიცოცხლის შავ ყვავილს ჰგავდა. შავი ყვავილი სიცოცხლეში არ ენახა ნადირას“ (ჩოხელი, 2010, 292).

შავი ყვავილი, მოცემულ შემთხვევაში, უბედურების, სიკვდილის სიმბოლოა.

„ყვავილს მრავალმნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს საღვთო წიგნებში. ესაიას წინასწარმეტყველებაში (35.15) ვკითხულობთ: „მოილხენს უდაბნო და ხრიოკი, გაიხარებს ტრამალი და შრომანივით აყვავდება... იქნება ლხენა და სიხარული... და ერმან ჩემმან იხილოს დიდებაი უფლისაი...“ „შრომანივით აყვავება და სიხარული“ აქ უფალ იესო ქრისტეს მოვლინებას განასახიერებს. მათეს სახარებაში (6.26, 27, 28, 32), როდესაც მაცხოვარი ჩვენს მცირედმორწმუნეობას ამხელს, მინდვრის ყვავილების სილამაზესა და მშვენიერებაზე საუბრობს, რომელნიც ბუნებრივი სილამაზით აღმატებიან თვით დიდებული მეფე სოლომონის ძვირფას სამოსელს. საინტერესოა, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში მკვლევართა მიერ აღმოჩენილ მეხუთე საუკუნის კლდეში ნაკვეთ ქრისტიანულ ტაძარში, რომლის აგებასაც ევროპიდან ჩასულ ქრისტიან ბერებს მიაწერენ, ქვაში ამოკვეთილია ოთხფოთლიანი ყვავილი, რომელიც სიმბოლოურად ქრისტეს განასახიერებს...“ (ოქროპირიძე, „ათინათი“, 2013, #3).

უხვადაა გაბნეული მის შემოქმედებაში ზოგადად ყვავილის სიმბოლიკაც და კონკრეტული ყვავილების სახე-სიმბოლოები, როგორცაა: ია, ენძელა, „თამარის თვალეზი“, ხარისთვალა, მზესუმზირა და ასე შემდეგ. ბალლობიდანვე განსაკუთრებულად უყვარდა გოდერძის ყვავილები. სასწაულებრივად ახსოვდა სკოლაში სიარულის, ბავშვობის ხანა: „გაზაფხულზე, ჯერ მთის ჩრდილიანი და თოვლიანი მხარე უნდა ჩამევილო და უცებ აღმოვჩნდებოდი მზიან მხარეში, რომელიც გადაპენტილი იყო ლურჯი იეზით. ძალიან მიყვარდა იეზის სუნი. დავიჩოქებდი,

ვუყნოსავდი და ასე ყნოსვა-ყნოსვით ავივლიდი აღმართს, გავლევდი თოვლიან გზასაც და გამოჩნდებოდა ჩემი სოფელიც“ (ჩოხელი, 2012, 173).

მუდამ ახსოვდა ბურსარჭირის საოცარი მთა, სადაც ათასნაირი ყვავილები ამოდიოდა და როგორც თვითონ ამბობს, ამით ცოცხლობდა. „ვიცოდი, რომ გადნებოდა თოვლი და ამა და ამ ადგილას ესა და ეს ყვავილი ამოვიდოდა... ბავშვობის მერე ჩემი სული ნელ-ნელა მძიმდება, შავდება და უფერულდება და სულ ვცდილობ, გავიხსენო და ის ყვავილები ამოვიყვანო, იქ რომ ვნახულობდი,“- სევდით სავსე წერს გოდერძი ჩოხელი (ჩოხელი, 2012, 147).

მწერლისათვის ყვავილი, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის სიმბოლოა. „ყვავილთა შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ერთიმეორისაგან ამა თუ იმ ადამიანის გულში ჩაჭრილი სიყვარული.

სიყვარული ცვალებადი ბუნებისაა. არსებობს იღბლიანი და უიღბლო სიყვარული. ...ზოგჯერ ყვავილივით მოსწყვეტენ ხოლმე ადამიანები სიყვარულს, რამოდენიმე ხანს გზად გაიყოლებენ, მერე კი სადღაც მოისვრიან სხვათა ფეხქვეშ გასათელავად.

არსებობს ისეთი ყვავილი, რომელსაც შორიდან ეტრფიან.

ყვავილთა უპირველესი თვისება სილამაზეა“ (ჩოხელი 2008, 388).

სათუთი სულის შემოქმედი სიყვარულით პირველად გულათრთოლებულ გოგონებს ენძელებს ამსგავსებს, რომელთაც „ოდნავი სითბო იგრძნეს თუ არა, იმ წუთში გახსნეს გულისკარი, აქა-იქ ამოჭიატდნენ წითელ-ყვითლად მორთულ-მოკაზმულნი. ...ენძელები სიყვარულის პირველი სუნთქვაა. აღმოდებული სუნთქვა. მერე იები ამოდიან. იები ჰგვანან სიმორცხვეში შესულ ნაზ ქალწულებს. ...იები, რაღაცით შინაგანად დარწმუნებულნი, თავისი სურნელებით ათრობენ გარემომოს, თუმცა ინაზებიან და ამ სინაზით ბევრად უფრო მიუკარებელნი ჩანან, ვიდრე ენძელები. სიმორცხვე და მიუკარებლობაც ახასიათებს სიყვარულის ბუნებას“ (ჩოხელი, 2008, 389).

ია გოდერძი ჩოხელისთვის იგივეა, რაც - ვაჟა-ფშაველასთვის. მასთან მიწას ამოფარებული, გოდერძი ჩოხელთან მიწისგან ამოგზავნილი, როგორც მარადიული

სინაზისა და სილამაზის სიმბოლო, რომელმაც ადამიანთა ყოფნას ხიბლი უნდა შემატოს:

„მიწამ დააბარა იას:  
წადი, შვილო,  
ქვეყანას თვალი გაუხარე,  
სურნელება აფრქვიე,  
სიყვარული გაუღვივე  
ვაჟსა და ქალს,  
სინაზე აჩვენე ხალხს,  
თორე,  
უფრო გამხეცდებიან და  
ვაი ისევ ჩვენი ბრალი.  
და ამოვიდა ია“ (ჩოხელი, 2011, 92).

გუდამაყარში ამ დრომდე არსებულ უცნაურ ტრადიციაზე აფიქრებს მკითხველს გოდერძი ჩოხელის მიერ აკრძალული სიყვარულის სიმბოლოდ ქცეული ყვავილი - კესანე. მოთხრობაში „კესანე ბორბალოს მთაზე“ გოდერძი ჩოხელი წაწლობის ტრადიციის შესახებ საუბრობს და ყვავილის სიმბოლოთი სწორედ მის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს. წაწლობას ნადობ-ნაძმობასაც უწოდებდნენ ხოლმე მთაში. ეს ჩვეულება ხატის სჯულითა და წესებით იყო დაცული და ცხადია, ურთიერთმოწონებასა და ლტოლვას ეფუძნებოდა.

განსხვავებულად წარმოუდგენიათ მთაში წაწლობა და ცოლქმრობა. წაწლობა სიყვარულის წრფელი გრძნობაა, ცოლქმრული ურთიერთობისათვის კი სიყვარული სულაც არ იყო მაინც და მაინც აუცილებელი. აქედან გამომდინარე, წაწლობა პიროვნულ საფუძველზეა აღმოცენებული და მისით საზრდოობს, ცოლქმრობა კი საზოგადოებრივი ინსტიტუციონალიზმის გამოვლინებაა. რადგან წაწლობა არასოდეს არ უნდა გადაიზარდოს ცოლქმრობაში, სიყვარულსაც ტაბუ აქვს დადებული და ერთგვარად უფროსიან არა მხოლოდ ამ გრძნობას, არამედ ამ სიტყვის წარმოთქმასაც კი. ეს წინასწარი მონაცემები დავუდოთ საფუძველად მოთხრობის განხილვას.



კესანე თექვსმეტი წლის ფშაველი გოგოა, რომლის „სიყვარულის გაზაფხულიც“ წაწალ ჩალხიასთან „სამ წელიწადს იყვავილებს“, შემდეგ დანიშნავენ და სწორფერთა გაყრის დღეც დადგება.

კესანე თავს ვერ მოიკლავს. ჩალხიას დაედება ბრალი, რომ წაწალს ნამუსი არ შეუნახა, და მაშინ, როცა გამოსავალი არსადაა, ხსნა თითქოს არ ჩანს დედამიწაზე, რომ კესანე თავისი სიყვარულის ერთგული დარჩეს, უზენაესი ერევა საქმეში: ბორბალოს მთაზე ყინულად ქცეული ქალი მიწას ჩაადნება, შემდეგ კი მშვენიერ, ცისფერ ყვავილად ამოდის ...

ვერ გაიმეტა დასალუპად მწერალმა ვერც კესანე, ვერც ჩალხია, მაგრამ ვერც ის დაუშვა, რომ სიყვარული „გულში აფეთქებიდან“ „ოჯახსმოკიდებამდე“ გაეგრძელებინა. აკი ეუბნებოდა გოდერძი ჩოხელს „რადაც იდუმალი ხმა“- „სიყვარული და უპირველესად სიყვარული გადაარჩენს ამ ქვეყანასო“! მავანმა კრიტიკოსმა შესაძლოა, თემის წესების ერთგულება და ჩამორჩენილობა დააბრალოს მწერალს ამის გამო, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ.

გოდერძი ჩოხელი თემის წესებზეც მალლა დადგა და მწერლური ჯადოქრობით საკითხი არც თემის, არც ადამიანების სასარგებლოდ არ გადაწყვიტა. მან სიყვარული გადაარჩინა. ამ გადარჩენილი სიყვარულის სიმბოლოდ მოავლინა ყვავილი, განსხეულებული სილამაზე შეყვარებული ქალისა და ამით განაჩინა ღმერთის სამართალი. ღმერთი ვერ დაუშვებდა სიყვარულის სიკვდილს. კესანეს ყვავილიდან ისევ ქალად გადაქცევა და ქისტეთის გზისკენ ლამაზად მიმავალი ქალ-ვაჟი სიახლის, იმედის, სიყვარულის, ახალი სიცოცხლის საწყისია. „შეყვარებული ადამიანის ბუნება ისეთივე სურნელოვანია, როგორც ყვავილი“ (ჩოხელი, 2008, 388), - ამბობს ჩოხელი და ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ადამიანური არსის მეტაფიზიკურ შინაარსს, რადგან სწორედ სიყვარულია ის გრძნობა, რითაც ადამიანი ღმერთს ემსგავსება.

„იცით, ყოველ წელიწადს იმდენი ყვავილი ამოდის დედამიწაზე, რამდენი ადამიანიც არის იმ წელიწადს შეყვარებული“ (ჩოხელი, 2008, 388). ყვავილების ამოსვლა პირდაპირ კავშირშია ადამიანების სიყვარულთან ერთმანეთის მიმართ. უყვართ ადამიანებს ერთმანეთი? ყვავილებიც ამოდიან, ამოდის რწმენა და

სიყვარული ზუსტად იმავე რაოდენობით, რა რაოდენობის შეყვარებული ადამიანისაა იმ წელს... აქ ნათლად ჩანს ბუნებისა და ადამიანის, როგორც ბუნების შვილის დაურღვეველი, განუყოფელი და აუცილებელი კავშირი. აღმოცენდება სიყვარული ადამიანთა გულებში, ღვივდება გრძნობა და ამოდის ყვავილივით-ამოდის ნამდვილი ყვავილებიც დედამიწაზე...

ესაა ჭეშმარიტი სიხარული, - ამბობს ჩოხელი, ბალახებში ჩაყუჩული ყვავილების არსებობა რომ გაბედნიერებს... ეს ამგვარად შეიძლება გავიაზროთ: ჯერ ერთი, გიხარია შემოქმედის მიერ შექმნილი მშვენიერი ყვავილები, მხედველობას და ყნოსვას რომ გიტკბობს და მეორე, გიხარია, რომ ხედავ, თუ რამდენი ადამიანი ყოფილა იმ წელს შეყვარებული...დიდი ფრანგი მწერალი, ფრენასა და ზეცას შერვეული ეგზიუპერიც ხომ ასე ფიქრობდა: „ჭეშმარიტი სიყვარული სხვათა გამო სიხარულიაო.“

უცნაურ და უიღბლო სიყვარულს აქსოვს ველური ყვავილების თაიგულში მწარიას ცოლზე გულშეგარდნილი დათვი ამავე სახელწოდების მოთხრობაში.

„ფანჯრიდან ჩანდა - მათი სახლის წინ დათვი იდგა უკანა ფეხებზე, წინა თათებში უზარმაზარი ველური ყვავილების თაიგული ეჭირა გულზე მაგრად მიხუტებული და სახლისაკენ ნაღვლიანად იყურებოდა.

დაიგრიალა თოფმა და ქალმა დაინახა, დათვი ადგილზე შექანდა, შეტორტმანდა და ნება-ნება დაეშვა მიწისაკენ, ოღონდ ისე, რომ ველური ყვავილების თაიგული არ გაუშვია, უფრო მაგრად ჩაიხვია გულში თათებით და ყრუ ხმაურით დაეცა მიწაზე.

ძლივს ააგლიჯეს ყვავილები.

დიდი ხნის მერე, სიბერეში, მწარიას ცოლს რატომღაც სინანულით გაახსენდა, რომ იმ ველური თაიგულის გარდა, მისთვის ყვავილები არასოდეს არავის არ უჩუქებია“ (ჩოხელი, 2007, 278).

გოდერძი ჩოხელი დიდი ვაჟას მსგავსად, განგებისგან გამორჩეული უნარით დაჯილდოებული მწერალია. გუდამაყრის წარმტაც ხეობას ადამიანივით ესაუბრება, ამეტყველებს უტყვ არსებებს, რომელთაც ადამიანებივით შეუძლიათ სიყვარული და ზოგჯერ ადამიანებსაც აჭარბებენ თავიანთი „ადამიანურობით“.

რომანში „მგელი“ ყვავილი-სიბნელისა და ბოროტების დამმარცხებელი ძალაა. ავტორს სწამს, რომ „თუ ადამიანს გაქვს რწმენა და სიყვარული უფლისა და თუ მართლა მოინდომებ, რომ აყვავდე, ეს შეიძლება მართლა მოხდეს, ოღონდ ღმერთთან პირნათელი უნდა იყო“ (ჩოხელი, 2012, 29).

მართლაც, სიწმინდითა და რწმენით, სიკეთით გამორჩეული თანდილა ხორციელი სიკვდილით კი არ კვდება, აყვავდება და სურნელოვან ყვავილებად მიმოიფანტება. აქაც პირდაპირი მინიშნებაა კაი ყმის ღვთიურ წარმომავლობაზე. თანდილა მეტაფიზიკური შინაარსით ღვთისშვილია.. თანდილაში ვერდატეული, მისი სიკეთისა და რწმენის სიმბოლო, სხვათა საშველად მრავლდება, პირველ რიგში კი შვილის-თევდორეს, რომელსაც მხოლოდ მინიშნება აქვს მამისგან, რომ თავად, დამოუკიდებლად უნდა ეძიოს სწორი გზა, სიბნელისა და ბოროტების დამმარცხებელი რწმენითა და სიყვარულით.

ლუკა ამ ყვავილით ამარცხებს ბოროტებას არა მხოლოდ საკუთარ სოფელში, არამედ - მთელ ქვეყნიერებაზე. ეს ალეგორიული სახეა სიბნელის, ბოროტებისა და ურწმუნოების სინათლით, სიკეთითა და რწმენით დამარცხებისა. ყვავილის მძებნელი ადამიანი საკუთარი ფესვების მაძიებელია, რომელიც უძღვები შვილივით ცდილობს თავის კეთილ მამა-უფალთან დაბრუნებას. მხოლოდ წარსულის გაცნობიერებითა და წარსულზე ფიქრით შეიძლება საფუძველი ჩაეყაროს აწმყოსაც და მომავალსაც. ეს ძველბერძნული „შეიცან თავი შენისა“ და ყაზბეგისეული „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“ შეგონების ციკლია, უკან დასაბრუნებელ გზას წინ, წაღმა სიარულის გასაგრძელებლად რომ იყენებს.

სევდისმომგვრელი სიმბოლოა გოდერძი ჩოხელთან კიდევ ერთი ყვავილი ხარისთვალა. „არსებობს ყვავილი, რომელსაც ხარისთვალა ჰქვია. არ ვიცი, იქნება ეს ყვავილი იმ ხარის ცრემლებზე ამოვიდა, უეცრად გუთნისდედა რომ მოუკვდა კვალში, ანდა იმ ხარის ცრემლებზე, მძებს რომ ციხისთვის ქვებს უზიდავდა და გზაზე მგელი შეხვდა... ანდა კიდევ იმ ხარის ცრემლებზე, მეხრემ რომ შოლტი დაარტყა... არ ვიცი, ერთი კია რომ ის ყვავილი ცრემლზე მოსული ყვავილია. კაცმა არ იცის...კაცმა მხოლოდ ის იცის, რომ დღემდე ის მოვიდა მაღალი ღმერთის მაღლითა, ცისა და მიწის მაღლითა, ხარისა და გუთნის მაღლითა“ (ჩოხელი, 2007, 296.)

ხარისთვალა მარადიული ერთგულების სიმბოლოა. ეს სიმბოლო ხარისა და ადამიანის დასაბამიდან დაწყებულ სიყვარულს იტევს. ხარის სიკეთე, სიმშვიდე, მოთმინება, გაუტეხლობა, ამტანობა და სათნოება არ დაკარგულა და ყვავილ ხარისთვალად იქცა, ხარის თვალეზში ხომ თითოეული ეს გრძნობა თუ ნიშან-თვისება სარკესავით იყო არეკლილი. ადამიანი ჩამოშორდა ხარს, მაგრამ ხარის თვალეზი ყვავილის სახით დარჩა დედამიწაზე, რათა გაახსენოს კაცთა მოდგმას თუ საიდან მოდიან და როგორ მოიყვანა დღევანდელობამდე ხარმა თავისი ძველისძველი და წმინდა მოვალეობის პირნათელი შესრულებით. ხარ-გუთნის მადლის არდავიწყება და იმ სულიერების არგაქრობა, რაც ადამიანს სიყვარულით სავსე ლექსს აწერინებდა გუთანზე, „მგლობას გადარჩენას“ და „ყვავილის პოვნას“ ედრება. („მგელი“).

ხარი მძიმე უღელს ეწეოდა ადამიანის გვერდით და „ისეთი ერთგულება და სიკეთე ჰქონდა თვალეზში ჩამდგარი“, რომ კაცს ძალას მატებდა.

როგორც ყაყაჩოს შეხედვა მოგვაგონებს სამშობლოსთვის თავგანწირულ გმირთა დაღვრილ სისხლს, ისე ხარისთვალაში სიმბოლიზირებულია ის უდიდესი მადლი, რაც ხარსა და კაცს აკავშირებდა, ის შრომა, რაც ხარმა საუკუნეების განმავლობაში ადამიანისთვის გასწია.

საკრალური შინაარსისაა ველური ყვავილების სურნელოვანი თაიგული, მოხუცის მიერ დალოცვილი ღმერთთან წასაღებად მოკრევილი.

„შავ არაგვს ამოვეყვი, ვიწრო ხეობით შემოვეხეტე და თანდათან კი გაიშალა და გული გადამიშალა მთელმა ხეობამ, ამაზე კარგ ადგილას სადღა ვნახავ ამ სიბერეში. აქ მოვკრეფ სულებს და წავუღებ იმ დალოცვილ მაღალ ღმერთს საზიარებლად.

- სულებს შემოიკრეფ?

- ხო, შვილო, ხო, როგორც ყვავილებს, ისე შემოვიკრეფ აქაურ სულებს და მინდვრის ყვავილების თაიგულივით მივართმევ მაღალ ღმერთს. ო, რო იცოდე, როგორ დატკბება ისიც ამ ველური თაიგულის სურნელებითა.

დილით დაგვემშვიდობა: დაამდით, დაშოშმინდით გულში სიხარულს ნუ გამოილევთ და ღმერთი გიყვარდეთო.

შერიჟრაჟებულზე რაღაცამ გამოძღვიდა. თვალები გავახილე და დავინახე, რომ უცნაური შუქით განათებული მოხუცი კალოდან სახლში ჩამოვიდა, ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა და ისიც უცნაური შუქით იყო განათებული. ნახევრად მძინარეს შუბლზე მაკოცა და ჩამჩურჩულა:

დაშოშმინდი, გენაცვალე, დაშოშმინდი, დაამდი, დამშვიდდი.

მერე ისევ ნახევრად მძინარე ვხედავდი, როგორ აიწია ყვავილებით ხელში ცისკენ მოხუცი და მერე თან თვალები მეხუჭებოდა, თან დიდხანს ცაში უცნაური შუქით განათებულ, მფრინავ მოხუცს ვხედავდი, მანამ სანამ ვარსკვლავებს შორის არ დამეკარგა და მეც დილის ძილით ღრმად არ ჩამეძინა“ (ჩოხელი, 2011, 216).

სადამდე შეიძლება ადამიანურ ფანტაზიას დაუწესო ზღვარი, როცა საქმე ჭეშმარიტ შემოქმედთან გაქვს? სიკვდილის მომლოდინე ქალი თითქოს ღმერთთან ზეიმზე მიდის, ყვავილების თაიგულით, დარწმუნებული, რომ ისიც დატკბება სულების თაიგულის სურნელებით.

უცნაური შუქით განათებული განკაცებული ღმერთის სახით ეხილვება ადამიანს და ეფერება მას: „დაშოშმინდი, გენაცვალე, დაშოშმინდი, დაამდი, დამშვიდდი“.

მძინარე კაცის სახლშიც შეაქვს ველური ყვავილების სურნელოვანი თაიგული, რადგან იცის, რომ ადამიანიც ღვთის ხატია დედამიწაზე.

ამრიგად, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება უაღრესად საინტერესოა არამხოლოდ იდეურ-კონცეპტუალური თვალსაზრისით, არამედ იმ ლიტერატურული გარდასახვებითა და მეტაფორული ინსინუაციებით, რომელთაც უხვად ვხვდებით მის ნაწარმოებებში. სწორედ მხატვრული გააზრება ეხმარება მკითხველს ჩასწვდეს მწერლის მთავარ სათქმელს, მის მხატვრულ საზრისს.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გაგვეაზრებინა გოდერძი ჩოხელის სახისმეტყველება არაერთი სიმბოლურ-ალეგორიული მეტაფორით. ესენია:

- ღვთიშვილების როლი და მნიშვნელობა მთიელთა ცხოვრებაში;
- ნაწილიანების, როგორც სოციუმის ზნეობის დამცველთა მხატვრული პარადიგმა;
- დევების სიმბოლური მეტამორფოზა;

- სამანი, როგორც პიროვნული ნორმატივების სიმბოლო;
- სიკვდილ-სიცოცხლის მხატვრული ინტერპრეტაციის ფორმები;
- მიცვალებულის გაცოცხლება-დაბრუნების ლიტერატურული პერფორმანსები;
- კერისა და საკულტო დღესასწაულების მნიშვნელობა.
- სხვადასხვა სახე-სიმბოლოები: სულის ცხენი, თხა, ყვავი, ყორანი, გველი, მთა, ხე, ყვავილი.

თითოეული მათგანის ორიგინალური ინტერპრეტაციით მწერალი გვიხსნის საზღვრებს საკუთარი მხატვრული საზრისის შესამეცნებლად და შესაძლებელი ხდება მისი ესთეტიკური აზროვნების დეკოდირება, გააზრება იმისა, რომ მწერლის ნაღვაწი ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიზმისა და ადამიანის გაკეთილშობილების იდეის გამომხატველია და იგი სცდება არა მხოლოდ ერთი კონკრეტული კუთხის, არამედ მოკვდავთა მიერ დაწესებულ ყველა მიწიერ სამანს.

## დასკვნა

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ფართო საზოგადოებისათვის გოდერძი ჩოხელი იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის გაგებაც რთულია. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის აღსაქმელად არ არის საკმარისი სტერეოტიპული აზროვნება, „კეთილისა და ბოროტის“ ჩარჩოებში მოქცეული თემატური კოდირება. მასთან მისასვლელად არამხოლოდ ლიტერატურული ალღოა საჭირო, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დიალექტების, მთიელთა ყოფა - ტრადიციების, ადათ-წესებისა და ზეპირსიტყვიერების, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური აზროვნების და მითოსური წარმოდგენების ცოდნაცა და გააზრებაც.

ამიტომაც ვთვლით, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაო მცირე ზომის აგურია მისი შემოქმედების შესწავლის გზაზე დადებული. მიგვაჩნია, რომ ის, რასაც დღეს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებად ვიცნობთ, არის სულიერი საზრდო, ყველას დასაპურებელი, მსოფლალქმა, რომელსაც არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი სამყაროს შემეცნების უნარი უნდა მოვარგოთ.

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომით შევეცადეთ მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური საზრისის გარკვევას, რათა მეტი სინათლე შეგვეტანა ხალხური ზეპირსიტყვიერებითა და მითოსური წარმოდგენებით უხვად გაჯერებულ მის შემოქმედებით ფანტაზიაში. მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ხომ ხალხური სიბრძნისა და ორიგინალური შემოქმედებითი ნიჭის იშვიათი შერწყმაა.

ჩვენი მიზანი გახლდათ გოდერძი ჩოხელის მხატვრულ-ესთეტიკური საზრისის კვლევა, რისთვისაც შევისწავლეთ მისი შემოქმედება, გამოვკვეთეთ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი, შევეცადეთ განგვესაზღვრა მისი მწერლური მისია და არსებითი სათქმელი - შემოსილი მეტაფორული სიმბოლო-ალეგორიებით, განვიხილეთ, რა ადგილი უკავია მის მხატვრულ აზროვნებაში ზეპირსიტყვიერებას და მითოსს, როგორ „ამუშავებს“ და როგორ „არგებს“ მწერალი ხალხისაგან შეთვისებულსა და გაგონილს საკუთარ მწერლურ პასუხისმგებლობას და როგორ

ინტერპრეტირებს მას თავისი მხატვრული საზრისის გამოსახატავად, რა ესთეტიკური შეფერილობით ავლენს ამ მხატვრულ საზრისს.

ამ მიზნის მისაღწევად არსებით კითხვაზე პასუხის გაცემა გვიწევს: როგორია გოდერძი ჩოხელის, როგორც მწერლის მსოფლმხედველობრივი საფუძველი, არის მისი შემოქმედება ქართველი ხალხის გაუხუნარი სულიერი საუნჯის უბრალო გადამღერება თუ ხალხური აზროვნების ფესვებიდან მოდის მწერლის მთავარი, უაღრესად თანამედროვე და აქტუალური სათქმელი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო?

ამ უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხის გასაცემად მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარვმართეთ:

გოდერძი ჩოხელის ფსიქოლოგიურ და შემოქმედებით პორტრეტზე მუშაობისას, ვცადეთ გაგვეაზრებინა მისი პირადი ცხოვრება, შემოქმედებითი გზა და მწერლური პასუხისმგებლობა, რითაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდა და რაც ასე იგრძნობა მის თითოეულ სტრიქონში. მტკიცედ სჯეროდა და ბოლომდე პრინციპულად დაიცვა ერთხელ არჩეული გეზი - ეწერა იმაზე, რაც ყველაზე კარგად იცოდა, მისი ათვლის წერტილი იყო გუდამაყარი, ჩოხი, როგორც მიკროსამყარო, საიდანაც ეხებოდა „დედამიწაზე არსებულ პრობლემებს.“ ეს იყო მისი არჩევანი და სიმართლე, რომლთაც, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მეტი ხიბლი შემატა თავის შემოქმედებით სათქმელს.

სამყაროს აღქმა ბალახზე დაკიდებული ნამიდან დაიწყო და მიუხედავად სასოწარკვეთისა, მიუხედავად იმედგაცრუებისა, არასოდეს უღალატია საკუთარი მისიისთვის, რომელიც ზუსტად ჰქონდა გააზრებული: „სიცოცხლე ადამიანს უფლისგან ეძლევა, სიცოცხლის საზრისს კი - მისი ამქვეყნიური დანიშნულება ქმნის. ბედნიერია ის ადამიანი, ვინც საკუთარ დანიშნულებას იპოვის და მის შეცნობას შეალებს ცხოვრებას” - ამ საზრისს უერთგულა ბოლომდე.

მწერლის პიროვნული პასუხისმგებლობისა და მისი ცხოვრების გააზრება ზოგადსაკაცობრიო ჭრილში მაშინ ხერხდება, როცა მწერლის შემოქმედებასა და მისსავე ბიოგრაფიას შორის მჭიდრო კავშირი დასტურდება.



გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები თავად ხატავენ ავტორის სახესა და ფსიქოლოგიურ პორტრეტს. მწერალი, როგორც კონკრეტული სოციუმის ნაწილი, მისთვის ნაცნობ და ახლობელ პერსონაჟებს ძერწავს, მაგრამ თითოეული მათგანი ზოგადსაკაცობრიო ტვირთითა და სადარდებლით არის დადაღული. ყველა მათგანის სევდა თვითონ ავტორის გულშია დაწურული.

მისი მწერლური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გააზრებისას კიდევ უფრო ცხადი ხდება, რა მიაჩნდა თავის მოწოდებად და რატომ არ იცვალა წერის სტილი, რატომ აირჩია თვითმყოფადი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფორმა მხატვრული სიტყვისა, რომელიც ასე უცხო იყო იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის.

გოდერძი ჩოხელის მხატვრულ-ესთეტიკური სიღრმის ერთბაშად აღქმა რთული აღმოჩნდა. ამას ვერც ქართულმა კრიტიკულმა აზრმა ვერ შეუწყო ხელი. მას არაერთგვაროვნად შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გოდერძი ჩოხელმა, როგორც რეჟისორმა, გამოჩენისთანავე მიიპყრო საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება, შინ, ლიტერატურულმა საზოგადოებამ იგი „პროვინციელ მწერლად“ მონათლა. ნაშრომზე მუშაობისას ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, როგორი იყო განწყობა მწერლის მიმართ გასული საუკუნის 80-იან წლებში და რა იყო ამის მიზეზი, როგორი იყო თავად მწერლის დამოკიდებულება ავადმეტყველთა მიმართ.

ჩვენი აზრით, მცდელობა იმისა, რომ გოდერძი ჩოხელი მოენათლათ ვიწრო კუთხურობის ჩარჩოებში მოქცეულ მწერლად, განაპირობა იმან, რომ მოვიდა ცივ და უსულგულო ეპოქაში, როცა ეროვნული ძარღვი ყველას დაშრეტილი ეგონა, როცა ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რა უნდა ეთქვა პარტოკრატიული სიტყვის ტყვეობაში მყოფი საზოგადოებისათვის, გულწრფელობასა და სინაზეს მოკლებული მკითხველისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ ეშინოდა ხმამაღლა გამჟღავნებული ფიქრისა.

ბუნებრივი განვითარების კალაპოტიდან ამოვარდნილი ქვეყნის ნომენკლატურულ ხელოვნებაში გოდერძი ჩოხელის მწერლობა საბჭოთა პარტოკრატის მეხოტბეთათვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი აღმოჩნდა, ნასოფლარების ტკივილით ჩამოვიდა ქალაქში, დარჩა იმად, ვინც იყო და სწორედ

ამას საყვედურობდნენ, ეს გახდა გაკილვის მიზეზი. ლიტერატურის ჭეშმარიტი დამფასებლები კი ყოველთვის აღნიშნავდნენ მისი შემოქმედების სიღრმესა და სისადავეს. გრძნობდნენ, რომ ის არ იყო რიგითი მწერალი. ახალი თაობის კრიტიკოსებმა დაინახეს და დააფასეს არა მხოლოდ მისი სათუთი და ამალღებული სული, არამედ მისი უკომპრომისობა და აღიარეს. რ. ბალანჩივადის შეფასებით, გოდერძი ჩოხელმა თავიანთი პიროვნული ღირსება ყველაზე მაღლა დააყენა და ყოველგვარი ზნეობრივი კომპრომისი იმთავითვე გამოირიცხა. ალბათ ამიტომ იგრძნო უზნეო და შეშლილ საზოგადოებაში თავი ზედმეტად.

ზოგი ცდილობდა თავისებური ახსნა მოეძებნა ავადმეტყველთა სიტყვებისთვის: „გოდერძის მრავალმხრივობამ დააბნია ადამიანებიო,“- ამბობდნენ. ის კი საოცარი სიმტკიცით იცავდა ერთხელ არჩეულ გზას: „მგლების კანონი სიბნელეზეა მორგებული... სინათლე აშინებთ... პირველობა, მტაცებლური ინსტიქტი, ბრძოლა გადარჩენისათვის... პირველობის სურვილი არც ადამიანისთვისაა უცხო, მაგრამ მეელი და კაცი იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ კაცისთვის ღმერთს ინსტინქტების გარდა, სულიც უბოძებია. სულიერებამ უნდა სძლიოს კაცში" (მ. წიკლაური), - ესაა ჩოხელის მიერ შემოთავაზებული გამოსავალი მგლების რკალიდან, რადგან სჯეროდა, რომ რწმენის დაბრუნება და რწმენისაკენ შემობრუნება თუ გაარღვევს იმ მოჯადოებულ წრეს, სამგლეთად რომ უქცევია ქვეყანა.

ჩვენი აზრით, გოდერძი ჩოხელის ლიტერატურა ნამდვილად არ არის ერთი კუთხისა და ერთი ქვეყნის საკითხავი, ისევე როგორც ვერ დააბრალებ ვაჟა-ფშაველას ფშავის მწერლობას, ან ბარათაშვილს ვერ უწოდებ მე-19 საუკუნის სევდიან პოეტს, ერთიცა და მეორეც დროისა და სივრცის დადგენილ ჩარჩოებს გაცდენილი გენიოსები არიან და მათ შემოქმედებაში ზოგადსაკაცობრიო პრობლემები იკითხება. ამ თვალსაზრისით სრულიად ვეთანხმებით თანამედროვე ლიტერატურაში გამოთქმულ მ. წიკლაურის მოსაზრებას, რომ გოდერძი ჩოხელის ხელოვნება მთელი საქართველოს - მთელი ქართველი ხალხის სიმდიდრეა და, თუ სათანადოდ ვიზრუნებთ მისი ნაწარმოებების ეკვივალენტურ თარგმანებზე, არც მსოფლიო იტყვის უარს მის მიღებასა და აღიარებაზე.

კვლევის ფარგლებში, ბუნებრივია, არსებითი იყო მხატვრულ-ესთეტიკური სააზროვნო მასშტაბის გაზომვა და, მწერლის სპეციფიკიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, განვიხილავთ, რა როლს ასრულებს გოდერძი ჩოხელის შემოქმედების აღქმა-გაგების საკითხში ხალხური ზეპირსიტყვიერება.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ნასაზრდოვებია ქართველი ხალხის გაუხუნარი სულიერი საუნჯით. ხალხური აზროვნების ფესვებიდან მოდის მწერლის მთავარი სათქმელი. ხალხის ცნობიერებაში შემორჩენილი ფოლკლორი ყველა ნიჭიერი მწერლისათვის ნოყიერი ნიადაგია. მართალია, გოდერძი ჩოხელი ხშირად მიკროეთნოგრაფიული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების აღწერას მიმართავს, მაგრამ ამ აღწერაშიც ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მეხოტბეობა იგრძნობა და არა უბრალო მემატიანის ჟინი - შთამომავლობას შემოუნახოს საუკუნეებით დაცული ადათ-წესები, ლეგენდები თუ რწმენა-წარმოდგენები.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში გამოყენებული ფოლკლორული ნიმუშები მხატვრული გააზრებისა და გადამუშავების შედეგად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორის წყალობით არსებობას ინარჩუნებენ, არამედ იმიტომ, რომ მათი საშუალებით ხორცი ესხმება მკვეთრი ინდივიდუალიზმით აღბეჭდილ თვითმყოფად ლიტერატურას და ავტორის, როგორც ჭეშმარიტად დიდი მწერლის, მთავარი სათქმელის გააზრების სურვილსაც. ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ყველა ლეგენდა, ლექსი, თქმულება, თუ ადათი, რაც არ უნდა მკაცრი და შესაზარი იყოს, გოდერძი ჩოხელის „ფიქრის ბუხარში“ გამოტარებული, მკითხველის სულიერ აღზრდასა და გაკეთილშობილებას ისახავს მიზნად. სწორედ ამიტომ, გოდერძი ჩოხელის მხატვრულ-ესთეტიკური საზრისის გაგება-გააზრებისათვის ლიტერატურული ალღოს გარდა, იმ სამყაროს შესწავლა და შეცნობაა საჭირო, საიდანაც მწერალი მოვიდა, სადაც ხალხური სიტყვიერების შთამაგონებელ ძალას ეზიარა და საიდანაც ჩამოჰყვა ულევო ფანტაზია.

ხალხური ადათ-წესებისა და მითოსური წარმოდგენების გამოყენებით გოდერძი ჩოხელი აყალიბებს ერთგვარ სამართლებრივ-მორალურ ნორმებს, რომელიც მოითხოვს არა უსიტყვო მორჩილებას ტრადიციებისადმი, არამედ ახალ

სააზროვნო სივრცეს შეფასებისა და განსჯისათვის. ამ კონტექსტში განვიხილეთ მთაში დაცული რამდენიმე წესი თუ რწმენა-წარმოდგენა, რომელიც ასახულია გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში:

- „თოვლიან მთებზე მკაცრი წესი“ - „მირეული“ ქალის უწმინდურად მიჩნევისა და მისი სოფლიდან განრიდებისა. გოდერძი ჩოხელი ახერხებს და ისე ოსტატურად აღწერს საკუთარ დაბადებას, რომ სრულიად უფერულდება ის სისასტიკე, რაც მარტო დარჩენილი ქალის გადატანილი განცდების წარმოდგენას ახლავს.
- გოდერძი ჩოხელის სამართლებრივ-მორალურ ნორმებს განსაზღვრავს ის წარმოდგენა, რომ სამყარო სამი სკნელისაგან შედგება: ზემო ანუ ცის მკვიდრთა საბრძანისი, შუა, რომელიც ადამიანთა და ცხოველთა სამკვიდროა და მიწისქვეშეთი, რომელიც ბოროტი ძალების საუფლოდ წარმოიდგინება. გოდერძი ჩოხელის გმირები სიკეთისა და ბოროტების დადგენილ სამანებს იცავენ. ამ რწმენიდან გამომდინარე, დევებისა და „ღვთისშვილების“ არსებობა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში, სადაც დევებიც კი სიკეთისკენ მიდრეკილნი არიან.
- განვიხილეთ მოთხრობები, სადაც გოდერძი ჩოხელი პირუთვნელად ასახავს ადათობრივი სამართლის ნორმებით დადგენილი ზოგიერთი წესის სისასტიკეს, რომელიც ძვალსა და რბილში გამჯდარი სენივით ებრძოდა ახალ, ჰუმანურ მორალს. ასეთ წესებს შორის გამორჩეულია სისიხლის აღება. გოდერძი ჩოხელის გმირები: ბერა, აგუნდა, გარსო, გიგია და სხვები სულიერი მეტამორფოზისა და სასტიკი წესის დაუმორჩილებლობის მაგალითს იძლევიან, მონანიებისა და პატიების გზაზე შემდგარი მწერლის მხატვრულ საზრისს აცოცხლებენ და მკითხველში თანაგრძნობას იწვევენ.
- მოხდენილად იყენებს გოდერძი ჩოხელი საზოგადოების გაკეთილშობილების მოწოდებად ისეთ ტრადიციას, როგორცაა ფიცვერცხლის ჭამა. მწერლის მგრძნობიარე ბუნება კაცის კაცად შეცნობის დაკანონებას ითხოვს მოთხრობაში „პატარა ბუბუნაური“.

- სისასტიკის ზღვარგადასულ ტრადიციად მიაჩნია გოდერძი ჩოხელს თემიდან მოკვეთის ტრადიციაც: „თევზის წერილებში“ დაკარგული ადამიანის დასაბრუნებლად დადევნებულ გულმოკლულ ხალხს გვიხატავს და ერთგვარად „გვაიძულებს“ შევიბრალოთ მთის ტრადიციებსა და ქრისტიანულ მორალს შორის გახიდული საზოგადოება, რომელსაც, ერთი მხრივ, წესი ავალდებულებს ღვთის უარყოფელის დასჯას, მეორე მხრივ, თანაგრძნობა და მოყვასის სიყვარული ანანებინებს ჩადენილ საქციელს.
- ცრურწმენას აყოლილი ადამიანის ტრაგედიას ხატავს მოთხრობაში „აღმართი“, სადაც თორღვამ, ავტორის გადაწყვეტილებით,, ცრურწმენებისადმი მორჩილების გამო, შვილის მკვლელი მამის თვითგვემით უნდა იცხოვროს, დრომდე მიათრიოს საკუთარი სხეული, როგორც მძიმე ჯვარი.
- ადამიანების სასიკეთოდ და სასარგებლოდ იყენებს გოდერძი ჩოხელი მთიელთა წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც მიცვალებულები აქტიურად მონაწილეობდნენ ცოცხალთა საქმიანობაში.
- ჩვენი დაკვირვებით, ძველი და ახალი რწმენის ადგილმონაცვლეობას, ცრურწმენების სანაცვლოდ, ახალი აზროვნების დამკვიდრებას გოდერძი ჩოხელი ბუნებრივ კანონზომიერებად განიხილავს. ეს აზრი დაგვებადა „თოვამი გასვენებული დღესასწაულის“ კითხვისას, სადაც მოხუცებს სწორედ წარმართული რიტუალის აღსრულებისას უწევთ სიკვდილი, ხოლო ეს სიკვდილი არაგვის ხეობაში წამოსული ზვავია, თავის უბეში რომ შეიხვევს უკანასკნელ დღესასწაულს, „თაგვაობას,“ და გამარჯვებულის ფეხმორთხმით მკვიდრდება ცრურწმენის ადგილზე.
- ურყევი მორალური პრინციპი მწერალს აიძულებს სხვა თვალთ დაგვანახოს ქრისტიანული დღესასწაულის პროფანაცია ერთ უცნაურ, თეატრალიზებულ რიტუალში, სადაც ქრისტეს როლის შემსრულებელი ვაჟი ფიზიკურად ეწირება ამ რიტუალის აღსრულებას. გოდერძი ჩოხელი კრიტიკულად ეკიდება ყველა იმ წეს-ჩვეულებას, რომელსაც ადამიანისთვის ზიანი მოაქვს.

ადამიანის არსის მისეული აღქმა-გაგება ეწინააღმდეგება ყოველგვარ ძალადობას.

ამდენად, ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა, როგორ გამოიყენა გოდერძი ჩოხელმა ხალხში დაცული ადათ-წესები და წარმოდგენები თავისი მხატვრული საზრისის მთლიან ქარგაში და ვასკვნით, რომ გოდერძი ჩოხელი მეტწილად უპირისპირდება მოძველებულ, გაუაზრებელ, ძალადობრივ საწყისებზე დაფუძნებულ ტრადიციებს, თუმცა ამ დაპირისპირებას არ გასდევს ირონიის ან აგრესიული შეუწყნარებლობის ინტონაციები, პირიქით, უჩვეულო სითბოს და სიყვარულს შეიგრძნობს მკითხველი.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ერთმანეთს ერწყმის წარმართული და ქრისტიანული. ჩვენ მიერ მიკვლეული და განხილულია არაერთი ტრადიციული რიტუალი თუ ადათ-წესი, რომელსაც ავტორი მთავარი სათქმელის მკითხველამდე მისატანად იყენებს. ასეთია: ხატობა, ფერხისა, დათვქადაობა, აბრამძოლობა, წუნკლაობა, აგრეთვე თხის შეწირვის, ნაწილიანობის, ბედისკვერის წარმოდგენებთან დაკავშირებული რიტუალები.

ამავე ასპექტში გავიაზრეთ ფოლკლორის სხვადასხვა ნიმუში და გუდამაყარში შემორჩენილი ლეგენდები. მოვიძიეთ რა სხვადასხვა წყაროებში ინფორმაცია ამ ტრადიციებისა და რიტუალების შესახებ, მიგვაჩნია, რომ გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობის გააზრება სრულიად წარმოდგენილია მათ გარეშე, ვინაიდან სწორედ ამ ხალხური წარმოდგენების ჩარჩოებშია ჩაკერილ-ჩაქსოვილი გოდერძი ჩოხელის მხატვრულ-ესთეტიკური შეფერილობა. ამავე მიზეზით გამოირჩევა იგი ესოდენი თავისთავადობით და ხდება მკითხველისთვის ერთი შეხედვით ამოუცნობი და იდუმალი.

ხალხური წარმოდგენების წიაღში გაზრდილს თან ბუნებრივი მწერლური ალღო და ნიჭიც დაჰყვა და შემოქმედება ორიგინალური მხატვრული სახე-სიმბოლოებით შეავსო. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ასევე უხვად ვხვდებით სხვა სიმბოლურ-ალეგორიულ სახისმეტყველებას, რაც კიდევ უფრო აღრმავებს მის მხატვრულ იერსახეს. ჩვენი კვლევის ფარგლებში, ბუნებრივია, შევისწავლეთ ამგვარი სახე-სიმბოლოებიც.

საკმაოდ რთულია მისი სიმბოლური სახისმეტყველება, ზოგიერთი სახე-სიმბოლოს მხატვრული საფუძველი პირველყოფილ წარმოდგენებში დევს. გოდერძი ჩოხელი სწორედ კუთხურ-ეროვნული ნიშნით ერწყმის კოსმოპოლიტურ სააზროვნო სივრცეს და ადამიანის უნივერსალურ ფენომენს მოიცავს. მისთვის არსში წვდომის ხელოვნება არის საშუალება, გამოხატოს არამხოლოდ ეროვნული ნიშნები, არამედ ზოგადადამიანური მორალი და პრინციპები. ამგვარი აზროვნება ლიტერატურულ თხზულებას თვისობრივად ახალ ფუნქციას სძენს და ააშკარავებს ავტორის მხატვრული აზროვნების მასშტაბს.

ჩვენს ნაშრომში მიმოვიხილეთ სათქმელის ალეგორიული გააზრების ტენდენცია, როგორც არამარტო მწერლური დიდოსტატობის გამოვლენა, არამედ, მე-20 საუკუნისთვის დამახასიათებელ სოციალურ-საზოგადოებრივი საჭიროება, რაც უკვე იქცა მოდერნისტული მწერლობის განუყოფელ ნაწილად და ორგანულად ჩაეწერა ქართული ლიტერატურის თხუტმატსაუკუნოვანი ლიტერატურის მთლიანობაში.

რა თავისებურებებითაა აღბეჭდილი გოდერძი ჩოხელის შემოქმედება სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნების თვალსაზრისით, ჩვენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ვცადეთ და ჩამოვაცალიბეთ მისი შემოქმედების ზოგადი პრინციპი: ჩოხელისეული სამყაროს მოდელი, მისი, როგორც შემოქმედის, თვითგამოხატვის უნარი მიმართულია ერთადერთი მიზნისკენ - ადამიანის გაკეთილშობილებისა და სულიერი კათარზისისკენ.

მაშასადამე, მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური საზრისიც ამ კონტექსტში გავიაზრეთ. გოდერძი ჩოხელის „მხატვრული მოდელი“ მითოლოგიიდან იღებს სათავეს და მასში შერწყმულია რეალური და ფანტასტიკური, ნასესხები თუ წარმოსახული. როგორაა ხორცშესხმული ავტორის მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნება, განვიხილეთ შემდეგი სახე-სიმბოლოების მაგალითზე:

- **იახსარი**, - ღვთისშვილი, რომელიც ტბიდან მტრედის სახით ამოფრინდა, ცხადია, აქ მითოლოგიურ - ქრისტიანული სახე-სიმბოლოა, რომელიც ბოროტ ძალაზე ღმერთის გამარჯვებას ზეიმობს.

- **ირემი** - არქაული სახე-სიმბოლო, რომელიც, როგორც ჩანს, ჩოხელების ხსოვნას ჯერ კიდევ წინარექრისტიანული ხანიდან შემორჩა, რადგან ასოცირდება წმინდა გიორგისთან მოთხრობაში „სამანს იქით დასახლებულნი.“
- **მტრედი** - ქრისტიანული სიმბოლო, რომელსაც მთავარი პერსონაჟი შულა უბეში მალავს. ვფიქრობთ, რომ ავტორი სიმბოლურად მიგვანიშნებს პირველ ქრისტიანთა მალვასა და დევნაზე და ამით ღრმა ისტორიულ წარსულს აცოცხლებს.
- **საკულტო ნაგებობა, სალოცავი** - იხატება როგორც გუდამაყრელთა მორალურ-ეთიკური სიწმინდის სიმბოლო, დასტური იმისა, რომ ღვთის სამანს არ გასცდომიან. ირგვლივ სანთლის ალით შეტრუსული შესაწირი საქონლის ბეწვის სუნი დგას. ეს სურნელი უნდა იყოს ღმერთმა, რომ შეეწიოს კაცთა მოდგმას.
- **ჩრჩილი და თაგვი** - როგორც ემმაკისეული სიმბოლოები სულთან გაყრილი კაცის - გახუა მეგრელაურის ისტორიაში, სადაც მწერალი საოცარი ოსტატობით გვიყვება უფალთან გაწყვეტილი კავშირის შესახებ.
- **სიკვდილ** - სიცოცხლის სიმბოლური გააზრება გვხვდება არაერთ მოთხრობასა თუ ლექსში, სადაც სიკვდილი, მართალია, უაღრესად ესთეტიზირებულია, მაგრამ ის მაინც სააქაო ცხოვრების გაგრძელებაა, გოდერძი ჩოხელთან სიცოცხლე დომინანტია.
- **ბედის მწერლები** - მათი პერსონიფიკაცია დამახასიათებელია ქართული მითო-რიტუალური სისტემისთვის, მათ შორის გოდერძი ჩოხელისთვისაც, თუმცა აქ მთავარი ისაა, რომ ადამიანს არჩევანის უფლება აქვს, იგი ბედისწერასთან მეზრძოლია და არა მისი მონა.
- **კერა** - როგორც მთიელთა ოჯახის სიძლიერისა და სიწმინდის სიმბოლო, სადაც ყველა ძირითადი სარიტუალო სცენები ეწყობოდა.
- **სულის ცხენი** - ეს სიმბოლო, ზოგადად, უკავშირდება მიცვალებულებზე ზრუნვისა და მისი საიქიო ცხოვრების უზრუნველყოფის სურვილს, ეს რიტუალი სრული სიზუსტით ცოცხლდება გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში



„ცხენი“ და „დოლი“, თუმცა, ჩვენი აზრით, აქ პირველ რიგში ცხადდება ადამიანისა და ღმერთის კონცეპტუალური ურთიერთკავშირი, იკვეთება „სკნელში მკვიდრთა“ ანუ სოციუმის წევრებს შორის ურთიერთობის წესი, ერთი მიზნისთვის შეკრებილთა ერთობლივი და მწყობრი მოქმედება.

- **ხარი** - ფოლკლორში მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვის მქონეა. ხალხური წარმოდგენით, ღვთისგან ადამიანის შემწედ გამოგზავნილი ხარი უფლისაგან დალოცვილია.
- **სიმბოლო თხა** - ტიპურია ძველი მსოფლიოს ხალხების კულტურისათვის, სადაც მოკლული და შეჭმული ცხოველის გაცოცხლება ხდება ძვალისა და ტყავის, როგორც სასიცოცხლო მინიმუმის ბაზაზე. ამ სიმბოლოს გოდერძი ჩოხელი ადამიანთა სისასტიკის, გაუაზრებელი მოქმედებების, ადამიანის არცნობის უნარის საილუსტრაციოდ იყენებს რომანში „ადამიანთა სევდა.“
- **ყვავი** - ცხადია, არაა პოზიტიური მეტაფორული სახე, თუმცა გოდერძი ჩოხელის მწერლური ფანტაზია უარყოფით სიმბოლოსაც პოზიტიური კონტექსტის გასაძლიერებლად იყენებს მოთხრობაში „ბაძია,“ სადაც ყვავი დროსა და ჟამის უკუღმართობას გამოხატავს.
- **ყორანი** - სიმბოლო, რომელიც ამირანის მითს უკავშირდება. „ხუჭუჭულაში“ კავკასიონის ქედზე ყორანთან „მოჩხუბარი“ ღვთისშვილი ამირანის მითიური ბორგვის მიზეზი ხდება. სწორედ აქ, მის გვერდით, იკვეთება უშუალო კავშირი კუთხურ და ზოგადქართულ ცნობიერებას შორის. ჩოხელი მთიელთა წარმოდგენას არ დალატობს: მისი ხუჭუჭულა, როგორც სხვა ღვთისშვილი, საზოგადოებრივი შეგნებისა და მორალის დამცველია, ხოლო ამირანი, რომელიც ჯაჭვების გაწყვეტას ამაოდ ცდილობს, კონკრეტული ადამიანის მორალურ-ეთიკური სახისა და ზნეობის გამომხატველად სიმბოლიზდება.
- **გველის** მეტაფორული სახე-სიმბოლო ძველ მითოლოგიურ წარმოდგენებში განასახიერებდა ქაოსს, სიბნელეს, ბოროტების საწყისს, რომელიც უპირისპირდებოდა კეთილ ძალას. ბიბლიის მიხედვით, მასთანაა დაკავშირებული პირველი ცდუნება. გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში

„უცნაური ამბავი“ კი გველი იმ სიბრძნის სიმბოლოა, რომელიც ამ სამყაროს შეცნობინებს ადამიანს. მისი პერსონაჟი ბაგილა აკეთებს შეგნებულ არჩევანს: იტანჯება, მაგრამ მაინც არ აწყვეტს იმ გველს კუდს, რადგან სწორედ ესაა მის მიერ აღმოჩენილი ჭეშმარიტება - ადამიანის ცხოვრება სულის ბორგვაა, ტანჯვაა, საკუთარი თავის მუდმივი გამოცდა და გაძლევა.

- **მთა** სულიერების გამომხატველი სიმბოლოა ქართულ ლიტერატურაში. საუკეთესო მეტაფორაა პიროვნების პერსონიფიცირებისა და მისი მნიშვნელობის ასახსნელად. გოდერძი ჩოხელიც ცხოვრებასთან ჭიდილში, მთასა და ბარს შორის ორად გაჭრილი, წარსულსა და თანამედროვეობას შორის გახიდილი, საკუთარ თავს მთად მოიაზრებს.
- **ხე** - ნაყოფის მომცემი - გოდერძი ჩოხელის რომანიდან „სულეთის კიდობანი“ საქმე #13-ში („გუთანი“) ის სიმბოლოა, რომლის წინაშეც ყველა მტრობა უფერულდება. ხე კოსმოგონიური სიმბოლოა, ღვთაებრივი ჰარმონიის სიმბოლო, რომლის დარღვევა არც ერთ შემთხვევაში არ ეპატიება ადამიანს.
- **ყვავილის** სიმბოლიკა ხალხურ და მითოსურ აზროვნებაში სინათლის, სიხარულის, სილამაზის, სიყვარულის გამომხატველია. გოდერძი ჩოხელი ყვავილის სიმბოლოებს სხვადასხვა კონტექსტში იყენებს. ია, ენძელა, „თამარის თვალები“, მზესუმზირა, ხარისთვალა, კესანე... ამ უკანასკნელს წაწლობის დრომოჭმული ტრადიციის წინააღმდეგ ამხედრებული მარადიული სიყვარულის სიმბოლოდ იყენებს.

ამგვარად, სიმბოლო-ალეგორიები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში აღებულია ხალხურ-მითოსური და ქრისტიანული წიაღიდან და გადამუშავებულია ავტორის შეხედულებისამებრ. არაერთი მოთხრობისა და ლექსის განხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული მათგანი გამოხატავს ავტორის პოზიციას და მის მხატვრულ-ესთეტიკურ საზრისს. მათი გამოყენებით გოდერძი ჩოხელი აყალიბებს სურვილს მოაქციოს მკითხველი უკეთესისკენ, შეაცნობინოს ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის, სპონტანურსა და გააზრებულ ქმედებას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობრივად მოთხრობების სიუჟეტები არ სცდება საქართველოს ერთ კურთხეულ კუთხეს, მთას, რომელიც ჯერ კიდევ მოწყვეტილია ცივილიზებულ სამყაროს, მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟები მოქმედებენ ამ „ჩამორჩენილ“ სივრცეში არსებული წესებით, ავტორი ახერხებს მათი საზომით გადასწვდეს ზოგადადამიანურ ფენომენს. ამ მხრივ, გოდერძი ჩოხელი უაღრესად თანამედროვე მწერალია, რომელიც ილაშქრებს ყოველგვარი ძალადობისა და გაუცხოების წინააღმდეგ. მისი მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი ამთლიანებს სურვილს - იყოს ადამიანი უფრო შეგნებული, ვიდრე აქამდე, იყოს მარადიულ სულიერ ღირებულებებზე ორიენტირებული და არა მგლური ინსტინქტებით მოქმედი.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა მხოლოდ მცირე ეტაპია გოდერძი ჩოხელის მრავალწახნაგოვან სამყაროში წიაღსვლისა, სამუშაო კვლავ ბევრია, რადგან ამოუწურავია მისი შემოქმედება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაკელია, ნ. (1997). სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის გამომცემლობა.
2. აბაკელია, ნ. (2007). სიცოცხლის ციკლთან დაკავშირებული საკრალური ხის სიმბოლიკა ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში, სემიოტიკა I. თბილისი.
3. აბზიანიძე, ზ., ელაშვილი, ქ. (2011). სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. (I ტ.). თბილისი: ბაკმი.
4. აბზიანიძე, ზ., ელაშვილი ქ. (2012). სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია (II ტ.). თბილისი: ბაკმი.
5. ალიბეგაშვილი, გ. (1992). ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები. რეცენზ. რ. სირაძე და ზ. კვიციანიძე. თბილისი: განათლება.
6. ბარდაველიძე, ვ. (1938). აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. (ნაკვ. I). ტფილისი.
7. ბარდაველიძე, ვ. (1941). ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან ღვთაება ბარბარ-ბაბარ. წიგნში: ჩიტაია, გ. (რედ.) ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან ღვთაება ბარბარ- ბაბარ. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი ნ. მარის სახ.
8. ბარდაველიძე, ვ. (1950) ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია). (I ტ.). თბილისი: მიმომხილველი.
9. ბარდაველიძე, ვ. (1968). სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები: კრებული. (14 ტ.). თბილისი: ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

10. ბარდაველიძე, ვ. (1974). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ფშავი (ტ.). თბილისი: მერანი.
11. ბაქრაძე, ა. (1990). მწერლობის მოთვინიერება. თბილისი: სარანგი.
12. ბაქრაძე, ა. (1990). რწმენა. თბილისი: მერანი.
13. ბუხრაშვილი, პ. (2003). საცხოვრისის ფენომენის ადგილის განსაზღვრისათვის ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად. ჟურნალი. ამირანი (კავკასიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის მოამბე). IXI. თბილისი: მონრეალი.
14. გამსახურდია, ზ. (1991). „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“. თბილისი: მეცნიერება.
15. გაჩეჩილაძე, გ. (1985). ესთეტიკური იდეალი და მხატვრული გამოხატვის ფორმები. თბილისი: განათლება
16. გელოვანი, ა. (1975). მარად ცოცხალი ხელოვნება. თბილისი: ხელოვნება.
17. გელოვანი, ა. (1983). მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
18. გელოვანი, ა. (1990). რწმენა, ღმერთები, ადამიანები. თბილისი: საქართველოს კპ. ცკ.-ის გამომცემლობა.
19. გურული, ვ. (2010). დედამიწიდან გადაფრენაზე მეოცნებე. თბილისი: უნივერსალი.
20. გურული, ვ. (2010). მართალი გოდერძი. თბილისი: უნივერსალი.
21. გურული, ვ. (2012). გოდერძი ჩოხელის სამყარო. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“. თბილისი: სამეცნიერო შრომების კრებული. 19-25.
22. დათაშვილი, ლ. (2012). ღმერთის შვილები და წუთისოფელი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“. თბილისი: სამეცნიერო შრომების კრებული. 180-190.
23. დათუაშვილი, ა. (2012). მითოლოგიური და რელიგიური საწყისები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის

- „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: 156-163.
24. დევ-კერპთა გარეგნობის ასახვა ხალხურ თქმულებებსა და ლექსებში. (2014). სტატია. ფოლკლორისტთა 51-ე სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
  25. ვირსალაძე, ე. (1964). ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი:
  26. ზედელაშვილი, ნ. (2012). „ნაწილიანი“. თბილისი: საუნჯე.
  27. ზედელაშვილი, ნ. (2017). „დარდების შემგროვებელი. თბილისი: საუნჯე.
  28. იუნგი, კ. (1998). ფსიქოლოგია და რელიგია. (ბადრიძე, მ. ქართული თარგმანი) თბილისი: დიოგენე.
  29. კიკნაძე, ზ. (1996). ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო. ქუთაისი.
  30. კიკნაძე, ზ. (2001). ბიბლია: ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. თბილისი: ს.ბ.ს.
  31. კიკნაძე, ზ. (2005). მონადირის ორმაგი ცხოვრება. ( XXV ტ.). თბილისი: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.
  32. კიკნაძე, ზ. (2008). ქართული ფოლკლორი. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.
  33. კოტეტიშვილი, ვ. (1961). ხალხური პოეზია. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
  34. კუცია, ნ. (2009). ქართული ნოველის ისტორიის ზოგიერთი საკითხისთვის (XX საუკუნის 80-იანი წლები). თბილისი: მერიდიანი.
  35. კუცია, ნ. (2009). ქართული ნოველის ისტორიის ზოგიერთი საკითხისთვის, (XX საუკუნის 80-იანი წლები). თბილისი: მერიდიანი.
  36. კუცია, ნ. (2009). ქართული რომანის პარადიგმები. თბილისი: მერიდიანი.
  37. კუცია, ნ. (2009). ქართული რომანის პარადიგმები. თბილისი: მერიდიანი.
  38. ლომიძე, გ. (2008). მითოლოგიური კრიტიკა. ლიტერატურის თეორია, „XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
  39. მაკალათია, ს. (1930). მთიულეთი. ტფილისი: სახელგამი.
  40. მაკალათია, ს. (1985). ფშავი. თბილისი. ნაკადული.
  41. მალრაძე, ე. (1983). თხზულება. (II ტ). თბილისი: მერანი.

42. მახაური, ტ. (2011). ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები. (წიგნი III). თბილისი: უნივერსალი.
43. ნადარაია, მ. (1979). წვიმის პატარა ღვთაებები – მესეფები და ჭინკები. თბილისი: მეცნიერება.
44. ორბელიანი, ს. (1928). ქართული ლექსიკონი. (იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით). ტფილისი: ქართული წიგნი.
45. ორბელიანი, ს. (1993). ლექსიკონი ქართული. (II ტ.). თბილისი.
46. ოქროპირიძე, ზ. (2012). „ადამიანი-მგლის სახე გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: 112-119.
47. ოქროპირიძე, ზ. (2013). „ზნეობრივი პრობლემა და ყვავილის სიმბოლიკა გოდერძი ჩოხელის თხზულებებში.“ ჟურნალი „ათინათი“, #3:81-84).
48. ოქროპირიძე, ზ. (2013). „ვარდისფერი კაცი“. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ყოველთვიური ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“. გორი: სამშობლო. 21: 12-15.
49. ოქროპირიძე, თ. (1969) ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები (ხარი). კრებული ქართული ფოლკლორი III. თბილისი: მეცნიერება.
50. ოჩიაური, ალ. (1991). ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი: მეცნიერება.
51. ოჩიაური, ალ. (1993). ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი. თბილისი: მეცნიერება.
52. ოჩიაური, თ. (1954). ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
53. ოჩიაური, თ. (1967). მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი: მეცნიერება.
54. ოჩიგავა, მ. (2009). ზოგი დიალექტური თავისებურებისთვის გოდერძი ჩოხელის ენაში. თბილისი: მერიდიანი.

55. სირაძე, რ. (1975). ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები. თბილისი: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
56. სირაძე, რ. (1978). ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან. თბილისი: ხელოვნება.
57. სირაძე, რ. (1980). წერილები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
58. სირაძე, რ. (1982). სახისმეტყველება. თბილისი: ნაკადული.
59. სირაძე, რ. (1992). ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
60. სირაძე, რ. (2000). ქართული კულტურის საფუძვლები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
61. სირაძე, რ. (2008). კულტურა და სახისმეტყველება. თბილისი: ინტელექტი.
62. სიხარულიძე, ქს. (1976). ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
63. სონდულაშვილი, ჯ. (1957). ხალხური სიტყვიერების მასალები. (II ტ.). თბილისი: მერანი.
64. სორდია, ლ. (2012). რწმენისა და სამშობლოს მომავლის გადარჩენის პრობლემა გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობნის“ მიხედვით. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: 120-126.
65. სულავა, ნ. (2009). ვეფხისტყაოსანი - მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა. თბილისი: მეცნიერება
66. სურგულაძე, ი. (1993). ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი: სამშობლო
67. სურგულაძე, ი. (1987). სივრცობრივი ასპექტები ქართველთა სულიერ და მითოლოგიურ წარმოდგენებში. (XXIII ტ.). თბილისი: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.



68. სურგულაძე, ი. (1993). ცეცხლთან და კერასთან დაკავშირებული უძველესი წარმოდგენები ზეპირსიტყვიერი მასალის მიხედვით. თბილისი: სამშობლო.
69. სურგულაძე, ი. (2002). მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.
70. უმიკაშვილი, პ. (1964). ხალხური სიტყვიერება. მ. ჩიქოვანის წინასიტყვ. და რედ., საქ. სსრ მეცნ. აკად., შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი.
71. ფშაველა, ვ. (1961). ექვსტომეული. (I ტ.). თბილისი: საქართველო.
72. ფშაველა, ვ. (1961). ექვსტომეული. (II ტ.). თბილისი: საქართველო.
73. ფშაველა, ვ. (1964). (IX ტ.). თბილისი: საქართველო.
74. ფშაველა, ვ. (1984). თხზულებანი ორ ტომად. (I ტ.). თბილისი: საქართველო.
75. ქართული ლიტერატურის ისტორია. (1982). ქართული ლიტერატურის ისტორია (V ტ.). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
76. ქართული ლიტერატურის ისტორია. (1974), ქართული ლიტერატურის ისტორია (IV ტ.). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
77. ქართული ხალხური პოეზია თორმეტ ტომად. (1984). თბილისი: მეცნიერება.
78. ქურდოვანიძე, თ. (2005) მითური „შვიდი ავი სული და საბატონო „იავ-ნანას“ შვიდი და-ძმა. თბილისი: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.
79. ქურდოვანიძე, თ. (2008). ქართული ხალხურის სიტყვიერების სპეციფიკა და ჟანრები. თბილისი: მწიგნობარი.
80. ქურდოვანიძე, თ. (2013). ქართული ზეპირსიტყვიერების საგადური. I თქმულება და ეპოსი. თბილისი: საქართველოს მაცნე.
81. ქურდოვანიძე, თ. (2013). ქართული ზეპირსიტყვიერების საგადური. II ზღაპარი. თბილისი: საქართველოს მაცნე.
82. ქურდოვანიძე, თ. (2013). ქართული ზეპირსიტყვიერების საგადური. III პოეზია. თბილისი: საქართველოს მაცნე.
83. ყორანაშვილი, გ. (1983). ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები. თბილისი: მეცნიერება.

84. ჩიკვაძე, ნ. (2014). ფსიქოლოგიზმის ზოგადი შტრიხები XX საუკუნის ქართულ მწერლობაში. დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
85. ჩოხელი, გ. (1991). შემინახე, დედაო მიწავ! თბილისი: მერანი.
86. ჩოხელი, გ. (2007). თხზულებები. (I ტ.). თბილისი: საქართველოს მაცნე.
87. ჩოხელი, გ. (2008). თხზულებები. (I I ტ.). თბილისი: საქართველოს მაცნე.
88. ჩოხელი, გ. (2010). თხზულებები. (III ტ.). თბილისი: საქართველოს მაცნე.
89. ჩოხელი, გ. (2011). თხზულებები. (IV ტ.). თბილისი: საქართველოს მაცნე.
90. ჩოხელი, გ. (2012). თხზულებები. (V ტ.). თბილისი: საქართველოს მაცნე.
91. ჩხაიძე-აბესაძე, ნატო. (2012). სისხლის აღების ადათის გმობა ქრისტიანულ აღმსარებლობასთან მიმართებით გოდერძო ჩოხელის შემოქმედებაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძო ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: 195-201.
92. ჩხენკელი, თ. (1989). მშვენიერი მძლევარი. თბილისი: მერანი.
93. ჩხენკელი, თ. (2009). ტრაგიკული ნიღბები. თბილისი: მემკვიდრეობა.
94. ცანავა, ა. (1970). ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები. თბილისი.
95. ცანავა, ა. (1986). ფოლკლორი და თანამედროვე ქართული მწერლობა. თბილისი.
96. წიკლაური, მ. (2006). გოდერძო ჩოხელი, ერისა და მთის შვილი. თბილისი: ბაკმი.
97. წიკლაური, მ. (2006). გოდერძო ჩოხელი - შემოქმედება საზღვრების გარეშე. თბილისი: გიორელი.
98. წიკლაური, ე. (2012). გოდერძო ჩოხელის მსოფლმხედველობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძო ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი. 68
99. ხალხური სიბრძნე III. (1964). ქართული ეპოსი: ლეგენდები. თქმულებები, გადმოცემები. თბილისი: ნაკადული.
100. ხაფავა, გ. (2000). გოდერძო ჩოხელის სევდა. ჟურნალი „იმიჯი“. 14: 28-29

101. ხორბალაძე, გ. (2013). გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები. წარდგენილია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თბილისი.
102. ხორბალაძე, გ. (2015). იების სევდა. თბილისი: უნივერსალი
103. ხუციშვილი, ქ. (2010). წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენები საქართველოში. წიგნიდან: „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“, თბილისი.
104. ჯავახიშვილი, ივ. (1953). ქართველი ერის ისტორია. (V ტ.). (რედ.: სიმონ ყაუხჩიშვილი). თბილისი.
105. ჯავახიშვილი, ი. (1960). ქართველი ერის ისტორია. (I ტ.). ქართველების წარმართობა თავი 2. თბილისი.
106. ჯალიაშვილი, მ. (2006). სიცოცხლის საიდუმლო. თბილისი: წყაროსთვალი.
107. ჯალიაშვილი, მ. (2012). მგლობის ფენომენის მითოპოეტური ასპექტები გოდერძი ჩოხელის რომანი „მგელი“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: 163-173.
108. ჯიყაშვილი, ლ. (2011). გუდამაყრელი იები. თბილისი: გოდერძი ჩოხელის მემუარები.
109. ჯორბენაძე, ბ. (1989). ქართული დიალექტოლოგია. (Iტ.). თბილისი: მეცნიერება.

## ინტერნეტ მასალები

110. არაბული, ა. (2002). ბაგრატიონთა საგვარეულოს „ღვთისნებითობის თეორია“ და ხალხური სიტყვიერება.  
<http://www.georoyal.ge/index.php?MTID=1&TID=25&id=945>  
მოძიებულია 12.12.2016 წ.
111. არუთინოვა, ნ. (2 აგვისტო, 2010) სიმბოლო. თარგმნა თამარ ყურაშვილმა.  
<https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/02/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D/>  
მოძიებულია 17.12.2016 წ.
112. ტოროტაძე, ქ. (2016). სიმბოლოები და ალეგორიები.  
<https://saba.com.ge/books/details/4161/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>  
მოძიებულია 11.11.2016 წ.
113. ტრაპაიძე, ქ. „ფუნქციის პერსონაჟები ქართულ ჰაგიოგრაფიაში“  
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4---4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-%20%20&cl=CL3.8.20&d=HASH9c2e0e93f425d262f855b7&gt;2>  
მოძიებულია 2. 11. 2016 წ.